საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ალბერტ მენთეშაშვილი

# აგრარული ურთიერთობის საკითხები თანამედროვე ქურთისტანში

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი — 1976

33—05(5)
333.01(5—012)
მ 559

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია თანამედროვე ქურთისტანის, — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების (ერაყი, სირია, ირანი, თურქეთი) ქურთებით დასახლებული რაიონების, — ეკონომიკის ზოგადი მიმოხილვა; დახასიათებულია აგრარულ ურთიერთობათა ევოლუციის ცალკეული ეტაპები; ნაჩვენებია ქურთული სოფლის სოციალური სტრუქტურის თავისებურებანი; გამოკვლეულია გლეხთა ფეოდალური ჩაგვრის ფორმები და მეთოდები; განხილულია აგრარული გარდაქმნები და საწარმოო ძალების განვითარება სოფლად; შესწავლილია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ცხოვრების თანამედროვე დონე.

წიგნი განკუთვნილია აღმოსავლეთმცოდნეების, ისტორიკოსების, ეკონომისტების და ყველა იმ პირთათვის, ვინც დაინტერესებულია თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიული პროცესებით.

მ $\frac{10703}{М\ 607(03)—76}$ 97—76

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1976

## წინასიტყვაობა

ქურთები, — ახლო აღმოსავლეთის ეს ერთ-ერთი უძველესი ხალხი, მსოფლიოს ამ რეგიონის მნიშვნელოვან ეროვნულ უმცირესობას შეადგენენ. ქურთებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორია, რომელიც ამჟამად დანაწილებულია ახლო აღმოსავლეთის ოთხ სახელმწიფოს (თურქეთს, ირანს, ერაყსა და სირიას) შორის, ცნობილია ქურთისტანის სახელწოდებით, ხოლო მის ცალკეულ მხარეებს შესაბამისად უწოდებენ: „თურქეთის ქურთისტანს" (თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი), „ირანის ქურთისტანს" (ირანის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილს), „ერაყის ქურთისტანს" (ერაყის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილს) და „სირიის ქურთისტანს" (სირიის — უკიდურეს ჩრდილოეთ რაიონს). ქურთისტანის ყოველი ცალკეული ნაწილი ერთმანეთის მოსაზღვრეა.

„ქურთთა საკითხის" აღმოცენების შემდეგ (XIX—XX სს. მიჯნაზე) ევროპელი ისტორიკოსები ძირითადად დაინტერესებული იყვნენ ამ საკითხის პოლიტიკური ასპექტის გაშუქებით, ხოლო მის სოციალურ-ეკონომიურ მხარეს უყურადღებოდ ტოვებდნენ, ანდა ჩქმალავდნენ. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის წინ, და განსაკუთრებით მისი დამთავრების შემდეგ, მომხდარი პოლიტიკური ძვრების ზეგავლენით დაიწყეს დასავლეთის ბურჟუაზიულმა ავტორებმა (ე. ლიჩი [128], ფ. ბარტი [115 ა], ვ. ნიკიტინი [91]) ქურთისტანში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური პროცესების შესწავლა.

მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ზოგიერთი საკითხი გაშუქებული აქვთ საკუთრივ ქურთ ავტორებსაც. მათგან შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი: ა. რ. გასემლო [124], მ. ბოზარსლანი [116 ა] და ნ. დერსიმი [118 ა].

აგრარული წყობის საკითხები ქურთისტანში დიდი ხანია იწვევს საბჭოთა ქურთმცოდნეების ინტერესს, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მას არაერთი საყურადღებო სტატია მიეძღვნა. ამ მნიშვ-

ნელოვანი პრობლემების მეცნიერულ დამუშავებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ტ. არისტოვამ [55], ა. ვასილევსკიმ [62], ო. ვილჩევსკიმ [64], ა. კალავეჟმა [78], ა. შამილოვმა [113], ჯ. ჯალილმა [72] და სხვ.

დასახელებული ავტორები თავიანთ შრომებში უპირატესად განიხილავენ არა მთელი ქურთისტანის, არამედ მისი ცალკეული ნაწილების, კერძოდ, ირანის ან თურქეთის ქურთისტანის აგრარულ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთ საკითხს და ისიც მხოლოდ 1917 წლამდე. რაც შეეხება თანამედროვე ქურთისტანს, იგი დღემდე ჩვენი ქურთმცოდნეების სპეციალური კვლევის ობიექტი არ ყოფილა.

საკვლევად აღებული საკითხის დამუშავება მნიშვნელოვნად შეგვიმსუბუქა საბჭოთა მეცნიერთა ს. ალიტოვსკის [53], ვ. ვავილოვის [61 ა], ვ. ვიქტოროვის [65] ა. დიომინის [71] მ. ივანოვის [77], ნ. კომახიძის [131], თ. მედჯიდოვის [87]. პ. მოისეევის [90], გ. ჭიპაშვილის [132] გამოკვლევებმა, რომლებშიც გაშუქებულია თანამედროვე ერაყის, სირიის, ირანისა და თურქეთის ეკონომიური განვითარების ცალკეული საკითხები.

აღსანიშნავია, რომ ქურთისტანის ერთ ნაწილს მოიცავს ის ქვეყნები (თურქეთი, ირანი), სადაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური განვითარება კაპიტალისტური გზით წარიმართა, ხოლო მეორეს — სოციალისტური ორიენტაციის არაბული ქვეყნები (სირია, ერაყი). სირიასა და ერაყში, ისე როგორც ბევრ სხვა განთავისუფლებულ ქვეყანაში, უკანასკნელი წლების მანძილზე, მრავალ სიძნელეთა მიუხედავად, ღრმა პროგრესული ცვლილებანი ხდება.

ამ ცვლილებათა ძირითადი მიმართულებანი, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოხსენებაში სკკპ 25-ე ყრილობაზე, — „ეს არის მრეწველობის განვითარებაში სიმძიმის ცენტრის გადატანა სახელმწიფო სექტორზე, ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია, უცხოეთის საწარმოთა ნაციონალიზაცია, რომლის მიზანია ახალგაზრდა სახელმწიფოთა ეფექტიანი სუვერენიტეტის დამყარება საკუთარ რესურსებზე, საკუთარი კადრების შექმნა... ეს, რა თქმა უნდა, ისტორიული მნიშვნელობის პროცესია“ [6, გვ. 15]. ყოველივე ეს ზრდის მეცნიერულ ინტერესს თანამედროვე ქურთისტანის აგრარული წყობის შესწავლისადმი და მას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს.

წინამდებარე წიგნში აღმოსავლურ ენებზე (ქურთული, არაბული, თურქული, ირანული) არსებული პირველწყაროების (როგორც

დედანში, ასევე თარგმანებში) გამოყენების საფუძველზე და აგრეთვე საბჭოთა და უცხოელ მკვლევართა ნაშრომების გათვალისწინებით გამოკვლეულია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ქურთებით დასახლებული ტერიტორიის ანუ ქურთისტანის აგრარული წყობის მნიშვნელოვანი საკითხები.

ნაშრომი ქრონოლოგიურად მოიცავს უახლოეს პერიოდს (1917—1976 წწ.) მაგრამ, რამდენდაც ქურთულ სოფელში დღემდე შემორჩენილია არა მარტო ფეოდალური, არამედ გვაროვნულ-ტომობრივი გადმონაშთებიც, რაც დამახასიათებელი იყო ქურთისტანისათვის წარსულში, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ თვალი გაგვედევნებინა აგრარულ ურთიერთობათა ევოლუციისა და გლეხთა მდგომარეობისათვის შუა საუკუნეებსა და ახალ პერიოდში.

აღმოსავლურ წყაროებსა და ლიტერატურაში (განსაკუთრებით თურქულში) ადგილობრივი ქურთების სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ამსახველი ფაქტობრივი მასალა არც თუ ისე დიდი რაოდენობით მოიპოვება. ამიტომ ჩვენ მიერ დასმული ზოგიერთი საკითხის ყოველმხრივ გამოკვლევა ვერ მოხერხდა. ეს პირველ რიგში იმ ქვეთავს ეხება, რომელიც თანამედროვე თურქეთის ქურთისტანს და იქ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური ხასიათის გარდაქმნებს ეძღვნება.

რამდენადაც წინამდებარე ნაშრომი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში თანამედროვე ქურთისტანის აგრარული წყობის მონოგრაფიული კვლევის პირველი ცდაა, ამდენად ვგრძნობთ, რომ იგი უნაკლო არ იქნება. ავტორი გულისხმიერებით მიიღებს მკითხველის ყველა საქმიან შენიშვნას და წინადადებას.

## შესავალი

ქურთისტანი აგრარული ქვეყანაა, სადაც ფეოდალური ურთიერთობანი საკმაოდ მძლავრადაა ფეხმოკიდებული. მის შორეულ სასოფლო რაიონებში ჯერ კიდევ შემორჩენილია გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობანიც. ქურთისტანში კაპიტალიზმის განვითარება XIX—XX სს. მიჯნაზე დაიწყო და განსაკუთრებით სწრაფი ტემპით წავიდა წინ მსოფლიო ომებს შორის პერიოდში.

კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ქურთისტანში აღმოცენდა შედარებით მსხვილი ქალაქები, სავაჭრო და სამრეწველო ცენტრები[1].

ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე ნავთობის დიდი რაოდენობით არსებობამ იმპერიალისტური მონოპოლიების ყურადღება მიიპყრო. აქ ნავთობის მოპოვება ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოს დაიწყო, დღეს კი იგი მომპოვებელი მრეწველობის მთავარი დარგი გახდა. ნავთობის მოპოვება ძირითადად წარმოებს ხანეკინსა და კირკუკში (ერაყი), სადაც ნავთობის ექსპლოატაციის საქმე უკანასკნელ დრომდე ერაყის ნავთობის კომპანიის („ირაკ პეტროლეუმ კომპანი") ხელთ იყო, ქერმანშაჰის რაიონში (ირანის ქურთისტანი) და თურქეთის ქურთისტანში, სირიის საზღვრის ახლოს.

ქურთისტანის სოციალური განვითარების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ქურთული სამრეწველო პროლეტარიატი და ქურთული ეროვნული ბურჟუაზია ერთდროულად არ გაჩენილა. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ნავთობის ექსპ-

---

[1] XX ს. დამდეგიდან ქურთისტანის ქალაქების მოსახლეობის რიცხვი დიდად გაიზარდა. თუ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქურთისტანის ქალაქებში 50 000 კაცი ცხოვრობდა, ამჟამად მარტო ერაყის ქუთისტანში ამ რიცხვმა 400 ათასს გადააჭარბა.

ლოატაციას აწარმოებდა უცხოური მონოპოლისტური კომპანიები და სახელმწიფო სექტორი.

მრეწველობის სხვა დარგების, მათ შორის, სამთო მრეწველობის განვითარება ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. იგივე ითქმის მსუბუქ მრეწველობაზე, რომელიც მხოლოდ სამომხმარებლო საქონელს აწარმოებს[2].

ამის შედეგად ახლო აღმოსავლეთის ეს ერთ-ერთი მდიდარი კუთხე დღეს, ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, ამ მხარის უღარიბეს და განუვითარებელ ტერიტორიად რჩება.

დღეისათვის სოფლის მეურნეობა ქურთისტანის ეროვნული ეკონომიკის ძირითადი დარგია. ამასთან, მის მნიშვნელოვან ნაწილს მესაქონლეობა შეადგენს. ეროვნულ შემოსავალში სოფლის მეურნეობის წილი 64%-ია, ხოლო მრეწველობისა — 26%. შემოსავლის 10% მოდის ეროვნული ეკონომიკის დანარჩენ დარგებზე (სამშენებლო მრეწველობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა).

სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი მოდის მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქციაზე.

მესაქონლეობა განვითარებულია ქურთისტანის ყველა რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებამდე კაპიტალისტური ურთიერთობანი თურქეთში შედარებით სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე მეზობელ ირანსა და ერაყში, ამ მხრივ მდგომარეობა თურქეთის ქურთისტანში მცირედად თუ შეიცვალა. მესაქონლეობა აქ კვლავინდებურად სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ძირითად დარგად დარჩა.

თურქი ავტორი, სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. დარკოტი აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთ ანატოლიაში (სადაც ქურთების დიდი ნაწილი ცხოვრობს — ა. მ.) მოსახლეობის ძირითად შემოსავალს მესაქონელობა იძლევა [70, გვ. 102].

საქონლის მოშენებას მისდევს არა მარტო ნახევრად მომთაბარე მოსახლეობა, რომლისთვისაც მესაქონლეობა არსებობის ძირითადი საშუალებაა, არამედ მიწათმოქმედი მოსახლეობაც. ქურთისტანში მომთაბარეთა რიცხვი თანდათანობით სულ უფრო მცირდება, ისინი ფაქტიურად უკვე იშვიათად გვხვდებიან.

იქ, სადაც მესაქონლეობა ნახევრად მომთაბარული ფორმით ვლინდება, სამიწათმოქმედო პროდუქტებს თითქმის არ აწარმოე-

---

2 ტრადიციული სამამულო ხელოსნობიდან ხალიჩების წარმოებას წამყვანი ადგილი უკავია.

ბენ. ამ რაიონებში ბევრი საძოვარი და ტყეა. თუ საძოვრები მცირეა, თხებისა და ცხვრების ძირითად საკვებად ხის ფოთლებს იყენებენ[3].

იმ ადგილებში, სადაც მესაქონლეობის გარდა მიწათმოქმედებასაც მისდევენ, სასოფლო სამიწათმოქმედო პროდუქციის წარმოებას ფაქტიურად მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. იგი მეცხოველეობის დანამატ დარგს შეადგენს და მისი ძირითადი დანიშნულება ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა. დაბლობ რაიონებში დიდ როლს ასრულებს სამიწათმოქმედო წარმოება, ხოლო ზოგიერთი ამ სახის პროდუქტი საზღვარგარეთაც კი გააქვთ.

ქურთებით დასახლებულ რაიონებში სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეთოდები და ტექნიკა პრიმიტიულია, ხოლო ფეოდალურ ურთიერთობათა გადმონაშთები, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ისევ ძლიერია. მიწების დიდი რაოდენობა ადგილობრივი მემამულეების საკუთრებას შეადგენს.

მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი ქურთისტანში მეტად შეზღუდულია. ზამთარში ქალაქების უმრავლესობა ერთმანეთისაგან არის მოწყვეტილი და გზები ცუდ მდგომარეობაშია. აქ ძალზე ცოტაა რკინიგზები, ხოლო იქ, სადაც გაყვანილია, მათ სტრატეგიული დანიშნულება აქვთ. ტრანსპორტირება ტბების (ურმია, ვანი) საშუალებითაც ხდება. მაგრამ ურმიის ტბაზე დღესაც ის გემები მოძრაობენ, რომლებსაც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს იყენებდნენ. საჰაერო ტრანსპორტი მხოლოდ სამხედრო მიზნებისათვის გამოიყენება.

ქურთისტანის მუშათა კლასი და გლეხობა, რომლებიც მთელი მოსახლეობის 80%-ს შეადგენენ, სამმაგ ჩაგვრას განიცდიან. ერთი მხრივ, მათ ჩაგრავენ უცხოელი იმპერიალისტები (ამერიკელები, ინგლისელები), მეორე მხრივ, გაბატონებული ერების (არაბები, ირანელები, თურქები) მმართველი წრეები და ბოლოს, თვით ქურთი მიწათმფლობელი ფეოდალები. თანამედროვე ქურთული საზოგადოების მთავარი თავისებურება სწორედ ამაში მდგომარეობს.

ქურთისტანის ეკონომიკის განვითარებას აფერხებს ის, რომ იგი დაყოფილია ახლო აღმოსავლეთის ოთხ ქვეყანას (თურქეთი, ირანი, სირია, ერაყი) შორის. ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური საზღვრები არა მარტო ქურთებით დასახლებულ ტერიტორიას ყოფენ

---

3 თხები და ცხვრები ისე შეეჩვივნენ მუხის ფოთლებს, რომ მათთვის სხვა საკვების დამზადება საჭირო არც არისო, — წერდა ფრანგი ფ. ბალზანი [115, გვ. 85].

ერთმანეთისაგან, არამედ ხელს უწყობენ მათ ეკონომიურ გათიშვასაც. ამის გამო ქურთისტანის ცალკეული ნაწილები იზოლირებულია ერთმანეთისაგან და მეურნეობრივად დამოკიდებულია შესაბამისი სახელმწიფოს ეკონომიკაზე[4]. გარდა ამისა, სახელმწიფოები, რომელთა შორისაც დაყოფილია ქურთისტანი, ეკონომიურად დამოკიდებული იყვნენ ან არიან სხვა ქვეყნებზე, უმთავრესად კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე. სწორედ ამით უნდა აიხსნას ქურთისტანის ცალკეული ნაწილების არათანაბარი ეკონომიური პროგრესი.

ქურთისტანის ცალკეული რაიონის ეკონომიკა სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. ამ თავისებურებას განაპირობებს იმ ქვეყნების ეკონომიკა, რომლის შემადგენლობაშიც შედის მისი ესა თუ ის ნაწილი. თავისი სოციალური და ეკონომიური განვითარების დონით ქურთისტანის ყოველი ნაწილი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ამ განსხვავების შესახებ ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევჩერდებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქურთისტანის რაიონების ეკონომიურ განვითარებაში ბევრი რამ საერთოც შეინიშნება. ის, რაც დამახასიათებელია ერთისათვის, ეხება სხვა ნაწილებსაც. ამიტომ ზოგადად ესა თუ ის ნიშან-თვისება შეიძლება ყველაზე გავრცელდეს.

---

1 მიუხედავად ამისა, ქურთისტანის მთიანი საზღვრები პრაქტიკულად კონტროლს გარეშეა; ამიტომაც აქ ფართოდაა გავრცელებული კონტრაბანდული ვაჭრობა; ირანისა და ერაყის ქურთისტანის მთიანეთში ასეთმა ვაჭრობამ გარკვეული ეკონომიური მნიშვნელობაც კი მოიპოვა.

თავი I

# აგრარულ ურთიერთობათა ისტორიული განვითარების ეტაპები

## 1. აგრარული ურთიერთობათა ევოლუცია შუა საუკუნეებში

სანამ თანამედროვე ქურთისტანის აგრარულ ურთიერთობათა ანალიზს შევუდგებოდეთ, მოკლედ შევეხოთ საერთოდ ამ ურთიერთობათა ისტორიულ განვითარებას.

VII ს-ში, როცა არაბებმა ქურთისტანი დაიპყრეს, ქურთულ სოფელში ჯერ კიდევ არსებობდა სასოფლო თემის გარკვეული ფორმა. თემში ტომობრივი ურთიერთობანი სჭარბობდა.

ბაღდადის სახალიფოს არსებობის პერიოდში (VIII—X სს.) გლეხი რენტას სახელმწიფოს, ე. ი. ხალიფას, უხდიდა. არაბთა გაბატონების შემდეგ ყველა ის მიწა, რომელიც დასაწყისში ეკუთვნოდა სასანელთა სახელმწიფოს მეთაურს — მეფეს, სამეფო ოჯახს და ყველა იმას, ვინც არაბთა წინააღმდეგ იბრძოდა, სახალიფოს გადაეცა. ამავე დროს ის მიწები, რომლებიც მანამდე სასულიერო წოდების კუთვნილებაში იყო, მუსლიმანური სამღვდელოების საკუთრებად იქცა. ეს მიწები ფაქტიურად ხალიფას საკუთრება გახდა.

ამრიგად, სახელმწიფო გახდა ძირითადი მიწათმფლობელი, რომელიც მიწის ფეოდალურ მესაკუთრედ ითვლებოდა. ფეოდალები განეკუთვნებოდნენ გაბატონებულ კლასს და ყველაფერი ის, რასაც სახელმწიფო გლეხებისაგან ღებულობდა, არისტოკრატებსა და თანამდებობის პირთა შორის ნაწილდებოდა.

მიწის სახელმწიფო მფლობელობის გარდა არსებობდა კერძო მიწათმფლობელობაც. იმ მიწების დიდი ნაწილი, რომელიც ძირითადად არაბთა დიდებულებს ეკუთვნოდათ, მიტაცებული იყო გამარჯვებულის უფლებით. მიწებს ფლობდნენ ადგილობრივი

მიწათმფლობელებიც, რომლებსაც საერთო ენა ჰქონდათ გამონახული არაბებთან საკუთარ სამფლობელოების შენარჩუნების მიზნით. მიწათმფლობელებს უფლება ჰქონდათ მიწა გადაეცათ მემკვიდრეობით ანდა გაეყიდათ.

სახალიფოში ჩამოყალიბდა მიწათმფლობელობის ახალი ფორმა — ვაკფი. იგი მოიცავდა იმ მიწებს, რომლებიც ეძლეოდა მუსლიმანურ სამღვდელოებას, სასულიერო სასწავლებლებს და ა. შ. სავაკფო მიწის გაყიდვა ან სხვისთვის გადაცემა არ შეიძლებოდა.

არაბთა სახალიფოში დამკვიდრებული ფეოდალური პრივილეგიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იკტას[1] ინსტიტუტი. იკტა აღმოსავლური მიწათმფლობელობის ერთ-ერთი ფორმაა. განვითარების რთულ და ხანგრძლივ გზაზე იკტამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა.

სახალიფოში (IX—X სს.) იკტა თავისებურ ბენეფიციას წარმოადგენდა; მისი ბოძება გულისხმობდა იკტას მფლობელის (არაბ. „მუკტა", სპარ. „იყტადარი") წილს მიწის შემოსავალში, მის უფლებას რენტა-ხარკის გადაკვეთილ წილზე [96, გვ. 153; 130, გვ. 164, 165]. იკტით ბოძებულ პრივილეგიებს ხალიფა ზოგიერთ პირს ანიჭებდა დროებით ან მუდმივად, მთელი სიცოცხლის მანძილზე. იკტას წესი ნაწილობრივ წარმოადგენდა იმ სისტემის აღორძინებას, რომელიც არსებობდა ისლამამდელ ხანაში. იკტას გადაცემა ხელს უწყობდა ფეოდალური წესების განმტკიცებას. მომდევნო საუკუნეებში იკტას სისტემა ფართოვდებოდა. მიწათმფლობელები ცდილობდნენ სხვადასხვა საშუალებით ხელში ჩაეგდოთ სათემო მიწები.

იკტას სისტემის თანდათანობით დამკვიდრებამ, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელი შეუწყო სახელმწიფოს ცენტრალიზაციის შესუსტებას. თუ წინათ გლეხებისაგან გადასახადებს კრეფდნენ სპეციალური ორგანოები, ეს უფლება თანდათან გადავიდა ყოვლისშემძლე ფეოდალებისა და ოლქის მმართველების ხელში.

თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანაში (XI—XIII სს.) იკტამ კიდევ უფრო იცვალა სახე. იგი რუსულ „პომესტიეს" მსგავსად სამხედრო-სამსახურის პირობით გაცემულ მიწას აღნიშნავდა. ამავე დროს იყტადარის უფლებები რენტის აღებაზე თანდათან მემკვიდრეობითი ხდება. ამ გარემოებამ იკტა სამხედრო ლენად აქცია და საფუძველი ჩაუყარა სამხედრო-ლენური სისტემის ჩამოყალიბებას.

სელჩუკთა ბატონობის პერიოდში იკტას მფლობელს აღარ

---

[1] იკტა — არაბული სიტყვაა და ნიშნავს „მიწის ნაკვეთს".

ჰქონდა იმის შიში, რომ მას ჩამოართმევდნენ ბოძებულ მიწის ნაკვეთზე გადასახადის აკრეფის უფლებას და ამიტომ იგი მიწას უკიდურესობამდე არ ფიტავდა. იქტას მფლობელები ახლა მეტად დაინტერესებული იყვნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებით და მიწებს უფრო რაციონალურად იყენებდნენ. იქტას ამ ახალმა ფორმამ გარკვეულად შეუწყო ხელი ეკონომიურ პროგრესს. რა თქმა უნდა, იქტას მფლობელებს უარი არ უთქვამთ გლეხთა ინტენსიურ ექსპლოატაციაზე. ამ დროისათვის გლეხები სავსებით მათზე დამოკიდებული გახდნენ.

გლეხები ვალდებული იყვნენ გადაეხადათ არა მარტო ფეოდალური რენტა მოსავლის 1/3 ან 1/2-ის ოდენობით, არამედ დამატებითი გადასახადებიც.

მონღოლთა შემოსევამ რამდენადმე შეცვალა ვითარება. მონღოლმა ხანებმა (მმართველებმა) და მათმა ნათესავებმა ხელთ იგდეს მიწების დიდი ნაწილი[2]. ამის შემდეგ გაჩნდა ახალი ფენა — მონღოლი მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც უმოწყალოდ ჩაგრავდნენ გლეხებს.

XIV—XV სს. იქტას სისტემამ მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს. იქტა საბოლოოდ გადაიქცა სამხედრო ლენად, ხოლო იქტადარი — მემკვიდრე მიწათმფლობელად, რომელიც სარგებლობდა საგადასახადო იმუნიტეტით.

ამ პერიოდში მჩაგვრელი კლასი ოთხ ჯგუფად იყოფოდა:

1. სამხედრო არისტოკრატია, მონღოლი, თურქი და ქურთი ხანების (ტომების ბელადები) ჩათვლით; 2. ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც სამხედრო სამსახურში არ იყვნენ; 3. უმაღლესი სასულიერო წოდება; 4. სახელმწიფო მოხელეები.

გლეხების ექსპლოატაცია სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა; ზოგჯერ მათ აიძულებდნენ ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის მოსავლის 80%-მდე, ე. ი. 4/5 [68, ტ. 3, გვ. 581]. ეს კი გლეხის შრომის ნაყოფიერების დაცემას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირებას იწვევდა.

სოფლის მეურნეობის დაქვეითებამ და სახელმწიფოს შემოსავლის შემცირებამ [95, გვ. 55] აიძულა ირანის მაშინდელი მმართველი ყაზან ყაენი (1295—1304 წწ.) მე-13 საუკუნის ბოლოს და მე-14 საუკუნის დასაწყისში მიეღო მთელი რიგი ზომები. განისაზღვრა ფულადი და ნატურალური[3] გადასახადების რაოდენობა და მათი

---

[2] მონღოლი ხანების მიწის ამ ნაკვეთებს „ინჯუ" ეწოდებოდა.

[3] ქურთისტანში მაშინ მხოლოდ ნატურალური გადასახადები არსებობდა.

აკრეფის ვადები [95, გვ. 58]. გარდა ამისა, გატარებულ იქნა აგრარული კანონმდებლობანი, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის სარწყავი სისტემის აღდგენას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოებას და გლეხთა შემოსავლის ზრდას.

ყაზან ყაენის რეფორმებმა შედარებით ზომიერი ფორმა მისცა გლეხთა ექსპლოატაციას, რამდენადაც ეს საჭირო იყო ფეოდალური სახელმწიფოსა და ფეოდალთა კლასის ინტერესებისათვის

მაგრამ ყაზან ყაენის რეფორმებმა მხოლოდ ნაწილობრივ შეცვალა მდგომარეობა. მის მიერ გატარებულმა აგრარულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცებას და გლეხთა შემდგომ დაკაბალებას. ყაზან ყაენის კანონმდებლობამ იურიდიული საფუძველი შეუქმნა გლეხების მიწაზე მიმაგრებას და 30 წლით განსაზღვრა გაქცეული გლეხის ძებნის ვადა. მიუხედავად ამისა, ყაზან ყაენის აგრარულმა გარდაქმნებმა გარკვეულად შეუწყო ხელი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობას [95, გვ. 90], მაგრამ ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა.

თემურ ლენგის შემოსევებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მათ შორის ქურთისტანის ეკონომიკის დაქვეითება მოჰყვა. XV საუკუნიდან იქტას სისტემა ღებულობს მფლობელობის ახალ, „სოიურღალი"-ს[4] ფორმას. სოიურღალის ინსტიტუტი, რომელიც ჩამოყალიბდა სამხედრო-ლენური სისტემის აყვავების ხანაში, იქტას ინსტიტუტის განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენდა. სოიურღალი მემკვიდრეობითი მფლობელობის ფორმა იყო. მისი მფლობელი გაცილებით მეტ პრივილეგიებს ღებულობდა, ვიდრე მონღოლთა ბატონობის დროინდელი იქტადარი. იგი თავისი სამფლობელოს სრული ბატონ-პატრონი იყო. საგადასახადო იმუნიტეტთან ერთად მან მიიღო სასამართლო და ადმინისტრაციული იმუნიტეტის უფლებებიც. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელს უფლება არა ჰქონდა ჩარეულიყო სოიურღალის მმართველობის საქმეში.

ქურთისტანში ყარა-ყოინლუსა და აყ-ყოინლუს თურქმანული დინასტიების ბატონობის ხანაში (1410—1502 წწ.) ლენური ბოძების ყველაზე გავრცელებული სახე სოიურღალი იყო.

მე-16 საუკუნის ქურთი ისტორიკოსის შერეფ ხან ბითლისის ცნობით, ყარა-ყოინლუს სულთანმა ყარა იუსუფმა (1410—1420 წწ.), 1417 წ. ქურთული ტომის — რუზეკის ბელადს, ამირა შამს ედ-

[4] „სოიურღალი" მონღოლური სიტყვაა და ნიშნავს „ბოძებას", „წყალობას"

დინს (შერეფ ხანის წინაპარს) სოიურღალის სახით უბოძა ოთხი დიდი ოლქი — ბითლისი, აჰლათი, ხნუსი და მუში [113 ა, გვ. 419 — 420].

უფრო გვიან, მას შემდეგ, რაც აყ-ყოინლუს სულთანმა უზუნ ჰასანმა (1463—1478) წწ.) ქურთისტანი დაიპყრო, მან თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით, სოიურღალი უბოძა არა მარტო ამირებს, არამედ სასულიერო პირებსაც [96, გვ. 150].

XVI საუკუნეში მსხვილი ქურთული სამფლობელოები აღორძინების ხანაში იმყოფებოდნენ.

ამ დროისათვის ხელოსნობა ნაწილობრივ უკვე გამოეყო სოფლის მეურნეობას, რაც ხელს უწყობდა ადგილობრივი ვაჭრობისა და საბაზრო ურთიერთობის განვითარებას. თანდათან იწყება გადასახადის გადახდა ფულადი სახითაც. აშენდა ფეოდალი ბატონების ახალი ქალაქები, ციხე-სიმაგრეები და სასახლეები. ერთი სიტყვით, ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ქურთისტანში საბოლოოდ მკვიდრდება ფეოდალური ურთიერთობა.

სეფიანთა დინასტიის ბატონობის დროს (1502—1736 წწ.), ირანის ქურთისტანში ვხვდებით იქტას ნაირსახეობას — „თიულს". მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფო თიულის პატრონს აძლევდა სრული რენტის, ანდა მისი ნაწილის მიღების უფლებას.

მე-17 საუკუნეში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების მიზნით, შაჰ აბას I-მა ახალი რეფორმები გაატარა ასე, მაგალითად, მან შეამცირა ზოგიერთი გადასახადი. მაგრამ ყველა ის ღონისძიება, რომელსაც შაჰ აბასი ატარებდა, ხელს უწყობდა შაჰის საგვარეულოსა და სახელმწიფოს კუთვნილი სამფლობელოების ზრდა-გაფართოებას. შაჰ აბასი გახდა არა მარტო უმსხვილესი ფეოდალი, არამედ თავის სახელმწიფოს ყველაზე დიდი ვაჭარიც. ამ პერიოდში გაიზარდა აგრეთვე მუსლიმანური სამღვდელოების (შიიტების) მფლობელობაში არსებული მიწებისა და მამულების (ვაკფი) ფართობიც. ქვეყნის ეკონომიკა აღმავლობის გზას დაადგა, რამდენადმე გაუმჯობესდა გლეხთა ცხოვრების დონეც. თავისი მმართველობის ხანაში შაჰ აბას I მიწებსა და საძოვრებს ტომებს შორის „იურტების"[5] სახით ანაწილებდა.

სეფიანთა მმართველობის დასასრულს და ავღანთა პირველი შემოსევების დროს დაიწყო ირანისა და ირანის ქურთისტანის ეკო-

---

5 „იურტ" — მონღოლურად მიწის ნაკვეთს ნიშნავს.

ნომიური დაქვეითების ახალი პერიოდი, რამაც გამოიწვია გლეხთა შემდგომი გაღატაკება. მდგომარეობა იმდენად აუტანელი შეიქმნა, რომ 1743 წ. სალმასისა და ხოის რაიონის ქურთები გადასახადების ზრდის წინააღმდეგ აჯანყდნენ [96, გვ. 335].

XVIII ს. მეორე ნახევარში, ირანში ქერიმ ხან ზენდის მმართველობის პერიოდში (1752—1779 წწ.), სოფლის მეურნეობის გამოცოცხლება და გლეხთა მდგომარეობის დროებითი შემსუბუქება შეინიშნება. მან გამოსცა ფირმანი, რომლის საფუძველზე რამდენადმე შეიზღუდა ადგილობრივი ხანების თვითნებობა და გლეხთა ექსპლუატაცია. მტკიცედ დადგინდა გადასახადის ნორმები [133, გვ. 139] მაგრამ ირანის ტახტისათვის ზენდებსა და ყაჯარებს შორის ამტყდარმა შინაბრძოლამ ქვეყნის ეკონომიკა კვლავ დაცემის გზაზე დააყენა, ხოლო XIX საუკუნიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ირანში ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს შეღწევა, ქვეყნის ეკონომიური დაქვეითება კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება [67].

## 2. აგრარული წყობა ისტორიის ახალ ხანაში

მთელი XIX ს. მანძილზე თიულის მფლობელები ყველა საშუალებით ცდილობდნენ, რათა გადაექციათ მიწა კერძო საკუთრებად, რომლის გარეშე მათ უკვე არსებობა აღარ შეეძლოთ.

ამ დროისათვის ირანის მდგომარეობა საკმაოდ შერყეული იყო. ფუფუნებით ცხოვრებამ, რომელსაც სასახლის კამარილია ეწეოდა, აგრეთვე ნასრედინ შაჰის (1848—1896) ევროპაში მოგზაურობებმა კიდევ უფრო გაზარდა სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტი. შაჰი სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდა, იგი საკონცესიო გარიგებებს დებდა უცხო სახელმწიფოებთან, იღებდა დიდთანხიან სესხებს (უმთავრესად მეფის რუსეთიდან) და, რაც მთავარია, შეუდგა სახელმწიფო მამულების („ამლაქ-ე ხალესეს") გაყიდვას.

ამან თიულის მფლობელებს შესაძლებლობა მისცა მიწის მესაკუთრენი გამხდარიყვნენ.

მსხვილ ფეოდალთა კერძო საკუთრება ძალზე სწრაფად იზრდებოდა. XIX საუკუნის ბოლოს ირანსა და ირანის ქურთისტანში ჩამოყალიბდა მიწის მფლობელობის შემდეგი ფორმები: მემამულური, სახელმწიფო, სავაკფო, ტომობრივი და გლეხური. გლეხური მიწათმფლობელობა „ხორდე მალექის" სახელით იყო ცნობილი. ხორდე მალექი შეიძლება ყოფილიყო: 1. წვრილი მიწათმფლობელი,

მესაკუთრე გლეხი, 2. გლეხური თემის წევრი, რომელიც თემის მიწების თანამფლობელი იყო.

ქურთისტანში მიწათ მფლობელობის ეს ფორმები ასე ჩამოყალიბდა: მიწა, რომელსაც ადრე შაჰი არიგებდა ანდა გვიან ხანებში სახელმწიფოსაგან შეისყიდეს, ცალკეულმა ოჯახებმა დაისაკუთრეს და მას მემკვიდრეებს შორის ანაწილებდნენ. ამის გამო მიწის ნაკვეთების ფართობი სულ უფრო მცირდებოდა, ხოლო შთამომავალთა რიცხვი კი, პირიქით, იზრდებოდა. ამრიგად, ერთ დროს მდიდარ მიწათმფლობელთა შთამომავლები თანდათანობით მიწის უმნიშვნელო ნაკვეთების მფლობელები გახდნენ.

ზოგიერთ შემთხვევაში ეს მამულები იმ დროს გაჩნდა, როდესაც მომთაბარეები „თავისუფალ" მიწებზე სახლდებოდნენ და იმკვიდრებდნენ მას. შემდეგ ამ ტომების წევრები გამოიყოფდნენ მიწის ცალკეულ ნაკვეთებს და ამრიგად დამოუკიდებელი წვრილი მესაკუთრენი ხდებოდნენ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ქურთისტანის საქმეებში გარეშე ძალები ერევიან. უცხო ქვეყნები, პირველ რიგში მეფის რუსეთი და დიდი ბრიტანეთი, ქურთისტანში ეკონომიურ და პოლიტიკურ შეღწევას იწყებენ. XX საუკუნის დასაწყისში ქურთისტანი თანდათან ხდება მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის შემადგენელი ნაწილი. ირანის (რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ქურთისტანის ერთი მნიშვნელოვანი რაიონი) საგარეო ვაჭრობა სწრაფად ვითარდება. მაგალითად XIX ს. მეორე ნახევარში მისი მოცულობა 10 ჯერ გაიზარდა [107, გვ. 11], ხოლო XX ს. დამდეგს, 1900—1913 წწ., იგი 370 მლნ რიალიდან. 1.100 მლნ. რიალამდე გადიდდა [151, 1927, № 3].

მსოფლიო ბაზრის ორბიტაში მოქცევამ არსებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ სტრუქტურაზე. სულ უფრო ვითარდება საბაზრო ურთიერთობანი, სწრაფი ტემპით იზრდება ქალაქები. გაჩნდა მოთხოვნილება ქურთისტანში წარმოებული ზოგიერთი სახის საქონელზე, განსაკუთრებით კი ხე-ტყისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. მათ შორის ყველაზე მეტად ეტანებოდნენ ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა მატყლი, ტყავი, კვერცხი, ბამბა, ხალიჩები, შავი კაკალი, ხის წებო და სხვ. 1863 წ. ქურთისტანიდან გაიტანეს 455 ათასი მან. ღირებულების მატყლი, 5 მილიონის ტექნიკური კულტურები და ხე-ტყე [52, გვ.251]; დაახლოებით 3 მლნ თხა და ცხვარი გაიგზავნა სტამბოლში, ჰალებში (ალეპოში), ბაღდადსა და თბილისში. XX ს. დასაწყისში ქურთის-

ტანიდან შავი ზღვით წლიურად 20 მლნ კვერცხი გაჰქონდათ [33, № 20].

ქერმანშაჰის, სენესა (სენენდეჯი) და სოუჯ-ბულაღის (მეჰაბადი) რაიონებიდან გატანილი ქურთული საქონლის ღირებულება წელიწადში (მეფის რუსეთის მაშინდელი კურსის მიხედვით) 3 მლნ მანეთს შეადგენდა [86, გვ. 274, 268, 252]. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ქურთისტანის საგარეო ვაჭრობა სწრაფი ტემპით ვითარდებოდა.

XIX ს. მეორე ნახევრიდან საზღვარგარეთული კაპიტალის შეღწევისა და უცხოური ბაზრების გაფართოების შედეგად ადგილობრივი ვაჭრების დანაზოგი სწრაფად იზრდებოდა. მაგრამ ისინი მოკლებული იყვნენ საშუალებას, რათა თავიანთი დანაზოგები ეროვნულ მრეწველობაში დაებანდებინათ. ამის გამო ვაჭრებმა ხელი მიჰყვეს მიწების შესყიდვას დიდი მასშტაბით. ისინი იძენდნენ როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო მფლობელობაში არსებულ მიწებს. მაგრამ ვაჭართა წარმომადგენლების მიწათმფლობელებად გადაქცევის პროცესმა არსებითად ვერ უცვალა სახე ძველ ურთიერთობებს სოფლის მეურნეობაში.

მსოფლიო საბაზრო ურთიერთობაში ქურთისტანის ჩაბმამ ხელი შეუწყო სოციალური დიფერენციაციის პროცესის დაჩქარებას სოფლად: ერთი მხრივ, მოხდა მიწების კონცენტრაცია ერთი მუჭა პრივილეგირებულთა ხელში, ხოლო, მეორე მხრივ, ათასობით გლეხი გაღატაკდა, მათი ნაწილი მწყემსებად და სოფლის მოჯირავნეებად გადაიქცა.

ანალოგიურ სოციალურ-ეკონომიური ხასიათის პროცესებს ადგილი ჰქონდა თურქეთის ქურთისტანში.

XVIII ს. ბოლოსათვის ოსმალეთში სამხედრო სამსახურის გაწევისათვის მამულების ბოძებამ სახე იცვალა და მიწები ფაქტიურად ნახევრადფეოდალის — მემამულის საკუთრებად გადაიქცა

მიწათმფლობელობის სამხედრო-ლენური სისტემისათვის იურიდიული საფუძვლის გამოცვლა და მიწების ახალ მესაკუთრეებზე გადაცემა XIX ს. დასაწყისში დაიწყო.

ქურთმა აღებმა, ბეგებმა, ხანებმა მოიპოვეს მემკვიდრეობითი უფლებები იმ მიწებზე, რომლებიც მათ ბოძებული ჰქონდათ ოსმალეთის სულთნის ხელისუფლების უზენაესობის აღიარებისათვის.

ისინი მიისწრაფოდნენ საკუთარ სამფლობელოთა გაფართოებისაკენ და თავი დამოუკიდებლად ეჭირათ.

ქურთისტანში სულთანის ძალაუფლება წმინდა ნომინალური იყო. იგი მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ქურთ მთავრებს ჯერ კიდევ მიჰქონდათ საჩუქრები სასახლის კარის დიდებულებისათვის და თავიანთი რაზმებით მონაწილეობდნენ სულთნის მიერ მოწყობილ ამა თუ იმ ლაშქრობაში.

XIX ს. დამდეგისათვის ქურთები ძირითადად განთავისუფლდნენ თურქების სულთანისა და ირანის შაჰის ბატონობისაგან. ამ დროისათვის ქურთისტანის მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეული ავტონომით სარგებლობდა. რაც შეეხება ქურთისტანში აკრეფილ უმნიშვნელო ხარკსა და ქურთთა შეიარაღებულ რაზმებს, მათ თურქეთისა და ირანის მთავრობები ძალის გამოყენებით აგროვებდნენ [72, გვ. 3].

ცნობილი რუსი მკვლევარი აკადემიკოსი პ. ლერხი, რომელმაც ორი წიგნი უძღვნა ქურთების ისტორიას, აღნიშნავდა, რომ ქურთებს XIX საუკუნეში თავი დამოუკიდებლად ეჭირათ როგორც თურქეთისაგან, ისე სპარსეთისგანო [82, წიგ. 1, გვ. 24].

მაგრამ კუთხურობა და გვაროვნულ-ტომობრივი შუღლი ქურთების გათიშულობას იწვევდა. შექმნილ მდგომარეობას შაჰისა და სულთნის ხელისუფალნი მოხერხებულად იყენებდნენ თავის სასარგებლოდ ქურთულ ტომებს შორის მტრობის გასაღრმავებლად. მხოლოდ ასეთი გზით შეეძლოთ მათ შეენარჩუნებინათ თავიანთი ნომინალური ძალაუფლება ქურთისტანში.

ბუნებრივია, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც ქურთ ფეოდალთა აბსოლუტური ძალაუფლება არსებობდა, ყოველ ოლქს საკუთარი კანონები და წესები გააჩნდა. მმართველობის ფორმები და საგადასახადო სისტემაც განსხვავებული იყო. იქ, სადაც სულთნის ან შაჰის ხელისუფლებას ჯერ კიდევ ჰქონდა ძალა, იგი გადახლართული იყო ადგილობრივი ბეგების ან ხანების ავტონომიურ მმართველობასთან და ასეთ შემთხვევაში იურიდიული ან სოციალ-ეკონომიური ურთიერთობანი უფრო მრავალმხრივი იყო.

ადგილობრივი ფეოდალები და მოხელეები ცენტრალური მთავრობის კანონებს ცხოვრებაში ატარებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელს უწყობდნენ მათი ძალაუფლების გაფართოება-განმტკიცებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კანონებს ცვლიდნენ საკუთარი იურიდიული ნორმებით. ამასთან დაკავშირებით XIX ს. პირველი ნახევრის რუსი მოგზაური ი. ბერეზინი წერდა, რომ თურქეთის ფეოდალური მფლობელები — „დერებეიები", არავის

წინაშე პასუხს არ აგებდნენ და თავიანთ სამფლობელოებს საკუთარი შეხედულებებისამებრ მართავდნენ [59, გვ. 397].

ოსმალეთის იმპერიაში მსხვილ ფეოდალთა პარტიკულარიზმი სულ უფრო იზრდებოდა. ამას მოწმობს XIX ს. შუა ხანების ევროპელ მოგზაურთა თხზულებებიც. იტალიელი ა. უბიჩინი მარტო დერსიმსა და მის მეზობელ ქურთულ რაიონებში რამდენიმე ათას ისეთ სამფლობელოს ითვლიდა, რომელიც არ ცნობდა სულთანის ხელისუფლებას. იგი წერდა, რომ მრავალ ქურთ ბეგს საკუთარი შეიარაღებული ძალები ჰყავდა და აღარ უხდიდა სულთანს სახელმწიფო გადასახადს [108, გვ. VI].

გასული საუკუნის დასაწყისიდან სულ უფრო შესამჩნევი ხდება ტომის ბელადის მისწრაფება მიწის დასაკუთრებისაკენ. ამასთან, ქურთთა ნახევრად ბინადარი ტომები თანდათან იწყებენ გადასვლას მესაქონლეობიდან მიწათმოქმედებაზე.

მესაქონლე ქურთების ბინადარი ცხოვრებისაკენ ლტოლვა უფრო გაძლიერდა XIX ს. 30-იან წლებში, როდესაც სამხედრო-ლენური მიწათმფლობელობა ოფიციალურად იქნა ლიკვიდირებული თურქეთში. ლენის მფლობელის ნაცვლად ახლა გაჩნდა მიწის კერძო მესაკუთრე — მემამულე, რომელმაც მიწა წაართვა გლეხებს. გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის სისტემა უცვლელი დარჩა. ამ პერიოდში ოსმალეთში ფაქტიურად დააკანონეს მიწათმფლობელობის უკვე ჩამოყალიბებული ფორმები.

ოსმალეთის იმპერიაში, 1858 წ. გამოცემული მიწის კოდექსის თანახმად მიწათმფლობელობის შემდეგი კატეგორიები დამკვიდრდა: კერძომესაკუთრული მიწები (მულქი), სახელმწიფო და სახაზინო მიწები (მირი), რელიგიურ დაწესებულებათა კუთვნილი მიწები (ვაკფი), საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები (მათრუკა), აუთვისებელი და დაუსახლებელი მიწები (მავათ).

XIX ს. 30-იანი წლების რეფორმამდე ოსმალეთის იმპერიაში იურიდიულად არსებობდა კიდევ ორი კატეგორიის მიწა: თიმარი და ზიამეთი, რომლებიც სულთნის მიერ სამხედრო სამსახურისათვის იყო გაცემული, მაგრამ ამ კატეგორიის მიწებმა XIX ს. პირველ ნახევარშივე დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა და კერძო მესაკუთრულ და მემკვიდრეობით მამულებად იქცა.

მუსლიმანური კანონმდებლობის თანახმად, მიწის უმაღლესი მესაკუთრე იყო სულთანი, თურქეთის სახელმწიფო. ამიტომ ფორმალურად თურქეთში მირის ანუ სახელმწიფო მიწების გაყიდვა ან გასაჩუქრება აკრძალული იყო. მაგრამ, ფაქტიურად მირის მიწები,

რომლებიც ხელთ იგდეს სახელმწიფო მოხელეებმა ანდა ქურთთა ტომის ბელადებმა და ფეოდალებმა, კერძო საკუთრებად იყო მიჩნეული. მეტიც, მრავალი ქურთი ფეოდალი ამ მიწებზე ოფიციალურად სარგებლობდა მულქის უფლებით და ამის პასუხად ვალდებული იყო ომის შემთხვევაში შეიარაღებული რაზმით მიხმარებოდა სულთანს.

XIX ს. I ნახევარში გაიზარდა სავაკფო მიწებიც. მუსლიმურმა სამღვდელოებამ მათი იჯარით გაცემის საფუძველზე უზარმაზარი უძრავი ქონება შეიძინა. ამის მეოხებით სასულიერო პირები თანდათან მიწათმფლობელ ექსპლუატატორებადაც იქცნენ. სასულიერო პირების მხრივ ექსპლოატაციის მეთოდები საერო ფეოდალების ჩაგვრის მეთოდებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა, უფრო მეტიც, ისინი კარგად იყენებდნენ გლეხთა უვიცობასა და რელიგიურ ფანატიზმს თავიანთ სასარგებლოდ.

ქურთისტანის მრავალ ოლქში სავაკფო მიწებს, ფეოდალური საკუთრების სხვა სახეებთან შედარებით, დიდი ტერიტორიები ეკავა. მაგრამ სამღვდელოება სავაკფო ქონებით არ კმაყოფილდებოდა და დაიწყო თავისი ძალაუფლების გავრცელება მიწის სხვა ნაკვეთებზეც. ამას მოჰყვა სხვადასხვა გარიგებანი. ასე, მაგალითად, წვრილი მიწათმფლობელები, რომლებსაც საშუალება არა ჰქონდათ თავი დაეცვათ მსხვილ ფეოდალთა ძალადობისაგან, მფარველობას ეძებდნენ სასულიერო წოდებასთან. წინასწარი შეთანხმებით, კერძო პირი საქველმოქმედო მიზნით მიწას აძლევდა მეჩეთს ვაკფად. თავის მხრივ, მუსლიმანური სამღვდელოება კისრულობდა ეს მიწა იჯარით გადაეცა გამჩუქებლისათვის და მისთვისვე მიეცა მიწის ღირებულების 1/10. მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში მიწა გადაეცემოდა მუსლიმანური რელიგიის მსახურთ.

ასეთი შეთანხმება ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო: სამღვდელოება ღებულობდა ახალ შემოსავალს, ხოლო კერძო პირი, თანახმად არსებული კანონისა, თავისუფლდებოდა ყოველგვარი გადასახადისაგან.

როცა ასეთმა გარიგებებმა ფართო ხასიათი მიიღო, სულთან მაჰმუდ II-მ დაიწყო ამ მიწების ჩამორთმევა და მათი მირის კატეგორიაში ჩარიცხვა. მაგრამ მუსლიმანურმა სამღვდელოებამ შეძლო სულთანზე თავისი ზეგავლენის გამოყენება და აიძულა იგი დათმობაზე წასულიყო. მაჰმუდ II-მ შექმნა სპეციალური დაწესებულება—„ევკაფ ვეზირი“ („ვაკფების სამინისტრო“), რომელსაც ევალე-

ბოდა კონტროლის გაწევა სავაკფო მიწებზე. მაგრამ ვერც ამ ღონისძიებამ გამოიღო სასურველი შედეგი.

მაშინ მაჰმუდმა გადაწყვიტა უფრო ფართო მასშტაბის რეფორმების ჩატარება, მაგრამ მათი განხორციელება აღარ დასცალდა, იგი მალე გარდაიცვალა. სულთნის სიკვდილის შემდეგ მისმა შვილმა აბდულ მეჯიდმა 1839 წ. 3 ნოემბერს გამოაქვეყნა ფირმანი, რომელიც ისტორიაში შევიდა „გიულჰანეს ჰათი შერიფის" სახელწოდებით. მასში ნათქვამი იყო, რომ უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიაში კანონთა დარღვევის შედეგად სახელმწიფოს ძლიერება და კეთილდღეობა შესუსტდა [109, გვ. 203]. აღნიშნული რეფორმები მიზნად ისახავდა სახელმწიფოში არსებული რეჟიმის განმტკიცებას, მის ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დაწესებულებათა გარდაქმნას.

„ჰათი შერიფმა" ვერ აღკვეთა ქვეყანაში გამეფებული თვითნებობა. მან ვერ უზრუნველყო ადამიანის სიცოცხლის, ღირსებისა და ქონების შეუვალობა. ამიტომ იყო, რომ 1856 წ. მიღებული „ჰათი ჰუმაიუნის" კანონში კვლავ დადასტურებულ იქნა 1839 წ. დაპირებანი [92, გვ. 34].

მას შემდეგ, რაც XIX ს. შუა წლებიდან თურქეთში იმძლავრა ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტურმა ექსპანსიამ, ორივე სახელმწიფოს აინტერესებდა ოსმალეთის ჩამორჩენილი ეკონომიკის შენარჩუნება. ქვეყანაში არსებული ფეოდალური ურთიერობანი აფერხებდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

ოსმალეთის იმპერიაში ფეოდალური მიწათმფლობელობის საფუძველს წვრილი მიწის ნაკვეთები შეადგენდა. XIX ს. შუაწლებში მიწის შესახებ გამოცემულმა კანონებმა ბიძგი მისცა მიწის საკუთრების გამსხვილებას. მამულების რაოდენობა იზრდებოდა მემკვიდრეობითი ლენების გაფართოების ხარჯზე, სახელმწიფო მიწების ყიდვის გზით, არამუსლიმანი ხალხების შევიწროებისა და გადასახადების შედეგად, ბოლოს, წვრილი მიწათმფლობელობის ძალით ხელში ჩაგდების საშუალებით.

მამულების გამსხვილების ტენდენციამ არსებული მდგომარეობა მაინც არ შეცვალა, ვინაიდან მსხვილი მიწის ნაკვეთები ხელახლა იყოფოდა უფრო წვრილებად და მათ ამუშავებდნენ დრომოჭმული ფეოდალური წესებით.

მიწის დამუშავების დროს დაქირავებულ შრომას იშვიათად იყენებდნენ, მიწათმფლობელები ამუშავებდნენ უმიწაწყლო ან

მცირემიწიან გლეხებს თავიანთი ინვენტარით, ნახევრად ფეოდალური კაბალური იჯარის პირობებით.

XIX ს. პირველ ნახევარში ოსმალეთის იმპერიის გლეხთა ძირითადი მასა უმიწაწყლო იყო, ამიტომაც საწილადო იჯარა ყველაზე გავრცელებული და ხელსაყრელი ფორმა იყო გლეხთა ფართო მასების ექსპლოატაციისათვის. საერთოდ გლეხებისათვის მიწათსარგებლობის ძირითად ფორმას იჯარა წარმოადგენდა.

იურიდიული ურთიერთობა მიწათმფლობელსა და მოიჯარეს შორის განისაზღვრებოდა იმ წილის მიხედვით, რომელიც შეჰქონდა თითოეულს მიწის დამუშავებაში. ამით განისაზღვრებოდა პროდუქტის ნაწილიც თითოეულისათვის.

მიწათმფლობელობის ამ წესს ვ. ი. ლენინი „ძველ ჩინურს“, ანდა „თურქულს“ უწოდებდა, რომლის დროსაც მემამულე აიძულებდა გლეხს როგორც ეს იყო ასი და სამასი და ხუთასი წლის წინ. გლეხური ცხენით, გლეხური იარაღით დაემუშავებინა მემამულის მიწა [3, გვ. 220]. მიწის იჯარით დამუშავების ფორმები თურქეთში სხვადასხვაგვარი იყო. ამიტომ მხარეთა მიერ მიღებული პროდუქტების ოდენობა ყოველი კონკრეტული რაიონისათვის ცალკე უნდა განვიხილოთ.

იჯარის სახეებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებული იყო მოსავლის განაწილების ხუთელემენტიანი ფორმა. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვის ეკუთვნოდა მიწა, წყალი, თესლი, სამუშაო ძალა და მუშა საქონელი.

მიწის საწილადო იჯარით დამუშავების ფორმას თურქეთში იყენებდნენ როგორც ფეოდალის, ისე ვაკფისა და სახელმწიფო მიწებზეც.

იჯარის დროს მიწის მსხვილი ნაკვეთები დამუშავების გაიოლების მიზნით იყოფოდა უფრო წვრილ ნაკვეთებად. სახელმწიფო ან მიწათმფლობელი თავის მამულს აძლევდა შუამავალს, ქვემოიჯარეს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მიწას ყოფდა პატარა ნაკვეთებად და იჯარით აძლევდა გლეხებს. ი. ბერეზინის მოწმობით, ხშირად სანჯაყის ან ეიალეთის მმართველი თვითონ გამოდიოდა შუამავალ-შემსყიდველის (მულთაზიმის) როლში [59, გვ. 408].

გლეხთა მდგომარეობა მით უფრო მძიმდებოდა, რაც უფრო იზრდებოდა მულთაზიმების წრე. შუამავალ შემსყიდველების რიცხვის ზრდა შესაბამისად იწვევდა აღებულ მოსავალში გლეხთა წილის შემცირებას. მულთაზიმების გაუმაძღრობის წყალობით, ოსმალეთის

მთავრობა თავის შემოსავლის დიდ ნაწილს კარგავდა [59, გვ. 408]. შუამავლები გადასახადების აკრეფის უფლებასაც იძენდნენ.

XIX ს. პირველ ნახევარში გადასახადების აკრეფის უფლების შესყიდვა იმდენად შემოსავლიანი გახდა, ისე ბევრს სურდა მოეპოვებინა იგი, რომ ხშირად საქმე აშკარა კონკურენციამდეც მიდიოდა. სახელმწიფო მიწები იჯარით გაიცემოდა სპეციალური აგენტების მიერ. ისინი ხელისუფლების განსაზღვრული ნდობით სარგებლობდნენ და ამ ნდობას ბოროტად იყენებდნენ.

იჯარის სიმძიმე და შრომის დაბალი ნაყოფიერება ერთნაირი იყო როგორც კერძო მფლობელობის, ისე სახელმწიფო და სავაკფო მიწებზე.

საწილადო ფეოდალური იჯარის საფუძველზე აღებული ერთ ფედან (0,42 ჰა) მიწის ნაკვეთზე მოსავლის განაწილება (ჰანეკინის რაიონში) კარგად აქვს აღწერილი თურქ მოხელეს ხურშიდ ეფენდის. იგი წერს: „როდესაც მოსავალი აღებულია და მისგან გადანახულია თესლი მომავალი წლისათვის, მოსავალი შემდეგნაირად იყოფა: დალაქებს, დურგლებს, მინდვრებზე (კარიხ) წყლის მზიდავებს, კაშხალის მშენებლებს (საკკაზ), წყლის არხების მეთვალყურეებს (შახხ) ეძლეოდათ ორ-ორი ბათმანი (18 გირვანქა) ქერი და თითო ბათმანი ხორბალი, შემდეგ მიწის პატრონისათვის გადადებდნენ ხორბლის 1/25 და ქერის 1/30 ნაწილს და სხვა მარცვლეულს. დანარჩენს კი 5 ნაწილად ყოფდნენ. მათგან 3/5 ეკუთვნოდა მიწათმფლობელს, ან ხაზინას, ან მეჩეთს, ანდა იმ დაწესებულებას, რომლის სახელითაც მიწა გაიცემოდა დასამუშავებლად. დარჩენილი ორი ნაწილი ფელაჰს მიჰქონდა“ [22, გვ. 125].

თუ მიწის ნაკვეთის ფართობი 1 ფედანიდან 5 ფედანამდე აღწევდა, მოსავლის განაწილების ფორმა სხვაგვარი იყო. ასეთ შემთხვევაში (სულერთი იყო ვის ეკუთვნოდა მიწა—სახელმწიფოს, ვაკფს, თუ სხვა ვინმეს) გლეხი პოულობდა კომპანიონს (ორთაქჩის), რომლისაგანაც სესხულობდა ფულს და თესლს თითოეულ ფედანზე ნახევარი თაღარი ქერის (370 კგ) რაოდენობით (დაახლოებით 250 პიასტრის ღირებულებისა). მოსავლის აღებისას შუამავალი (სერქარი), გამოყოფდა მისგან ნასესხებ მარცვლეულს, ხოლო შემდეგ ზემოჩამოთვლილ პირებს აძლევდა კუთვნილ წილს. ამის შემდეგ ის ღებულობდა მოსავლის 1/5-ს და დანარჩენ მარცვლეულს 5 წილად ყოფდა, რომლის 2 ნაწილი ფელაჰს ეძლეოდა, ხოლო სამი ნაწილი მიწათმფლობელს რჩებოდა [22, გვ. 126].

ქურთებით დასახლებულ იმ რაიონებში, სადაც ნიადაგის დამუშავება სარწყავ სისტემას მოითხოვდა, წყალს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მრავალი ქურთული ტომი იძულებული ხდებოდა შეესყიდა წყლით სარგებლობის უფლება. ხურშიდ ეფენდის მოჰყავს ერთი მაგალითი, როდესაც მენდელიში (სამხრეთ ქურთისტანი) მცხოვრები ქელხორის ტომის ქურთები. სომაის ველის დამუშავებისას მდ. ავანჩაის წყლებით სარგებლობისათვის 15 ათას პიასტრს იხდიდნენ [22, გვ. 108].

XIX ს. პირველ ნახევარში ჩრდილოეთ ქურთისტანის ანუ თურქეთის ქურთისტანის საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობაში უკვე ნათლად შეიმჩნეოდა ნახევრად მომთაბარეობიდან ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა, რასაც თან სდევდა ტომობრივი ორგანიზაციის თანდათანობით რღვევა. ამის გამო ქურთისტანში არსებულ ფეოდალურ ჩაგვრას თავისი განმასხვავებელი ნიშნებიც ჰქონდა. ეს ნიშნები დამახასიათებელი იყო მხოლოდ ქურთებისათვის, როგორც ისეთი ხალხისათვის, რომელიც ერთმანეთს უთავსებდა ბინადარ და მომთაბარე, ტომობრივ და არა ტომობრივ ცხოვრების წესს.

თურქეთში მცხოვრები ქურთების გადასვლა ბინადარ ცხოვრებაზე მეტად რთულ და თავისებურ პირობებში მიმდინარეობდა.

იმ ქურთ ტომებში, რომლებიც ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ერთმანეთთან იყო შეხამებული. ამ მხრივ ნიშანდობლივია ჯაფის ტომობრივი გაერთიანების ნახევრად მომთაბარული ცხოვრება. თავის დროზე კონფედერაცია ფლობდა საზამთრო ადგილებს (ყიშლაღებს) სულეიმანიეს ყაზაში და საზაფხულო საძოვრებს (იალაღს) სენეს მიდამოებში (ირანი). ამ ორ მხარეს შორის მდებარე შაჰრიზურის ველზე მათ კიდევ ეკუთვნოდათ მიწის ფართობი, რომელსაც იყენებდნენ ყიშლაღებიდან იალაღებზე გადასასვლელად. ასე მაგალითად, ყოველი ახალი წლის (ნოვრუზი) დასაწყისში (მარტის თვე) ისინი თითქმის ერთ თვემდე ჩერდებოდნენ შაჰრიზურის ველზე მიწის დამუშავების მიზნით, შემდეგ კი განაგრძობდნენ გზას და ბრუნდებოდნენ მხოლოდ გვიან შემოდგომაზე, მოსავლის ასაღებად.

თუ ხორბალი საკმარისი რაოდენობით არ მოვიდოდა, მას ყიდულობდნენ ახლომახლო სოფლებში, უკვე XIX ს. 40—50-იან წლებში შეიმჩნეოდა ჯაფების გადასვლა ბინადარ, სამიწათმოქმედო მეურნეობაზე.

ასეთ ვითარებაში ქურთების ლტოლვა ბინადარი ცხოვრებისა-

კენ სულ უფრო იზრდებოდა. თავდაპირველად მიწათმოქმედება მე-საქონლეობის მოთხოვნებს ექვემდებარებოდა.

ზოგიერთ ტომს (ჯაფი, გიავერ), რომლებიც გარკვეულ პოლი-ტიკურ ძალას წარმოადგენდნენ, ირანის მთავრობა ათავისუფლებდა საძოვრებზე დაწესებულ გადასახადების გადახდისაგან. ასევე იქცე-ოდა თურქეთის მთავრობაც. მაგრამ ქურთი ტომების უმეტესობა კვლავ იხდიდა გადასახადებს და ასრულებდა ფეოდალურ ვალდე-ბულებებს როგორც ოსმალეთში, ისე ირანში.

შედარებით მცირერიცხოვანი ტომები, როგორიც იყვნენ მაგა-ლითად შევიზურე, პირესენი, რევანდუზი, სიურჩი. ჰერკი და სხვა, რომელთაც დიდი პოლიტიკური გავლენა არ ჰქონდათ, საზაფხულო საძოვრებით სარგებლობისათვის გადასახადებს ირანის ხელისუფ-ლების წარმომადგენლებს უხდიდნენ, ხოლო თურქეთის ადმინისტ-რაციას მეათედს და სხვა დადგენილ გადასახადებს აძლევდნენ. ზოგიერთი ტომი ამ პირობას თანხმდებოდა მხოლოდ გარკვეული ზემოქმედების შემდეგ. ასე, მაგალითად, ბილბასები, რომელთა კარ-ვების რაოდენობა XIX ს. შუაწლებში 4 ათასს [20000 სული] აღ-წევდა, ე. ჩირიკოვის სიტყვით, მხოლოდ მაშინ იხდიდნენ გადასახა-დებს, როცა მათ წინააღმდეგ ირანელები, ან თურქები ძალას იყე-ნებდნენ [112 ა, გვ. 457].

ქურთების ზოგიერთი ტომი, საზამთრო და საზაფხულო სად-გომებში რჩებოდა და მესაქონლეობასთან ერთად სამიწათმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. თავდაპირველად ხელისუფლება მათ ხელს არ უშლიდა ახალი მიწების ათვისება-დამუშავებაში. თუ ქურთ ტომებს ყიშლაღებში სხვისი მიწები ეკავათ, ისინი მეათედს ანუ უშრს ხელისუფლებას უხდიდნენ და სხვა ვალდებულებასაც ასრუ-ლებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავისუფალ მიწებს ამუშავებ-დნენ, მაშინ ასეთი გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან თავი-სუფალი იყვნენ. მაგრამ თავისუფალი მიწები ქურთებს, როგორც წესი, იშვიათად ერგებოდათ ხოლმე. ამ ხანებში, — როგორც საბ-ჭოთა ქურთოლოგი ჯალილი წერს, — ქურთების მეურნეობა თანდა-თან კარგავდა გაორებულ ხასიათს: მიწათმოქმედებამ საბოლოოდ გააძევა მესაქონელობა, გადააქცია რა ქურთები ბინადარ მიწათმოქ-მედებად, უმიწო გლეხებად [72, გვ 43]. ეს მოსაზრება მთლად სწორი არაა. XIX ს. პირველ ნახევარში ბინადარი ქურთების რიცხ-ვი ჯერ კიდევ მცირე იყო, ხოლო მესაქონლეობას კვლავ გარკ-ვეული ადგილი ეკავა ქურთების მეურნეობაში.

სახნავი მიწების შეძენის შემდეგ მუშახელი უფრო მეტად

გახდა საჭირო სოფლებში, ამიტომ ქურთებს საშუალება აღარ ჰქონდათ საქონელი იალაღებზე გაერეკათ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალი დონე აიძულებდა მათ ერთობლივად დაექირავებინათ მწყემსი, რომელიც მთელ ზაფხულს მოუვლიდა მათ საქონელს.

მომთაბარე ქურთების მიწათმოქმედებაზე გადასვლის შედეგად წარმოიშვა კოლექტიური მეჯოგეობის — „ობას"-ს ინსტიტუტი[6]. ზოგიერთს, მაგალითად, ა. შამილოვს, შეცდომით ჰგონია რომ ობა-ს ინსტიტუტის წარმოშობა დაკავშირებული იყო კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრასთან [113, გვ. 26]. ობა გაჩნდა ქურთთა საზოგადოებაში კაპიტალისტური ურთიერთობის შეღწევამდე და იგი ყველაზე უკეთ შეეგუა ახალ ვითარებას. ასე, მაგალითად, ობა-ს ინსტიტუტში ნატურალური მეურნეობა თანდათან ღებულობს სასაქონლო ხასიათს, რომელიც, პირველ რიგში, ფულად რენტაში გამოიხატება: სასაქონლო ფულადი ურთიერთობის წარმოქმნა თავის მხრივ აჩქარებდა ნატურალური მეურნეობის რღვევას. ტომობრივი არისტოკრატია, რომელიც უკვე მიწათმფლობელის როლში გამოდიოდა, დაინტერესებული იყო მისი წილი პროდუქტები ბაზარზე გაესაღებინა. საქარავნო გზებთან ახლოს მდებარე ცალკეულ რაიონებში წარმოებული პროდუქტი საქონლის სახეს იღებდა და შედარებით ფართოდ საღდებოდა.

ერთი თანამედროვის მოწმობით, XIX ს. I ნახევარში ქურთისტანში ფული ჯერ კიდევ არ იყო ფართო მიმოქცევაში და არც ვაჭრები იყვნენ დიდი რაოდენობით. ამა თუ იმ საფაშოს ხელოსნური ნაწარმი (ქეჩა, მაუდი, ყველი, თამბაქო, თიხის ჭურჭელი) მხოლოდ საშინაო ბაზარზე გაჰქონდათ [83, გვ. 409].

30—40-იან წლებში თურქეთი, სადაც ამ დროისათვის უპირატესად ნატურალური მეურნეობა იყო გაბატონებული, დასავლეთის ჯერ სავაჭრო, ხოლო შემდეგ საფინანსო-სამრეწველო კაპიტალის ორბიტაში ექცევა [19, გვ. 5]. თურქეთის საშინაო ბაზარი თანდათან ხდება ინგლისის სამრეწველო საქონლის გასაღების ასპარეზი.

ინგლისური საქონელი აღმოსავლეთ თურქეთში შემოჰქონდათ ტრაპიზონისა და ალეპოს ნავსადგურებიდან. ტრაპიზონის მეშვეობით ინგლისს დამყარებული ჰქონდა კავშირი ინდოეთთან. ფ. ენგელსი წერდა, რომ კონსტანტინოპოლი და განსაკუთრებით, ტრაპიზონი წარმოადგენდნენ თურქეთის აზიურ ნაწილში საქარავნო ვაჭ-

---

6 „ობა"-ს ინსტიტუტის არსებობას ადასტურებს ფრანგი მოგზაური გასპარ დრიუვილი [74].

რობის მთავარ ცენტრებს შიდა აზიასთან, ტიგროსისა და ევფრატის ველებთან, სპარსეთთან და თურქესტანთან [2, გვ. 12]. ამის გამო ინგლისსა და რუსეთს შორის სულ უფრო მწვავდებოდა მეტოქეობა, საიდანაც საბოლოოდ ინგლისი გამოვიდა გამარჯვებული.

ინგლისის სავაჭრო საქონელი მოზღვავდა ოსმალეთის იმპერიის საშინაო ბაზარზე, აღმოსავლეთ თურქეთის მრავალი ქალაქი, რომელიც საქარავნო გზებზე მდებარეობდა, სატრანსპორტო ვაჭრობის გაცხოველებულ ცენტრებად გადაიქცა.

ბუნებრივია, ადგილობრივი ხელოსნური წარმოება ვერ უძლებდა ევროპული სამრეწველო საქონლის კონკურენციას და თანდათან ისპობოდა.

საბოლოო ჯამში ყოველივე ამან თურქეთის ეკონომიკა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყანა და იგი დასავლეთის სახელმწიფოებისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნად გადააქცია, მათი აგრარული დანამატი გახადა:

XIX ს. ბოლოს ფრანგი მოგზაური ვ. ენგელჰარდტი, იხილავდა რა თანზიმათის რეფორმებს და მის შედეგებს, წერდა: თურქეთი დარჩა საკუთარი მრეწველობის გარეშე და იძულებული შეიქნა შემოეზიდა დასავლეთის საქონელი. იმისათვის რომ შეეძინა ეს საქონელი, იგი ყიდდა თავის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს. ამ პროდუქტში დასავლეთის ქვეყნები თურქეთს უხდიდნენ თავიანთ ვალუტას, იმ ხანად ამ ვალუტის ავტორიტეტი მეტად შერყეული იყო, იგი ყოველდღიურად კარგავდა თავის ღირებულებას. ბუნებრივია, — განაგრძობს ენგელჰარდტი, — თურქეთის შემოსავალი ამის გამო მეტად მცირდებოდა [121, გვ. 54].

თურქეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას მწვავედ განიცდიდა ოსმალეთის იმპერიის განაპირა მხარეების, განსაკუთრებით კი ქურთისტანის მოსახლეობა. გადმოცემით, თურქეთის ქურთისტანში ყველაზე მეტად დაზარალდნენ ქურთი ხალიჩების მქსოველები, რომელთა ნახელავი ადრინდელივით მაღალ ფასებში აღარ იყიდებოდა.

ევროპელებს ძალზე დიდი რაოდენობით გაჰქონდათ მატყლი, რაც გარკვეულად ამუხრუჭებდა ადგილობრივი საფეიქრო მრეწველობის განვითარებას, მატყლის შემსყიდველებს თავიანთი აგენტები ჰყავდათ ქურთებით დასახლებულ ადგილებში. ასე მაგალითად, ქ. ალეპოში მატყლის მსხვილი მიმწოდებელი იყო „შტრეიფ კომპანი“-ს ფირმის ფილიალი, რომელსაც თავისი წარმომადგენლები ჰყავდა ბევრ ქურთულ ქალაქში.

ჩრდილოეთი ქურთისტანის წიაღში ბევრი სიმდიდრე იყო, რომლის გამოყენება დიდად შეუწყობდა ხელს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, მაგრამ სულთნის ადმინისტრაცია თითქმის სრულიად არ აქცევდა ამას არავითარ ყურადღებას. ამიტომაც ქურთისტანი ოსმალთა ბატონობის ხანაში წარმოადგენდა ჩამორჩენილ კუთხეს, სადაც წარმოების პრიმიტიული წესები არსებობდა.

თურქეთის ქურთისტანში არსებული ბუნებრივი სიმდიდრეებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ნავთობი, რომელიც ჰანეკინ-მენდელის რაიონში მოიპოვებოდა. ნავთობი აქ ზედაპირზე ამოდიოდა და პატარ-პატარა ნაკადულებად მდინარეებში ჩადიოდა. მენდელის მახლობლად ერთ-ერთ მდინარეს ქურთები „ნევთ-ჩაი"-ს (ნავთის მდინარეს) უწოდებდნენ. ნავთობს იყენებდნენ ბინების გასანათებლად. იმ მიწებს, რომლებიც ნავთობით იყო მდიდარი, იჯარით აძლევდნენ [112, გვ. 109].

ბაიაზეთის საფაშოში ალა-დაღის ხეობაში მარილის საბადოები არსებობდა. მაგრამ, როგორც რუსი ოფიცერი მ. ლიხუტინი შენიშნავს, ამ მარილის მოპოვება ისეთი პრიმიტიული წესით წარმოებდა, რომ მან ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა ბაიაზეთის ოლქის ეკონომიურ განვითარებაზე [83, გვ. 403].

ოსმალეთის იმპერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებიდან (ახლანდელი თურქეთისა და ერაყის ქურთისტანი) ევროპულ ქვეყნებს გაჰქონდათ ნედლეული, ძირითადად კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხე-ტყე და ა. შ. თანამედროვეთა მოწმობით, ქურთისტანიდან ოსმალეთის სხვა პროვინციებში გაცილებით მეტი საქონელი გადიოდა, ვიდრე შემოდიოდა. რაც შეეხება ოსმალეთის იმპერიის მეურნეობას, იქ არსებულ აგრარულ ურთიერთობაში XX ს. დამდეგს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ქურთი ფეოდალი, ხშირად მეომარი ტომის (აშირეთის) მეთაური, რაიათს (გლეხობას) უყურებდა ისე, როგორც ომში გამარჯვებული თავის დამარცხებულ მოხარკეებს.

როგორც ცნობილია, ევროპის ქვეყნებში სასულიერო ხელისუფლების ატრიბუტები გამოყოფილი იყო ფეოდალურისაგან. იგი თავმოყრილი იყო კათოლიკური ეკლესიისა და მისი მეთაურის — რომის პაპის — ხელში, რომლის წინააღმდეგ ფეოდალები აწარმოებდნენ გამუდმებულ ბრძოლას. ქურთ ფეოდალში ერთდროულად

---

7 თურქეთის ქურთისტანი 1918 წლამდე მოიცავდა ერაყის ქურთისტანის ტერიტორიასაც.

შერწყმული იყო ფეოდალური, პატრიარქალური, სამხედრო ბიუროკრატიული და სასულიერო ხელისუფლების ატრიბუტები.

ქურთი ფეოდალები, მიზნად ისახავდნენ რა თურქეთის ხალიფას პოლიტიკური და სასულიერო ძალაუფლებისაგან განთავისუფლებას, სხვადასხვა სექტისა და დერვიშული ორდენების სათავეში დგებოდნენ. ისინი ცდილობდნენ, რომ ძალაუფლების ყველა წყაროს კონცენტრირება მოეხდინათ საკუთარ ხელში.

ქურთი ფეოდალი, რომელიც ხშირად ერთდროულად შეიხიც იყო, მის მიერ ჩაგრული რაიათის წინაშე გამოდიოდა როგორც მსხვილი მიწათმფლობელი — დერებეი, როგორც უმაღლესი ქურუმი — რომელიმე დერვიშული ორდენის მეთაური — მიურიდთა სექტის მბრძანებელი, როგორც მოხელე, რომელიც ცენტრალური მთავრობის მიერ აღჭურვილი იყო მოსამართლის, დამსჯელის, გადასახადების ამკრეფის რწმუნებით და ა. შ.

ძალაუფლების ეს მრავალრიცხოვანი ატრიბუტი საშუალებას აძლევდა ქურთ ფეოდალს ჰქონოდა დიდი გავლენა რაიათს შორის და მაქსიმალური ექსპლოატაცია გაეწია მისთვის.

ამრიგად, ქურთი ფეოდალი, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ერთ-ერთი საბჭოთა სპეციალისტი, თავის რაიათის წინაშე გამოდიოდა, როგორც ინტეგრალური მჩაგვრელი [62, გვ. 116].

ყოველ ქურთ ფეოდალს ჰყავდა თავისი შეიარაღებული რაზმი, რომელსაც იყენებდა მეზობელი ფეოდალების სამფლობელოებზე თავდასასხმელად ანდა საკუთარ გლეხთა გამოსვლების ჩასახშობად. ფეოდალი ხშირად მეტოქეების წინააღმდეგ, მცველი რაზმის გარდა სპეციალურად შეიარაღებულ რაიათსაც იყენებდა.

საბატონო ბეგარის სახეს ქურთისტანში „ანგარიე“-ს, ე. ი. „დახმარება“-ს უწოდებდნენ. ანგარიეს დროს გლეხები პირადად ასრულებდნენ ფეოდალის სასარგებლოდ სხვადასხვა სამუშაოს.

ტომის ბელადის კუთვნილი მიწითა და წარმოების სხვა საშუალებებით სარგებლობისათვის გლეხები მათ უხდიდნენ მოსავლის ნაწილს, ანდა ვალს ისტუმრებდნენ შრომამიგებით.

ვანის ვილაიეთში დასახლებული ქურთი მოსახლეობა ძალზე ღატაკი იყო. იქაური ქურთები მთლიანად დამოკიდებული იყვნენ თავიანთ ბეგებზე. ბეგს შეეძლო გამოეყენებინა ნებისმიერი ქურთი, როგორც პირადი მსახური. ტომის მთელი ქონება ბეგს ეკუთვნოდა. „ანგარიე“-ს სისტემის მიხედვით, ქურთი გლეხი ვალდებული იყო უსასყიდლოდ დაემუშავებინა თავისი ფეოდალის მიწები და შეესრულებინა მინდვრისა თუ საშინაო სამუშაოები.

ყოველი მუსლიმანის თეორიულად პირადი თავისუფლების მიუხედავად, არსებული სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის ძალით გლეხობა თავისებურ ბატონყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ის ფაქტი, რომ სიტყვა „ქურმანჯ"-ი რიგ რაიონებში ბინადარი მიწათმოქმედის სინონიმია, იმ ჰიპოთეზის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ქურმანჯი და გურანი წარმოადგენდნენ ქურთების ნამდვილი წინაპრების შემორჩენილ ნაწილს, რომელიც თავის დროზე მოსულმა დამპყრობლებმა დაიმონეს და დააყმევეს. შემდგომში ისინი ასიმილირებულ იქნენ დამარცხებულებთან. დამახასიათებელია ისიც, რომ ირანელი გურანები აღიარებენ თავისებურ სარწმუნოებას — ალი-ილაჰობას, რომელსაც ბევრი აქვს საერთო ირანის უძველეს მიწათმოქმედთა რელიგიასთან — ზოროასტრიზმთან; გარდა ამისა, ისინი ლაპარაკობენ ისეთ დიალექტზე, რომელიც არსებითად განსხვავდება სხვა ქურთული დიალექტებისაგან.

ამრიგად, აქ ფეოდალური ექსპლოატაცია ეროვნულ ჩაგვრასთან იყო გადაჯაჭვული.

1911 წ., როდესაც თურქებმა დაიპყრეს ირანის ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორია ურმიის ტბამდე, ხოლო სამხრეთით — სოუჯბულაღამდე და საყეზამდე, თურქეთის მთავრობამ აქ გააუქმა საბატონო ბეგარა და მის ნაცვლად შემოიღო მოიჯარეობა, რომელიც, საბატონო ბეგარასთან შედარებით, უფრო მსუბუქი იყო.

„სულდუზის სამოქალაქო მმართველობის წესები"[8]-დან, რომელიც თურქებმა ახლად დაპყრობილ ტერიტორიაზე შემოიღეს, კარგად ჩანს ქურთ გლეხთა მდგომარეობა და ახალგაზრდა თურქთა მთავრობის აგრარული პოლიტიკის არსი.

ამ წესების თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა სარწყავი მიწებიდან აეღო მოსავლის 2/10, ხოლო ურწყავი მიწებიდან—1/10, თუ მიწის მესაკუთრე გლეხს ამარაგებდა თესლით, მაშინ იგი მოსავლის 50%-ს ღებულობდა.

მესაკუთრეებს ეკრძალებოდათ გლეხებისაგან მოეთხოვათ „ანგარიე", ე. ი. პირადი მომსახურება და დახმარება [19, გვ. 117].

ქურთ გლეხებს ევალებოდათ გადაეხადათ შემდეგი გადასახადები: 1. სექუთი (მოსავლის მესამედი); 2. სერ ჯუფი ან ჯოფთი (ულელი ხარი) ანდა ულელი ხარის ნახნავიდან 1 თუმანი, ერთი ბათმანი (2,8 კგ) კარაქი, 3 საპალნე (48 კგ) ნახშირი, 1 საპალნე შეშა.

---

[8] ეს წესები გამოაქვეყნა 1911 წლის 19 მარტს, თურქეთის სასაზღვრო კომისარმა — სეიდ აჰმედ რეფიკმა.

1 საპალნე თოვლი ან ყინული, 1 საპალნე თივა ან ახალი ბალახი, 2 საპალნე ჩალა; 3 დანანე — 5 ბათმანი ხორბალი მუბაშირის (მემამულის მოურავის) შესანახად: 4. ზაბეთანე — 5 ბათმანი ხორბალი მემამულის მოურავისათვის, როგორც გასამრჯელო (მოსავლის აღების დროს დასწრებისათვის); 5. მელუჩექანე — 2 ბათმანი ხორბალი ბელურების მიერ ბატონის მოსავლისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად; 6 ბეზოგალე-დოგე ერთი ციკანი ნამატიდან; 7. ქურქანე — ერთი თხის ბეწვი. 8. პეშმანე — გაპარსული ცხვრის მატყლის 1/10; 9. ერთი ცხვარი გაზაფხულზე; 10. ბიგარ— სამშენებლო სამუშაოები (სახლის მშენებლობა, არხის გაყვანა, ოხრილის გაჭრა და ა. შ.); 11. შიქარ—ბატონის (აღას) მიერ მოწყობილ ნადირობაში მონაწილეობა საკუთარი თოფითა და ვაზნებით, აგრეთვე გამასპინძლება ნადირობის დროს, 12. სურანე — გამასპინძლება აღას ან მისი შვილების[9] დაქორწინების დროს. 13. მალიათი — მთავრობის მიერ ჯერ კიდევ XIX ს. მიწაზე, დაწესებული გადასახადი, რომელიც მერყეობდა 2-დან 4 თუმნამდე თითოეულ სახლზე.

ჩამოთვლილი გადასახადებისა და ვალდებულებათა სია სრული არ არის, რადგანაც ტომის ბელადს ან სოფლის აღას ხშირად თვითნებურად შემოჰქონდა დამატებითი გადასახადები და შეაწერდა ახალ ვალდებულებებს. ის ქურთები, რომლებიც მებაღეობას მისდევდნენ, ჩამოთვლილ გადასახადებს ხილით იხდიდნენ.

გადასახადების აკრეფა ხდებოდა შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ, რისთვისაც სოფლად სპეციალურად მიდიოდა მუბაშირი. აღნიშნულ გადასახადებს იხდიდნენ ის გლეხები, რომლებიც მიწას დამოუკიდებლად ამუშავებდნენ, მიწის ნაკვეთის მიღება კი შეეძლო მხოლოდ იმ გლეხს, რომელსაც ჰყავდა უღელი ხარი და რამდენიმე ცხვარი [19, გვ. 117].

თუ რაიათი არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას და დროულად არ შეიტანდა გადასახადს, მაშინ აღა ართმევდა მას ქონების ნაწილს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

გლეხებს უფლება ჰქონდათ მათ მიერ მოწეული მოსავლის ნაწილი (ყურძენი, ხილი და ა. შ.) მიწათმფლობელისათვის კი არ ჩაებარებინათ, არამედ გაეტანათ ბაზარზე გასაყიდად. ასევე ყვე-

---

9 აღას ქალიშვილის გათხოვებისას გლეხი ვალდებული იყო გადაეხადა 5-დან 30 თუმნამდე.

ლასათვის ნებადართული გახდა ტყავით ვაჭრობა, რომელიც ადრე მხოლოდ იჯარით გაიცემოდა.

„წესები" კრძალავდნენ გლეხების ძალით აყრასა და გადასახლებას ქალაქში ან სოფელში. მკაცრად უნდა დასჯილიყვნენ ის დამნაშავენი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ქალიშვილებისა და გათხოვილი ქალების გატაცებაში. თურქულმა ადმინისტრაციამ სესხად გაცემულ თანხაზე ასაღები პროცენტის მაქსიმალური ოდენობა 10%-ით განსაზღვრა. სისხლის აღება უნდა მოსპობილიყო. მკვლელობის, ქურდობისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულისათვის საქმე უნდა გაერჩია საქალაქო სასამართლოებს არსებული კანონების საფუძველზე. ყალიმის ოდენობა გლეხთა ქორწინების დროს, 5-დან 10 თუმნამდე განისაზღვრა.

იმ მიზნით, რომ სამხედრო ოკუპაციისათვის გარეგნულად განმათავისუფლებელი სახე მიეცათ, თურქები ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიეღოთ „დეჰალეთები". დეჰალეთები ნიშნავს განცხადებას — საჩივარს, რომელსაც თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო ცალკეული პირი ან მთელი თემი უდგენდა თურქულ ადმინისტრაციას და სთხოვდა მას მიეცათ მათთვის თურქეთის ქვეშევრდომობა.

როგორც წესი, ასეთი დეჰალეთები წინ უსწრებდნენ თურქთა დაპყრობას და ამრიგად, თურქეთის ჯარები თითქმის ყოველთვის ადგილობრივი მოსახლეობის „მფარველის" როლში გამოდიოდნენ [19, გვ. 117].

თურქების მიერ გატარებული ღონისძიებანი, რა თქმა უნდა, ქურთებზე ზრუნვით არ იყო ნაკარნახევი. თურქებს სჭირდებოდათ ქურთისტანი როგორც ბაზარი, როგორც იაფი ნედლეულის წყარო. იმისათვის, რომ თურქებს შეეღწიათ ქურთისტანში, საჭირო იყო იქ არსებული წყობილების დანგრევა გარკვეულ ზომამდე. რაც შეეხება ადგილობრივი ფეოდალური თვითნებობის შეზღუდვას, ეს თავისთავად ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ქურთი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. მოკლედ, თურქული რეფორმები ფეოდალურ ექსპლუატაციას კი არ სპობდა, არამედ უფრო მოქნილ ფორმას აძლევდა მას.

თ ა ვ ი II

# მიწათმფლობელობის სახეები თანამედროვე ქურთისტანში

## 1. ერაყის ქურთისტანი

ერაყის ქურთისტანში არსებული მიწათმფლობელობის შესწავლისათვის აუცილებელია ვიცოდეთ სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობის საერთო რიცხვი და მისი განლაგება ცალკეული დარგის მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მომთაბარე, ნახევრად მომთაბარე და ბინადარი მოსახლეობის რაოდენობა.

ამ მხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს ინგლისელი სპეციალისტის ე. დაუსონის მიერ შედგენილი შემდეგი ცხრილი [120, გვ. 12].

ც ხ რ ი ლ ი 1

მოსახლეობის რაოდენობა 1930 წ. (ათასობით)

| ლივა (პროვინცია) | მთელი მოსახ. მაცხოვრებლები | მთავარი ქალაქის მოსახლეობა | მომთაბარე ტომი | სოფლის მოსახლეობა | | | მოსახლ. სიმჭიდროვე 1 კვ. მილზე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ბინადარი | ტომები | სულ | |
| მოსული | 320 | 79 | 45 | 176 | 20 | 196 | 22 |
| ერბილი | 106 | — | 3 | 47 | 56 | 103 | 15 |
| სულეიმანიე | 94 | — | 15 | 51 | 28 | 79 | 37 |
| კირკუკი | 160 | — | 19 | 63 | 78 | 141 | 13 |
| დიალა | 240 | — | 1 | 79 | 160 | 239 | 67 |
| ბაღდადი | 388 | 219 | 2 | 93 | 74 | 167 | 98 |
| დულაიმი | 147 | — | 59 | 39 | 49 | 88 | 95 |
| ქერბელა | 90 | — | 2 | 83 | 5 | 88 | 136 |
| ჰილა | 103 | — | — | 30 | 73 | 103 | 21 |
| კუთი | 170 | — | — | 60 | 110 | 170 | 20 |
| დივანია | 238 | — | 58 | 79 | 101 | 180 | 40 |
| მუნთაფიკი | 340 | — | 20 | 25 | 295 | 320 | 72 |
| ამარა | 238 | — | — | 36 | 202 | 238 | 36 |
| ბასარა | 190 | 46 | 10 | 34 | 100 | 134 | 284 |
| ს უ ლ | 2824 | 344 | 231 | 895 | 1351 | 2246 | 36 |

როგორც ვხედავთ, სოფლის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან გამორიცხულია ბაღდადის, მოსულისა და ბასრის მოსახლეობა. სოფლის მოსახლეობის შესახებ მოტანილი მონაცემები მოიცავს ყველას, ვინც ჩაბმულია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ნამდვილ მომთაბარეთა გარდა.

ცხრილის თანახმად, სოფლის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ კმ დამუშავებულ მიწაზე ერაყის ქურთისტანში შეადგენდა 19 კაცს, ხოლო ირიგაციის ზონის ყველაზე უფრო ტიპიურ ლივებში ანუ პროვინციებში — 35 კაცს. ეს არ არის დიდი რიცხვი.

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, ერაყი დიდმა ბრიტანეთმა დაიპყრო და მის ტერიტორიაზე ინგლისელებმა მათზე დამოკიდებული (სამანდატო) სამეფო შექმნეს.

მონარქიული წყობილების დამხობამდე მიწის აგეგმვის სისტემა ერაყში საერთოდ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო, ერაყის ქურთისტანში კი იგი საერთოდ არ არსებობდა.

1930 წლამდე ოსმალეთის მიწის კოდექსი (1858 წ). და თაპუს[1] მიწების რეგისტრაციის შესახებ მიღებული კანონი (1859 წ.) ერაყში მიწათმფლობელობის ძირითადი მარეგულირებელი იყო. ეს ორი კანონი დროდადრო იცვლებოდა, უმჯობესდებოდა, ფართოვდებოდა, მათში შეჰქონდათ სხვადასხვა დამატებანი ოსმალეთის მთავრობის დადგენილებათა და სულთნის ბრძანებულებათა სახით.

ინგლისელთა ბატონობის პერიოდში (1918—1932 წწ.) მიწათმფლობელობისა და მიწითსარგებლობის შესახებ დამატებით კიდევ რამდენიმე კანონი გამოიცა. ოსმალეთის ხსენებულ ორ კანონს მთელ იმპერიაში იცნობდნენ, თუმცა ბევრი რამ მიწათმფლობელობის წესებსა და უფლებებზე ამ კანონებში მკაფიოდ არ იყო ნათქვამი. ამიტომ ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ამ კანონებს საერთოდ უგულებელყოფდნენ.

ერაყში მიწათმფლობელობის სისტემისა და იქ პრაქტიკულად არსებული მდგომარეობის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ქვეყანაში XX ს. პირველ მეოთხედში ფაქტიურად არსებობდა მიწების შემდეგი ოთხი კატეგორია:

1. მულქი, ანუ კერძო მფლობელობაში არსებული მიწა.

---

1 „თაპუ" სიტყვის წარმოშობას თურქულ ლექსიკონები უკავშირებენ ზმნას —„თაყვანსცემს". მისგან გამომდინარეობს ბატონის ვასალური დამოკიდებულების ცნობა, განსაკუთრებით ფეოდალური მფლობელობის მიღებასთან დაკავშირებით. აქედან კი — საბუთი უფლებათა ტიტულის გადაცემის შესახებ.

2. მირი, ანუ მიწა, რომელიც სახელმწიფოს სრულ იურიდიულ მფლობელობაში იყო. მისი გამოყენება შეიძლებოდა უშუალოდ, ანდა არაპირდაპირ, მიწაზე დაწესებული მფლობელობის უფლების სათანადო გათვალისწინებით.

3. თაპუ, ანუ სახელმწიფო მიწა, რომელზედაც მფლობელობის უფლება (თასსარუფ) იურიდიულად გადაეცემოდა რეგისტრირებული მიწათმფლობელობის საფუძველზე.

4. მათრუკა, ანუ სახელმწიფო მიწა, რომელიც სპეციალურად რეგისტრირებული იყო საზოგადოებრივი მიზნებისათვის. ერაყში ცნობდნენ ორი კატეგორიის სახელმწიფო მიწებს — მირისა და თაპუს. რამდენადაც სახელმწიფო იურიდიულად ინარჩუნებდა სრულ საკუთრებას (რაქაბას), ორივე შემთხვევაში, მირის ტერმინით XX ს. 30-იან წლებში აღინიშნებოდა ის სახელმწიფო მიწები, რომელთა მფლობელებს უზუფრუქტული[2] უფლება (თასარუფ) არ ჰქონდა მინიჭებული.

ტერმინ თაპუთი ანუ „არაზი მაფუვიდათი" იწოდებოდა ის სახელმწიფო მიწები, რომელთა მფლობელებს მინიჭებული ჰქონდათ უზუფრუქტის უფლება.

თუმცა მირი და თაპუ არ შეესატყვისება კანონმდებლობაში მიღებულ ტერმინოლოგიას, მაგრამ მრავალი მკვლევარი იყენებს მათ, როგორც უფრო ნათელსა და გასაგებს ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

მიდჰათ ფაშას მიერ 1870 წ. გამოქვეყნებული მიწის კოდექსი, განსაკუთრებით კი თაპუს სისტემის მიწათმფლობელობის დანერგვა, წარმოადგენდა აგრარული რეფორმის ჩატარების სერიოზულ ცდას ერაყში. მაგრამ ეს პროგრესული წამოწყება ბოლომდე ვერ განხორციელდა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, არ ჰქონდათ საჭირო ადმინისტრაციული გამოცდილება და არ ჰყავდათ სათანადო მოხელეთა აპარატი, აკლდათ აგრეთვე კვალიფიციური მოხელეები; მეორეც, რეფორმას ჰქონდა იძულებითი ხასიათი; იგი თავს მოხვეული იყო, პირობები მისი განხორციელებისათვის ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული.

პირველი მსოფლიო ომის წინ ოსმალეთის მთავრობამ აღიარა თავისი უძლურება — გამოეყენებინა თაპუს სისტემის მიწათმფლობელობა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. მან გამოსცა კანონე-

2 უზუფრუქტი იურიდიული ტერმინია, ნიშნავს უფლებას — ისარგებლო. სხვისი ქონებით და ამ ქონებისაგან მიღებული შემოსავლით.

ბი მიწათმფლობელობაზე არსებულ უფლებათა სისტემატური შესწავლისა და ცალკეული ვილაიეთების მიხედვით მისი რეგულირების შესახებ. მთავრობა აპირებდა ახალი კადასტრის შექმნას [120, გვ. 19].

თაპუს მიწებზე საკუთრების უფლებათა გადაცემამ მთელ ერაყში ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნები წარმოშვა; ეს კი საბოლოო ჯამში მუდმივ უკმაყოფილებას ქმნიდა, ზოგჯერ კი მღელვარებასაც იწვევდა. თაპუს (რეგისტრირებული მიწის) მფლობელი (მუთასარიფი), რომელსაც ჰყავდა ოჯახი და ჰქონდა ეკონომიური კავშირი მიწასთან, ყველა ფორმალობას იცავდა. იგი პრეტენზიას აცხადებდა მემამულეობაზე (მალაქი)[3] და მოითხოვდა მემამულის წილს (მალაქია) მოსავალზე.

ერაყის ქურთისტანში მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა. ადგილობრივი აღას მეთაურობით ქურთები მწყემსავდნენ თავიანთ საქონელს სოფლების გარშემო. აქ მიწები უფრო მეტი იყო, ვიდრე მუშახელი. მას ამუშავებდნენ ძველი, მამა-პაპური წესით. საჭირო შემთხვევაში ადგილობრივი მეთაური (აღა) შუამავლობდა მოსახლეობასა და ნებისმიერ გაბატონებულ ადმინისტრაციას შორის. იგი უთანხმდებოდა სოფელს მეათედის (უშრის) თაობაზე და კრეფდა შესაბამის გადასახადებს მიწათმოქმედთა შორის [88, გვ. 124].

აღა წყვეტდა მიწის გამო ატეხილ ყველა სადავო საკითხს, როგორც სოფელში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქურთთა საზოგადოების შემდგომი განვითარება და მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება ხელს უწყობდა სოფლის ბატონის (აღას) გადასვლას ქალაქში საცხოვრებლად. ისინი თანდათან გადაიქცნენ ქალაქში მცხოვრებ მემამულეებად. ამავე დროს, თაპუს მიწათმფლობელობის შემოღებასთან დაკავშირებით, ბევრი სოფელი მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნა ადგილობრივ აღას სამფლობელოდ. ამასთან, სრულიად არ იყო გათვალისწინებული გლეხებისა და მწყემსების ინტერესები. ე. ი. იმათი უფლებები, ვინც მიწას უშუალოდ ფლობდა და ამუშავებდა, ანდა აძოვებდა საქონელს.

ხშირ შემთხვევაში, დავალიანების გამო, მიწა გადაეცემოდათ

---

3 მალაქია, მკაცრად რომ ვთქვათ, უნდა ყოფილიყო შემოფარგლული მულქის საკუთრებით. თაპუს მფლობელი მესაკუთრეს არ წარმოადგენდა. იგი მხოლოდ მეთასარიფი ანდა უზეფრუქტის მფლობელი (თასარუფ) იყო.

გირაოდ ქალაქის ვაჭრებს, ხოლო მიწათმფლობელები კარგავდნენ მასზე უფლებებს.

ოსმალთა ბატონობის ხანაში მიწათმფლობელობის თაპუს სისტემა ეფექტურად ვერ გამოიყენებოდა.

ინგლისელთა ბატონობის დროსაც (1918 — 1932 წწ.) მიწათმფლობელობის თაპუს სისტემა მხოლოდ ნომინალური იყო. მისი მოქმედება დამოკიდებული იყო ეფექტური კადასტრის არსებობაზე, რომელიც განამტკიცებდა უფლებებს განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე. ასეთი კადასტრი კი არასოდეს არ არსებობდა ერაყში.

ერაყში სახელმწიფო მიწები („მირი“) მოიცავდა ქვეყნის დიდ ნაწილს, რომლის ფართობი არ იყო ცნობილი.

ერთ დროს ინგლისელები ურჩევდნენ ერაყის მთავრობას შეენარჩუნებინა მირის კატეგორია, რადგანაც იგი „შეესაბამებოდა არსებულ ტრადიციებსა და მდგომარეობას“. მიწის კადასტრის თანახმად, სახელმწიფო წარმოადგენს ძირითად მესაკუთრეს მულქისა და ნამდვილი ვაკფის მიწების გამოკლებით.

მირის მიწების საერთო მართვა-გამგებლობას ნომინალურად ახორციელებდა ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო სამფლობელოთა განყოფილება (კიზმ ელ-ამლაჰ ალ-ამირი) და ყოფილი ირიგაციისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო სამფლობელოთა დეპარტამენტი, მაგრამ ისინი ვერ უძლეებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას. ამიტომ, ფაქტიურად ბევრი საკითხი წყდებოდა არა ადმინისტრაციის, არამედ ტომების ბელადების, შეიხებისა და აღების მიერ.

მირის მიწების შესახებ გარკვეული რუკებისა და ნათელი ჩანაწერების უქონლობა აძნელებდა სათანადო უწყებათა მიერ ამ კატეგორიის მიწების მართვას.

ჩვეულებრივ, მირის მიწებს განაგებდნენ ადგილობრივი პროვინციული ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც მეტწილ შემთხვევაში მოქმედებდნენ ან საკუთარი შეხედულებებისამებრ, ანდა ზემდგომი პროვინციელი მოხელეების მითითებებით.

ამ ადგილობრივ მმართველობას წარმართავდა სახელმწიფო მიწების დეპარტამენტი, ანდა ის სამინისტრო, რომელსაც იგი ექვემდებარებოდა. ცალკეულ შემთხვევაში ისინი უშუალოდ ერეოდნენ მათ საქმეებში. ასეთი ჩარევა ხდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა, ანდა სხვა რომელიმე სამინისტროს ხაზითაც.

გარკვეულ შემთხვევებში დავა, რომელიც ეხებოდა მირის კატეგორიის მიწებს, წყდებოდა ერაყში მოქმედი „ტომების სამოქა-

ლაქო და სისხლის სამართლის დებულების“ შესაბამისად, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენდნენ დასახლებულ რაიონებში საზოგადოებრივ წესრიგსა და მშვიდობაზე.

მაგრამ ასეთი დაცვა თეორიულად ეხებოდა სახელმწიფო მიწების მმართველობას, რის გამოც ისინი, როგორც წესი, ჩვეულებრივი სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ ექცეოდნენ.

ინგლისელი ეკონომისტი ე. დაუსონი, ერაყში განასხვავებდა ორ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომლებიც ურთიერთშორის თანამშრომლობდნენ: პირველში შედიოდა უფრო მდიდარი, ანდა წვრილი კაპიტალისტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მიწის ათვისებას, აფინანსებდნენ მიწათმოქმედს და ა. შ.; მეორე ჯგუფი აერთიანებდა ნამდვილ მიწათმოქმედებს, რომლებმაც დაიმორჩილეს ბუნება, ააშენეს მთის კალთებზე ტერასები, გაიყვანეს სარწყავი არხები და ა. შ. ამ კატეგორიის მშრომელები ბარშიც ისეთივე შრომისმოყვარეობით მუშაობდნენ მიწის ასათვისებლად, როგორც მთაში, რეგულარულად ამუშავებდნენ მიწას, ტეხდნენ ყამირს.

ცხადია, არ შეიძლება ვილაპარაკოთ თანამშრომლობაზე ამ ორი საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენლებს შორის.

დაუსონი წერდა: „მიწის კოდექსის“ გამოცემით ოსმალეთის კანონმდებლობა მიზნად ისახავდა დაემტკიცებინა მიწა იმ მიწათმოქმედისათვის, რომელიც ფაქტიურად მუშაობდა მასზე. რამდენადაც გლეხი დარჩა იმავე მიწაზე და ჩაატარა კაპიტალისტური ხასიათის გაუმჯობესებანი, მისი პრეტენზიები მიწაზე იზრდებოდა. ამასთან, არ შეიძლება ანგარიში არ გასწეოდა უფრო მდიდარ პიროვნებათა უფლებებსაც; ისინი რაიმე გზით (კაპიტალის მიცემა, მხარდაჭერა ანდა სხვა სახის დახმარება) თანამშრომლობდნენ გლეხებთან და გლეხები მას ცნობდნენ მემამულედ (მალაქა), რომელიც „მალაქიას“ ღებულობდა. ინგლისელი ეკონომისტი ურჩევდა ერაყის მთავრობას, ადგილზე აეწონ-დაეწონა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეესწავლა არსებული შესაბამისი პრეტენზიები [120, გვ. 24]. ე. დაუსონის აზრით, ადგილობრივი პირობები ხშირად წინასწარ განსაზღვრავდა მებატონისა და მიწათმოქმედის ურთიერთობას ამ რაიონებში.

ერაყის საზღვრების გასწვრივ, ირიგაციისა და უდაბნოს ზონებში, მიწა მეტწილად ტომობრივ გაერთიანებათა ხელთ იყო. თავდაპირველად ტომები მისდევდნენ მესაქონლეობას — აქლემების, ცხვრებისა და თხების მოშენებას. ერაყის მომთაბარე ქურთების, ისევე როგორც სხვა ტომების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას

ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მათთვის მიწის დამუშავება უფრო ხელსაყრელი იყო ვიდრე მომთაბარე ცხოვრება.

ე. დაუსონი ასკვნიდა, რომ ოსმალეთის მთავრობას არ ძალუძდა განეხორციელებინა სისტემატური კონტროლი მირის მთელ მიწებზე. ჩვეულებრივ პირობებში მთავრობის ძალაუფლება ძნელად ვრცელდებოდა დიდი ქალაქების ფარგლებს გარეთ. იმ დროს ტომობრივი გაერთიანებანი, ანდა მათი შემადგენელი ნაწილები, მნიშვნელოვანწილად ადგილობრივ სოციალურ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ეს ჯგუფები იკავებდნენ და ამუშავებდნენ ისეთ მიწებს, რომელთა შენარჩუნებაც შეეძლოთ. ტომობრივი ჯგუფების ტერიტორიული სფერო, ბუნებრივია, იცვლებოდა. იგი სახეს იცვლიდა აგრეთვე მოქიშპე, ან მეგობარი ჯგუფების ძალების ცვლილებებისა და მიწაზე მათი მოთხოვნების შესაბამისად. უეჭველია, ცენტრალური მთავრობაც გავლენას ახდენდა ტომების განსახლებაზე [120, გვ. 25].

საერთოდ, საძოვრებზე უფლებების მოპოვება, რომელიც დროის ხანდაზმულობის უფლებას ეყრდნობოდა, უფრო სერიოზული ხასიათისა იყო, ვიდრე უფლებების დაჩემება მიწის დამუშავებაზე.

ეს პრეტენზიები მეტწილად ეხებოდა სასაზღვრო უდაბნოებს, ველებს და იმ რაიონების მიწებსაც, რომელსაც რეგულარულად ამუშავებდნენ.

ხშირად ზოგიერთი ტომი ან ტომობრივი ჯგუფი ტოვებდა ამა თუ იმ ტერიტორიას და გადადიოდა ერთი რაიონიდან მეორეში, როდესაც მიტოვებულ მიწებზე ჩნდებოდა ირიგაციის შესაძლებლობა, რომელიც ადრე არ არსებობდა, ტომი აახლებდა თავის უფლებებს ამ მიწებზე.

ტომობრივი მოსახლეობის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას ხელს უწყობდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება (კომუნიკაციების შექმნა, მართლწესრიგის განმტკიცება, წყლის ტუმბოების გაჩენა), აგრეთვე თანამედროვე ცივილიზაციის შეღწევა (ავტომანქანების გამოყენება, საბინაო პირობების გაუმჯობესება, ქალაქში უფრო ხშირი სიარულის შესაძლებლობა). სოფლად აქლემის და თხის ბეწვის კარავი შეცვალა ლერწმის კარავმა, ხოლო ეს უკანასკნელი თიხის ალაჩოყით ან გამომწვარი აგურით აშენებულმა სახლმა. ამ პროგრესს თან ახლდა ტომობრივი შემჭიდროებისა და ძალაუფლების შესუსტება; მმართველობის პროვინციული ორგანოები სულ უფრო მეტად ახერხებდნენ ძნელად მისადგომ რაიონებში

შეღწევას და მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ამის შედეგად კი სუსტდებოდა ტომობრივი კავშირურთიერთობა.

მიწისა და მისგან მიღებული შემოსავლის თაობაზე პროვინციულ მოხელესა (მუდირი) და წვრილ მიწათმფლობელებს შორის უშუალო ურთიერთობის დამყარება ხელს უწყობდა მირის მიწების კონტროლის გადასვლას ტომებიდან მუდირის ხელში. დაუსონი მოწმე იყო, თუ როგორ უხდიდა ბევრ ლივაში (პროვინცია) წვრილ გლეხთა დიდი რაოდენობა მიწაზე დაწესებულ გადასახადს უშუალოდ პროვინციელ მოხელეს, როგორ ხდებოდნენ ისინი წვრილი მესაკუთრენი, როგორც წვრილი ტომის ან სოფლის ბელადები (სერქალები).

მეორე მსოფლიო ომის წინ ტომების დაშლა ყველგან შესამჩნევი გახდა. ტომის წევრს უჩნდებოდა ინდივიდუალისტური მისწრაფებანი და ცდილობდა გაეჩინა პირადი ცალკე მეურნეობა. ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, ახალი არ იყო. ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიაში, როდესაც მთავრობის ძალაუფლება ძლიერი იყო, ამ ტენდენციას უკვე ჰქონდა ადგილი, მაგრამ მაშინ მას უფრო შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. საერთოდ კი იქ, სადაც პროვინციული ადმინისტრაცია სუსტი იყო, ძლიერდებოდა ტომების გავლენა [120, გვ. 26].

შესაბამის რაიონში ტომის შეიხი მიწებს ურიგებდა ტომის სრულწლოვან მამაკაცებს ტომში დამკვიდრებული წეს-ჩვეულების შესაბამისად. ლიაზმაზე[4] პირადი უფლება არ არსებობდა. მიწის ნაკვეთები, რომლებიც ცალკეულ მეთაურებს ეძლეოდათ, შეიძლებოდა შეიხს უკან დაებრუნებინა და ამას ხშირადაც ჰქონდა ადგილი.

მიწის გამო ატეხილი დავის დროს გადამწყვეტი ფაქტორი მოდავის პირადი ავტორიტეტი იყო.

## 2. ირანის ქურთისტანი

მე-20 ს-მდე ირანის ქურთისტანის ბევრ რაიონის მიწათმოქმედებაში გაბატონებული იყო აშირეთული სისტემა, დაფუძნებული ნატურალურ მეურნეობაზე, რომლის დროსაც შენარჩუნებული იყო პირველყოფილი გვაროვნული წყობილების გადმონაშთები.

---

[4] ტერმინი „ლიაზმა" ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის დროს იხმარებოდა ტომის მიერ დიდი ხნის წინ მიწაზე მოპოვებული ტრადიციულ უფლებათა აღსანიშნავად. ფაქტიურად ლიაზმა უფრო ზუსტად და გასაგებად განსაზღვრავდა მიწის საკუთრებისა და მისი დამუშავების უფლებას („ხაკ ელ-საკნა ვა ზირა").

აშირეთი ქურთული ფეოდალიზმის თავისებური მოვლენაა. XIX ს. ბოლომდე აშირეთი წარმოადგენდა ერთი გვარიდან წარმომდგარ მიწისა და საქონლის მფლობელთა ეკონომიურ, სამხედრო და პოლიტიკურ ჯგუფს. აშირეთი ყველა ბინადარ და ნახევრად ბინადარ ქურთს როდი აერთიანებდა. მასში მხოლოდ მიწისა (საძოვრები) და საქონლის მფლობელები შედიოდნენ. ქურთ გლეხებს, რომლებიც აშირეთის უღელქვეშ იმყოფებოდნენ, ისევე როგორც თურქეთში, ჩრდილო ირანის ქურთისტანშიც „ქურმანჯის" უწოდებდნენ, ხოლო სამხრეთში — „გორანს"..

თავიდანვე მთელ ქურთისტანში არსებობდა მოსახლეობის სამი ძირითადი სოციალური ჯგუფი: „ელი", „აშირეთი" და გლეხობა.

მომთაბარე „ელი" შედგებოდა ერთი და იმავე გვარის ოჯახებისაგან იგი ძირითადად მისდევდა მესაქონლეობას. გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ხელოსნობას[5]. ყველაზე გავლენიანი ოჯახის მეთაური სათავეში ედგა ელს. იგი იყო პირველი თანასწორთა შორის. ყოველ ოჯახს მისთვის უნდა გადაეხადა ნატურალური, ხოლო ზოგჯერ ფულადი გადასახადიც. გარდა ამისა, ელის წევრები ვალდებული იყვნენ მოევლოთ გვარის მეთაურის საქონლისათვის და დღესასწაულების დღეებში მიერთმიათ მისთვის საჩუქრები.

შრომის დანაწილების, საძოვრებსა და საქონელზე კერძო საკუთრების წარმოშობის შედეგად გაჩნდა ქონებრივი უთანასწორობა გვარის წევრებს შორის, დაიწყო გვაროვნული ორგანიზაციის პრინციპების — თავისუფლებისა და თანასწორობის რღვევა, ასევე სულ უფრო სუსტდებოდა სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული კავშირი. თანდათან ხდებოდა უფლებებისა და შრომის ვალდებულებათა თავისებური განაწილება. ელის ერთი ნაწილის, უმცირესობის ხელში გადადიოდა სულ უფრო მნიშვნელოვანი უფლებები, ხოლო ვალდებულებანი ეკისრებოდა მეორე ნაწილს, რომელიც უმრავლესობას შეადგენდა.

ასე მაგალითად, XX ს. დასაწყისისათვის ჯაფის ტომის კონფედერაციის ბელადის — მაჰმუდ ფაშას სიმდიდრე მეტად გაიზარდა და უდრიდა 200 ათას ლირას, ანუ 1 700 000 მან. (მეფის რუსეთის იმდროინდელი კურსით), მაშინ როდესაც ყველაზე უფრო შეძლებული რიგითი ჯაფის სიმდიდრეს შეადგენდა ერთი ფაშატი თა-

---

5 ხელოსნობაში იგულისხმება სადურგლო და სამჭედლო საქმიანობა, აგრეთვე კარვებისა და ჩარიკის (ნედლი ტყავისაგან შეკერილი ფეხსაცმლის) დამზადება.

ვისი კვიცით, 15 ძროხა, 23 ხბო, 3 სახედარი, 100 ცხვარი და 120 თხა.

ელისა და ობას შორის ის განსხვავებაა, რომ ობა უფრო დროებითი ხასიათის გაერთიანებას წარმოადგენს და მისი ჩამოყალიბებისათვის წევრების ნათესაობა აუცილებელი არ არის. რაც შეეხება ელს, იგი მესაქონლეთა უფრო ხანგრძლივად მოქმედი გაერთიანებაა. ამიტომ მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება.

აშირეთი და ქურმანჯი წარმოიშვა მეომარი ჯგუფებისა და მომთაბარე ელების მიერ მიწების ხელში ჩაგდებისა და ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის გზით. საილუსტრაციოდ გამოდგება 900 მეომარი ყარაფაფახის მიერ 1828 წ. სულდუზის მიწების ხელში ჩაგდება და ადგილობრივი 4—5 ათასი ქურთი ოჯახის დამორჩილება [78, გვ. 6].

XVIII—XIX სს. ჩარდოულის, შეკაკის, მუკრის ქურთი ელების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა და მათ მიერ იმ მიწების მიტაცება, რომელთაც ისინი დღესაც ფლობენ, გვიჩვენებს აშირეთის წარმოქმნის მეორე გზას.

აშირეთის მეთაური მიწას ყოფდა გვარის განშტოებებს შორის. ამასთანავე, ხდებოდა ყმა გლეხების გადანაწილებაც აშირეთის წევრებს შორის.

აშირეთის მთელი მიწა და სიმდიდრე ნომინალურად ეკუთვნოდა მის მეთაურს. აშირეთის ბელადი დამოუკიდებელი დესპოტი იყო, იგი ემორჩილებოდა, ირანის შაჰს (ან თურქეთის სულთანს) და უხდიდა მას ხარკს.

აშირეთული სისტემის პირობებში ქურთი გლეხი მიწათმფლობელს — აშირეთის წევრს უხდიდა თავისი შემოსავლის 60%-ს მიწის რენტისა და სახელმწიფოს გადასახადების სახით. რაც შეეხება თვით მიწათმფლობელს, იგი სახელმწიფოს აძლევდა შემოსავლის მხოლოდ 4%-ს, კანონით კი იგი ვალდებული იყო სახელმწიფოსათვის შემოსავლის 20—30% მიეცა. ამის ნიადაგზე მუდმივი უთანხმოება იყო სახელმწიფოს ხაზინასა და აშირეთის მეთაურებს შორის.

ირანის ქურთისტანში აშირეთის სამფლობელოთა ფარგლებში მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობდა. აშირეთის მთელი მიწა მისი მეთაურის განკარგულებაში იყო. იგი მიწას აშირეთის გვარის განშტოებებს შორის ანაწილებდა. მიწასთან ერთად იგი მათ გლეხებსაც უნაწილებდა. მაგრამ აშირეთის წევრებს მიწის გაყიდვა არ შეეძლოთ. მეთაურს უფლება ჰქონდა ჩამოერთმია აშირეთული მიწა

როგორც ცალკეული ოჯახისათვის, ისე გვარის განშტოებისათვის და სხვებისათვის გადაეცა.

აშირეთის წევრთა მიწის უვადო მფლობელობისა და ნატურალური მეურნეობის ბატონობის შედეგად პროდუქტიული რენტა მიწის რენტის გაბატონებულ ფორმად გადაიქცა.

აშირეთული მიწათმფლობელ-მესაქონლეთა კლასი არ გამოირჩეოდა ერთგვაროვნული ეროვნული შემადგენლობით. ირანის ქურთისტანში ამ კლასის წარმომადგენელთა შორის ძირითადად ქურთები ჭარბობდნენ, მაგრამ არანაკლებ როლს ასრულებდნენ აზერბაიჯანელები, სპარსელები, არაბები.

აშირეთული მიწის საკუთრება წარმოიშვა მიწების ძალით დაპყრობის გზით.

ირანის ქურთისტანის სოფლის მეურნეობაში სავაჭრო-ფულად ურთიერთობათა განვითარებამ XX ს. დასაწყისში სათავე დაუდო აშირეთული სისტემის რღვევას [49, გვ. 8].

XX ს. პირველ მეოთხედში ირანის ქურთისტანში არსებული აშირეთული სისტემა სულ უფრო ხდებოდა ფეოდალთა სეპარატიზმის მიზეზი. ირანისა და მსოფლიოს კაპიტალისტური ბაზარი ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სასაქონლო წარმოებას, მაგრამ ამ საქმეს, სხვა მიზეზებთან ერთად ხელს უშლიდა და აფერხებდა აგრეთვე არსებული აშირეთული სისტემა. ამიტომ იყო, რომ 1921 წლის თებერვალში ირანის ხელისუფლების სათავეში მოსულმა რეზა-ხანმა უცხოური კაპიტალისა და შინაგან რეაქციის ინტერესების შესაბამისად დაიწყო ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლა. რეზა-ხანის მიერ შემოღებულ ახალ წესებზე დაყრდნობით უცხოური კაპიტალი და მასზე დამოკიდებული ირანული მსხვილი სავაჭრო ბურჟუაზია სულ უფრო მარჯვედ იკიდებდა ფეხს ქვეყნის ყველაზე მივარდნილ და განაპირა რაიონებში.

რეზა-ხანი, შემდეგში შაჰი, ულმობლად იბრძოდა მომთაბარე მეურნეობის წინააღმდეგ: იგი აიძულებდა ელებს გადასულიყვნენ ბინადარ ცხოვრებაზე. მომთაბარეთა ბინადრობაზე ძალით გადაყვანამ ირანში მიიღო „თახთე ყაფუ“-ს (სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ხის კარები“ — ამ შემთხვევაში კი „ბინადრობა“-ს) სახელწოდება.

„თახთე ყაფუ“-ს პოლიტიკას მომთაბარეობისათვის მძიმე შედეგები მოჰყვა. ამ პოლიტიკის გატარებამ და მომთაბარეთა ყოფის შეცვლამ ბევრი მომთაბარის სიცოცხლე შეიწირა. ასევე დაიღუპა მათი კუთვნილი საქონლის დიდი ნაწილიც. ირანელი ისტორიკოსი

მაქი ჰუსეინი აღნიშნავდა, რომ „თახთე ყაფუს“ პოლიტიკა მომთაბარეთა დასჯის საშუალებას წარმოადგენდა [78, გვ. 10].

ამავე დროს ირანში, თურქეთსა და ერაყში ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა შექმნამ დააჩქარა მათ შორის სასაზღვრო-ტერიტორიული გამიჯვნა. ქურთებით დასახლებული ტერიტორია და იქ მცხოვრები ტომები — ჯალალი, მანგური, ჯაფები, პიჟდარი, გალბაჰი და სხვანი გაყოფილნი აღმოჩნდენ. ქურთი ტომების საზამთრო და საზაფხულო საძოვრები — ყიშლაღები და ეილაღები საბოლოოდ დააცილეს ერთმანეთს. ამ გარემოებამაც აიძულა ზოგიერთი ქურთული ელი ბინადარ ცხოვრებაზე გადასულიყო.

ქურთების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა ხელს უწყობდა სოფლების რიცხვის ზრდას. ასე მაგალითად, XIX ს. მეორე ნახევრიდან XX ს. პირველ ნახევრამდე, ე. ი. 100 წლის მანძილზე მომთაბარეთა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შედეგად ქურთთა სოფლების რიცხვი ირანში 20-ჯერ გაიზარდა. ქურთისტანში დაიწყო სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის განვითარება. ამასთან, მიმდინარეობდა ქურთისტანის სხვადასხვა რაიონების სპეციალიზაცია. ყოველ მათგანს თავისი ძირითადი სასაქონლო პროდუქტი გააჩნდა.

ყოველივე ეს ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას ქალაქში და საქალაქო მოსახლეობის ზრდას. ამ პროცესებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე მიწათმფლობელობის ფორმებსა და სისტემაზე. მიწის აშირეთული საკუთრება თანდათანობით იშლება. აშირეთის წევრები საბოლოოდ გახდნენ მიწის ნამდვილი და დამოუკიდებელი მფლობელები. აშირეთებმა შეინარჩუნეს მხოლოდ გარეგნული ერთიანობა. მის წევრებს შეეძლოთ თავისუფლად გაეყიდათ და ეყიდათ მიწები.

1928 წ. ირანის მეჯლისმა მიიღო კანონი მიწების რეგისტრაციის შესახებ. ამ კანონის საფუძველზე კიდევ უფრო განმტკიცდა ახალი ტიპის მულქადარ მემამულეთა კერძო საკუთრება. აშირეთულმა სისტემამ პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ მიწათმფლობელობა და მიწით სარგებლობა ძირითადად ფეოდალური დარჩა.

თანამედროვე ირანის ქურთისტანში მემამულეები თავისი წარმოშობით ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ერთ ჯგუფს შეადგენდნენ ისინი, ვინც მიწა მიიღო მემკვიდრეობით წინაპრებისაგან — ყოფილი აშირეთის წევრებისაგან; მეორე ჯგუფს ქმნიდნენ ის პირები, ვინც აშირეთული და სახელმწიფო მიწების ერთი ნაწილი ფულით შეიძინეს.

ეს უკანასკნელი ჯგუფი შედგებოდა ვაჭრებისა და მევახშეებისაგან, რომლებმაც კაპიტალის გარკვეული ნაწილი მიწის შესაძენად გამოიყენეს. ირანის ქურთისტანში მიწების დიდ ფართობებს აშირეთების ყოფილი წევრების მემკვიდრეები ფლობდნენ. მიწების დაახლოებით ნახევარი, ე. ი. 50% ასაფის, არდალანის, ამირ ეჰთიშამის, გუბადიანის, აფშარისა და სხვა ოჯახებს ეკუთვნოდათ [78, გვ. 12].

მემამულის მიწის სამფლობელო ერთეულს სოფელი („დეჰ" ანდა „გუნდი") შეადგენდა. სოფლის მთელი მიწები და წყაროები, რომლებსაც სარწყავად და სასმელად იყენებდნენ, აგრეთვე საძოვრები, გლეხთა სახლები და ეზოები, ბაღები ტყეები, წისქვილი, სოფლის მეჩეთი და სასაფლაო მემამულის საკუთრებას შეადგენდა.

გლეხის საკუთრებაში შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზოგიერთი იარაღები, საქონელი, პრიმიტიული საოჯახო ავეჯი და ჭურჭლეულობა.

ირანის ქურთისტანში მოსახლეობის 80% სოფლის მეურნეობას ეწეოდა. სოფლის მოსახლეობის 90%-ზე მეტს უმიწაწყლო გლეხები შეადგენდნენ.

მიწის რეფორმამდე მემამულის საკუთრებაში არსებული მიწის დამუშავების წესი ასეთი იყო: ერთ ნაკვეთზე მუშაობდნენ გლეხები, რომლებსაც საქონელი და სასოფლო სამეურნეო ინვენტარი გააჩნდათ. მეორეზე მემამულე იყენებდა იმავე გლეხების შრომას შრომამიგების მსგავსი სისტემის სახით: იგი შრომაში აბამდა აგრეთვე ღარიბ გლეხებს, რომლებსაც არც სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი ჰქონდათ და არც გამწევი ძალა.

ასეთ პირობებში გლეხი, რომელსაც საქონელი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი ჰქონდა, მემამულეს უხდიდა რენტას შრომამიგების საფუძველზე და პროდუქტებითაც. ხოლო ის გლეხი, რომელსაც არც საქონელი ჰყავდა და არც იარაღი გააჩნდა, მემამულის მიწაზე მუშაობდა, როგორც დროებით დაქირავებული მუშა.

ირანის ქურთისტანში მემამულეები მიწების დიდ ნაწილს საწილადო იჯარით აძლევდნენ იმ გლეხებს, რომლებსაც გამწევი ძალა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი ჰქონდათ, ხოლო მათგან მოსავლის ნაწილს უმეტესად პროდუქტის სახით იღებდნენ. ისინი ზოგჯერ დაქირავებულ მუშებს იყენებდნენ თავის კარ-მიდამოს გარშემო მდებარე ბაღების, საძოვრებისა და ტექნიკური კულტურების მოსავლელად. ამ დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მათ ბაზარზე გასაყიდად გაჰქონდათ.

ხელოვნურ მორწყვას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და უკავია ირანის ქაუთისტანის სამიწათმოქმედო მეურნეობაში. მიწა, რომელიც დაშორებულია წყლის რესურსებს, მემამულისათვის ნაკლებად მიმზიდველი იყო. ამიტომ მიწების იჯარით გაცემისას მემამულე საუკეთესო მიწებს თავისთვის იტოვებდა, ანდა გადასცემდა გლეხებს, რომლებიც ფლობდნენ გამწევ ძალას და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს და უნარი შესწევდათ მეურნეობას გაძღოლოდნენ მემამულისათვის ხელსაყრელ პირობებში.

გლეხს შეეძლო დაერგო ხეხილი, გაეყვანა არხები (ყიარიზ) და სხვ., მაგრამ ისინი მემამულის საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო. გლეხი ბაღით სარგებლობისათვის მემამულეს უხდიდა როგორც ნატურით, ისე ფულად რენტას.

საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობის შედეგად გლეხური შრომის პროდუქტი მატულობდა. პარალელურად იზრდებოდა ზედმეტი პროდუქტიც.

მემამულის მიწა, რომლითაც გლეხი სარგებლობდა, მემკვიდრეობით გადაეცემოდა შვილებს. თუ შვილები ერთად ცხოვრებას განაგრძობდენ, ისინი ერთობლივად უხდიდნენ მემამულეს იმ გადასახადებს, რასაც მათი წინაპარი იხდიდა. იმ შემთხვევაში თუ ისინი გაყოფას დააპირებდენ, მაშინ საქმეში მემამულე ჩაერეოდა და მათ სხვა ნაკვეთებს სთავაზობდა. ამას მემკვიდრეებისათვის, ზარალი მოსდევდა.

ირანის ქურთისტანის მემამულეთა ერთ ნაწილსა და გლეხებს შორის სისხლით ნათესაობა არსებობდა. ოდესღაც მათი წინაპრები ელის, ხოლო შემდეგ აშირეთის წევრები იყვნენ. შემდგომში ბინადარ ცხოვრებაზე გადასული მომთაბარეების გვაროვნული დიდკაცობა თანდათან მემამულე-მიწათმფლობელებად გადაიქცა, ხოლო მომთაბარეთა დიდი ნაწილი უუფლებო გლეხების მდგომარეობაში აღმოჩნდა.

აშირეთელი მემამულეები თავიანთ თავს „კეთილშობილებს“ უწოდებდნენ, ხოლო გლეხებს შეურაცხმყოფელი ეპითეტით — „შავი ქურმანჯი“-თ ამკობდნენ.

მემამულეთა ძალაუფლება გლეხებზე შეზღუდული არ იყო. ქურთი გლეხი მიწაზე იყო მიჯაჭვული. მართალია, მემამულეს არ შეეძლო მოეკლა გლეხი,მაგრამ, სამაგიეროდ, მას უფლება ჰქონდა გაეყიდა ან ეყიდა იგი მიწასთან ერთად. თავისი აღას ნებართვის გარეშე გლეხს უფლება არა ჰქონდა სხვა მემამულის მიწაზე გადასახლებულიყო.

აშირეთული სისტემის რღვევის შედეგად, ფეოდალურმა ურთიერთობამ ირანის ქურთისტანში უხეში ფორმა მიიღო. ადრე აშირეთის შეიარაღებული რაზმი მისი ყველა წევრის ინტერესებს იცავდა, ახლა კი ყოველი მემამულე ინდივიდუალურად ახორციელებდა თავის ბატონურ უფლებებს. ამით მწვავდებოდა ბრძოლა მსხვილ და წვრილ მემამულეებს შორის. მსხვილი მემამულეები სესხად აძლევდნენ გლეხებს პროდუქტებს, გამწევ ძალას და ფულს, რასაც გლეხების შემდგომი დაკაბალებისათვის იყენებდნენ.

მემამულის გარდა, გლეხის ჩაგვრაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქეთხოდა, რომელიც სოფლის მამასახლისის როლს ასრულებდა, გზირი (ქეთხოდას შიკრიკი), სერქარი, რომელიც ნატურალურ რენტას კრებდა და სხვა.

60-იან წლებამდე ირანის ქურთულ სოფელში შემდეგ სოციალურ ჯგუფებს ვხვდებოდით: მსხვილი მიწათმფლობელები, საშუალო მიწათმფლობელები, მდიდარი გლეხები, საშუალო გლეხები, უმიწაწყლო გლეხები, სასოფლო-სამეურნეო მუშები, მოსახლეობის სხვა ფენები.

მსხვილი მიწათმფლობელების ხელში იყო მთელი სახნავი მიწების 64%, ამასთან თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა, სულ ცოტა 300 ჰექტარი საუკეთესო მიწა. ისინი შეადგენდნენ სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 0,3%-ს და თავისი ოჯახის წევრებიანად 1000 კაცს არ აღემატებოდნენ. ეს არცთუ ისე დიდი ჯგუფი ყველაზე მეტად დაინტერესებული იყო არსებული აგრარული ურთიერთობის შენარჩუნებით, რაც ქურთისტანის საზოგადოებრივ პროგრესს აფერხებდა. მსხვილი მიწათმფლობელები, როგორც წესი არ ცხოვრობდნენ სოფლად, თუმცა მათ რამდენიმე სოფელი ეკუთვნოდათ.

საშუალო მიწათმფლობელების ხელში იყო მთელი სახნავი მიწების საერთო ფართობის 14%, ხოლო მათი რაოდენობა მთელი მოსახლეობის 0,6%-ზე ნაკლებს, ანუ დაახლოებით 2 ათას კაცს შეადგენდა. ისინი უმეტეს წილად სოფელში ცხოვრობდნენ და უშუალოდ წარმართავდნენ თავიანთ მეურნეობებს, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში პირადად მონაწილეობას არ ღებულობდნენ. როგორც წესი, ერთ მიწათმფლობელს ეკუთვნოდა ერთი სოფელი ანდა სოფლის დიდი ნაწილი (ჩვეულებრივ 30—50 ჰექტარი სახნავი მიწა).

მდიდარ გლეხებს (ხორდე-მალიქებს) დაახლოებით სახნავი მიწების 6% ეპყრათ და შეადგენდნენ სოფლის მოსახლეობის 1,5%-ს. თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა 5-დან 20 ჰექტარამდე მიწა,

რომელსაც ისინი იჯარით აძლევდენ სხვა გლეხებს საწილადო სისტემის საფუძველზე, ანდა ამუშავებდნენ მას დაქირავებული მუშების საშუალებით.

საშუალო გლეხები მიწებს ამუშავებდნენ თავისი ოჯახის წევრებთან ერთად. მათ ჰყავდათ გამწევი პირუტყვი და ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ისინი იშვიათად მუშაობდნენ მემამულის მეურნეობაში და ზოგჯერ გააჩნდათ ზედმეტი მიწა, რომელიც შეიძლებოდა იჯარით გაეცათ. უმეტეს შემთხვევაში მათ შეეძლოთ ერჩინათ თავიანთი ოჯახები. მათი რიცხვი 90.000 კაცს შეადგენდა ანუ ირანის ქურთისტანის მთელი მოსახლეობის 3%-ს უდრიდა. ამასთან მათ ეკუთვნოდა სახნავი მიწების მხოლოდ 2% [124. გვ. 164].

რაც შეეხება უმიწაწყლო გლეხებს, ისინი გლეხობის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს შეადგენდნენ. მარტო ირანის ქურთისტანში მათი საერთო რაოდენობა აღწევდა 2 მილ. 160 ათას კაცს, რაც დაახლოებით სოფლის მოსახლეობის 72%-ს მოიცავდა. მათგან შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ჯგუფი: პირველ ჯგუფს (დაახლოებით 42%) მიეკუთვნებოდნენ ის გლეხები, რომლებსაც ჰყავდათ მუშა საქონელი, ჰქონდათ ინვენტარი და მათ განკარგულებაში იყო 5-დან 10 სულამდე პირუტყვი. ყოველი მათგანი იჯარით 1—3 ჰექტარ მიწას ამუშავებდა. მეორე ჯგუფი აერთიანებდა მოსახლეობის 3%-ს [64, გვ. 192]. თითოეული გლეხი იჯარით აღებულ ერთ ჰექტარამდე მიწას ამუშავებდა. ისინი, ვისაც არ ჰქონდა ჯოფთი[6], მიწას ხნავდნენ თავისი გამწევი ძალით და მემამულის ინვენტარით, ანდა ბეგარის პირობებში მუშაობდნენ. ასეთ შემთხვევაში მოსავალი ნაწილდებოდა მოწილადეობის პრინციპით.

სასოფლო-სამეურნეო მუშას — მოჯამაგირეს არც მიწა ჰქონდა და არც ინვენტარი. მას შეიძლება ჰყოლოდა მხოლოდ 1-დან 3-მდე წვრილფეხა პირუტყვი. მათგან მიღებულ პროდუქტს ოჯახის ყოველდღიური საჭიროებისათვის იყენებდნენ. სასოფლო-სამეურნეო მუშები ღებულობდნენ ძალზე მცირე გასამრჯელოს, მეტწილად ნატურით, აღმოსავლეთ ანუ ირანის ქურთისტანში მოქირავეთა რაოდენობა დაახლოებით 300 ათასს აღწევდა, რაც სოფლის მოსახლეობის 10%-ს შეადგენდა. ისინი მოსახლეობის ყვე-

---

6 „ჯოფთ“ სპარსული სიტყვაა და წყვილს ნიშნავს, მას ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთ შემთხვევაში ჯოფთი უღელ ხარს აღნიშნავდა, ხოლო მეორე შემთხვევაში მიწის იმ ფართობს, რასაც ერთ სეზონზე უღელი ხარით ხნავდნენ.

ლაზე ღარიბ ფენას წარმოადგენდნენ. მოჯამაგირე წელიწადში საშუალოდ ღებულობდა 80 ფუთ ხორბალს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და საჭმელს. თუ მოჯამაგირეს ჰყავდა ცოლი, მაშინ იგი უფასოდ უნდა მომსახურებოდა (წყლის ზიდვა, სარეცხი) დამქირავებელს [64, გვ. 192].

სოფლის მოსახლეობის სხვა დანარჩენ ფენებს მიეკუთვნებოდნენ იმ კატეგორიის მცხოვრებლები, რომელსაც მიწა არ ჰქონდათ. ამ ჯგუფში შედიოდნენ სოფლის ვაჭრები (მომთაბარე ანდა ბინადარი), აგრეთვე ხელოსნები, სასულიერო წოდების დაბალი ფენის წარმომადგენლები და ა. შ. ერთად აღებული ისინი (დაახლოებით 75 ათასი კაცი) ქვეყნის მთელი მოსახლეობის 2,5%-ს შეადგენდნენ.

ქვემოთ მოტანილი ცხრილი ირანის ქურთისტანის სოფლის მოსახლეობის დიფერენციაციის მკაფიო სურათს იძლევა. მოტანილი ციფრები თუმცა სიზუსტეს არის მოკლებული, მაგრამ მაინც ნათელს ხდიან მოსახლეობის სტრუქტურაში არსებულ პროპორციულ შეფარდებას. როგორც აღინიშნა, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ქურთულ სოფლებში მშრომელი გლეხობის 82%-ს სავსებით არა ჰქონდა მიწა, მაშინ როდესაც მთელი სახნავი მიწების 78% ეკუთვნოდა იმათ, რომლებიც მოსახლეობის მხოლოდ 1%-ს შეადგენდნენ.

ცხრილი 2

მიწების განაწილება მფლობელთა ცალკეული კატეგორიის მიხედვით [124, გვ. 165].

| ჯგუფი | მფლობელთა რაოდენობა | % შეფარდება მოსახ. საერთო რაოდენობასთან | % შეფარდება სახნავ-სავარგულ მიწებისა | მიწის ფართობი საშუალოდ მეურნეობაზე | საკუთრებაში არსებული მიწების საერთო ფართობი |
|---|---|---|---|---|---|
| მსხვილი მიწათმფლობელი | 10.000 | 0,3 | 64 | 50 ჰექ. მეტი | 768.000 |
| საშუალო მიწათმფლობელი | 20.000 | 0,6 | 14 | 30—50 ჰექტ. | 168.000 |
| ხორდე-მალიქები | 45.000 | 1,5 | 5 | 5—20 | 72.000 |
| საშუალო გლეხები | 90.000 | 3 | 2 | 1—3 | 24.000 |
| უმიწაწყლო გლეხები | 2.160.000 | 72 | — | — | — |
| სასოფლო-სამეურნეო მუშები | 300.000 | 10 | — | — | — |

სოფლის მოსახლეობის მეათედი ნაწილი მხოლოდ მეცხოველეობას მისდევდა. იქ, სადაც მეცხოველეობა სასოფლო-სამეურ-

ნეო პროდუქციის წარმოების ძირითადი დარგი იყო, ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვავოთ 3 სოციალური ჯგუფი.

1. დიდი საძოვრებისა[7] და ფარების (ჯოგების) მფლობელები;
2. საშუალო სიდიდის ფარების (ჯოგების) მფლობელები;
3. მწყემსები;

სულადობის საერთო რაოდენობიდან (10.000.000) 2 მილიონი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყო, 8 მილიონი კი ცხვარი და თხა. ქვემოთ მოტანილი ცხრილი გვიჩვენებს მეცხოველეობაში ჩაბმული მოსახლეობის დიფერენციაციას საქონლის სულადობის შესაბამისად (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოკლებით).

ცხრილი 3

საქონლის განაწილება მფლობელთა ცალკეული კატეგორიის მიხედვით
[124, გვ. 166]

| მფლობელთა ჯგუფები | ოჯახების რაოდენობა | % მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შეფარდებით | % პირუტყვის რაოდენობასთან შეფარდებით | პირუტყვის სულადობა | პირუტყვის სულადობა საშუალოდ ერთ მეურნ. |
|---|---|---|---|---|---|
| მსხვილი მფლობელები | 20.000 | 0,6 | 60 | 6 მილ. | 1000 მეტი |
| საშუალო მფლობელები | 120.000 | 4 | 1,8 | 1 მილ. 800 ათასი | დაახლოებ. 75 |
| მწყემსები | 150.000 | 5 | 2 | 200.000 | 5—10 |

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ცხვრებისა და თხების 60% ეკუთვნოდა მცხოვრებთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც სოფლის მთელი მოსახლეობის 1 %-ზე ნაკლებს (მესაქონლეთა 6%) შეადგენდა, ხოლო მწყემსები, რომლებიც მესაქონლეთა 50%-ზე მეტი იყვნენ, ფლობდნენ საქონლის საერთო სულადობის მხოლოდ 2%-ს. პირუტყვის სულადობის რაოდენობა პირველი ჯგუფის თითოეულ წევრზე საშუალოდ 300-ს უდრიდა, ხოლო ერთ მწყემსზე საშუალოდ ერთ პირუტყვზე ცოტა მეტი მოდიოდა.

მეცხოველეობაში არსებული მდგომარეობა არებითად შეესატყვისებოდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში არსებულ ვითარე-

7 ირანის ქურთისტანში არსებული საძოვრების ფართობის შესახებ ზუსტი ცნობები არა გვაქვს. საძოვრები ძირითადად ეკუთვნოდა დიდი ფარებისა და მიწის მსხვილ მფლობელებს. ამიტომ ეს გაანგარიშება მიახლოებითია. 1964 წელს ირანის მთავრობამ საძოვრების ნაციონალიზაცია გამოაცხადა [124, გვ. 166].

ბას. როგორც ვხედავთ, ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში იყო დიდი ფარები, ხოლო მწყემსების უდიდესი მასის წილად სულ რამდენიმე ცხვარი მოდიოდა, მაგრამ მესაქონლეთა შორის იყვნენ საშუალო სიდიდის ფარების (დაახლოებით 75 სული ერთ მეურნეობაზე) მფლობელებიც. ამ ჯგუფის არსებობა შეიძლება ავხსნათ ორი გარემოებით: ჯერ ერთი, ტომობრივი ურთიერთობის მნიშვნელოვანი ელემენტები იყო შემორჩენილი ნახევრად ბინადარ მესაქონლეთა შორის და მეორეც, ქურთებით დასახლებულ რაიონებში საძოვრები მთლიანად ტომს ეკუთვნოდა. ამავე დროს, განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების წყალობით, ცხვრის გამრავლება და მისი მოვლა-პატრონობა ქურთისტანის მთებში მეტად იოლ და მომგებიან საქმეს წარმოადგენს.

XX ს. დასაწყისში ირანის ქურთისტანის სოფელში მოიჯარე შუამავლების ახალი კატეგორია გაჩნდა: ისინი მიწის რენტას იღებდნენ გლეხებისაგან პროდუქტებით და შემდეგ მემამულეს აძლევდნენ შეთანხმებით გათვალისწინებული რენტის ნაწილს ნატურის ფორმით, ანდა მის ფულად ექვივალენტს. ასეთი შუამავალი მოიჯარენი არ ერეოდნენ წარმოების პროცესის ტექნიკურ საკითხებში. იყვნენ მეორე სახის ქვემოიჯარენი, რომლებიც მემამულისაგან საიჯარო შეთანხმების საფუძველზე ღებულობდნენ მიწას და ამუშავებდნენ მას დაქირავებული მუშახელის შრომით. ქვემოიჯარეთა გაჩენა საბაზრო ურთიერთობათა განვითარების პირდაპირი შედეგი იყო.

ფაქტები გვიჩვენებს, რომ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის არსებულ ფორმებს შორის ფეოდალური მიწათმფლობელობა და მიწით სარგებლობა რეფორმამდელ ირანის ქურთისტანში გაბატონებულ ფორმებს წარმოადგენდა. მიწის ფეოდალური საკუთრების არსებობის პირობებში რენტის ყველაზე გავრცელებული ფორმა ნატურით და შრომამიგებითი რენტა იყო. ფულადი რენტა ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული. ქურთ მიწათმფლობელთა შემოსავლის დიდ ნაწილს პროდუქტით რენტა შეადგენდა.

მართალია, ქურთისტანში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ აშირეთის რღვევა გამოიწვია, ფეოდალური მიწათფლობისა და მიწათსარგებლობის წესის შენარჩუნება დიდად აფერხებდა სასაქონლო წარმოების შემდგომ განვითარებას.

ქურთისტანის სავაჭრო ბურჟუაზია არსებობის პირველი დღეებიდანვე ქურთული აშირეთებისა და ირანის სავაჭრო ბურჟუაზიის

სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. ამიტომაც იგი ერთდროულად ორ ფრონტზე იბრძოდა. ერთი მხრივ, ძველი აშირეთული სისტემისა და მეორე მხრივ, მსხვილი ირანული ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ როცა იგი აყენებდა ლოზუნგებს: „სამშობლოსათვის“, „მთელი ქურთისტანის თავისუფლებისათვის!“ მას მხედველობაში ჰქონდა არა ქურთი ხალხის ნამდვილი თავისუფლება, არამედ ქურთისტანის შიდა ბაზარზე თავისი ბატონობის თავისუფლება.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, მსხვილი მიწათმფლობელები ფლობდნენ საერთო ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 20%-ს. მათი საშუალო წლიური შემოსავალი ერთ სულზე 5.600 დოლარს შეადგენდა, საშუალო მიწათმფლობელების წილად ეროვნული დივიდენდების 5%, ანუ 500 დოლარი მოდიოდა ერთ სულზე. შეძლებული გლეხის საშუალო შემოსავალი დაახლოებით 100 დოლარს შეადგენდა, ხოლო საშუალო გლეხისა — 60 დოლარს წელიწადში. საშუალო შეძლების მესაქონლის წლიური შემოსავალი 160 დოლარზე ცოტა მეტი იყო. უმიწაწყლო გლეხები და სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის 80%-ს შეადგენდნენ, დიდ სიღარიბეში ცხოვრობდნენ, როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი ექსპლოატაციის შედეგად ისინი სასტიკ ჩაგვრას განიცდიდნენ.

## 3. თურქეთის ქურთისტანი

თანამედროვე თურქეთის მიწათმფლობელობაში დღემდე შემორჩენილია მიწათმფლობელობის ოსმალური სისტემა, რომლის თანახმად მიწები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: მულქი, მირი, ვაკფი და მათრუქა[8]. უკანასკნელ 10—15 წელიწადში სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგად ნაწილობრივ ცვლილებები მოხდა მიწათმფლობელობის არსებულ სისტემაში.

ასე, მაგალითად, კერძო მფლობელობაში არსებული მიწების რაოდენობა გაიზარდა, საერთო სარგებლობისა და სახელმწიფო მიწებთან შედარებით [73, გვ. 95]. თუმცა თურქეთში მიწის სრული კადასტრი არასოდეს არ შეუდგენიათ, თურქი ავტორები სხვადა-

[8] 1937 წელს ჩატარებული გამოკვლევიდან ჩანს, რომ მიწების 15—20% კერძო საკუთრებაში იყო, 60—70% — სოფლის საერთო სარგებლობაში იმყოფებოდა; ხოლო მიწის ფონდის 20—15%-ს სავაკფო და სახელმწიფო მიწები შეადგენდნენ [73, გვ. 94].

სხვა წყაროებისა და გამოკვლევის საფუძველზე ასკვნიან, რომ მიწების 25 — 30% კერძო მფლობელობაში იყო.

ქურთი რაიათის მძიმე მდგომარეობას კარგად გვიხატავს 1925 წელს შედგენილი ერთი საკონსულო მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ ყოველი ტომი ჰანევარის ანუ სახლებისაგან შედგება. სახლში იგულისხმება სამეურნეო ერთეული — ოჯახი, ამ სახლს ანუ ოჯახს არა ჰქონდა საკუთარი მიწა და ფაქტიურად ტომის ბელადის მორჩილებაში იმყოფებოდა. თეორიულად რაიათს, მინდვრის სამუშაოთა შესრულებისა და ყველა დავალიანების გადახდის შემდეგ, უფლება ჰქონდა სხვა მებატონესთან გადასულიყო, მაგრამ პრაქტიკულად ამ უფლებას იშვიათად ახორციელებდნენ.

ტომიდან გაქცევის შემთხვევაში რაიათის მთელი ქონება აღას მიჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ გაქცეულს დაიჭერდნენ, მას სასტიკი სასჯელი ელოდა. სასჯელის მოხდისა და მთელი ქონების დაკარგვის შემდეგ, რაიათი იძულებული იყო მოჯამაგირედ დამდგარიყო თავის ყოფილ აღასთან. ტომების ბელადებს ან ნათესავებს შორის ქონების გაყოფისას, დამუშავებულ მიწებთან ერთად ჰანევარიც იყოფოდა მემკვიდრეებს შორის. გაძლიერებული ტომი ცდილობდა ხელში ჩაეგდო მეზობელი ტომის ჰანევარი მისი მიწებით და ჯოგებით (ფარებით). თუ დამპყრობელი საკმაოდ ძლიერ იყო, მაშინ იგი თავის მიზანს იოლად აღწევდა.

რაიათი ზამთარში ცხოვრობდა სოფლად, რომელსაც ქურთულად „დეჰ"-ს უწოდებენ, ხოლო ზაფხულობით — კარვებში. საზაფხულო სადგომებს ქურთულად „კუმარ"-ს უწოდებენ. დეჰი და კუმარი 10-დან 50 ოჯახამდე მოიცავდა. სოფლის თავკაცი მამასახლისი იყო. ტომის ბელადი მისი საშუალებით მართავდა სოფლებს, გადასცემდა თავის ბრძანებებსა და განკარგულებებს.

მამასახლისი (მუხთარი ან ქეთხოდა) რაიათებს შორის ამტყდარ წვრილმან დავას არჩევდა და წყალს ანაწილებდა. საომარი ვითარებისას ქეთხოდა სათავეში უდგებოდა თავისი დეჰის ან კუმარის შეიარაღებულ რაზმს. თუ ქეთხოდა თვითონ ამუშავებდა მიწას, მაშინ ტომის ბელადი მას მოსავალზე შეწერილი გადასახადებისაგან ათავისუფლებდა. თუ იგი მიწას არ ამუშავებდა, მაშინ იგი კუმარიდან ბელადისათვის გაღებული გადასახადის 1/10-ს ღებულობდა.

მებატონე მიწას მთელ კუმარს ან დეჰს უნაწილებდა. გასანაწილებელი ნაკვეთების ფართობი თავისუფალი მიწის არსებობაზე იყო დამოკიდებული. ე. წ. „აბის" ანუ ხელოვნურად მორწყული მიწების დამუშავება დიდ შრომას მოითხოვდა და მოსავალიც გარანტი-

რეზული იყო, ასეთ მიწებს პატარა ნაკვეთებად ყოფდნენ. იმ მიწებს, რომლებისთვისაც სარწყავი წყალი მიუწვდომელი იყო და ხშირად გვალვა აზიანებდა, უფრო დიდ ნაკვეთებად ანაწილებდნენ. ყოველი ნაკვეთის სიდიდე დამოკიდებული იყო მეურნეობის სიმტკიცეზე, ნაწილობრივ კი — ქეთხოდას სურვილზეც. მაგრამ, ჩვეულებრივ ყოველი გლეხური ნაკვეთი მამიდან შვილზე გადადიოდა მემკვიდრეობით.

თურქული გაზეთი „აქშამ"[9] [19,9. 1925] ქურთი გლეხობის მდგომარეობას ასე ახასიათებდა: „დერე-ბეის გლეხები სრულიად უუფლებონი არიან: ასეთია მათი სამართლებრივი მდგომარეობა. რაც შეეხება მათ ვალდებულებას, იგი ისეთია, რომ — „სიკვდილამდე იმუშაონ". სიღარიბეს ქურთი გლეხები ნამდვილ მონურ მდგომარეობამდე მიჰყავს".

იმავე გაზეთის ცნობით, ქურთი გლეხის მუდმივ საკვებს ფეტვის პური და ცოტა მშრალი ყველი შეადგენდა. განსაკუთრებით მძიმე ასატანი იყო ბატონის (დერე-ბეის) — მოურავის (მუბაშირი, ქეხა) მხრივ ჩაგვრა. დერე-ბეი თავისი კუთვნილი მოსავლის ნაწილის აღების შემდეგ გლეხს მხოლოდ იმდენს უტოვებდა, რამდენიც საჭირო იყო იმისათვის, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო; მოურავი კი კიდევ უფრო მკაცრად იქცეოდა. იგი გლეხს ართმევდა იმასაც კი, რაც დერე-ბეიმ გლეხს დაუტოვა ოჯახის გამოსაკვებად. გლეხს საკუთარი არაფერი ჰქონდა. მიწა, რომელსაც იგი ამუშავებდა, გუთანიცა და ქოხიც — ყველაფერი ბეგის საკუთრება იყო. ბეგის ძალაუფლება გლეხის ცოლზეც კი ვრცელდებოდა [62, გვ. 124].

ყოველივე ზემოთქმული ნათელ წარმოდგენას იძლევა ქურთისტანის ფეოდალური სტრუქტურისა და იქ არსებულ საბატონო-საბეგარო მეურნეობათა შესახებ.

20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში ქურთული ფეოდალიზმი თანდათანობით რღვევას განიცდის.

სავაჭრო ფულადი ურთიერთობისა და მევახშეობის ზრდა ხელს უწყობდა ნატურით გადასახადების თანდათანობით ფულადი გადასახადებით შეცვლას. ეს, თავის მხრივ, გლეხთა ჩაგვრის უღელს ამძიმებდა. შეიძლება ამაში ვეძიოთ XX ს. 20-იანი წლების ქურთების აჯანყებების ერთ-ერთი მიზეზი თურქეთში.

სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის განვითარება იწვევდა ნატუ-

---

[9] ცნობები თურქული გაზეთებიდან ციტირებულია ჟურნალ „აგრარნიე პრობლემი"-ის მიხედვით [იხ. 62].

რალური მეურნეობის ურთიერთობათა რღვევას, ზრდიდა ქონებრივ უთანასწორობას ქურთულ გლეხურ თემში და აჩქარებდა კლასობრივ დიფერენციაციას სოფლის მოსახლეობას შორის.

ამ დიფერენციაციის შედეგად ერთგვაროვანი გლეხური მასის ნაცვლად, სულ უფრო მატულობდა ღარიბებისა და ბობოლების რიცხვი.

XX ს. პირველ მესამედში თურქეთის ქურთისტანის სოფელში ვხვდებით გლეხთა შემდეგ კატეგორიებს:

1. სოფლის ღარიბები, რომლებსაც თავისი მეურნეობა არ გააჩნდათ[10], სამხრეთ--აღმოსავლეთ რაიონებში გლეხთა საერთო მასაში მათი რიცხვი 10%-ს შეადგენდა. ისინი იძულებული იყვნენ სამუშაო ძალა ან ბობოლა გლეხებისათვის მიეყიდათ, ანდა, თუ ბატონი ნებას დართავდა[11], საშოვარზე სხვაგან წასულიყვნენ. ზოგიერთი მათგანი სახედრებისა და აქლემების მეხრედ (ჩერვოდარები) მუშაობდა. ისინი ბატონს გადასახადებს ფულადი სახით უხდიდნენ.

2. გლეხები, რომლებიც დაქირავებული შრომით არ სარგებლობდნენ, მაგრამ ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა. მათი მეურნეობა დაახლოებით ერთი უღელი ხარის, 10 ცხვრის. 1 ძროხისა და ერთი სახედრისაგან შედგებოდა. ქურთი გლეხობის ნახევარზე მეტი ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

3. საშუალო გლეხები, რომლებიც პირადად ეწეოდნენ მეურნეობას და, ამასთან ერთად, ერთი ან ორი დაქირავებული მუშაც ჰყავდათ. საშუალო გლეხს მეურნეობაში ჰყავდა 8—10 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ხარები, ძროხები), 10-მდე ცხვარი და თხა, 1 ცხენი და 1 სახედარი. მათი რაოდენობა გლეხურ მასაში 20%-ით განისაზღვრებოდა.

4. ბობოლა გლეხები, რომლებმაც სოფლის მოსახლეობის 10%-ს შეადგენდნენ. ისინი პირადი შრომით არ მონაწილეობდნენ მეურნეობაში, თავის მეურნეობაში ბობოლა გლეხი დაქირავებულ შრომას იყენებდა; კერძოდ, მას ჰყავდა 10-მდე მოჯამაგირე გლეხი, 60-მდე ხარი, 30-მდე ძროხა, 20 ცხენი და ჯორი, 500-მდე ცხვარი

---

10 მათი მთელი ქონება ერთ-ორ ცხვარს და რამდენიმე თიხის ქოთანს შეადგენდა.

11 თანამედროვე ქურთი ავტორის მეჰმედ ემინ ბოზარსლანის მოწმობით, [116 ა, გვ. 10], იმ შემთხვევაში, თუ გლეხი თვითნებურად წავიდოდა ბატონისაგან, მას ფიზიკურად სჯიდნენ ან კლავდნენ (ესა და ზოგიერთი სხვა ცნობა თურქულიდან გვითარგმნა ი. დათუნაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ).

და თხა. ბობოლა გლეხს ასეთი სიმდიდრე საშუალებას აძლევდა მამასახლისი გამხდარიყო.

ქურთული ფეოდალური ლაშქარი შემდეგნაირად ყალიბდებოდა: ტომის ბელადი ან ფეოდალი ღარიბი გლეხებისაგან არჩევდა ფიზიკურად ყველაზე უფრო ჯანმრთელ ახალგაზრდებს და მათგან რაზმს ადგენდა პირადი მომსახურებისა და დაცვისათვის. რაზმის სიდიდე დამოკიდებული იყო ფეოდალის ავტორიტეტსა და შეძლებაზე. რაზმელების რიცხვი მერყეობდა 100-დან 300 კაცამდე. რაზმელები ხელფასს არ იღებდნენ, მათ ჰქონდათ უფასო კვება. გარდა ამისა, შემოდგომაზე ფეოდალის ან ტომის ბელადისაგან რაზმელი 1-დან 3 ჰარვარამდე (288—864 კგ) ხორბალს ღებულობდა. ხოლო მოდავეები, რომელთა საქმის განხილვაშიც რაზმელი მონაწილეობდა, წელიწადში ორჯერ მას „მამურეთ"-ს ე. ი. გასამრჯელოს უხდიდნენ [62, გვ. 125].

თურქეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში, — წერდა თურქული გაზეთში „აქშამი" [19,9. 1925 წ.] როცა ერთი სოფლიდან მეორეში გადადიხარ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ორ სახელმწიფოს შორის არსებული საზღვარი გადაგელახოს. როდესაც შემხვედრს ჰკითხავ — ვინა ხართ? ისინი მოგიგებენ: „ამა და ამ აღას ხალხი ვართო". ესენი დერე-ბეის დაცვაა. დაცვის წევრები მზად არიან შეასრულონ ბეგის ყოველგვარი დავალება და ბრძანება. მათ სხვა არაფერი ევალებათ, სამაგიეროდ დერე-ბეისაგან ტანსაცმელს, იარაღს და საკვებს უფასოდ ღებულობდნენ.

დერე-ბეის რაზმი მეტად სასტიკად მოქმედებდა. იგი არც ერთი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ არ შეევიწროვებინა გლეხები. რომლებიც ისედაც მძიმე ჩაგვრას განიცდიდნენ. ისინი ძარცავნენ ადგილობრივ მოსახლეობას, იტაცებდნენ გლეხთა ქალიშვილებს და ა. შ.

რაც შეეხება საკუთრივ დერე-ბეის, თავის სამფლობელოში ივი, მ. ე. ბოზარსლანის სიტყვებით, „პატარა ფადიშაჰს წააგავდა" [116 ა, გვ. 10].

ქემალისტებმა, ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გათიშვისა და მისი ახალი აღმავლობის შეჩერების მიზნით, ზოგიერთი აგრარული ღონისძიება გაატარეს. მაგალითად, 1929 წ. 8 ივნისს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი, რომლის ძალითაც ქურთი ფეოდალების მსხვილი ლატიფუნდიების ნაწილი ქურთ გლეხობას და მომთაბარეებს უნდა გადაცემოდა. ამასთან, ეს მიწები გლეხებს უნდა გამოესყიდათ სასოფ-

ლო-სამეურნეო ბანკის მეშვეობით. გამოსასყიდ ფასს სპეციალური კომისია აწესებდა.

თურქეთის რესპუბლიკის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ისმეთ ინენიუს განცხადების თანახმად, ქემალისტების ხსენებული კანონის საფუძველზე, ქურთმა გლეხებმა 90000 დენუმი მიწა მიიღეს. თურქებს ამ ღონისძიებით ყველაზე უფრო „მოუსვენარი" და „შფოთიანი" ტომები ბინადარ ცხოვრებაზე გადაყავდათ. 1931 წ. თურქეთის მთავრობამ ზოგიერთი ქურთი ტომი თურქეთის ევროპულ ნაწილში გადაასახლა[12]. ქურთული კოლონიები გაჩნდა აგრეთვე სმირნაში, ადანაში, ტრაპიზონში და ა. შ. გარდა ამისა, მათ აიძულეს ქურთები სისტემატურად ეხადათ გადასახადები. ამით სახელმწიფო ხაზინამ ახალი შევსება მიიღო. ერთი სიტყვით, თურქეთის მთავრობა ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავდა.

## 4. სირიის ქურთისტანი

სირიაში არაბი მოსახლეობის შემდეგ ქურთები ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან[13]. ისინი უმეტესად ქვეყნის მთიან რაიონებში, ჰალების აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, აგრეთვე ჰამას, ლატაკიისა და ჰასაკის გუბერნიებში ცხოვრობენ. სირიის ქურთული მოსახლეობის დიდი ნაწილი გლეხები და დღიური მუშები არიან [104, გვ. 24].

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის სირია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და მოიცავდა გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიას, ვიდრე ამჟამად აქვს[14]. მოსახლეობა დაახლოებით 2600 ათასს არ აღემატებოდა [84, გვ. 9].

1919 წ-დან მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე სირიაში ფრანგები ბატონობდნენ. ამ დროისათვის სირია აგრარული ქვეყანა იყო. მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა და მიწათ-

---

12 მარტო სტამბოლში რამდენიმე ათასი ქურთი ცხოვრობს. ისინი აქ მუშაობენ ჰამალებად (მებარგულეებად) და მტვირთავებად [62, გვ. 130].

13 1970 წ-ს აღწერის მონაცემებით, სირიის მოსახლეობა 6.304 685 კაცით განისაზღვრებოდა აქედან 90% არაბები იყვნენ, რაც შეეხება ქურთებს, მათი რაოდენობა 450 ათასს აღწევდა და მთელი მოსახლეობის 7%-ს შეადგენდა.

14 ადმინისტრაციული თვალსაზრისით, სირია, რომელიც სამ ვილაიეთად (ბეირუთის, დამასკოს, ჰალების) და ორ სანჯაყად (ავტონომიური ლიბანისა და იერუსალიმის) იყო გაყოფილი დღევანდელი ლიბანის, იორდანიისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიას მოიცავდა.

მოქმედებას მისდევდა. სხვები კი მესაქონლეობას ეწეოდნენ. ქალაქები სირიაში უფრო სავაჭრო და ადმინისტრაციულ ცენტრებს წააგავდნენ, ვიდრე სამრეწველოს.

გერმანელი მოგზაურის აუგაგენის ცნობით, სირიის ჩრდილო რაიონებში, სადაც ძირითადად თავმოყრილია ქურთული მოსახლეობა, დასამუშავებლად ვარგისი მიწების 80% მსხვილ ფეოდალებს ეკუთვნოდათ [57, გვ. 58]. ცალკეულ ფეოდალთა ოჯახები ფლობდნენ ათობით სოფელს, რომელთა ფართობი ხშირად ათას ჰექტრობით განიზომებოდა.

მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა სირიაში გლეხური თემისა და მომთაბარე ტომების კოლექტიურ მფლობელობაში არსებული მიწების ექსპროპრიაციის გზით წარმოიქმნა. ეს პროცესი რამდენიმე ათეული და ასეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა.

თურქთა მმართველობის ხანაში სირიის აგრარული წყობისთვისაც დამახასიათებელი იყო ფეოდალურ ურთიერთობათა ბატონობა. ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონში მიწა თურქეთის სულთანს[15], აგრეთვე არაბ და ქურთ ფეოდალებს, ანდა მუსლიმანური სამღვდელოების ზედაფენას ეკუთვნოდა.

რაც შეეხება ქურთებით დასახლებულ რაიონებს, მათ აგრარულ წყობაში უფრო ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობა სჭარბობდა.

მსხვილი მიწათმფლობელობის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მსხვილ წარმოებას. აქ მსხვილი მამულები წვრილ ნაკვეთებად იყო დაყოფილი და მიწათმოქმედ გლეხებს იჯარით დასამუშავებლად ურიგებდნენ. თვითეულ გლეხს იჯარით ეძლეოდა მხოლოდ ერთი ფედანი მიწა ანუ ისეთი ფართობი, რომელსაც იგი ერთ სეზონზე დაამუშავებდა უღელი ხარით. გაღატაკებული წვრილი მოიჯარე გლეხი სირიის სოფლის მუშახელის მთავარი მიმწოდებელი იყო. მას ჩაგრავდა მემამულე, მევახშე და ფეოდალური სახელმწიფო. იგი მემამულეს უხდიდა აღებული მოსავლის 1/3-დან 4/5-მდე, ხოლო ზოგჯერ 5/6-საც კი.

სირიაში საზიარო იჯარის ფორმები მრავალფეროვანი იყო. გლეხისა და მემამულის წილი აღებულ მოსავალში, წარმოების პირობების მიხედვით, მერყეობდა. იმ შემთხვევაში, თუ მიწის გარდა

15 მაგალითად, ჯამას სანჯაყში სულთან აბდულ ჰამიდ II-ს ეკუთვნოდა მთელი დამუშავებული მიწების 44% [63, გვ. 58].

ყველა სხვა აუცილებელი ელემენტი ფელაჰს (გლეხს) ეკუთვნოდა, მაშინ იგი მემამულეს მოსავლის 1/3-ს უხდიდა (კაპიტალიზმამდელი ნატურალური რენტა). მაგრამ, როგორც წესი, გლეხები მოკლებული იყვნენ წარმოების საშუალებებს და მათ მემამულისაგან ღებულობდნენ. იმ შემთხვევაში თუ ინვენტარი, გამწევი ძალა და თესლი მემამულეს ეკუთვნოდა, გლეხი მემამულის კუთვნილი მიწის დამუშავებისათვის მოსავლის 1/4-დან 1/6-მდე ღებულობდა. მოზიარეობის ასეთი წესი გლეხობის ექსპლოატაციის ფეოდალურიდან კაპიტალისტურისაკენ გარდამავალი ფორმა იყო. მემამულე აქ გამოდიოდა არა მარტო მიწის ფეოდალური მესაკუთრის როლში, არამედ წარმოების საშუალებათა მესაკუთრედ. მოზიარეობის ამ ორ ფორმას შორის არსებობდა შუალედური ფორმებიც, როდესაც წარმოების საშუალებათა ერთი ნაწილი გლეხს ეკუთვნოდა, ხოლო მეორე — მემამულეს. ისევე როგორც მეზობელ თურქეთსა და ერაყში, აქაური ქურთი გლეხიც მემამულის სასარგებლოდ ასრულებდა სხვა სახის სამუშაოსაც, მათ შორის საბეგარო სამუშაოს [63, გვ. 149].

პირველი მსოფლიო ომის წინ სირიის რიგი რაიონების სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის ელემენტები სჭარბობდა. ერთ-ერთი ბურჟუაზიული ავტორი იმ დროის სირიის შესახებ წერდა, რომ საშინაო ვაჭრობა აქ გაცილებით მცირე მოცულობისა იყო, ვიდრე სხვაგან, ვინაიდან ადგილობრივი გლეხები თავიანთი მოთხოვნილებების დიდ ნაწილს საკუთარ მეურნეობაში წარმოებული პროდუქტებით [100, გვ. 230] იკმაყოფილებდნენ.

ნატურალური მეურნეობის ფორმა, რომ გაბატონებული იყო, ამას რენტის, გადასახადებისა და ანაზღაურების ნატურალური ფორმის ფართო გავრცელება მოწმობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნატურალური მეურნეობა სირიაში თანდათან ირღვეოდა და სულ უფრო ფართოვდებოდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. ამის შესახებ სათანადო სურათს იძლევა საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მონაცემები. სირიას არა მარტო თავისი სასოფლო-სამეურნეო ნედლეული გაჰქონდა, არამედ კიდეც შემოჰქონდა სამრეწველო საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობა ინგლისიდან, საფრანგეთიდან და სხვა [92, გვ. 173].

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება აუარესებდა გლეხთა მდგომარეობას, ვინაიდან მემამულეები ცდილობდნენ ბაზარზე გაეტანათ რაც შეიძლება მეტი საქონელი და ამ საფუძველზე აძლიერებდნენ გლეხების ჩაგვრას. მემამულეები, გარდა მათზე

დამოკიდებული ფელაჰებისა, სულ უფრო ხშირად იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელსაც. მოჯამაგირეები შრომის ანაზღაურებას ნატურით იღებდნენ, ფართოდ გამოიყენებოდა კაბალური დაქირავებული შრომაც. მის გამოყენებაზე მიგვანიშნებს საშოვარზე გასვლის ფართო გავრცელებაც. ასე მაგალითად, ფრანგი ბურჟუაზიული ავტორი აშარი წერდა, რომ ლატაკიის პროვინციის გლეხთა დიდი რიცხვი ყოველ წელს საშოვარზე მეზობელ პროვინციებში მიდიოდა. შემოდგომაზე ისინი კილიკიაში ბამბის მოსავლის ასაღებად მიემართებოდნენ, ზამთარში კი მთელი ოჯახით ანტიოქიის ველზე ზეთის ხილის მოსაკრეფად მიდიოდნენ [114 ა. გვ. 41].

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება ხელს უწყობდა გლეხთა ფენებად დაშლას. პირველი მსოფლიო ომის წინ სირიაში სამი სახის გლეხური მეურნეობა არსებობდა: 1. ღარიბი გლეხური მეურნეობა, რომელიც 10 ჰექტარამდე მიწას მოიცავდა. ფელაჰი და მისი ოჯახი მას ამუშავებდა უღელი ხარითა და პრიმიტიული ხის კავით, სალეწით. 2. საშუალო ფელაჰის მეურნეობა, რომელსაც ჰქონდა თითქმის იმდენივე ფართობი, მაგრამ უფრო ნაყოფიერი მიწა. ამ მიწას ფელაჰი ამუშავებდა ოჯახთან ერთად პრიმიტიული ტექნიკით და ორი უღელი ხარით. მას ეხმარებოდა ორი სეზონური მუშა მოსავლის აღების დროს. 3. შეძლებული გლეხის მეურნეობა, რომლის ფართობი 50 ჰექტარამდე იყო და მას ფელაჰი 10 ხარისა და 8 დაქირავებული მუშის საშუალებით ამუშავებდა [100, გვ. 87—91].

სირიის ქურთისტანში ფეოდალური ურთიერთობის გადმონაშთების არსებობა ბევრად აფერხებდა გლეხთა დიფერენციაციას. ამიტომ სირიაში იგი ჯერ კიდევ სუსტი იყო. ახლად წარმოქმნილი შეძლებული ექსპლოატატორული ზედაფენაც უმნიშვნელო იყო.

საფრანგეთის მიერ სირიის დაპყრობის წინ ადგილობრივი ქურთი ფელაჰები უცხოური კაპიტალის და ადგილობრივი ფეოდალებისა თუ მევახშეების ორმაგი ჩაგვრის ქვეშ იმყოფებოდნენ. საფრანგეთის სამანდატო რეჟიმის დამყარებამ 1920 წლიდან კიდევ უფრო გაზარდა იმპერიალისტურ-ფეოდალური ჩაგვრა.

ფრანგთა ბატონობის თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე სირიის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აგრარული საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა იყო.

საფრანგეთის სამანდატო რეჟიმის წლებში სირიაში არაერთხელ დასმულა საკითხი რადიკალური აგრარული გარდაქმნების ჩატარების აუცილებლობაზე.

უცხოელ ინტერვენტთა განდევნის შემდეგ (1946 წ. აპრილი) სირიაში მთავრობა ხშირად იცვლებოდა. ყოველი ახალი რეჟიმი ცდილობდა გლეხთა მხარდაჭერა მოეპოვებინა. ისინი უამრავი დემაგოგიური დაპირებებით და დეკლარაციული განცხადებებით ცდილობდნენ გლეხობის დაშოშმინებას. აგრარული რეფორმის ჩატარების აუცილებლობის შესახებ იყო აღნიშნული 1950 წ. სექტემბერში მიღებული კონსტიტუციის ერთ-ერთ მუხლშიც. მაგრამ კონსერვატიულად განწყობილ მემამულურ-ფეოდალური და კლერიკალური წრეები დიდი ხნის მანძილზე ამუხრუჭებდნენ სირიის პარლამენტში ყველაზე ზომიერი აგრარული რეფორმის მიღებასაც კი. მხოლოდ 1957 წ. მარტში სირიის პარლამენტმა მიიღო კანონი სოფლად ზოგიერთი გარდაქმნის ჩატარების შესახებ. კანონი დავალიანების გამო მოიჯარე გლეხთა მიწიდან აყრას კრძალავდა. კანონი ითვალისწინებდა საიჯარო ურთიერთობის ნაწილობრივ მოწესრიგებას და სხვ. [51, გვ. 148]; მაგრამ ფეოდალების საბოტაჟის გამო ეს კანონი ბოლომდე ვერ განხორციელდა.

## თავი III

# მიწით სარგებლობა თანამედროვე ქურთისტანში

### 1. შრომამიგება (ბეგარა)

ბოლო ხანებამდე ქურთისტანის ყველა რაიონში შრომითი რენტის მნიშვნელოვანი ელემენტები არსებობდა. ამასთან, მისი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა ბეგარა იყო. მემამულეები გლეხებს ავალდებულებდნენ შეესრულებინათ სხვადასხვა სამუშაო მეურნეობაში და მშენებლობაზე.

ბეგარის ოდენობა სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა იყო. ზოგჯერ იგი უდრიდა 7 დღეს წელიწადში, ზოგჯერ 2 თვესაც აღწევდა. ამასთანავე მემამულეს უფლება ჰქონდა გლეხებისათვის სამსახური მოეთხოვა წლის ნებისმიერ დროს. რაც უფრო ძლიერი იყო ფეოდალური ურთიერთობანი, მით უფრო დიდი იყო ბეგარის ოდენობა. ქალაქის ახლოს მდებარე სოფლებში ბეგარა ან სულ აღარ არსებობდა, ანდა მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

ჰასანაბადში საბეგარო გადასახადი დაედო ჯოფთსაც, აქ იგი წელიწადში გლეხის 7 დღიანი უფასო მუშაობით განისაზღვრებოდა. აქედან 4 დღეს გლეხი თავისი სახედრით მუშაობდა. გარდა ამისა, გლეხს მემამულის ბაღში დამატებით კიდევ 2 დღე უნდა ემუშავა [127, გვ. 331]. იმ რაიონებში, სადაც მეცხოველეობა იყო განვითარებული, გლეხები ვალდებული იყვნენ მემამულის მთელი საქონელი საკვებით უზრუნველეყოთ.

სოფელ სარუკანიში (ლაჯანის რაიონში) თამბაქო მოჰყავდათ და გლეხებს შედარებით მცირე საბეგრო სამუშაოს ასრულებინებდნენ, ვინაიდან მემამულე დიდად იყო დაინტერესებული თამბაქოს მოვლა-პატრონობით.

სოფელ ფასვეში გლეხთა საბეგრო შრომის გამოყენებით მე-

მამულე თამბაქოს მთელ მოსავალს რამდენიმე ათეულ ჰექტარზე იღებდა. სხვა რაიონებში (მაგალითად, ურმიაში) მიწის მოხვნისა და თამბაქოს მოყვანისათვის გლეხს მოსავლის 1/3-ს აძლევდნენ.

ფასვეში ყველა გლეხი, რომელსაც გამწევი ძალა ჰყავდა, ვალდებული იყო მიწა უფასოდ მოეხნა, ხოლო დანარჩენ სამუშაოს დაქირავებული სასოფლო-სამეურნეო მუშები ასრულებდნენ. ამისათვის ისინი მოსავლის ნაწილს ღებულობდნენ. გარდა ამისა, გლეხები, რომლებსაც ჯოფთი ჰქონდათ, ვალდებული იყვნენ ზაფხულობით 40 დღე უფასოდ ემუშავათ მემამულის სასარგებლოდ.

სოფელ ნალოსში (შნოს ახლოს) გლეხი, რომელსაც ჯოფთი ჰქონდა, თავისი მიწის გარდა ვალდებული იყო ბეგარის სახით მემამულის კიდევ 3—5 ჰექტარი მიწა მოეხნა. ამ მიწას იგი შემდეგ დასამუშავებლად უმიწაწყლო გლეხებს აძლევდა.

გლეხი ვალდებული იყო აგრეთვე მოეხადა ბეგარა ვენახში, რომელიც თითქმის ყველა მემამულეს ჰქონდა.

ქურთისტანის მეტწილ სოფლებში, როგორც ითქვა, მემამულეს ნებისმიერ დროს შეეძლო დაეკისრებინა გლეხისათვის ბეგარა. საყეზში ყოველ ერთ ჯოფთზე გლეხს ეკისრებოდა რამდენიმე დღის უფასო მუშაობა თავისი სახედრით. გარდა ამისა, მემამულის მოთხოვნისთანავე გლეხი ბეგარის სახით ვალდებული იყო შეესრულებინა ესა თუ ის სასოფლო-სამეურნეო სამუშაო. საბეგრო სამუშაოთა დროს გლეხებს აძლევდნენ მხოლოდ საჭმელს, მათ სხვა ანაზღაურება არ ჰქონდათ [127, გვ. 331].

ზოგიერთ ადგილას, მაგალითად, მეჰაბადსა და სულდუზში, გავრცელებული იყო ბეგარის ისეთი ფორმა, რომელსაც „ბანდავანი“ ეწოდება. სოფ. ხალიფალიანში (სულდუზის რაიონი) ჯოფთის ყოველი ოჯახი ვალდებული იყო მემამულე უზრუნველეყო ერთი კაცით — „ბანდავან“, რომელიც მასთან 4 თვის მანძილზე (მარტი — ივნისი) იმუშავებდა. ბანდავანი, რომელიც მემამულისათვის სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა (არხების გაწმენდა, სახლების მშენებლობა, მემამულის კუთვნილ ნაგებობათა შეკეთება და ა. შ.) გლეხი საშუალოდ კიდევ 880 კგ ხორბალს უხდიდა. 60-იანი წლების შუახანებში ასეთი ბანდავანების რაოდენობა სოფ. კუნკალაში 60-80 კაცს აღწევდა. ის გლეხები, რომლებიც სეიქბარის პირობებში მუშაობდნენ, ვალდებული არ იყვნენ, რომ მემამულესათვის ბანდავანები მიეწოდებინათ.

ჩამოთვლილ ადგილებში ბანდავანის გარდა, ბეგარის სხვა სახეებიც არსებობდა. იქ, სადაც მესაქონლეობა იყო განვითარებული

(მომთაბარე ტომებში), ბეგარა ან სულ არ არსებობდა ანდა იგი მხოლოდ წვრილ სამუშაოთა შესრულებას ითვალისწინებდა. ასე, მაგალითად, დაშთაბელის რაიონში ბეგარა სრულებით არ არსებობდა, ხოლო მანგურის მომთაბარე ტომებით დასახლებულ რაიონში (მეჰაბადი), მესაქონლე მწყემსი ვალდებული არ იყო ბეგარაზე უფასოდ გასულიყო.

ძალიან ხშირად გლეხებს აიძულებდნენ ბეგარით ემუშავათ მემამულის, ანდა სახელმწიფოს კუთვნილ სხვადასხვა მშენებლობაზე. ათასობით გლეხი მონაწილეობდა ქურთისტანში სახელმწიფო გზების მშენებლობაზე. უკანასკნელ წლებში გაიზარდა მანქანის მფლობელთა რიცხვი მემამულეთა შორის. ისინი ქურთ გლეხებს აიძულებდნენ გაეყვანათ სპეციალური შარაგზები. მაგალითად, ფასვეში (ლაჯანის რაიონი) მათ გაიყვანეს 18 კმ, ხოლო ნალოსში (შნოს რაიონი) 15 კმ სიგრძის გზა მემამულეთა ავტომანქანებისათვის;

ქალაქებში მცხოვრებ მსხვილ მიწათმფლობელთა სახლები მხოლოდ და მხოლოდ საბეგრო შრომით არის აშენებული. რეფორმამდელი ირანის ქურთისტანში ბეგარის შემდეგი სახეები იყო გავრცელებული:

1. გზების, სახლებისა და სხვათა მშენებლობა მემამულეებისა და სახელმწიფოსათვის;

2. არხების გასუფთავება და სარწყავ სისტემასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოთა შესრულება;

3. მოსავლიდან მემამულის კუთვნილი ნაწილის გადაზიდვა, თუ იგი ამას მოითხოვდა;

4. მემამულის იმ მიწის ნაკვეთების მოხვნა, რომელსაც თვითონ გლეხი არ ამუშავებდა;

5. საკვების (თივა, ჩალა) დამზადება მემამულის საქონლისათვის;

6. ხორბლის აღება 1 ჰექტარ მიწაზე.

7. ჯოფთის ყოველი მფლობელის მიერ მემამულის უზრუნველყოფა „ბანდავანით", რომელიც მუშაობდა მის სასარგებლოდ 3—4 თვეს;

8. მემამულის უზრუნველყოფა ერთი სახედრით, თუ მას რაიმეს გადატანა სურდა;

9. მემამულის უზრუნველყოფა ცხენით, თუ გლეხს იგი ჰყადა:

10. ზამთრისათვის სათბობის (ხე-ტყე, ნაკელი) დამზადება და გადატანა მემამულის სახლში.

საბეგრო სამუშაოების ეს გრძელი სია იმის მაჩვენებელია, რომ ბეგარა ფართოდ იყო გავრცელებული ქურთისტანში. იგი წარმოადგენდა ფეოდალურ ურთიერთობათა ყველაზე არსებით გადმონაშთს და მნიშვნელოვნად ამუხრუჭებდა ქურთისტანის სოფლის შემდგომ ეკონომიურ განვითარებას.

აღწერილი პირობები ხელს უწყობდა მოსავლის დაბალი დონის შენარჩუნებას, გლეხთა სრულ დამოკიდებულებას მემამულეებზე და არსებულ აგრარულ ურთიერთობათა კონსერვაციას. ყოველივე ეს ანელებდა აგრეთვე გლეხთა ფენებად დაშლის პროცესს. მიუხედავად მკაცრი ექსპლოატაციისა, თვით ბეგარის არსებობა აფერხებდა კლასობრივი ბრძოლის განვითარებას სოფლად. გლეხები ვალდებული იყვნენ მემამულის სასარგებლოდ ფულით ანდა ნატურით გაეღოთ შემდეგი დამატებითი გამოსაღებები: 10 რიალი, ანდა განსაზღვრული რაოდენობის ცხიმი, ერთ ცხვარზე ან თხაზე („მარანა"); 5—10 ქათამი წელიწადში („ფრიუჯანა"); კვერცხის გარკვეული რაოდენობა („ჰელქანე"); სეზონის მიხედვით: 200—500 ნაკელის ბრიკეტი გასათბობად („თაპალანე"); 2—16 კგ. კარაქი („როჩანე"). მესაქონლეთა სოფლებში იღებდნენ აგრეთვე ყველს, მატყლს და ა. შ. გადასახადი ბოჭკოსათვის („გურიზანე"), რომელიც დაახლოებით 50 რიალს შეადგენდა, მემამულის ან მისი აგენტის სტუმრების მიღება-გამასპინძლებისათვის (რაც ქურთისტანში ხშირად ხდებოდა) ფულადი ან ნატურით გამოსაღები („მივანანე"). რამაზანისა და ყურბანის — რელიგიური დღესასწაულების დროს მემამულისათვის სპეციალურად მისართმევი ძღვენი („ჯეზნანე). გლეხს თავისი ოჯახის წევრების (ვაჟი, ქალიშვილი, ძმა ან და) დაქორწინების უფლება რომ მიეღო, მემამულისათვის უნდა მიერთმია ფასიანი საჩუქარი („სურანე"). მესაქონლეთა საჩუქარი შეიძლება ყოფილიყო ცხვრის ხორცი ან ქონი, ხოლო ზოგჯერ ცხენიც.

ინგლისელი ქურთოლოგის ს. ედმონსის მოწმობით, ანალოგიური ვალდებულებანი ეკისრებოდა ერაყელ ქურთ გლეხებს [124 ა, გვ. 224].

უკანასკნელ წლებში დაიწყეს ფულის ჩუქებაც. მაგალითად, ახტაჩის რაიონში (მიანდოაბის ახლოს) „სურანე"-ს რაოდენობა 5000 რიალს აღწევდა. საერთოდ, ეს თანხა დამოკიდებული იყო გლეხის შესაძლებლობაზე. წესის დარღვევისათვის გლეხი მემამულეს ჯარიმას უხდიდა. ჯარიმის სისტემა ერთი და იგივე იყო ქურთისტანის ყველა რაიონისათვის. ზოგჯერ გლეხის კარ-მიდამოს აპარტახებდნენ მემამულისათვის გაწეული მცირედი წინააღმდეგობისა და

ურჩობისათვის. თუ გარდაცვლილ გლეხს მემკვიდრეები არა ჰყავდა, მისი ქონება მემამულის კუთვნილება ხდებოდა. ზოგჯერ კანონიერი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში მემამულე ქონების ნაწილს ითვისებდა. თუ გლეხი ბეგარას არ ასრულებდა, იგი ვალდებული იყო მის სანაცვლოდ „ბეგარანა" გადაეხადა. მაგრამ ხშირად გლეხს ახდევინებდნენ „ბეგარანას" საბეგრო სამუშაოების შესრულების შემდეგაც. მემამულის გარდა, გლეხს ეკისრებოდა გარკვეული ვალდებულებანი სასოფლო თემის სხვა წევრების მიმართაც [124, გვ. 153].

ზემოჩამოთვლილ გამოსაღებთა გარდა, გლეხი უხდიდა გადასახადს სასულიერო წინამძღოლებსა და დამრიგებლებს. მაგალითად, მოლა ღებულობდა ჯოფთის ყოველი მფლობელისაგან 160—240 კგ ხორბალს და 50—80 კგ იმისაგან, ვინც ჯოფთს არ ფლობდა. თუ მოლა სოფლის მეურნეობას მისდევდა, მას გამოუყოფდნენ მიწის ნაკვეთს, რომელშიც ის არაფერს იხდიდა და ამუშავებინებდა გლეხს თავისი იარაღით.

რამაზანის დღესასწაულის დროს მოლა თითოეულ სულზე ღებულობდა აგრეთვე სპეციალურ გადასახადს — „ზაქათს", „სარფიტრას". ეს გადასახადი ჯოფთის მფლობელზე შეადგენდა 3 კგ ხორბალს, ხოლო დანარჩენ გლეხებზე — 10 რიალს. ყოველი მეურნეობა უხდიდა მას 15-დან 60 კგ-მდე ხორბალს. თუ ყურბანის დღესასწაულის დროს დაკლავდნენ ცხვარს, მისი ტყავი მოლასათვის უნდა ებოძებინათ.

სექტების მიმდევრებს (დერვიშებსა და მიურიდებს) ყოველწლიურად თავიანთ შეიხისათვის უნდა მიერთმიათ საჩუქარი, რომლის ღირებულება დამოკიდებული იყო გლეხის შესაძლებლობაზე. ქურთისტანის თითქმის ყველა სოფელში არის მეჩეთი და მისი შენახვაც გლეხებს ეკისრებოდა. უპირველეს ყოვლისა, ისინი უხდიდნენ მეჩეთის პატრონს „მჯავირს"[1]. ჯოფთის მფლობელები, თავიანთი შესაძლებლობის შესაბამისად, იხდიდნენ 16-დან 30 კგ-მდე ხორბალს წელიწადში. დღესასწაულის დროს მეჩეთში იკრიბებოდნენ მამაკაცები და მათი გამასპინძლება გლეხების ხარჯზე ხდებოდა.

მეჩეთის, შენახვაში შედიოდა აგრეთვე მოსწავლეთა სწავლე-

---

[1] დღესასწაულებისა და დასვენების დღეებში (პარასკეობით) „მჯავირი" ჩამოუვლიდა ხოლმე ყველა სახლს, და მას სადილს მიართმევდნენ. რადგანაც ოჯახის ყველა წევრი თავის საჭმლის ნაწილს დებდა მჯავირის თეფშში, მისი სადილი სხვადასხვა კერძის ნარევისაგან შედგებოდა. ერთ-ერთ ქურთულ ანდაზაში ნათქვამია: „მჯავირის საჭმელი საერთო არეულობის სიმბოლოაო".

ბა თეოლოგიაში. ასეთ მოსწავლეებს „ფაკუეს“ უწოდებდნენ. მეჩეთების უმრავლესობას სულ 5-დან 10-მდე ფაკუე ჰყავდა. მათ მოლა ასწავლიდათ. მოლები კი, როგორც აღვნიშნეთ, გლეხების ხარჯზე ცხოვრობდნენ.

გლეხებს სხვა ვალდებულებანიც ეკისრებოდათ: მათ უნდა გადაეხადათ 80-დან 320 კგ-მდე ხორბალი ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლისათვის — დეჰბანისათვის, რომელიც მემამულის განკარგულებაში იმყოფებოდა. ფაქტიურად კი ამ გადასახადს მემამულე იღებდა. ხოლო დეჰბანს, როგორც თავის ერთ-ერთ მსახურს, გარკვეულ გასამრჯელოს აძლევდა.

გლეხები ვალდებული იყვნენ ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლისათვის („ქევხა“) 50—160 კგ ხორბალი მიეცათ. ქევხას მემამულე ნიშნავდა და ფაქტიურად იგი მისი ძალაუფლების განხორციელების იარაღს წარმოადგენდა. საერთოდ „ქევხების“ უფლება-მოვალეობა ქურთისტანის სხვადასხვა რაიონში სხვადასხვაგვარი იყო.

გლეხი ერთიდან ხუთ ფუთამდე ხორბალს აძლევდა გზირს („კოხილ“), რომელიც პასუხისმგებელი იყო ტრადიციებისა და წესების დაცვისათვის, სარწყავი არხების გასუფთავებისა და სხვა კოლექტიური სამუშაოებისათვის. კოხილი მემამულის მიერ გლეხების მეთვალყურედ დანიშნულ პირს წარმოადგენდა.

20 კგ ხორბალი მიჰქონდა სარქარს, რომელიც კონტროლს უწევდა მოსავლის აღებას და მის გაყოფას. იმ რაიონში, სადაც სარქარი არ იყო, მის მოვალეობას ქევხა ასრულებდა. მაგრამ იგი არ იღებდა არავითარ დამატებით გასამრჯელოს. იქ, სადაც სარქარის კანტორა არსებობდა, მემამულე იღებდა 20 კგ-ს იმის განურჩევლად თუ ვინ ასრულებდა სარქარის ფუნქციას — ქევხა თუ სხვა ვინმე.

თითოეულ სულ პირუტყვზე 6 კგ ხორბალი ეძლეოდა „გავანს“, რომელიც მსხვილფეხა საქონელს მკურნალობდა და 8 კგ „შუვანს“— თხებისა და ცხვრების მკურნალობისათვის [124, გვ. 154].

ჩამოთვლილი გადასახადები და გამოსაღებები ქურთისტანში სხვადასხვა ტრადიციებიდან და წეს-ჩვეულებებიდან მომდინარეობს. მათი უმრავლესობა მთელი ქვეყნისათვის საერთო იყო, ხოლო ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ცალკეული რაიონისათვის იყო დამახასიათებელი, გადასახადის ტვირთი მით უფრო მძიმდებოდა, რაც უფრო ძლიერად იყო შემორჩენილი ფეოდალური ურთიერთობანი (მაგალითად ლაჯანის რაიონში). ეს გადასახადები ნაწილობრივ შეზღუდულ სახეს ატარებდა იმ რაიონებში, სადაც ფეოდალური ურ-

ღიერთობანი შედარებით შესუსტებული იყო, აგრეთვე იქ, სადაც უკვე შეაღწია კაპიტალისტური აგრარული ურთიერთობის ელემენტებმა. საერთოდ კი ეს გადასახადები ქურთისტანის აგრარული სისტემის არსებით ნიშანთვისებას წარმოადგენდა.

ქურთისტანში ჯერ კიდევ არსებობს აგრარულ წყობაში გაბატონებული ფეოდალური წესებიდან გამომდინარე სხვა ჩვეულებანიც: ერთი ქურთული ანდაზა ამბობს: „თუ მემამულეს ერთი სოფელი აქვს, მაშინ ყმა გლეხს ასი აქვსო"; ეს ანდაზა იმას გულისხმობს, რომ გლეხებს საზოგადოდ უფლება ჰქონდათ თავისუფლად გადასულიყვნენ ერთი სოფლიდან მეორეში. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ასეთი გამოთქმა „კარგი მოსახლე" — „ხოშნეშინ", რაც იმას ნიშნავს, რომ გლეხს შეუძლია იპოვოს კარგი ადგილი და იქ დასახლდეს, მაგრამ ეს გამოთქმა[2], ისევე როგორც ზემოთ მოყვანილი ანდაზა, უფრო გლეხების სურვილის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ, ვიდრე ობიექტურ რეალობას.

რაც შეეხება გლეხთა თავისუფალ გადაადგილებას, ეს საქმე არც თუ ისე უბრალოდ გამოიყურება. რა უშლიდა ხელს მათ დაეტოვებინათ მშობლიური სოფელი? იმ ადგილებში, სადაც ტომობრივი ურთიერთობანი ძლიერი იყო, ეს პირველ ყოვლისა, იყო პასუხისმგებლობის ის გრძნობა, რომელსაც განიცდიდა გლეხი თავისი ტომისადმი. გარდა ამისა, ძალზე იშვიათი იყო, შემთხვევა, რომ გლეხს დაეტოვებინა სოფელი, სადაც საუკუნეების მანძილზე მისი წინაპრები ცხოვრობდნენ.

არსებობს სხვა ეკონომიური ფაქტორებიც: გლეხებს, რომლებიც ოდითგანვე ერთ სოფელში ცხოვრობდნენ, უფლება ჰქონდათ დაემუშავებინათ მიწა, ესარგებლათ მათ მიერ დარგული ხეებით, ხილის ბაღებით, ვენახებით, თუ გლეხი სოფელს მიატოვებდა, ის ყველა ამ უფლებას დაკარგავდა და მეტად საეჭვოა, რომ მას სადმე შეეძინა იგი.

// ბევრ შემთხვევაში გლეხები მემამულეს ვერ უხდიდნენ აღებულ ვალს და იძულებული იყვნენ დარჩენილიყვნენ სოფელში, ხოლო მემამულე, სარგებლობდა რა ამით, კიდევ უფრო აძლიერებდა გლეხის ჩაგვრას. /

---

2 ა. შამილოვს მიაჩნია, რომ ამ გამოთქმას აქვს სხვა მნიშვნელობა — „არ ცხოვრობდე კარგად" (წარმოშობილი სიტყვიდან „ეინ" — „სიცოცხლე") თუმცა ასეთი ახსნა არასწორია, იგი მაინც უფრო შეეფერება არსებულ სინამდვილეს [იხ. 113, გვ. 39].

არსებობდა არაეკონომიური ფაქტორებიც. სახელმწიფოს, მემამულისა და ჟანდარმერიის მხრივ შევიწროებული გლეხის უფლებები მეტად შეზღუდული იყო, ეს კი აძლიერებდა მის დამოკიდებულებას იმ მიწის ნაკვეთზე, რომელსაც იგი ამუშავებდა.

გლეხებისათვის გადასახლება ყველაზე ხელსაყრელი გაზაფხულზე (აპრილში) იყო, რადგანაც ამ დროისათვის მას უკვე გამოლეული ჰქონდა საკვების მარაგი და საშუალება ეძლეოდა ეშოვა იგი სხვა ადგილას. მემამულისათვის კი ხელსაყრელი იყო, რომ გლეხი წასულიყო შემოდგომით (ნოემბერში), რადგან ამ შემთხვევაში გლეხის საკვებისა და სათბობის მთელი მარაგი მას დარჩებოდა. ვინაიდან გლეხს ამ დროისათვის არ შეეძლო მარაგი შეექმნა, იგი იძულებული იყო მემამულის ყველა პირობას დასთანხმებოდა.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ გლეხი უფრო ხშირად გაზაფხულზე ტოვებდა სოფელს. ამას იგი აკეთებდა მალულად, ღამით. იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ გლეხის გაპარვისათვის, მემამულეებს აჰყავდათ გუშაგები, რომლებიც იცავდნენ სოფელს გაზაფხულის დღეებში[3].

ყველა ეს შეზღუდვა, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას ახდენდა ქურთული სოფლის განვითარებასა და პროგრესზე. ამის შედეგად ქურთისტანში მუშა-ხელის თავისუფალი გადაადგილების პროცენტი ძალზე დაბალი იყო.

ფეოდალური ურთიერთობანი ამუხრუჭებდა ვაჭრობის განვითარებას. მეტწილ ქურთულ სოფლებში არავის ჰქონდა უფლება მემამულის ნებართვის გარეშე ხელი მოეკიდა ვაჭრობისათვის, გარდა ამისა, ხილის ვაჭარს ეკრძალებოდა შესულიყო სოფელში, თუ თვით მემამულეს ბაღები ჰქონდა.

სხვა ადგილებში, მაგალითად ფასვეში (ლაჯანის რაიონი), გლეხს უფლება არა ჰქონდა გაეყიდა ქათამი ან კვერცხიც კი, რამდენადაც მემამულე მათ თავის საკუთრებად მიიჩნევდა. თუ სოფელში სავაჭრო დუქანი იყო, მემამულე, როგორც ითქვა, მას მეტად მაღალ რენტას ადებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მედუქნისათვის აქ ვაჭრობა მეტად სარფიანი იყო, რადგანაც იგი ერთადერთი კაცი იყო სოფელში, რომელსაც ვაჭრობის უფლება ჰქონდა. ყველა

---

3 როგორც აღნიშნული იყო, მემამულეები გლეხების წინააღმდეგ საერთო ზომებს იღებდნენ: თუ გლეხი თავის სოფელს მიატოვებდა, მას უფლება აღარ ჰქონდა დასახლებულიყო რომელიმე მეზობელ სოფელში, თუნდაც იგი სხვა მემამულის მფლობელობაში ყოფილიყო.

ეს წესი ზღუდავდა და აფერხებდა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ისინი განსაკუთრებით ხელს უწყობდნენ ქურთისტანის სასოფლო რაიონებში კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეღწევას.

ხშირად ქურთი გლეხის ქალიშვილის გათხოვება მემამულის სურვილზე იყო დამოკიდებული. თუ გლეხს სურდა ქალიშვილი გაეთხოვებინა სხვა სოფლელ მამაკაცზე, მემამულეს უფლება ჰქონდა თანხმობა არ მიეცა მისთვის, ანდა მოეთხოვა ისეთი დიდი ფულადი თანხა, რომ მამაკაცის ნათესავები იძულებული გაეხადა უარი ეთქვა საპატარძლოზე, რადგანაც მისი გადახდა მათ არ შეეძლოთ. ასეთ შემთხვევაში ქორწინება იშლებოდა.

## 2. ნატურალური და ფულადი რენტა

/ როგორც აღვნიშნეთ, ქურთისტანში მიწების დიდი ნაწილი (80%) მსხვილ მიწათმფლობელებს ეკუთვნოდათ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობაში მსხვილი მემამულური წარმოება იყო განვითარებული; აქ ჯერ კიდევ სჭარბობდა ფეოდალური და ტომობრივი ურთიერთობანი, მთელი წარმოება დაფუძნებული იყო უმთავრესად წვრილმასშტაბურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალება — მიწა ეკუთვნოდა მემამულეს, რომელიც მას პირადად არ ამუშავებდა. ეს იმ დროს, როდესაც გლეხებს, რომლებიც მას ამუშავებდნენ, მიწები არ გააჩნდათ. /

გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის ანალიზი ცხადად მეტყველებს იმ მკვეთრი სოციალური უთანასწორობის შესახებ, რაც ქურთისტანის სოფლის მოსახლეობაში არსებობდა. სოფლის მოსახლეობის 1% ფლობდა მთელი ეროვნული შემოსავლის 44%-ს, მაშინ, როდესაც მოსახლეობის 87%, თავისი შემოსავლით ვერ უზრუნველყოფდა ყოველდღიური ცხოვრების ელემენტარულ საჭიროებებს. მსხვილი მემამულის ოჯახის საშუალო შემოსავალი (5.600 დოლარი) 300-ჯერ აღემატებოდა სასოფლო-სამეურნეო მუშის ან მწყემსის შემოსავალს (15 დოლარს).

მსხვილ მემამულეს იჯარით გაცემულ მიწაზე მაღალი რენტის მიღების გარდა, არაფერი აინტერესებდა. ვინაიდან მეტწილ შემთხვევებში იგი სოფლად არ ცხოვრობდა, მას არ აინტერესებდა წარმოების მდგომარეობა. იქ, სადაც იჯარით გაცემული მიწების დიდი ნაწილი მუშავდებოდა, გლეხებს თვითონ უხდებოდათ მთელი ინვენტარის და გამწევი ძალის შეძენა.

მემამულეს რენტას უხდიდნენ ნატურით. ბოლო დრომდე ქურთულ სოფელში ნატურით რენტა გლეხთა ჩაგვრის ძირითად ფორმას წარმოადგენდა. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, აქ გავრცელებულია შრომითი რენტაც, მაგრამ ქურთისტანში იგი არ ღებულობს კლასიკურ ფორმას, ე. ი. ისეთს, როდესაც გლეხი კვირის ერთ ნაწილს საკუთარი მიწის ნაკვეთზე მუშაობდა, ხოლო დანარჩენ დროს ფეოდალის მამულში.

რეფორმამდე ნატურით რენტის არსებული ფორმა შეესატყვისებოდა ქურთისტანში არსებულ აგრარულ ურთიერთობას და ამავე დროს იგი წარმოების ფეოდალური ურთიერთობიდან კაპიტალისტურში გადასვლის პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი.

„ეს რენტა პროდუქტებით მისი წმინდა სახით, — თუმცა მას გადმონაშთის სახით შეუძლია განაგრძოს არსებობა უფრო განვითარებულ წარმოების წესსა და წარმოებით ურთიერთობაშიც, — უწინდებურად ნატურალურ მეურნეობას გულისხმობს...“ [I, ტ. 3, ნაწ. II, წიგ, 3, გვ. 416].

ქურთისტანში გლეხს ეკისრებოდა მძიმე ვალდებულებანი შრომითი რენტის სახით, რომელიც მას საშუალებას არ აძლევდა თავისთვის გამოეყენებინა ზედმეტი შრომა. ნატურით რენტის არსებობა გლეხის შრომის ნაყოფიერებასთან ერთად აფერხებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდას. იგი ხელს უწყობდა გლეხთა სიღატაკისა და ცხოვრების დაბალი დონის შენარჩუნებას. ერთდროულად იგი ხელს უშლიდა შინაგანი ბაზრისა და საწარმოო ძალების განვითარებასაც.

რეფორმამდელ ქურთისტანში ფულადი რენტა ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო ფეხმოკიდებული (ზოგიერთი რაიონის გამოკლებით), მან განსაკუთრებით გავრცელება ჰპოვა იქ, სადაც ტექნიკური კულტურების მოყვანას მისდევდნენ (თამბაქო, შაქრის ჭარხალი)[4].

ირანის ქურთისტანში ნატურით რენტა მოსავლის გაყოფის სისტემით ხორციელდებოდა.

მემამულე ანდა მისი აგენტი მიწას იჯარით აძლევდა ჯოფთის,

---

4 თურქეთის ქურთისტანში ქურთისტანის სხვა ნაწილებთან შედარებით, კაპიტალისტური ურთიერთობა უფრო მეტად იყო განვითარებული. ფულადმა რენტამ და კაპიტალისტური მიწის რენტამ აქ ფართო გავრცელება ჰპოვა. ამის შედეგად შრომითი რენტა შეზღუდული სახით არსებობდა. მიწის რენტის ფორმები ერაყის ქურთისტანში თითქმის იმის შესატყვისია, რაც ირანის ქურთისტანში. რეფორმამდე ქურთისტანში მიწის რენტის ძირითად ფორმას წარმოადგენდა რენტა ნატურით, რომელიც მოსავლის გაყოფის სისტემას ემყარებოდა.

ან ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად, ქურთისტანში, საშუალოდ 3—5 ჰექტარი მიწა გაიცემოდა ერთ ჯოფთზე. ირანის ქურთისტანის სამხრეთ რაიონებში ერთ ჯოფთზე გაცემულ მიწას იყენებდნენ 9—15 კვარტი ხორბლის მოსაყვანად [127, გვ. 368], ამიტომ ასეთი ნაკვეთი აქ შეიძლება 10 ჰექტარამდე აღწევდეს. ირანის ქურთისტანის ჩრდილო და სამხრეთ რაიონებში ურწყავი მიწა („დეიმი") იჯარით არ გაიცემოდა. ეს მიწები მთის კალთებზე მდებარეობდა, ძნელი დასამუშავებელი იყო და კარგ მოსავალს არ იძლეოდა, ამიტომ მოიჯარე ამ მიწების მიღებით დაინტერესებული არ იყო. თითოეული მოიჯარეს, რომელიც მიწას ფლობდა, ჰქონდა უფლება დაემუშავებინა იგი, ამ უფლებას მემკვიდრეობით გადასცემდა. ზოგჯერ ერთი და იგივე ოჯახი ამ უფლებას რამდენიმე თაობის მანძილზე[5] ინარჩუნებდა. მოიჯარე გლეხს უფლებები შეიძლება ორ შემთხვევაში ჩამორთმეოდა: 1. თუ არ ეყოლებოდა გამწევი ძალა; 2. თუ მეორე პირი შესთავაზებდა მემამულეს მიწის დამუშავებას უფრო ხელსაყრელ პირობებში. მაგალითად, თუ მოიჯარეს ჰყავდა უფრო მეტი გამწევი ძალა და დიდი ოჯახი, სადაც იყვნენ მამაკაცები, რომლებსაც შეეძლოთ უფრო ინტენსიურად დაემუშავებინათ მიწა. საერთოდ კი იჯარით გაცემული მიწებიდან ყველაზე უფრო ნაყოფიერს შეძლებული გლეხები ღებულობდნენ.

სოფლის მიდამოებში მდებარე მიწებს საქონლის ნაკელით ანოყიერებდნენ და მათზე უკეთეს მოსავალს ღებულობდნენ. ამ მიწებს მემამულე, ანდა მისი აგენტი, სასოფლო-სამეურნეო მუშების საშუალებით ამუშავებდნენ. ბოლო ხანებში მიანდოაბისა და ქერმანშაჰის რაიონებში მემამულეები შეუდგნენ მიწების ტრაქტორებით დამუშავებას, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო მუშები მართავდნენ. ამის გამო ბევრი მოიჯარე იძულებული გახდა სხვა სოფლებსა და ქალაქებში წასულიყო.

ირანის ქურთისტანში მიწის ნაკვეთთან ერთად იჯარით გაიცემოდა ის შენობაც, რომელიც ამ ნაკვეთზე იდგა. ამიტომ მოიჯარე გლეხი, რომელიც უფლებას დაკარგავდა მიწის დამუშავებაზე, იმავე დროს კარგავდა უფლებას ეცხოვრა ამ მიწაზე აშენებულ სახლში.

---

5 მოიჯარის გარდაცვალების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავდა ვაჟი, ქალიშვილი ვერ მიიღებდა უფლებას მიწის იჯარით დამუშავებაზე. მაგრამ იქ, სადაც გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობა ჯერ კიდევ შემორჩენილია, მიწა რჩება ოჯახს, გვარს და ქალიშვილის მეუღლეს, ანუ გარდაცვლილის სიძე ღებულობს უფლებას დაამუშაოს სიმამრის მიერ იჯარით აღებული მიწა.

მოიჯარეს ხელახლა რომ დაეკავებინა იგი, ახალი საიჯარო გადასახადი უნდა გადაეხადა. მემამულე გლეხს სიტყვიერად უთანხმდებოდა მიწის დამუშავების თაობაზე.

ქურთისტანში მოსავლის გაყოფის არსებულ სისტემაზე რამდენიმე ფაქტორი (ელემენტი) მოქმედებდა. ამათაგან მთავარი იყო: მიწა, წყალი, გამწევი ძალა, თესლი და შრომა. მოსავალი იყოფოდა ხუთ ნაწილად და ყოველი მხარე ღებულობდა თავის კუთვნილს.

ცხადია, რომ მიწა წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად საშუალებას (ელემენტს), ასევე მნიშვნელოვანი ელემენტი იყო წყალიც, რომლის გარეშე ხშირ შემთხვევაში ქურთისტანში მოსავლის მიღება შეუძლებელია. შრომა მოიჯარის მუდმივი ატრიბუტი იყო. რაც შეეხება გამწევ ძალას და ინვენტარს, ღარიბ-ღატაკი გლეხისათვის, თუ ისინი მას გააჩნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საკუთარ სამუშაო ძალასთან ერთად მის ძირითად საკუთრებას შეადგენდა.

ქურთისტანში თესლს ასეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხშირად იგი დასახელებული ელემენტების ტოლფასოვანი იყო, ხოლო ზოგჯერ სხვა ელემენტებზე უფრო მეტად ფასობდა.

ქურთისტანის სხვადასხვა რაიონში მოსავლის განაწილების სხვადასხვა წესი არსებობდა. ირანის ქურთისტანში მოსავლის გაყოფის შემდეგი ფორმები იყო გავრცელებული:

1. „ნივაკარა" (სანახევრო). ამ შემთხვევაში მემამულე იჯარით გასცემდა სარწყავ მიწებს და ამასთან ერთად თესლსაც იძლეოდა. მიწის დამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა სამუშაოს მოიჯარე გლეხი ასრულებდა. მოსავლის განაწილების დროს მიღებული ხუთელემენტიანი პრინციპის თანახმად მოსავლის 3/5, ე. ი. მიწის, წყლისა და თესლის წილი მემამულეს უნდა წაეღო, ხოლო დანარჩენი 2/5 (შრომისა და გამწევი ძალის) გლეხს დარჩებოდა. მაგრამ გარკვეულ სიტუაციაში ეს წესი იცვლებოდა. მაგალითად, სოფელ სარუქამში (ლაჯანის რაიონი) მემამულე წინასწარ მოსავლის 20%-ს იღებდა, ხოლო დანარჩენ ნაწილს ის და მოიჯარე თანაბრად იყოფდნენ. სოფელ ფასვეში კი, რომელიც სოფ. სარუქამიდან 10 კმ დაშორებით მდებარეობს, მემამულე მხოლოდ თესლის ნახევარს იძლეოდა, მაგრამ ასევე მოსავლის ნახევარს იღებდა, 20 %-ის დაქვითვის შემდეგ. ეს განსხვავება ერთი მხრივ, იმით იყო გამოწვეული, რომ მიწა სოფ. ფასვეში უფრო ნაყოფიერი იყო და მეორე მხრივ, აქ მიწები ეკუთვნოდა ძლიერ ფეოდალს — მამაშის ტომის ბელადს.

სენეს რაიონში მემამულე მოსავლის ნახევარს იღებდა. ურმიაში, სადაც მემამულე აწვდიდა მოიჯარეს დასათესი მარცვლის ნახე-

ვარს, მოსავალი იყოფოდა ორ თანაბარ ნაწილად. „ნივაკარა“ უმთავრესად იქ იყო გავრცელებული, სადაც მიწები შედარებით ნაყოფიერი იყო და ირწყვებოდა [124, გვ. 136].

2. „სეიქბარი“ (სამესამედო) მემამულე იძლეოდა მიწას, წყალს, თესლსა და უღელ ხარს (ჯოფთს), მოიჯარისა კი მხოლოდ შრომა იყო. მოსავალი სამ ნაწილად იყოფოდა, აქედან 2/3 მემამულეს მიჰქონდა, ხოლო 1/3 — მოიჯარეს რჩებოდა. მოსავლის განაწილების ასეთი მეთოდი ყველაზე მეტად სულდუზის რაიონში იყო გავრცელებული. მოიჯარე გლეხს არ გააჩნდა საკუთრება და მემამულის მიწაზე თავისი ოჯახის წევრებთან ერთად მუშაობდა. „სეიქბარის“ პრინციპი გავრცელებული იყო ქურთისტანის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ მას იშვიათად იყენებდნენ იმ რაიონებში, სადაც გლეხების უმრავლესობას გამწევი ძალა ჰყავდა. ამ პრინციპის გამოყენება იმით განისაზღვრებოდა, თუ რამდენად ხელსაყრელი იყო იგი მემამულისათვის. მას იშვიათად მიმართავდნენ მსხვილი მიწათმფლობელების მამულებში, რენტის ეს ფორმა ყოველთვის არსებობს სხვა ფორმების გვერდით ერთსა და იმავე სოფლებშიც კი.

3. „სექუთ“ (მოიჯარე ღებულობს მოსავლის 2/3-ს). ამ შემთხვევაში მემამულე იძლეოდა მიწას და წყალს, ხოლო სამაგიეროდ მიჰქონდა მოსავლის 1/3; მაგალითად, ასე იყო სალმასის რაიონის სოფ. ზინდაშთში [119, გვ. 81]. მეჰაბადის რაიონში მემაულე ზოგჯერ 1/3-ის ნაცვლად მოსავლის 30%-ს ღებულობდა[6]. სექუთს იყენებდნენ აგრეთვე სულდუზის რაიონშიც, სადაც მიწა ყარაფაფახების ტომს ეკუთვნოდა. მემამულის წილის შემცირება გამოწვეული იყო ტომობრივი ურთიერთობის არსებობით. ტომის წევრები ჯერ კიდევ საკმაოდ ინარჩუნებდნენ თავიანთ ძალას. ეს განპირობებული იყო აგრეთვე სოლიდარობის ძლიერი გრძნობით, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა ყარაფაფახების ტომის წევრებს შორის[7].

მოსავლის გაყოფის ასეთი წესი ფართოდ იყო გავრცელებული ირანის ქურთისტანის ჩრდილო რაიონებში. თანახმად 5 ელემენტიანი პრინციპისა, მემამულეს უნდა მიეღო მოსავლის 2/5 ანუ 6/15,

---

6 ურწყავ მიწებზე („დეიმ“) მემამულე ღებულობდა 1/3-ს, გლეხი — 2/3-ს, ხოლო სარწყავ მიწებზე შესაბამისად 2/5 (წყლის და მიწის) და 3/5 (თესლის, გამწევი ძალის სანაცვლოდ და ა. შ.)

7 სუნიზმის მიმდევარ ქურთულ ტომთა შორის ყარაფაფახები ერთადერთი ტომია, რომელიც მისდევს ისლამის შიიტურ მიმდინარეობას და ლაპარაკობს აზერბაიჯანულ ენაზე.

ვინაიდან იგი იძლეოდა მიწას და წყალს, და არა 1/3 ანუ 5/15. ფაქტიურად იგი ღებულობდა 1/15 ნაკლებს, ეს უმთავრესად მუშახელის ნაკლებობით იყო გამოწვეული. ჩრდილო ქურთისტანის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მეცხოველეობა შეადგენდა და მხოლოდ მათი უმნიშვნელო ნაწილი მისდევდა მიწათმოქმედებას[8].

4. „დავუდუ“ — ამ წესით საიჯარო გარიგების დროს მემამულე მიწას და წყალს იძლეოდა და სამაგიეროდ მოსავლის 20% ღებულობდა. მოსავლის გაყოფის ამ მეთოდს სენესს, ლაჯანის, ურმიის და სხვა რაიონებში იყენებდნენ.

ეს სისტემა უპირატესად წარმოდგენილი იყო იმ რაიონებში, სადაც ნაყოფიერი მიწები არ არსებობდა. აქ უმეტეს წილად მოსავალი მხოლოდ 5—6-ჯერ აღემატებოდა დათესილ ხორბალს [127, გვ. 310].

როგორც აღვნიშნავდით, ფულადი რენტა ქურთისტანში ჯერ კიდევ რენტის განუვითარებელ ფორმას წარმოადგენდა, მაგრამ ის სულ უფრო სწრაფად ვითარდებოდა და თანდათან აძევებდა ფეოდალური რენტის სხვა სახეებს, კერძოდ, შრომით და ნატურით რენტას.

ფულადი რენტა ჯერ კიდევ არ ემყარებოდა სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური წარმოების წესს. კ. მარქსის სიტყვებით, — ეს რენტა არის მიწის რენტა, რომელიც პროდუქტების რენტის უბრალო მეტამორფოზიდან წარმოდგება ისე, როგორც თვით რენტა პროდუქტებით თავის მხრივ, მხოლოდ გარდაქმნილი შრომამიგებითი რენტა იყო [1, გვ. 418]. ფულადი რენტა არის ის რენტა, რომელსაც გლეხი იხდის ფულით მას შემდეგ, რაც გაყიდის მის მიერ მოყვანილ პროდუქტს.

ფულადი რენტა დამახასიათებელია ფეოდალიზმის კვდომისა და კაპიტალიზმის ჩამოყალიბების პერიოდისათვის. ფულად რენტას, რომელიც გამოიყენებოდა ქურთისტანში, ორი დამახასიათებელი თავისებურება ჰქონდა. პირველ ყოვლისა, ფულადი რენტა არსებობს ნატურით და შრომითი რენტის პარალელურად და ჯერ კიდევ ფართოდ არ იყო გავრცელებული. მეორე, მიწის რენტის ეს ფორმა არ გვხვდებოდა იქ, სადაც მოჰყავდათ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები. აქ რენტის გადახდის ძირითად ფორმას ნატურით რენტა, ე. ი. მოსავლის გაყოფა წარმოადგენდა. ფულადი

---

8 მუშახელის ნაკლებობა იგრძნობა აგრეთვე სამხრეთშიც, ქერმანშაჰის რაიონში.

რენტა ძირითადად გვხვდებოდა იქ, სადაც ტექნიკური კულტურები ან ხილი მოჰყავდათ გასაყიდად, ანდა იქ, სადაც მესაქონლეობას მისდევდნენ.

თამბაქოსა და შაქრის ჭარხალზე დაწესებული რენტის დროს მემამულეც და მოიჯარეც თავიანთ წილს ფულის სახით ღებულობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ნატურით რენტა არ იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არც ნამდვილი ფულადი რენტა იყო იმდენად, რამდენადაც იურიდიული ცვლილებები არ მომხდარა მოიჯარისა და მემამულის ურთიერთობაში. თუ ფულადი რენტა გაბატონებული ხდება, მაშინ, — ამბობს მარქსი, — ტრადიციული ურთიერთობა მემამულესა და იმას შორის, ვისაც ეძლევა მიწის ნაწილი და ვინც მას ამუშავებს, გარდუვალ ფულად ურთიერთობად გადაიქცევა· ის ვინც მიწას ამუშავებს, არსებითად ხდება უბრალო დაქირავებული მიწის დროებითი მფლობელი [1 ტ., 418]. ჩვენ აქ საქმე გვაქვს ნატურით რენტიდან ფულად რენტაზე გარდამავალ პერიოდთან. ფულადი რენტა აიღებოდა ბაღებიდან (1000 რიალი 10000 კვ კმ ფართობის მოხნული მიწიდან) [127, გვ. 324].

ფულადი რენტა ხშირად გვხვდებოდა მებაღეობაში. ნალოსში, მაგალითად, მემამულე ყოველ წელს 100 ათას რიალს ღებულობდა, რენტის სახით ყურძნის მოსავალზე. მიანდოაბის მიდამოებში, სადაც ხილის ხეები გლეხებს ეკუთვნოდათ, ისინი იხდიდნენ ერთ რიალს ყოველ 100 კვ მ მემამულის კუთვნილ მიწაზე (1945 წ.). ასეთივე წესი არსებობდა ურმიაში, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული სავაჭრო მებაღეობა.

ფულადი რენტა შეაწერეს აგრეთვე საცხოვრებელ სახლებსაც. სოფლებში სახლებს აშენებდნენ თვითონ გლეხები, ხოლო მემამულეები ამარაგებდნენ მათ ხის კოჭებით სახურავისათვის. მიუხედავად ამისა, სახლი მიწათმფლობელის საკუთრებად ითვლებოდა და ამიტომ გლეხი არ იყო დაინტერესებული იმით, რომ სახლისათვის წესიერად მოევლო და ეპატრონებინა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქურთისტანის სოფლებში გლეხებს უაღრესად ცუდი საცხოვრებელი პირობები ჰქონდათ.

მეჰაბადის რაიონში სახლზე გადასახადი 50-დან 300 რიალამდე მერყეობდა. ზოგიერთ რაიონში მოიჯარეების ბინის ქირა მიწის რენტაში შედიოდა, ხოლო დაქირავებულ მუშებს 20-დან 120 რიალამდე ახდევინებდნენ წელიწადში. მაგალითად, მანგურის რაიონში მეჰაბადის ახლოს, მოიჯარენი არაფერს იხდიდნენ, ხოლო ყველა დანარჩენს (ვინც მესაქონლეობას მისდევდა და სოფლებში ცხოვრობდა,

მხოლოდ ზამთრის პერიოდში) უნდა გადაეხადა30-დან 70 რიალამდე წელიწადში.

საცხოვრებელ ფართობზე დაწესებული რენტა შეიძლება მცირე გვეჩვენოს, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწნოთ ის გარემოება, რომ ეს სახლები მემამულეს ბევრი არ უჯდებოდა. გარდა ამისა, სახლი, როგორც წესი, მხოლოდ ერთი ოთახისაგან შედგებოდა და ბოლოს, გლეხი, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა ვალდებული იყო ბეგარის სახით სხვადასხვაგვარი სამუშაო შეესრულებინა. სასოფლო-სამეურნეო მუშებს, რომელთა ცხოვრების დონე უაღრესად დაბალი იყო, მეტად უძნელდებოდათ ამ თანხის გადახდა.

სოფლის მაღაზიის სარგებლობისათვის დადგენილი რენტა, რომელსაც მემამულეს უხდიდნენ, ძალზე მაღალი იყო. წელიწადში იგი აღწევდა 15 ათას რიალს ფასვეში, 10 ათასს — ქალათანში და 20 ათასს — ხალიფალიანში. ამას გარდა, მემამულეებს ასობით მაღაზია ეკუთვნოდათ ქ. როქანსა და სულდუზში. რამდენიმე წლის წინათ ბოქანში (3 ათასი მცხოვრები) 300 მაღაზია იყო. ყველა მაღაზია და საცხოვრებელი სახლი ეკუთვნოდა ელხანის ოჯახს. ასეთივე მდგომარეობა შეინიშნება სულდუზში, სადაც ამჟამად 5000 მეტი მცხოვრებია და რამდენიმე ასეული მაღაზიაა. ამასთან, მემამულე არავის აძლევს უფლებას, რომ საქონელი ბითუმად იყიდოს, მთელი გასაყიდი საქონელი უნდა აიწონოს ქალაქის სპეციალურ მოედანზე, რისთვისაც მემამულე ყოველწლიურად 230 ათას რიალს ღებულობდა.

ერთდროულად მემამულე მეტად დიდ გადასახადებს ადებდა საჩაიეებს (ჩაიხანებს), რომლებიც აშენებულია საქარავნო გზებზე. მაგალითად, სოფელ დებექრის (მეჰაბადის ახლოს) მემამულე წელიწადში 7 ათას რიალს ღებულობდა.

ფულადი რენტის ერთ-ერთი გავრცელებული სახე იყო სულადობრივი გადასახადი — „სარანე". სოფელ დებექრში, მაგალითად, სულადობრივი გადასახადი გლეხზე, რომელსაც ჯოფთი ჰქონდა 500-დან 1000 რიალამდე შეადგენდა, ხოლო დაქირავებულ მუშაზე — 30—100 რიალს უდრიდა წელიწადში. ზოგიერთ შემთხვევაში აიღებოდა გადასახადი ჯოფთზე („სერჯოფთი"), იგი მიწის რენტაზე უბრალო დამატება იყო.

ყანგავარის რაიონში ფუშქუნის ახლოს, „სერჯოფთი" 1945 წ. 3 კგ ქონს, 3 ქათამს და 200 რიალს შეადგენდა. ჰასანაბადში, სენეს მახლობლად კი — 4 ქათამს, 1,5 კგ ქონს და 100 რიალს.

რენტა საძოვრებისათვის („შახანე“) ხშირად ფულით აიღებოდა. ზოგჯერ იგი ფიქსირებულ თანხას შეადგენდა, ზოგჯერ კი დამოკიდებული იყო საქონლის სულადობაზე. ამ რიგის რენტა, ჩვეულებრივ 5—20 რიალს უდრიდა თითოეული სულისათვის წელიწადში. მეტწილ შემთხვევაში იგი ნატურალური რენტის დამატება იყო. ამ რენტის სიდიდე ზოგჯერ მიწათმფლობელის საჭიროების მიხედვით განისაზღვრებოდა[9].

ცნობილია, რომ ფულადი რენტა ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის ჩასახვის პერიოდისათვის არის დამახასიათებელი. ბოლო წლებში ქურთისტანის სოფლის მეურნეობაში ფულადი რენტა სულ უფრო ფართოდ ვითარდება. ერთი მხრივ, განვითარების პროცესში მყოფი სავაჭრო ურთიერთობანი ამაღლებენ ფულადი რენტის როლს, ხოლო, მეორე მხრივ, ფულადი რენტა ხელს უწყობს სავაჭრო ურთიერთობათა წინსვლას, რაც ქმნის საფუძველს კაპიტალისტური მიწის რენტის ჩასახვა-განვითარებისათვის.

## 3. რენტა მესაქონლეობაში

მეცხოველეობა ქურთისტანის სოფლის მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი დარგია. მთელი ეროვნული შემოსავლის 40% მასზე მოდის. იმ რაიონებში, სადაც უპირატესად მეცხოველეობას მისდევენ, ვხვდებით აგრარული სისტემის ზოგიერთ საინტერესო თავისებურებას.

ქურთებით დასახლებულ რაიონებში საქონლის ძირითად სახეს თხები და ცხვრები შეადგენენ. ღორებს მხოლოდ ქრისტიანული მოსახლეობა (სომხები, ასურელები) ამრავლებს.

ცხვრისა და თხის დიდ ფარებს შეიძლება შეხვდეთ ქურთისტანის თითქმის ყველა ნაწილში. ისინი მსხვილ მიწათმფლობელებს — მემამულეებსა და ტომის ბელადებს ეკუთვნიან, რაც მნიშვნელოვან წილად დაკავშირებულია საძოვრების მფლობელობის ფორმასთან. ერთ პირს ხშირად საკუთრებაში ჰყავს 10-დან 20 ათასამდე სული ცხვარი და თხა. ირანის ქურთისტანში დადგენილია, რომ დაახლოებით 10 მილ. სული წვრილფეხა საქონლიდან 6 მილ. ეკუთვნის ერთ მუჭა ბობოლებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობის 0,6%-ს შეადგენენ.

---

[9] ფოშთექუჰსა და ლურისტანის ფიშქუჰში თხასა და ცხვარს უთანაბრებენ ორ რქას, ძროხასა და ხარს — ოთხს, სახედარს — სამს, ცხენს — ოთხს [127, გვ. 290].

საყეზის რაიონში, მიუხედავად ხელშემწყობი კლიმატური პირობებისა, ყოველ გლეხს მხოლოდ რამდენიმე სული საქონელი ჰყავს [127, გვ. 358]. სხვა ოლქებშიც ასეთივე მდგომარეობაა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მემამულეთა კუთვნილი საქონლის ჯიშები განსხვავდება გლეხთა საქონლის ჯიშებისაგან, რადგანაც გლეხს არა აქვს შესაძლებლობა იზრუნოს საქონლის ჯიშის გაუმჯობესებაზე. ერთსა და იმავე სოფელშიც კი სულ ადვილად შეიძლება მემამულისა და გლეხის კუთვნილი საქონელის გარჩევა. განსაკუთრებით დიდია განსხვავება რქოსან პირუტყვებს შორის. სწორედ ასეთი შემთხვევის გამო ამბობდა ვ. ი. ლენინი: თავისთავად გასაგებია, რომ ნახევრად გაჩანაგებულს, ღატაკი მეურნეობის პატრონს, ყოვლად დამონებულ გლეხს არ ძალუძს შეიძინოს და შეინახოს რამდენიმე კარგი ხარისხის პირუტყვი, შიმშილობს პატრონი (ვაგლახი პატრონი), შიმშილობს პირუტყვიც. სხვანაირად არ შეიძლება იყოს [ 4. გვ. 120].

ჯოგებსა და ფარებს, რომლებიც ნახევრად მომთაბარე და ბინადარ ტომებს ეკუთვნიან, მწყემსები (შუვან) მეთვალყურეობენ, რომლებიც მათი მოვლა-პატრონობისათვის გარკვეულ გასამრჯელოს ღებულობენ.

მაღალმთიანი ძნელად მისადგომი ადგილებისა და მტაცებელი ცხოველების ხშირი თავდასხმების გამო, მწყემსის თანამდებობა ქურთისტანში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და პასუხსაგებია. ყოველი მწყემსი 200—500 ცხვარსა და თხას უვლიდა, რისთვისაც მას უხდიდნენ 10—14 სულ პირუტყვს წელიწადში. ზოგიერთ ოლქში (მაგალითად სულდუზის) ყოველი მწყემსი ღებულობდა ფულად გასამრჯელოს (3000—5000 რიალს), ერთ ცხვარს, საჰმელს, ტანსაცმელს და ცოტა ცხვრის მატყლს.

ხშირად, საძოვრების ნაკლებობის გამო, მემამულე დიდი ფარების მქონე მწყემსებს უარს უცხადებს მისცეს თავშესაფარი თავის სოფელში.

დიდი გადასახადების გამო გლეხებს მხოლოდ რამდენიმე პირუტყვის შენახვა ძალუძთ[10]. ამის გამო მეცხოველეობა აქ, ისევე როგორც ქურთისტანის მთელი სოფლის მეურნეობა, მეტად დაბალ დონეზეა [113, გვ. 45].

---

10 საძოვრებზე არსებული გადასახადები აიძულებენ გლეხს ხელი აიღოს მესაქონლეობაზე, — ამბობს ა. ლამბტონი [127, გვ. 358].

შეიძლება ითქვას, რომ საძოვრები და ცხვრის (ან თხების) დიდი ფარები არსებითად მსხვილ მიწათმფლობელებს ეკუთვნით.

როგორც აღვნიშნეთ, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში, ტომების გაქრობის პერიოდში, მომთაბარულ ცხოვრებასა და ტომობრივ ურთიერთობაში ქურთ მესაქონლეთა გაერთიანების მნიშვნელოვანი ფორმა — „ობა" გავრცელდა.

ობა დამყარებული იყო ჩვეულებაზე, როდესაც გაზაფხულობით რამდენიმე მესაქონლე ერთიანდებოდა და მიდიოდნენ მთის საძოვრებზე, სადაც ისინი ზაფხულს ატარებდნენ.

შემოდგომაზე, როდესაც ისინი ბრუნდებოდნენ სოფელში ობა იშლებოდა. იმ საკითხებს, რომელიც საძოვრებს ეხებოდა, წყვეტდა უფროსი („სეროზა" ან „სერხელ").

დანარჩენ საქმიანობას კი (როგორიცაა წველა, კარაქის შედღვება, ცხვრის შეკრეჭა და ა. შ.) ობას წევრები ცალ-ცალკე ასრულებდნენ.

ობას წევრობა ნებაყოფლობითი იყო და საქონლის ყველა მფლობელს შეეძლო შეერთებოდა მას. ობა ტომის ან მისი განშტოებისაგან განსხვავებით, გვაროვნული ურთიერთობებისა და კავშირის საფუძველზე არ იქმნებოდა. ამასთან, იგი მოკლევადიანი დროებითი გაერთიანება იყო. ამიტომაც მისი ფორმა გარდამავალია. ობას მოქმედება 6—8 თვეს გრძელდებოდა (გაზაფხულის დასაწყისიდან შემოდგომამდე).

ობას ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო იმ გარემოებასთან, რომ ჩვეულებრივ, გლეხს, რომელსაც სულ რამდენიმე სული ან, უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე ათეული სული პირუტყვი ჰყავდა, არ შეეძლო მარტოს აელო იჯარით საძოვარი, რომელიც, როგორც წესი, რამდენიმე ასეულ, ხოლო ზოგჯერ ათას სულ ცხვარსა და თხაზე იყო გათვალისწინებული. ეს აიძულებდა გლეხს თავისი საქონლით შეერთებოდა სხვას, როგორც „ჯოლი" (რიგითი წევრი) და სხვა „ჯოლებთან" ერთად შეექმნა ობა. არსებობდა სხვა მიზეზიც: გლეხი თავისი პატარა ფარით ვერ ბედავდა მარტო წასვლას მთებში, ამიტომ იგი უერთდებოდა ობას, რომელშიც 15—20 კარავი შედიოდა. ქურთისტანის მთელ რიგ რაიონებში ობა დღესაც მოქმედებს.

სეროზა (ობას უფროსი) გაერთიანების ყველა წევრს თანასწორუფლებიანად თვლის და მათგან იღებს რენტას პირუტყვის რაოდენობის შესაბამისად.

სერობას თანამდებობაზე ირჩევენ ან ტომის ბელადს (თუ ობაში ერთი ტომის წევრები შედიან), ანდა იმ პირს, რომელიც ყველაზე მეტ საქონელს ფლობს, ე. ი. ობას ყველაზე მდიდარ და შეძლებულ წევრს. ეს იმას ნიშნავს, რომ სერობა მხოლოდ თანამდებობა კი არ არის, არამედ ის, ამასთანავე, პრივილეგირებული პოსტიცაა. მის მთელ საქონელს ბეგარის სახით უვლიან ობას რიგითი წევრები. გარდა ამისა, ობას წევრები მას უხდიან გარკვეულ გამოსაღებს და აძლევენ საჩუქრებს შეძლების შესაბამისად. ობას წევრებს კუთვნილი საქონლის, მატყლის, კარაქისა და სხვა პროდუქტების გაყიდვა შეუძლიათ მხოლოდ სერობის შუამავლობის საშუალებით, რაც მისი შემოსავლის დამატებით წყაროს შეადგენს.

სერობა დებს შეთანხმებას რომელიმე ვაჭართან და ყველა პროდუქტს მხოლოდ მას აძლევს. ასეთი გარიგება ასიათასობით, ხოლო ზოგჯერ მილიონ რიალ შემოსავალს იძლევა. ამის სანაცვლოდ ვაჭარი პირდება სერობას ძვირფას საჩუქარს[11]. ამრიგად, სერობა ღებულობს დიდ შემოსავალს როგორც საკუთარი, ისე ობას რიგითი წევრების კუთვნილი საქონლის გაყიდვით. ხშირად სერობები მილიონერები ხდებიან[12].

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ობა არ წარმოადგენს თანასწორ წევრთა გაერთიანებას. მიუხედავად გარეგნული თემური ფორმისა, იგი შეიცავს კლასობრივი უთანასწორობისა და ქონებრივი დიფერენციაციის ნიშნებს, მთელი ობა ყალიბდება სამი ჯგუფისაგან: სერობა და მისი ნათესავები, ფარების მფლობელები და მწყემსები.

ამრიგად, მომთაბარე ტომის გაღმინაშთები თავს იჩენს ობის სახელშეკრულებო ფორმაში.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად რიგი უარყოფითი ფაქტორებისა (სერობის მიერ ობას რიგითი წევრების ექსპლოატაცია), ობა წარმოადგენს კოოპერაციის განსაკუთრებულ ფორმას და შეიძლება ნამდვილ კოოპერაციად გადაიქცეს. ამ შემთხვევაში მან შეიძლება შეასრულოს დიდი როლი არა მარტო მესაქონლეობის, არამედ საერთოდ მთელი მეცხოველეობის პროგრესის საქმეშიც. ამისათვის საჭიროა, რომ ძალაუფლება გადავიდეს დემოკრატიული ძალე-

---

11 მაგალითად, იქ სადაც ჰარკის ტომი ცხოვრობს, სერობა ვაჭრისაგან იღებს 8—10 ტ. ბრინჯს, შუამავლობის გასამრჯელოდ.

12 ჰარკის ტომის ბელადი, რომელიც ვეებერთელა ტერიტორიაზე ირან-ერაყის საზღვრის გასწვრივ გაშლილი დიდი ფარების სერობაა, ამ ოლქის ყველაზე მდიდარი კაცია. როგორც ამბობენ, რამდენიმე სახედარია საჭირო მისი კუთვნილი ოქროს გადასატანად [1.24, გვ. 159].

ზის ხელში და შეიქმნას შესაბამისი ეკონომიური სექტორი, რომელიც გაბატონებულ მდგომარეობას დაიკავებს ქვეყნის ეკონომიკაში.

### 4. კაპიტალისტური მიწის რენტა

რენტის ეს სახე მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას სამხრეთ ქურთისტანში. იქ, სადაც ის არსებობს, მას აქვს მეტად განსაკუთრებული, თავისებური ხასიათი, რადგანაც მსხვილი მიწათმფლობელი და კაპიტალისტი ერთი და იგივე პირია.

კაპიტალისტური მიწის რენტა ძირითადად იმ რაიონებში არსებობს. სადაც მოჰყავთ ტექნიკური კულტურები. მიწათმფლობელი ყიდულობს ტრაქტორებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ხოლო შემდეგ თანდათან აძევებს გლეხებს მიწებიდან. ამის შედეგად ისინი ხდებიან დაქირავებული მუშები, რომლებიც ღებულობენ ხელფასს. ამ მომენტიდან მემამულე სოფელში ცხოვრების ნებას არ რთავს იმ გლეხებს. რომლებსაც არ აქვთ „ჯოფთი", მაგალითად, ძიანდოაბის და ქერმანშაჰის ოლქებში. დიდი პლანტაციების მქონე სოფლის მეურნეობა. რომელიც ბოლო დროს განვითარდა ერაყისა და ირანის ზოგიერთ მხარეში, ქურთებით დასახლებულ რაიონში არ არსებობს.

ქურთისტანში მემამულე კაპიტალისტისა და მემამულის როლს ასრულებს, ეს ძირითადად გაპირობებულია კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამორჩენილობით. აქ კაპიტალისტები და ვაჭრები ძალზე იშვიათად აბანდებენ კაპიტალს სოფლის მეურნეობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ამას მაინც დააპირებენ, მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან, რაც სოფლად არსებული ფეოდალური გადმონაშთებით არის გამოწვეული.

ამას გარდა, არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც კაპიტალისტი, რომელსაც სხვადასხვა სოფელში რამდენიმე კარ-მიდამო აქვს, ერთ სოფელში ეწევა კაპიტალისტურ მეურნეობას ტრაქტორების გამოყენებით და ხელფასის გაცემით, ხოლო მეორეში, სადაც ცოტაა სახნავი მიწა, რენტას ნატურით იღებს და გლეხებისაგან მოითხოვს ფეოდალურ წყობასთან დაკავშირებულ ყველა გამოსაღებს. ზოგჯერ მემამულე ერთსა და იმავე სოფელში ეწევა მეურნეობის ორივე სისტემას. ამასთან, დაქირავებულ შრომას იყენებს საუკეთესო მიწებზე, ხოლო ფეოდალურ რენტას იღებს დანარჩენ მიწებზე. ორივე შემთხვევაში იგი იყენებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, როგორც

იმ გლეხთა შევიწროების საშუალებას, რომელთაც გააჩნიათ „ჯოფ-თი“. ყოველივე ეს გლეხებს აიძულებს დაამუშაონ მიწა იმ პირობით, რომელსაც მათ მემამულე წაუყენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხებმა უნდა დატოვონ სოფელი ან დაქირავებული მუშები გახდნენ.

გლეხებს ეჯავრებათ ტრაქტორები, ისევე როგორც მუშებს — მანქანები კაპიტალიზმის დაწყებით სტადიაზე. მაგრამ აქ კიდევ არის ერთი ასპექტი: ხდება რა დაქირავებული მუშა, ყოფილი გლეხი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მუშაობდა მოსავლის წილისათვის და ასრულებდა ბეგარის სხვადასხვა სახეს, ერთხელ და სამუდამოდ თავისუფლდება ყველა ამ ტვირთისაგან. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო მუშების ექსპლოატაციის დონე მეტად მაღალია. ისინი მუშაობენ 7—8 თვეს (მარტიდან ოქტომბრამდე). მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე. ე. ი. მათი სამუშაო დღე გრძელდება 14—16 საათს.

ხშირად დაქირავებული მუშების შრომას ცვლის ქალისა და ბავშვის შრომა, რომელთაც ძალზე ცოტას უხდიან. ბავშვები ხშირად მუშაობენ მხოლოდ საჭმელისა და ტანსაცმლისათვის.

ხელფასისათვის მუშაობა ძალზე გავრცელებულია ურმიისა და მიანდოაბის ვენახებში, სადაც ძირითადად იყენებენ დაქირავებულ მუშებს. აქ ხელფასი შედარებით მაღალია (50—60 რიალი დღეში). იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სპეციალური კვალიფიკაცია (მაგალითად, ყურძნის წვენის დამზადების დროს), დღიური ხელფასი 80—100 რიალს შეადგენს. მაგრამ ეს სამუშაო სეზონურია (გაზაფხულობით, როდესაც ვაზს რგავენ და შემოდგომაზე, როდესაც მოსავალს იღებენ). აღნიშნული ოლქები ყველაზე მდიდარია და აქ მუშახელის ნაკლებობა იგრძნობა; ამიტომაც დაქირავებული მუშების დიდი ნაწილი აქ სხვა რაიონებიდან მოდის. სეზონური სამუშაოს დამთავრების შემდეგ ისინი ბრუნდებიან სახლში მცირე ხელფასით, რომელიც მათთვის დიდ თანხას წარმოადგენს.

ასეთი ვითარება უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება იმ რაიონებში, სადაც აგროვებენ არაბულ კაუჩუკს („ქიათირს“)[13].

ამ სამუშაოს შესასრულებლად მუშები მოდიან ყველაზე შორეული ადგილებიდან, მეტწილად ქერმანშაჰიდან, რომელიც მდებარე-

---

13 არაბულ კაუჩუკს, რომელიც გააქვთ დიდი რაოდენობით ირანიდან, აგროვებენ ბუჩქებიდან — „გონი“ („გევენ“), რომლებიც ხარობენ უმთავრესად ირანის ქურთისტანის ცენტრალურ ოლქში (სენენდეჯსა და საყეზში); მას იყენებენ საფეიქრო და ქიმიურ მრეწველობაში.

ობს ქურთისტანიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით. როგორც წესი, მათ ქირაობენ სავაჭრო კომპანიები, რომლებიც უხდიან ხელფასს და გარდა ამისა, გამოუყოფენ ხოლმე რაღაც წილს, ანდა პრემიას პროდუქციის წარმოების პროპორციულად. ცხადია ეს ხალხი არ წავიდოდა სამუშაოს საძებნელად ასე შორ მანძილზე, რომ მშობლიურ მხარეში ფულის შოვნის შესაძლებლობა ჰქონოდათ.

სამუშაოს ძებნით გამოწვეული ასეთი მიგრაცია, რომელიც ხსენებულ ოლქებში სულ უფრო ფართო სახეს იღებს, წარმოადგენს პროგრესულ ტენდენციას სოფლის მეურნეობაში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხალხი მიდის იქ, სადაც უფრო მეტს უხდიან და, მეორეც, ეს მიგრაცია ბოლოს უღებს დაქირავებისა და შრომა-მიგების მონურ ფორმებს.

თავი IV

# ქურთული სოფლის სოციალური სტრუქტურის თავისებურებანი

## 1. ტომებში გაერთიანებული ქურთები

იქ, სადაც ტომები კვლავ არსებობდნენ, მიწა (მხედველობაშია მომთაბარე ტომების საძოვრები) კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენდა და მთელ ტომს ეკუთვნოდა. ტომები მიწებს ისაკუთრებდნენ ორი გზით: მიწა შეიძლება მისთვის რომელიმე მმართველს გადაეცა; შეიძლება ისიც მომხდარიყო, რომ ერთ ტომს მეორისათვის ძალით წაერთმია მიწა და დაპატრონებოდა მას.

ქურთების დასახლებანი მეტწილად შედგება პატარა სოფლებისაგან („გუნდ"), რომლებიც მრავლადაა მიმობნეული ველებზე. ტერმინი „გუნდ" მოიცავს სახლსა და დამუშავებულ მიწას, სახლების რაოდენობა ქურთულ სოფელში მყარი არ არის. მაგალითად, რევანდუზის რაიონის სოფელ ნაუფურდანში სულ ორი სახლია, ხოლო სოფელ დერგალაში — 100-ზე მეტი.

თუ აღას სულ ერთი სოფელი ჰქონდა, მაგალითად, ჰამიდ ამინ აღას (ნაუფურდანიდან), მაშინ იგი თვითონ ცხოვრობდა მასში. თუ აღა რამდენიმე სოფლის მფლობელი იყო, როგორც, მაგალითად, შეიხ მოჰამედ აღა (ვალაშიდან), ანდა ჰამიდ ამინ ბეგი (დერგალიდან), მაშინ აღა ერთ-ერთ მათგანში ცხოვრობდა, ხოლო სხვა სოფლებში ნიშნავდა ბელადს (ქევხას), თავის წარმომადგენელს [128. გვ. 15].

იურიდიულად აღა აბსოლუტური მფლობელი იყო მთელი მიწისა, სოფლის მცხოვრებნი კი მიწას იკავებდნენ და ამუშავებდნენ როგორც მოწილენი იმ პირობით, რომ აღას გადაუხდიდნენ გარკ-

ვეულ გადასახადს[1]. ოფიციალურად ეს გადასახადი დაახლოებით მოსავლის 50%-ს შეადგენდა. იურიდიულად აღას ჰქონდა უფლება მიწიდან აეყარა ნებისმიერი მოიჯარე, ასევე ყოველ მოიჯარეს შეეძლო საკუთარი სურვილით წასულიყო. მოიჯარეს ეკუთვნოდა მხოლოდ საშინაო მეურნეობის საგნები, სახურავის ბოძები და პირადი საქონელი, მაგრამ პრაქტიკულად სხვაგვარი ვითარება იქმნებოდა. ბალიკის რაიონში თითოეულ სოფლის მოსახლეობის სულ ცოტა 90 % არა მარტო ბალიკის თირეს წევრები არ იყვნენ, არამედ საკუთრივ აღას ტაიფის წევრებსაც არ წარმოადგენდნენ. მრავალი მათგანი მისი ახლო ნათესავები იყვნენ. თეორიულად თითქოს აღას უფლება ჰქონდა გლეხი მიწიდან განედევნა, მაგრამ პრაქტიკულად მფლობელის უფლება იყიდებოდა მემკვიდრეობით. ეს უკანასკნელი თვალსაზრისი ერთ ინგლისელ სოციოლოგთან საუბარში დაადასტურა შეიხ მოჰამედ აღამ ვალაშიდან. ის ასე იქცეოდა: როდესაც მოიჯარე კვდებოდა, აღას შეეძლო მის მიწას ისე მოქცეოდა როგორც სურდა, მაგრამ, „როგორც წესი", ის ამ მიწას აძლევდა გარდაცვლილის შვილს ან ძმას. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მეთოდი ზღუდავდა მეურნეობის დაქუცმაცებას, ხოლო მემკვიდრეობითობის წესი უზრუნველყოფდა ეკონომიურ კავშირს წვრილ ოჯახურ ჯგუფებს შორის.

ერთი შეხედვით, ეს ტომობრივი წესი დიდად არ განსხვავდება მუსლიმანური კანონისაგან. ყურანით ადამიანის უფლებები შეზღუდულია და მისი საკუთრების დიდი ნაწილი (მულქი) გარკვეული პროპორციით გადადის ზოგიერთ ნათესავზე, მაგრამ აბსოლუტური საკუთრება მეტწილ შემთხვევაში მაინც გამონაკლისს წარმოადგენს.

მირის მიწაზე მცხოვრები ტომები თეორიულად სახელმწიფოს მოიჯარეებად ითვლებოდნენ. ერაყის ქურთისტანის ჩრდილო ნაწილში (რევანდუზიის რაიონში) მიწების დიდი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის წინ თაპუს კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

ერაყის ქურთისტანში, — როგორც ინგლისელი დაუსონი აღნიშნავს [120], მდგომარეობა ფაქტიურად ისე იყო დახლართული, რომ

[1] ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა, რომ ვუჩვენოთ, თუ რა რაოდენობის რენტას იხდიდნენ ისინი. სხვადასხვა წყაროდან შეგროვდა შემდეგი ცნობები: ნორმალურად ითვლებოდა, როდესაც აღა ღებულობდა მოსავლის ნახევარს, თუ გლეხი იყენებდა თავის გამწევ ძალას, იარაღს, თესლს და ა. შ. მაგრამ თუ აღა იარაღსაც აწვდიდა თესლსაც და სხვას, მაშინ იგი ღებულობდა მოსავლის 2/3 [127, გვ. 15].

ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კორუპციისათვის. აქ ტომის ბელადები ცდილობდნენ, რომ ტომის მიწები გაეტარებინათ როგორც მირის მიწები თავიანთ სახელზე. მაგალითად, ალი აღას სოჟელ რაიათიდან (ბალიკის ნაჰია) სურდა, რომ „შევდინის" ტერიტორია რეგისტრაციაში მის სახელზე გაეტარებინათ. ამასთან, იგი დარწმუნებული იყო, რომ საამისოდ საკმარისია ქრთამის მიცემა საჭირო კაცისათვის [128, გვ. 16].

ქურთების არც ერთი მიწა არ განეკუთვნება მულქის კატეგორიას და, შესაბამისად, მას არ მიუდგება ყურანის დამატებითი შენიშვნები. მაგრამ ყველა აღას ქცევა მაინც სავსებით გასაგები არ არის. მაგალითად, შეიხ მოჰამედ აღა დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბალიკის ყველა მიწა მისი საკუთრება ყოფილიყო, რაც ერთგვარად შეუთავსებელი იყო არსებულ ვითარებასთან. იგი ვერ ითვალისწინებდა, რომ ამ ტერიტორიას მისი სიკვდილის შემდეგ გაყოფდნენ მისი ნათესავები. ზემოთქმულიდან ნათელია, რომ მიწის საკითხში, მფლობელობაზე არსებულ მოთხოვნებსა და ყურანის კანონებით დადგენილ მემკვიდრეობითობის პრინციპებს შორის, არ არსებობდა არავითარი შეთანხმებულობა.

ზემოთ ჩვენ განვსაზღვრეთ სოფლის (გუნდ) აღას ურთიერთობა თავის მოიჯარეებთან. თავის მხრივ, ეს მოიჯარენი იჩენენ ერთგულებას ტაიფის აღასადმი. ამ ინდივიდუმს შეეძლო მოეთხოვა თავის მფლობელობაში მის ხელქვეით მყოფი სოფლების მთელი მიწები. მაგრამ მისი მიწათმფლობელობა გამოირჩევა გაცილებით უფრო მეტი ნომინალურობით, ვიდრე სოფლის აღას სამფლობელოები. ტაიფის აღა გადასახადით არ ბეგრავდა თავის წვრილ მოხელეებს. იგი ღებულობდა მათგან საჩუქრებს საჭირო ოდენობით.

ქურთისტანის ამ რაიონებში გარე ადმინისტრაციის შეღწევამდე ტაიფის აღას საქმიანობა უფრო მომრიგებელი მოსამართლის საქმიანობას წააგავდა, ვიდრე გაბატონებული მიწათმფლობელისას. ხშირად მას იწვევდნენ როგორც მომრიგებელ-მოსამართლეს საძოვრებისა და წყლის გამო მეზობელ სოფლებს შორის ამტყდარი სადავო საქმეების გასარჩევად, საქორწინო საქმეების მოსაგვარებლად და სხვ. ამ სამსახურისათვის იგი ღებულობდა გარკვეულ გასამრჯელოს.

ევროპული სტანდარტებით სასამართლოს ასეთი სისტემა არ იყო სწორი, მაგრამ როგორც ჩანს, დასაშვები კი იყო. გაუგებარია მხოლოდ ერთი—რა სანქციების გამოყენება შეიძლებოდა სასამართლო გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად დასახელებულ

შემთხვევებში. დღეს თირეს წევრს შეუძლია გვერდი აუაროს ტრადიციულ წესს და სამართლის საპოვნელად პირდაპირ პოლიციას მიმართოს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქურთისტანში ორი სასამართლო სისტემა კვლავ პარალელურად განაგრძობდა არსებობას; მაგრამ, ვინაიდან აღას ძალაუფლება თანდათან სუსტდებოდა, ამიტომ სადავო საკითხების განხილვაში სულ უფრო მეტად ერეოდა გარე ადმინისტრაცია [128, გვ. 19].

ჰამიდ ამინ აღა დერგალადან (რევანდუზის ოლქი) ამასთან დაკავშირებით ჩიოდა: „ძველ დროში ყველა ჩემს მიმდევარს მოჰქონდა საჩუქრები, დღეს კი ძალზე ცოტა აკეთებს ამას, რადგანაც მათ სურთ, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ პოლიციასთან, ამის შემდეგ ჩემთვის ბევრი აღარაფერი რჩებათ“ [128, გვ. 20].

ძველად ტაიფის აღა უფრო ახერხებდა მცირე მასშტაბის სამხედრო მოქმედების წარმოებას, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წინ. ზოგიერთი თავზეხელაღებული აღა მაინც აწყობდა თავდასხმებს ძარცვის მიზნით. ასე, მაგალითად, 1936 წ. შევდინების ბელადი ალი აღა (რაიათიდან) ხალხით მიადგა ირანის საზღვრებს და გაძარცვა ირანის საპოლიციო საგუშაგო იმისათვის, რომ ამ საგუშაგოს პოლიციელებმა საქონელი ჩამოართვეს მისი კლანის წევრებს. ბუნებრივია, რომ ასეთი აქციები ხელისუფლების მხარდაჭერას ვერ იპოვნიდნენ.

## 2. მოიჯარე გლეხთა სოფელი

რეფორმამდელ ერაყის ქურთისტანში მოიჯარეთა სოფლებში, ერთი მხრივ, იყო მიწები (კერძო ან სახელმწიფო), რომელზედაც გლეხს ჰქონდა უზუფრუქტული უფლება და, მეორე მხრივ, არსებობდა მიწა, რომლის მოიჯარედაც ის თვითონ ითვლებოდა. ასეთი მიწა ფაქტიურად ეკუთვნოდა იმ მემამულეს, რომელიც ქალაქში ცხოვრობდა, ტომის ბელადს, ანდა თემის რომელიმე პრივილეგირებულ ნაწილს. ჩრდილოეთ ერაყში, როგორც წესი, თავისუფალი გლეხი ინარჩუნებდა კავშირს ტომობრივ ორგანიზაციასთან, ხოლო მოიჯარე გლეხი, რომელიც ტომში არ იყო გაერთიანებული, ძირითად მემამულეს ემორჩილებოდა.

გლეხთა დაყოფა ტომში გაერთიანებულ თავისუფალ და მოიჯარე გლეხებად, რომლებიც მეტ-ნაკლებად დამოკიდებული იყვნენ მემამულეზე, ჩვეულებრივი მოვლენა იყო რეფორმამდელ ქურთისტანში.

ეს დაყოფა თვით ქურთების მიერ იყო მოხდენილი და დაკავშირებული იყო სხვა კონსტიტუციური ფორმების არსებობასთან.

იმ მიწისათვის, რომელსაც გლეხი ამუშავებდა და მას უშუალოდ არ ეკუთვნოდა, დამახასიათებელი იყო უფლებების თანდათანობით გადაცემის ტენდენცია. იგი გავლენას ახდენდა შრომის დანაწილებაზე და აძლიერებდა კლასობრივ დიფერენციაციას.

ის გლეხები, რომლებიც ტომებში იყვნენ გაერთიანებული, საკუთარ მინდორს თავისი იარაღით ამუშავებდნენ. წლის გარკვეულ დროს მათ შეეძლოთ დაექირავებინათ დამხმარე სამუშაო ძალა.

ხშირად გლეხები ერთმანეთს ასესხებდნენ, ანდა მიაქირავებდნენ საქონელს, საძოვრები მთელ სოფელს ეკუთვნოდა და საქონელს ერთ ან რამდენიმე მწყემსს აბარებდნენ. ეს მწყემსები ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ სოფლის სოციალურ იერარქიაში. ისინი ფაქტიურად მთელ სოფელს ემსახურებოდნენ.

ბოლო ხანებამდე, ერაყის ქურთისტანში მოიჯარეთა ტიპიურ სოფელში მიწა ეკუთვნოდა ქალაქში მცხოვრებ მემამულეს, რომელიც ინარჩუნებდა უფლებას მიეღო ხორბლეულის მოსავლის 1/10 ან 1/5. სოფლის უხუცესი მცხოვრებნი ზოგიერთ მიწის დამუშავებაზე არაოფიციალურ მემკვიდრეობით უფლებას ფლობდნენ. ამ უფლებების წართმევა არ შეიძლებოდა. როდესაც გლეხი დამატებით მიწას საჭიროებდა, იგი მიმართავდა მემამულეს და თუ ის დაამტკიცებდა, რომ მის დამუშავებას შეძლებდა, მემამულე მას გამოუყოფდა ნასვენ მიწას, მაგრამ თუ არ იყო ასეთი, მაშინ გამოუყოფდა ნებისმიერ მიწას.

თეორიულად მემამულეს შეეძლო ნებისმიერი საბაბით აეყარა გლეხი მიწიდან, მაგრამ პრაქტიკულად იგი იშვიათად სარგებლობდა ამ უფლებით. ეს იწვევდა განხეთქილებას და არღვევდა სოფლის ერთიანობას. ხშირად რამდენადმე შეძლებული გლეხი თვითონ არ ეწეოდა მეურნეობას და სამუშაოდ მუშახელს ქირაობდა მოსავლიდან ნაწილის მიცემის, ანდა ანაზღაურების სხვა სახის საფუძველზე. ანაზღაურების ოდენობაზე ტრადიციულად წინასწარ შეთანხმდებოდნენ ხოლმე. მოსავლის აღებაში მოხმარებისათვის დაქირავებული მუშა ხორბლის მოსავლის 1/6, ქერის 1/5 იღებდა; ხვნის დროს მას საკვებით უზრუნველყოფდნენ და 100 ფილსს (შილინგი) აძლევდნენ დღეში, ანდა 150 ფილსს იღებდა კვების გარეშე [115 ა, გვ. 22].

მსხვილი მემამულეები ზოგჯერ განსაზღვრული დროით თავიანთ უფლებებს ამა თუ იმ სოფელზე, ხოლო ხანდახან მთელ რაიონ-

ზე, იჯარით აძლევდნენ რომელიმე შუამავალს მცირე ფულადი ანაზღაურებისა და შემოსავლის 50%-ის საფასურად.

ამრიგად, მინდვრის მშრომელსა და ძირითად მიწათმფლობელს შორის არსებულ ჯაჭვში არამწარმოებლური რგოლების რიცხვი შეიძლებოდა გაზრდილიყო. მაგრამ უფრო ხშირად იერარქიაში შუამავალი არ იყო და მემამულე კმაყოფილდებოდა მოიჯარეთა მიერ აღებული მოსავლის ტრადიციული წილით — 1/5-ის ოდენობით ურწყავი მიწებიდან.

ხორბლის მოსავლის აღებისას მინდვრის მუშათა რაოდენობა 5—10 კაცს აღწევდა. მათგან ერთი ნაწილი დაქირავებული მუშები იყვნენ. მამაკაცები ძირითადად მკიდნენ, ხოლო ქალებს ხორბლის ძნები გადაჰქონდათ კალოზე. ლეწვასა და განიავებას აწარმოებდა 2 კაცი, ხოლო ხვნასა და თესვას ყოველთვის 1 ადამიანი ეწეოდა.

თამბაქოს პლანტაციებში თამბაქოს ფოთლების მტვრევაში მონაწილეობას იღებდნენ ქალებიც და ბავშვებიც. აქ გლეხები ან ერთობლივად სარგებლობდნენ რომელიმე სახის სარწყავით, ან რიგრიგობით იყენებდნენ მას [115 ა, გვ. 23].

ბრინჯის ნათესები, ჩვეულებრივ, განლაგებულია სოფლიდან დაშორებით. ბრინჯს კარგად განვითარებული სარწყავი სისტემა ესაჭიროება. ბრინჯის ზრდის სეზონი ძალზე გრძელია, ჩვეულებრივ 7 თვეს გრძელდება. ბრინჯის ნათესების მოსავლელად მემამულეები ქირაობდნენ ამ ნათესების ახლოს მცხოვრებ გლეხებს და უხდიდნენ მათ მოსავლის 2/3-ს. რაც შეეხება მოსავლის დარჩენილ 1/3-ს, მას მიწათმფლობელი გადასახადის სახით იღებდა. ამიტომ ქურთისტანში ბრინჯი მეტად ძვირადღირებული კულტურა იყო. უფრო მეტი, მისი საკვებად გამოყენება უფრო ფუფუნების სფეროს მიეკუთვნებოდა.

მოიჯარე გლეხთა სოფლებში მიწათსარგებლობის მუდმივი უფლებების გადაცემის სისტემა უშლიდა ხელს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანერგვას, და ეფექტურად გამოყენებას. ამიტომ იყო, რომ სოფლის მეურნეობის დონის ასამაღლებლად კაპიტალდაბანდებებს დიდი ინტერესით არ ეკიდებოდნენ.

სამიწათმოქმედო საქმიანობის ყოველი მონაწილე, დაქირავებული მუშიდან დაწყებული და მემამულით დამთავრებული, დაინტერესებული იყო მოსავლიდან მხოლოდ თავისი ნაწილის მიღებით და არა კაპიტალის შემდგომი დაბანდებით. მოსავალს კვლავინდებურად ლეწავდნენ ექვსი ხარის საშუალებით, ყოველგვარი მექანიკური მოწყობილობის ან იარაღის გარეშე. მაგრამ არსებობდა სავსე-

ბით მწარმოებლური სალეწი მანქანა, რომელიც შეამცირებდა დახარჯული კაცსაათების რაოდენობას. ამ სალეწის ღირებულება 12 გირვანქა იყო, ხოლო მისი მუშაობის ხანგრძლივობა — 20 წელი. ანგარიშობენ, რომ 2 ხარი ასი სალეწით, 3 დღეში იმდენს გააკეთებდა, რამდენსაც 6 ხარი, სალეწის გარეშე 10 დღეში. მიუხედავად ამისა, სალეწს ამ მხარეში იშვიათად იყენებდნენ. თვითონ მიწის მუშას არა ჰქონდა იმდენი სახსრები, რომ შეეძინა სალეწი მანქანა.

მოიჯარე გლეხი დაქირავებულ მუშას, ჩვეულებრივ, უხდიდა მოსავლის წილს სალეწი სამუშაოს შესრულებისათვის და, რა თქმა უნდა, არ იყო დაინტერესებული შემდგომი ხარჯების გაღებაში ასეთი კაპიტალდაბანდებით არც მემამულე იყო დაინტერესებული და არც შუამავალი.

თეორიულად გლეხს შეეძლო შეეგროვებინა ან ესესხებინა ფული იმისათვის. რომ შეეძინა სალეწი და მაშინ იგი შეძლებდა გაცილებით ნაკლები შრომის დანახარჯებით გაეზარდა შემოსავალი. პრაქტიკულად კი გლეხი, რომელსაც ჰქონდა ასეთი კაპიტალის შოვნის საშუალება, გადაიქცეოდა მოიჯარედ, რომელიც შეიძენდა მხოლოდ მინიმალურ მოწყობილობას, რაც საჭირო იყო მიწის დასამუშავებლად. ასეთ შემთხვევაში მოიჯარე-გლეხი მხოლოდ ერთი საფეხურით მაღლა დგებოდა კლასობრივ იერარქიაში და შეეძლო დაექირავებინა მოჯამაგირეები მოსავლის აღების დღეებში.

ამრიგად, კაპიტალისა და შრომის ასეთ განაწილების დროს ყოველ სოფელში კლასობრივი განსხვავება მუდმივად იზრდებოდა.

საერთოდ ერაყის ქურთისტანში გლეხთა ორი კატეგორია არსებობდა — მოიჯარე და მოჯამაგირე („საპანი“ — „მოსავლის ამკრეფი“). იმისათვის, რომ გამხდარიყო მოიჯარე, უნდა ჰქონოდა სულ ცოტა 50 ინგლისური გირვანქა (1951 წ. გაანგარიშებით), აგრეთვე 2 ხარი (10—15 გირვანქა), გუთანი — (10 გირვანქა), თესლი ერთი დონუმი მიწისათვის (დაახლოებით 1 გირვანქა).

დღემდე ზუსტად არაა დადგენილი, თუ რამდენ დროს ხარჯავდნენ მოიჯარე გლეხები მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ან მისი დიდი ნაწილის შესრულებაზე. მაგრამ, ნათელია, რომ ამას ისინი დიდ დროს ანდომებდნენ.

ამრიგად, მინდვრის სამუშაოს ყოველდღიური რუტინა და საშინაო საქმეების ორგანიზაცია გლეხთა ორივე ფენისათვის (როგორც მოიჯარეებისათვის, ისე მოჯამაგირეებისათვის) ერთნაირი იყო. მოიჯარეთა სოფლები ძირითადად ასეთ ფენებად იყოფოდა. მემამულე და მისი ოჯახი კი, რომლებიც გაბატონებული კლასის წარმო-

მადგენლები იყვნენ, ჩვეულებრივ მეზობლად მდებარე ქალაქში ცხოვრობდნენ.

ქურთული მეურნეობა ეკონომიურად დამოუკიდებელია, და, როგორც წესი, შედგება ერთი ოჯახისაგან: ქმარი ცოლი და მათი შვილები. მამაკაცები ძირითადად მუშაობენ მინდორში, უვლიან ცხენებს, ხოლო სხვა პირუტყვს — ქალები. ისინი მათ წველიან და ამზადებენ საჭმელს. ქალები აგრეთვე სხვა საშინაო საქმეებსაც ასრულებენ — ყოველ შემოდგომაზე ლესავენ ოთახის კედლებს, სახურავის შეკეთება კი მამაკაცების საქმეა. როდესაც მინდვრად ბევრი სამუშაოა, ქალებიც მონაწილეობენ მათ შესრულებაში, განსაკუთრებით მოსავლის აღებისა და თამბაქოს ფოთლების მტვრევის დროს [115 ა, გვ. 25].

თამბაქოს მტვრევაში ჩაბმული არიან ბავშვებიც, ხოლო ნაკლებ შეძლებული ოჯახის შვილები მწყემსავენ მცირერიცხოვან ჯოგებს. მათვე ევალებათ მთელი რიგი მსუბუქი სამუშაოები. მაგალითად, ნაკელის შეგროვება გასათბობად და სხვა.

### 3. დამოკიდებული და შეადგენელი თემები

ახლა, როცა გავეცანით ქურთისტანის ზოგიერთი ტომის სოციალურ სტრუქტურას, ურიგო არ იქნება მოკლედ მაინც შევეხოთ იმ ქურთების ორგანიზაციას, რომლებიც ტომებში არ იყვნენ გაერთიანებული.

მათი პოლიტიკური ორგანიზაცია შედარებით უბრალო იყო და იგი აერთიანებდა უფრო წვრილ ჯგუფებს. აქ მმართველობის სადავეები ადგილობრივ ადმინისტრაციას გაცილებით უფრო იოლად ეპყრა ხელში. ყოველ სოფელში ირჩევდნენ მამასახლისს (ქევხა, მუხთარი) იმისათვის, რომ მას შეესრულებინა შუამავლის როლი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. ზოგჯერ მას ნიშნავდნენ ზემოდან არჩევნების გარეშე.

ოფიციალურ ადმინისტრაციულ სისტემაში მამასახლისი ყველაზე დაბალი სამოხელეო თანამდებობა იყო, ყველაზე მაღალი კი — მუთასარიფი — პროვინციის მმართველი ანუ გუბერნატორი. პროვინციული ადმინისტრაციის მთელ ბიუროკრატიულ სისტემას ის ედგა სათავეში და პასუხს აგებდა უშუალოდ მთავრობის წინაშე. იგი მნიშვნელოვანი ავტონომიით სარგებლობდა. მაგრამ სოფლის ნამდვილი გამგებელი მაინც მემამულე იყო. იგი სოფლის ფაქტიური მესაკუთრე იყო. მამასახლისი (ქევხა) შუამავლის როლს ასრულებ-

და სოფლის მოსახლეობასა და ბატონს შორის. მას თითქმის არავითარი ურთიერთობა არა ჰქონდა ოფიციალურ ადმინისტრაციასთან.

იმ შემთხვევაში, როდესაც სოფლის მოსახლეობას თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ჰქონდა, იგი ამ თანამდებობაზე ყველაზე მსხვილი ნათესაური ჯგუფის უფროს ხელმძღვანელს ირჩევდა.

საერთოდ სოფლის მამასახლისის თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო და მამიდან შვილზე გადადიოდა. როგორც სოფლის ხელმძღვანელი და მემამულესთან დაახლოებული პირი, მამასახლისი სარგებლობდა რიგი პრივილეგიებით. თანამდებობა საშუალებას აძლევდა მას შეეტყობინებინა მემამულისათვის გლეხთა ყველა „უკანონო" საქციელის შესახებ. მას შეეძლო არ შეეშვა სოფელში უცხო კაცი და ა. შ.

გასულ საუკუნეში სამხრეთ ქურთისტანი უკეთ იყო ინტეგრირებული, ვიდრე ამ ოციოდე წლის წინ. მაშინ არსებობდა ძლიერი ფეოდალური ფაშალიკი ცენტრით სულეიმანიეში. მის მეთაურს — ბაბან ფაშას ხშირად ჰქონდა შეტაკებები ოსმალეთის სულთნისა და ირანის შაჰის ჯარებთან. ამ პერიოდში ქურთი მმართველები სარგებლობდნენ მისდამი დაქვემდებარებული ოლქის სრული და უსიტყვო მხარდაჭერით. მრავალი წლის მმართველობის მანძილზე მათ შექმნეს მემკვიდრეობითი პოსტების ტრადიციული იერარქია, რომელიც უფლებას აძლევდა მათ დაეკავებინათ პოლიტიკური თანამდებობები [129, გვ. 115].

როდესაც XIX ს. შუა წლებში ბაბანთა მმართველობას ბოლო მოეღო, მთელ სამხრეთ ქურთისტანში ოსმალური იურიდიული წესები და ადმინისტრაცია გაბატონდა. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ტრადიციული პრინციპების რღვევას იმდენად, რამდენადაც ცალკეულ პირებს საშუალებას აძლევდა გამოეყენებინათ თავიანთ სასარგებლოდ ორი სხვადასხვა სისტემა — დამკვიდრებული ადათწესები და ოსმალურ კანონთა კოდექსი.

ეს განსაკუთრებით კარგად აისახა მიწათმფლობელობაში. ოსმალეთის იმპერიაში ყველა მიწა სულთნის საკუთრებად გამოცხადდა. თუმცა მაშინ უკვე არსებობდა წესი, რომ არც ერთი სოფელი ერთი პიროვნების საკუთრებად არ უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული, მაგრამ ეს წესი, ისე როგორც სხვა დანარჩენი წესები, ხშირად ირღვეოდა.

ასე მაგალითად, თირეს ბელადი (ბეგი) ან სხვა რომელიმე პირი, რომელსაც საშუალება ჰქონდა მოესყიდა რამდენიმე მოწმე, მიწის ნაკვეთებს რეგისტრაციაში ატარებდა, როგორც პირად საკუთრებას.

ამის შედეგად სახნავი მიწები ინდივიდუალური გამოყენებისათვის გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით აღმოჩნდა თავისუფალი, ვიდრე ეს იყო ბაბანთა მმართველობის დროს.

რაც შეეხება შემადგენელ თემს, მისი რაობა კარგად ჩანს ჰამავანდის ტომისა და მათ მიერ დაპყრობილი გლეხების ურთიერთობის მაგალითზე.

ჰამავანდის ტომის ტერიტორიაზე დღესაც გვხვდება ისეთი მოიჯარეები, რომლებიც ტომებში არ არიან გაერთიანებული (მისქენ) და მათ ჰამავანდის ტომის წევრები ისე ჩაგრავენ, როგორც ყმებს.

ჰამავანდელთა რაზმები იქმნებოდა ერთი აღას, ანდა ერთი უფროსი აღას მეთაურობით. თუ ჰამავანდები მიზნად ისახავდნენ არა ქარავანთა გაძარცვას, არამედ სოფლის დაპყრობას, მაშინ მათი რაზმი შეიკრებოდა რომელიმე სოფელში და ულტიმატუმს წაუყენებდა მოსახლეობას. იმ შემთხვევაში, თუ სოფელი დანებდებოდა, ჰამავანდელთა ერთი ჯგუფი გადასახადების აკრეფას შეუდგებოდა, ხოლო, თუ მათ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, მაშინ თავს ესხმოდნენ სოფელს, ძარცვავდნენ და აოხრებდნენ. დამარცხებული სოფლის მცხოვრებნი, რომლებიც საქონლისა და შრომის იარაღების გარეშე რჩებოდნენ, იძულებული იყვნენ მოსალაპარაკებლად გაეგზავნათ დელეგაცია ჰამავანდების ბელადებთან. გაძარცულები მათ მორჩილებას აღუთქვამდნენ, თუკი ქონებას დაუბრუნებდნენ. დამარცხებულ სოფელში ინიშნებოდა ჰამავანდების აღა. ჩვეულებრივ, ეს გამარჯვებული რაზმის მეთაურის ახლო ნათესავი იყო. იგი რჩებოდა აქ ჰამავანდელთა მცირერიცხოვანი რაზმით[2]. აკრეფილი გადასახადების დიდი ნაწილი გადაეცემოდა იმ აღას, რომელიც სოფელზე თავდასხმას მეთაურობდა.

დამორჩილებული გლეხები მომხდარ ფაქტს ასე განმარტავდნენ: „იმ დღეებში ხალხი ისე იყო დაკავებული თავისი მეურნეობით, რომ მათ დრო არა ჰქონდა მომზადებულიყვნენ საომრად. იმათ, ვისაც გააჩნდათ საკმარისი რაოდენობის ფული მხედრების შესანახად. შეეძლოთ დაეპყროთ ასეთი საწყალი სოფლები" [115 ა, გვ. 55]. მიუხედავად იმისა, რომ ახლად მოსული ჰამავანდები დანარჩენი ჰამავანდებისაგან თავს დამოუკიდებლად აცხადებდნენ, ახლად დამორ-

---

[2] გამარჯვებულ ჰამავანდებსა და დამარცხებულ გლეხებს შორის ქორწინება აკრძალული იყო.

ჩილებულთა აჯანყების შემთხვევაში, მათ მაინც შეეძლოთ, თანატომელთა მხარდაჭერის იმედი ჰქონოდათ.

დაპყრობილ გლეხებს კი, არ გააჩნდათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებდა მათ. გარდა ამისა, ისინი ყველაზე მეტად იყვნენ დაინტერესებული მშვიდობის შენარჩუნებით, რათა მოსავალი აეღოთ და მარაგი შეენახათ.

დაპყრობის გზით აღმოცენებულ ადგილობრივ თემს მეტად დამახასიათებელი სტრუქტურა და ორგანიზაცია ჰქონდა. იმ გამონაკლისის შემთხვევების გარდა, როდესაც მთავრობის ადმინისტრაცია ეფექტურად ერეოდა საქმეებში, მთელი პოლიტიკური ძალაუფლება მემკვიდრე აღას მეთაურობით კარგად ორგანიზებული ჰამაევანდების უმცირესობის ხელში იყო თავმოყრილი.

პოლიტიკური ბატონობა ხელს აძლევდა ჰამავანდებს, რათა მოეთხოვათ გარკვეული პრივილეგიები ეკონომიურ დარგშიც. ჰამავანდები თავიანთ თავს მიწათმფლობელებად მიიჩნევდნენ და დამორჩილებული გლეხებისაგან გადასახადის სახით კრეფდნენ ტრადიციულად დადგენილ მოსავლის ნაწილს, რომელიც მერყეობდა 1/5-დან 1/10-მდე ხორბლეულ კულტურებზე და 1/3-მდე ტექნიკური კულტურებზე. ჩვეულებრივ დამორჩილებულ სოფელში ჰამავანდების რაოდენობა მეტად დიდი იყო და, ბუნებრივია ისინი ვერ იარსებებდნენ მხოლოდ აკრეფილი გადასახადების ხარჯზე. მით უმეტეს ახლა, როდესაც თავდასხმები სხვა ტომებზე თანდათან შეუძლებელი ხდებოდა, ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ გადასახადეზის აკრეფის გზით მიღებული საარსებო საშუალებანი სასოფლოსამეურნეო საქმიანობით გაეზარდათ.

ჰამავანდელი მიწათმოქმედნი მიწას ისე ფლობდნენ, როგორც პირად სამემკვიდრეო ქონებას, საერთოდ, ისინი განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებზე ცნობდნენ იმ გლეხების უზუფრუქტულ უფლებას, რომლებიც ტომებში არ იყვნენ გაერთიანებული და, ეს უფლება მიღებული ჰქონდათ მამებისაგან. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ შექმნილი ვითარება საშუალებას იძლეოდა, ისინი ამ უფლებებს იოლად არღვევდნენ.

ჩვეულებრივ, სოფელში მოსახლეობის მესამე ჯგუფიც იყო, იგი შედგებოდა „უცხო" წარმოშობის მოჯამაგირეებისაგან, მათი ეკონომიური მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორც ბინადარი მოჯამაგირეებისა.

არც გამარჯვებულ ჰამავანდებს და არც დამარცხებულ მისქენს არ სურდათ საკუთარი მდგომარეობის შესუსტება იმით, რომ გადა-

ეცათ უფლება მიწაზე მოსულთა რომელიმე ჯგუფისათვის. ამიტომ მოჯამაგირეს არასოდეს შეეძლო შეეძინა საჭირო მიწის ნაკვეთი, რათა ამაღლებულიყო მოიჯარე-მიწათმოქმედის მდგომარეობამდე, თუნდაც მას საამისოდ ეკონომიური სახსრები ჰქონოდა.

მანამ, სანამ ადმინისტრაცია ზურგს გაიმაგრებდა ამ რაიონში, ჰამავანდები და მისქენები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით. ყმა გლეხები, რომლებიც ძლიერი ტომის სამხედრო მფარველობაში იმყოფებოდნენ, დაცული იყვნენ სხვა ტომების სამხედრო თავდასხმებისაგან.

გარდა ამისა, დამორჩილებული გლეხები გარკვეულ სარგებლობას ღებულობდნენ, როგორც შუამავლები, ჰამავანდელთა მიერ ნაძარცვი საქონლის რეალიზაციისას. თვითონ ჰამავანდებს, როგორც მძარცველებს, ეშინოდათ ბაზარზე გამოჩენისა. გლეხებისათვის კი ამ მხრივ დაბრკოლება არ არსებობდა. ზოგჯერ გლეხები ამგვარი ვაჭრობით იმდენად დიდ მოგებას ნახულობდნენ, რომ იგი აღემატებოდა იმ გადასახადებს, რასაც ჰამავანდებს უხდიდნენ.

მას შემდეგ, რაც ამ რაიონში ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი, ეკონომიური კონფლიქტი ჰამავანდებსა და მისკენებს შორის გახშირდა.

ჰამავანდების ჯგუფს აღა მეთაურობდა, ხოლო მისკენებისას როგორც წესი „ქევხა“ (სოფლის ოფიციალური მამასახლისი).

მისი თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო, ფორმალურად ამ თანამდებობაზე მას ირჩევდნენ სოფლის მცხოვრებთა ხმის უმრავლესობით. ახლად არჩეულ ქევხას ადგილობრივი ადმინისტრაცია ამტკიცებდა.

თავი V

# სასოფლო-სამეურნეო წარმოება და ცხოვრების დონე

## 1. სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა

ქურთისტანის თითოეული მხარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში გარკვეული თავისებურებანი შეიმჩნევა და ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი ცალ-ცალკე განხილვა.

ერაყის ქურთისტანის მთელი ტერიტორია თავისი ბუნებრივი და კლიმატური პირობებით შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: ძირითადია ცენტრალური და სამხრეთი ნაწილი, რომელიც მთლიანად მოიცავს ერბილის, სულეიმანიესა და ნაწილობრივ ნაინავას (მოსულის) პროვინციებს, მეორეა ჩრდილოეთი ნაწილი, რომელშიც რევანდუზის გარშემო მდებარე ტერიტორია შედის.

ამ მხარის უკიდურეს ჩრდილოეთში ნათესი მინდვრები განლაგებულია სოფლებთან მდებარე ფერდობებზე, ე. ი. იქ, სადაც არის ბევრი წყალი და მცენარეულობა (განსაკუთრებით კაკლის ხეები). იმის გამო, რომ ველის ეს მხარე სამხრეთისაკენ არის მიმართული მინდვრებიცა და ნათესებიც მზის სხივების მაქსიმალურ რაოდენობას ღებულობენ, ხოლო მაღალი ქედი, რომელიც აზიდულია აქაური სოფლების უკან, დაახლოებით 5000 მ-ზე, იცავს ნათესებს ჩრდილო-დასავლეთის ქარებისაგან, ე. წ. „შამალისაგან"[1]. აქ ნათესების დიდი ნაწილი მარცვლოვან კულტურებს (ხორბალს, ქერს, პარკოსანს) უკავიათ. პარკოსან მცენარეებს, როგორც წესი, ხორბლეულის აღების შემდეგ თესენ. ქერი გაზაფხულის კულტურაა. მისი მწიფობის ხანა სამ თვეს გრძელდება (მას მარტში თესენ, ხოლო ივ-

[1] „შამალი" არაბულად ჩრდილოეთს ნიშნავს.

ნისში იღებენ). ხორბლეულის ჯიშებიდან გავრცელებულია ორი: საშემოდგომო („განიმ“) და საგაზაფხულო („ბეჰარი“). საგაზაფხულო ხორბალს მარტში თესენ ქერთან ერთად და ივნისში იღებენ. საშემოდგომო ხორბალს, რომლის მოწევას 6 თვე სჭირდება, აგვისტოში თესენ და მომავალი წლის გაზაფხულზე იღებენ. იმ შემთხვევაში, თუ თებერვალში ამინდი ხელისშემწყობია, მეორედ თესენ ხორბალს და მის მოსავალს აგვისტოში იღებენ [123, გვ. 362].

ამ ადგილებში ხორბლეული კულტურების მოსავალი მეტად დაბალია; გალეწვისა და განიავების შემდეგ მათში მაინც მრავალი სარეველა ბალახი ურევია. ეს შეიძლება გალეწვის არსებული წესისა და ცუდი ჯიშის თესლის შედეგიც იყოს. საერთოდ ხორბალს ხელით იღებენ. მის თავთავებს პატარ-პატარა ძნებად კრავენ. ამ ძნებს აწყობენ კალოს ცენტრში, რომელსაც წინასწარ ამზადებენ. კალოზე ხორბლის გასალეწად იყენებენ ოთხ პირუტყვს (ხარი, ძროხა ან სახედარი). ძნებს აწყობენ ჩალაზე და მერე მძიმე ქვის საგორავით სრესენ. ამის შემდეგ საქონელს კალოზე შემოატარებენ და ხორბალს თავთავებისაგან აცალკავებენ. მრავალსაათიანი დამქანცველი შრომის შემდეგ ლეწვა მთავრდება. ბზეს იღებენ კალოდან (მას იყენებენ საქონლის საკვებად) და იწყება ხორბლის განიავება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს ბევრი ხორბალი იკარგება — ზოგი მიწაში ეფლობა, ზოგიც ქარს მიაქვს. ხორბალს ინახავენ დიდ თვითნაკეთ ტომრებში, ხორბლის მხოლოდ მცირე ნაწილი მიაქვთ ბაზარში გასაყიდად.

რაც შეეხება ერაყის ქურთისტანის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილს, საზამთრო კულტურები აქაც ძირითადად ხორბალი[2] და ქერია. ერბილის ხორბალი ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომის წინ გაჰქონდათ ევროპაში. რაც შეეხება ქერს, აქ მხოლოდ შავი ქერი მოჰყავთ. ქერისა და ხორბლის ფასი ხშირად მერყეობდა[3]. თუ

---

2 ერბილის ოლქში ძირითადად ხორბლის ორი ჯიშია გავრცელებული: მაგარი ხორბალი („რეშგულ“ ანდა „შავი ყვავილი“), რომლისგანაც იღებენ ხეშეშად დაფქვილ ფქვილს (იგი ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტია), და „ყანდაჰარი“, რომელიც მაღალი ხარისხის ფქვილს იძლევა და მას პურის გამოსაცხობად იყენებენ [125, გვ. 98].

3 მაგალითად, პირველ მსოფლიო ომამდე ერთი ტონა ხორბალი ღირდა 40 რუფიი, ხოლო ტ. ქერი — 24 რუფია. ომის ბოლოს მათმა ფასმა შესაბამისად 1500 და 1200 რუფიას მიაღწია, ხოლო 20-იან წლებში ისევ დაეცა შესაბამისად —350 და 200 რუფიამდე (ერაყში ინგლისელთა ოკუპაციისა და სამანდატო რეჟი-

არაბულ ერაყში ანუ ერაყის სამხრეთში ქერი ორჯერ უფრო მეტი მოჰყავთ, ვიდრე ხორბალი, ერაყის ქურთისტანში პირიქით, — ხორბლის კულტურის მოყვანას უფრო მისდევენ, ვიდრე ქერისას.

საშემოდგომო ხვნა[4]. ჩვეულებრივ, იანვარში ან თებერვალში იწყება, და გრძელდება მანამ, სანამ ნიადაგი სველია, ძირითადად, აპრილის ბოლომდე.

მაისიდან აგვისტომდე მინდვრებს ზოგჯერ კიტრისა და ნესვის მოსაყვანად იყენებენ[5].

აქაური ქურთი თესლბრუნვას ცუდად იცნობს, მაგრამ მის ამ ნაკლს ბუნება ანაზღაურებს. ცხელ ამინდში მოხნული მიწები იფარება ეკლიანი მცენარეებით, რომელსაც აქლემის ეკალს[6], ანუ „შაუკს" უწოდებენ. ეს მცენარე გრძელფესვიანია და უნარი შესწევს წყალი შეიწოვოს ზედაპირამდე, ხოლო როდესაც ზამთარი დადგება, თავისი ფოთლებითა და ტოტებით ანოყიერებს ნიადაგს. ზაფხულობით, როცა ბალახი ცოტაა, ქურთები მას იყენებენ საქონლის საკვებად, ხოლო ზამთარში — სახლების გასათბობად.

მომზადებულ მიწებზე მარცვლეულს თესენ აგვისტო-ოქტომბრის თვეებში. იქ, სადაც წყალია, ხოლო ნიადაგი — ნოყიერი, მიწას რწყავენ თესვამდე ერთი კვირით ადრე. მართალია, ეს სარეველებს ამრავლებს, მაგრამ მათ თოხნისას ანადგურებენ.

ერბილის დაბლობ რაიონებში მარცვლეულის მოყვანის ამ მეთოდს „რაბას" უწოდებენ. პურის ასეთი ნათესები ადრე მწიფდება და კარგ მოსავალსაც იძლევა.

თესვის დამთავრების შემდეგ თითქმის ყველაფერი წვიმაზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ, წვიმები ნოემბრის შუა რიცხვებში იწყება. მცირე წვიმას მაინცდამაინც დიდი სარგებლობა არ მოაქვს და არაფერი იზრდება. მაგრამ როცა წვიმა „პარა"[7] გადაივლის, ზე-

---

ძის წლებში (1918 — 1932) გაბატონებული იყო ფულის ინდური ერთეული — რუფია).

4 მიწას ორჯერ ხნავენ. პირველ მოხვნას უწოდებენ „შუხმ"-ს, ხოლო მეორეს — „ჯეარედინს" — „ვარდს". აპრილის ბოლოსათვის სოფლის გარშემო მთელი მიწა უკავია ან წინა წლის საშემოდგომო ხორბლის ნათესებს, ანდა გადახნულია მომავალი შემოდგომისათვის [125, გვ. 98].

5 ნესვი აქ პატარა და ტკბილია, ხოლო კიტრი — მოკლე და სქელი. ისინი მწიფდებიან მაისის ბოლოს და მთელ თვეს ყვავიან. მათ არა რწყავენ, სამისოდ წვიმებიც საკმარისია.

6 ეს მცენარე კარგი საკვებია აქლემებისათვის.

7 „პარა" ისეთი წვიმაა, რომელსაც უნარი შესწევს ღრმად დაასველოს ნიადაგი.

დაპირი სინესტეს ინარჩუნებს ზაფხულის ცხელი დღეების დადგომამდე. შემდეგ საჭიროა კიდევ ახალი წვიმა[8].

ყველაზე მეტი წვიმა მოდის იანვარსა და თებერვალში, როდესაც წვიმები თითქმის არაა საჭირო. ასე, რომ ეს თვეები ნესტიანი თვეებია. ყველაზე კრიტიკული თვეები მარტი და აპრილია, როდესაც ყოველ 10 დღეში კოკისპირული წვიმებია საჭირო. 15 მაისის შემდეგ მოსული წვიმა უკვე ხელს უშლის მოსავლის აღებას.

ნოემბერსა და დეკემბერში, როგორც კი პირველი წვიმა გადაივლის და ნიადაგი რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზე დასველდება, ქურთები იწყებენ იმ მიწებზე ხვნასა და თესვას, რომლებსაც მანამდე არ აწეშავებდნენ გამწევი ძალის უყოლობის გამო. ასეთ ნათესებს „ტარაკალ“-ს უწოდებენ. „ტარაკალის“ მინდვრებზე მოსავალს დაახლოებით 20%-ით ნაკლებს იღებენ, ვიდრე „ვარდ“-ის ნათესებიდან [125, გვ. 99].

იანვარში ქურთები კვლავ ხვნით არიან დასაქმებული. თუ ჯეჯილი ადრე აღმოცენდა, ისინი ამ მწვანეზე საქონელს უშვებენ საძალახოდ. სარწყავ მიწებზე სასუქი იშვიათად შეაქვთ, გამონაკლისს შეადგენს ის პატარა ნაკვეთები, რომელზეც ქერი მოჰყავთ საქონლის გამოსაკვებად, ანდა დათესილია ნესვი და კიტრი.

მარტის დადგომისას მარცვლეული უკვე გაზრდილია, ქურთი გლეხი უცდის წვიმებს და იცავს მინდვრებს მწერებისაგან[9], ყანის ჟანგისაგან[10], ხორბლის გუდაფშუტასაგან და სხვა.

ქერის აღება იწყება მაისის დამდეგიდან და გრძელდება თვის ბოლომდე. ხორბლის აღებას კი — ივნისიდან იწყებენ. მკის დროს, როდესაც მუშახელი არ არის საკმარისი (მოსავლის აღება მთლიანად ხელით წარმოებს), ყველანი შრომობენ (კაცები, ქალები და ბავშვები), მრავალი ღატაკი მთიდან ბარში ჩამოდის ზამთრობით და და ქირით შრომობს. ასეთ სეზონურ მოჯამაგირეებს აქ „საპანებს“ უწოდებენ. ისინი გასამრჯელოდ აღებული მოსავლის 1/6-ს ღებულობენ [125, გვ. 100].

---

8 როდესაც ასეთი წვიმა არ მოდის, ხორბლის ნათესები იღუპება.

9 ასეთებს მიეკუთვნებიან პატარა ბაღლინჯოები — „სანი“, რომლებიც დიდი რაოდენობით ჩნდებიან ხოლმე და ხორბალს თავთავებს აჭამენ. ზოგჯერ ისინი მთლიანად ანადგურებენ მოსავალს დიდ ტერიტორიაზე. ასეთივე ზარალი მოაქვს კალიების შემოსევას.

10 იგი, ჩვეულებრივ, ჩნდება ნესტიანი ზამთრის პირობებში და დიდ ზიანს აყენებს „ყანდაპარის“ ჯიშის ხორბლის ნათესებს.

ხორბლის ძნები კალოზე სახედრებით გადააქვთ. კალო სოფლის ახლოს მდებარეობს და საზოგადოებრივ საკუთრებას შეადგენს.

ჩვეულებრივ, ქურთი მიწათმოქმედი თავის სარწყავ მიწას მთლიანად ქირით კი არ აძლევს, არამედ თვითონ ამუშავებს დაქირავებულ მუშასთან ერთად.

სხვა საგაზაფხულო კულტურებიდან აღსანიშნავია სიმინდი, ფეტვის სხვადასხვა სახე, გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პარკოსან კულტურებს „მაშ"-ს და „ნუჰედ"-ს, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა; მოჰყავთ აღმოსავლური კუნჟუთი, რომელსაც იყენებენ სანელებლად პურის ცხობისას. გარდა ამისა, მისგან ხდიან ზეთს.

ზოგიერთ სოფელში თესენ საგაზაფხულო ხორბალსაც, რომელიც მორწყვას საჭიროებს. საგაზაფხულო ხორბალი მოჰყავთ იმ ადგილებში, სადაც თოვლი მარტის ბოლომდე არ დნება; მაგალითად, ბალიკის რაიონში.

რაც შეეხება სირიის ქურთისტანს, იგი ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში აწარმოებდა იმაზე უფრო მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ვიდრე სჭირდებოდა [54, გვ. 80]. აქ ახლაც ძირითადად ისევ მარცვლოვანი კულტურები მოჰყავთ.

1965 წლისათვის მთელი სირიის დამუშავებული მიწის ფართობი კულტურების მიხედვით ასეთნაირად ნაწილდებოდა: მიწების 70% ეკავა ხორბლეულს, 18% — ბამბას, 4% — შაქრის ჭარხალს, 2% — ხეხილის და 6% — ბოსტნეულს და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურას [177, 158, 1955].

ხორბლის ნათესებს მეტწილად ბოგარულ მიწებზე ვხვდებით, ხორბალი ყველაზე მნიშვნელოვანი სასურსათო კულტურაა, მას თესენ ოქტომბერ-ნოემბერში; მოსავალს კი ივნის-ივლისში იღებენ.

ქურთებით დასახლებულ რაიონებიდან ხორბალი მოჰყავთ ჰასეკეს, ჰამას, ჰალების ოლქებში (მუჰაფაზებში). საერთოდ აქაური კლიმატური პირობები ხელსაყრელია მაგარი ხორბლის მოსაყვანად. ადგილობრივი ჯიშებიდან აღსანიშნავია შემდეგი: „ჰაურანი", „ხამარი", „ბაიადი". სირიულ ხორბალზე დიდი მოთხოვნილებაა ევროპაში და განსაკუთრებით იტალიაში, სადაც მისგან აწარმოებენ მაკარონსა და საკონდიტრო ნაწარმს [65, გვ. 146].

ხორბლის შემდეგ ქერი — ყველაზე გავრცელებული მარცვლოვანი კულტურაა, იგი მოყავთ იმავე რაიონებში სადაც ხორბალია

მთიან რაიონებში ძირითად სარწყავ კულტურას თამბაქო წარმოადგენს. ამ კულტურის მაღალი ღირებულების გამო აქ მოსახლე

ქურთები წყლის თითქმის მთელ რესურსებს თამბაქოს მოყვანას ახმარენ [125, გვ. 103].

ერაყის ქურთისტანში თამბაქოს წარმოების ძირითადი ცენტრებია ნინევიისა (მოსული) და სულეიმანიეს ოლქები, იგი მოჰყავთ აგრეთვე შაჰრიზურის რაიონშიც[11].

ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებში თამბაქოს პლანტაციებს მესამე ადგილი უკავია. იგი საზაფხულო კულტურაა და მას რგავენ პატარა, მაგრამ კარგად მორწყულ მიწის ნაკვეთზე.

თამბაქოს მწკრივებად თესენ, შემდეგ კი, ივნისში, ჩითილს გადანერგავენ მინდორში. ახალგაზრდა აღმონაცენს გულმოდგინედ მარგლავენ და თოხნიან. ავისტოში კი მინდვრები უკვე სავსეა თამბაქოს გრძელი რიგებით.

სექტემბრის პირველ ნახევარში თამბაქოს ფოთლებს ჰკრიან გასახმობად და ძაფზე ასხმულს მინდორშივე ფენენ. წვიმების დაწყებისას სექტემბრის შუა რიცხვებიდან, ფოთლებს სახლებში მოწყობილ სტელაჟებზე, ანდა სპეციალურ ფარდულში ახმობენ, შემდეგ კი ქალაქში მიაქვთ გასაყიდად. თამბაქოს გაყიდვაზე სახელმწიფო მონოპოლიაა დაწესებული. მისი ფასები განსხვავდება ხარისხის მიხედვით. 1 კგ საუკეთესო ხარისხის თამბაქო იყიდებოდა 10 შილინგად[12] (შეუფუთავად), ხოლო 1 კგ ყველაზე დაბალი ხარისხისა — 4 შილინგად [123, გვ. 362]. ეს ფასები აღებულია ქურთისტანში ომის გაჩაღებამდე; უნდა ვივარაუდოთ, რომ 10 წლის მანძილზე (1961—70 წწ) აქ წარმოებული საომარი მოქმედება შეამცირებდა თამბაქოს ნათესებს და, ბუნებრივია, რომ ფასიც გაიზრდებოდა.

ქურთები თამბაქოს თავგამოდებული მწეველები არიან. ასეული წლების მანძილზე მათ მოჰყავთ თავიანთი საკუთარი ჯიშის თამბაქო. თუმცა თამბაქოს არსებული ჯიშები ქურთებს ძალზე მოსწონთ, ისინი ბაზარზე დიდად არ ფასობენ, მათი ფოთოლი ძალზე მტვრევადია, მაგრამ უკანასკნელ წლებში ბაღდადსა და მის მიდამოებში თამბაქოს ბევრი ფაბრიკა ააგეს, რის შედეგადაც გაუმჯობესებულ ქურთულ თამბაქოს ფოთოლს შესაბამისი გასაღების ბაზარი გაუჩნდა. ეს ბაზარი ძირითადად აკმაყოფილებს ისეთ ქურთულ

---

11 პირველ მსოფლიო ომამდე თამბაქოს ყოველწლიური მოსავალი 100 ათას ფუთს შეადგენდა [31, გვ. 15].

12 ინგლისური ერთი შილინგი ერაყული დინარის 1/20-ს ანუ 50 ფილსს უდრიდა.

რაიონებს, როგორიცაა სულეიმანიეს მუჰაფაზა (ოლქი), მაგრამ ტომის წევრები ცდილობენ თანდათან თავიანთი პროდუქცია ახალ პირობებს შეუგუონ. სახელმწიფო ან კერძო მეწარმეენი მათ თესლით ამარაგებენ და რჩევა-დარიგებას აძლევენ თამბაქოს მოსაყვანად, ამისათვის სამაგიეროდ შემდეგ სათანადო გასამრჯელოს ახდევინებენ ქურთ გლეხებს. ახალ პირობებში თამბაქოს გაუმჯობესებულ ფოთოლს უფრო მეტი ღირებულება აქვს და გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე ხორბალი ან ბრინჯი. ამდენად, ეკონომიური თვალსაზრისით, ქურთებისათვის ხორბლისა და ბრინჯის ნათესების ხარჯზე თამბაქოს მოსავლის გაზრდას აზრი აქვს. გარდა ამისა, ბრინჯის ნათესებს გაცილებით მეტი წყალი სჭირდება, ვიდრე თამბაქოს პლანტაციებს. ამას უკვე მიხვდნენ ბარის ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით ბატასის გარშემო მდებარე სოფლებში, სადაც ძირითადად ასურელები ცხოვრობენ. მათ სხვა კულტურებთან შედარებით თამბაქოს გაშენების ფინანსური უპირატესობა მალე შეიგრძნეს. მაგრამ ქურთებით დასახლებულ რაიონებში ეს პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს [125, გვ. 103].

რევანდუზის ოლქის უფრო მაღლა მდებარე სოფლებში, მაგალითად, ხალანსა და რაიათში, კლიმატური პირობები თამბაქოსათვის ნაკლებად ხელსაყრელია, მაგრამ ქვემოთ, ბარის სოფლებში — მერგესა და დერგალაში, სადაც თამბაქოსთან ერთად ბრინჯიც მოჰყავთ, თამბაქოს მოსავალი მაინცდამაინც დიდი არაა. გარკვეული სიძნელენი წარმოქმნა წყლის დინების შეცვლამ, მაგრამ მარტო ეს არ აბრკოლებს თამბაქოს პლანტაციების ზრდას. ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ კულტივაციის სპეციალისტთა ნაკლებობაც. მაგრამ ძირითად საკითხად მაინც სოციალური პრობლემები რჩება. ყველა მოიჯარეს რომ თამბაქოს მოსავალი თანაბარი რაოდენობით მოჰყავდეს, მაშინ თანამედროვე ფულად ეკონომიკაზე გადასვლა გაცილებით ადვილი იქნებოდა. მაგრამ პრაქტიკულად მოიჯარეს უფლებები ისეთია, რომ თამბაქოს კულტივაციის გაზრდამ შეიძლება ერთნაირი ზეგავლენა ვერ მოახდინოს თემის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებზე.

მართალია, არის მიწა, რომელიც პოტენციურად არსებობს თამბაქოს კულტივაციისათვის, მაგრამ მისი გამოყენება თამბაქოსათვის ბევრად არის დამოკიდებული სარწყავ სისტემაზე. სარწყავი სისტემა იმ სახით, რა სახითაც ის დღეს არსებობს ქურთისტანში, სხვადასხვა მიზანს ემსახურება. ამათგან აღსანიშნავია: //

1. მორწყვა ბრინჯის კულტივაციისათვის. ბევრ სოფელში ბრინჯის ნათესი პირად საკუთრებას წარმოადგენს, რომელიც აღას ეკუთვნის და არ არის მოიჯარის მფლობელობა ჩვეულებრივი გაგებით.

2. ბოსტნეულის პერიოდული მორწყვა. ნებისმიერი რეორგანიზაციის შემთხვევაში იგი მუდამ შენარჩუნებულია.

3. არსებული ნაკვეთების პერიოდული მორწყვა თამბაქოს კულტივაციის მიზნით.

ზოგიერთ სოფელში (მაგალითად, დერგალაში და სხვა) სარწყავ სისტემას წისქვილის ასამოქმედებლად იყენებენ. ამასთან ეს წისქვილი ეკუთვნის ან აღას, ანდა მის ახლო ნათესავს [128. გვ. 37].

ეს სისტემა რომ შეიცვალოს, იგი შეეხება არა მარტო გლეხთა, არამედ მიწათმფლობელთა ინტერესებსაც. მაგალითად, საეჭვოა, რომ აღამ უარი თქვას მის კუთვნილ ბრინჯის ნაკვეთზე მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა მოიჯარეებმა (ან და მასზე დამოკიდებულმა გლეხებმა) მიიღონ უფრო მეტი წყალი თამბაქოს მოსაყვანად. მეორე მხრივ, თუ აღა თავის მთელ მიწებს თამბაქოს პლანტაციებს დაუთმობს, მოიჯარენი, რომელთა მიწების დამუშავებასაც ეს ხელს შეუშლის, კანონიერად უკმაყოფილონი იქნებიან. მოკლედ, ნებისმიერ სოფელში წყლის მომარაგების სისტემის გადაკეთება იმ მიზნით, რომ გადიდდეს თამბაქოს ნათესები, პრაქტიკულად თხოულობს იმას, რომ სოფლის მეურნეობამ მიიღოს სრულიად ახალი სახე, რაც ძნელად განსახორციელებელია არსებული სოციალური წყობილების პირობებში. იმისათვის, რომ ეს მოხდეს, ქურთისტანში უნდა ჩატარდეს რადიკალური აგრარული და სოციალური რეფორმები.

ნიშანდობლივია, რომ სოფ. ბატასში, სადაც შემოღებულია კულტივირების ასეთი რეოგრანიზაცია, უკვე გამოჩნდნენ ახალი მოიჯარენი ასურელების სახით. აქ აღარ არსებობს მოიჯარეთა უფლებების დადგენილი სისტემა, რომელიც წინათ ტრადიციულ მემკვიდრეობაზე იყო დამყარებული.

ინტერესს იწვევს განაპირა მიწის ნაკვეთების პრობლემაც. მიწის ამ ნაკვეთებზე გადის ნათესების საზღვარი და მათ იყენებენ ბუჩქების დასარგავად. მათი დამუშავება შეიძლებოდა, თუ არსებულ წყალს უფრო ეფექტურად გამოიყენებდნენ და ადგილი ექნება ფულად დაინტერესებას. მიწის ეს განაპირა ნაკვეთები ამჟამად აღას ეკუთვნის.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საექსპორტო ვაჭრობის განვითარე-

ბისათვის უნდა გადიდდეს თამბაქოს მოსავალი[13], ამის განხორციელება კი შეიძლება მარცვლეული კულტურების ნათესების შემცირების გზით.

ზოგიერთი ავტორი, მაგალითად ინგლისელი ლიჩი, გამოსავალს ხედავს ქურთი გლეხების თავისუფალ კერძო ფერმერებად გადაქცევაში. ქურთი ფერმერი — წერს იგი, პირველ რიგში მოიყვანს საკვებ პროდუქტს, რომელიც საკმარისი იქნება მისთვის და მისი ოჯახისათვის. ამის შემდეგ, შეეცდება დააგროვოს საკმარისი რაოდენობის საქონელი და გაყიდოს მხოლოდ ზედმეტი პროდუქტიო. [128, გვ. 33].

ახალ პირობებში ხორბლეულის ადგილობრივი წარმოება საკმარისი არ იქნება და გლეხი დანაკლისს თამბაქოს გაყიდვით შეავსებს.

დღევანდელ პირობებში თამბაქო შემოსავლის თვალსაზრისით წარმოადგენს ძვირფას სასოფლო-სამეურნეო კულტურას. ამიტომ მრავალი ქურთი მიწათმოქმედი დიდ ყურადღებას იჩენს ამ კულტურისადმი. მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული ამ კულტურის საბაზრო ფასზე.

თამბაქოს კულტივირებას შეიძლება არსებითი სოციალური ხასიათის შედეგებიც მოჰყვეს. განვიხილოთ შემთხვევა რენტასთან დაკავშირებით. გლეხი თავის აღას უხდის აღებული მოსავლის 50%-ს, დარჩენილი ნაწილი კი საკმარისია მისი ოჯახის გამოსაკვებად (სწორედ რომ მხოლოდ გამოსაკვებად და მეტი არაფერი), რენტიდან შემოსავალი ასე თუ ისე მცირეა.

თამბაქოს მოყვანის შემთხვევაში გლეხს აღარ დარჩებოდა მოსავლის 50% ისე, თუ არ გაყიდდა თავის შემოსავლის ნაწილს. გარდა ამისა, თამბაქოს გაყიდვისას გლეხმა უნდა გადაიხადოს სახელმწიფო გადასახადიც.

თავის მხრივ, აღას სულ უფრო უჭირს შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ნათესავებისა და „სასტუმრო სახლის"[14] მიმართ და ხშირად იძულებულია დააგიროს ტომის კუთვნილი მიწა[15].

---

13 თურქთა ბატონობის დროს თამბაქოს წარმოება საფრანგეთის მონოპოლისტური კომპანიის „რეჟი დე ტაბა"-ის ხელთ იყო. თამბაქო ანაზღაურებდა დიდ საბაჟო გადასახადებს და წლიური შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა [125, გვ. 104].

14 „სასტუმრო სახლი" არსებობს თითქმის ყველა დიდ ქურთულ სოფელში. მისი შენახვა აღას ეკისრება. თავის მხრივ, აღა სარგებლობს ამით და თხოულობს დამატებით გამოსაღებს მასზე დამოკიდებული გლეხებისაგან.

15 თეორიულად ეს დაუშვებელია, რადგანაც ერაყის კანონებით ტომის

ასეთ შემთხვევაში აღა (მემამულე) კარგავს პირად კავშირს თემთან და ტომობრივი დაშლის პროცესი შეიძლება ყოველმხრივ დასრულებულად მივიჩნიოთ.

სახელმწიფო თვალსაზრისით მოვლენების ასეთი მსვლელობა მეტად სასურველი არის. იმ თემის მართვა, რომელიც ტომში არ არის გაერთიანებული, გაცილებით იოლია, ვიდრე ტომში გაერთიანებულისა.

თამბაქო მოჰყავთ აგრეთვე მეზობელ ირანის ქურთისტანის თითქმის ყველა რაიონში. შეთანხმება, რომელიც იდებოდა მემამულესა და მოიჯარეს შორის თამბაქოს მოყვანის თაობაზე, 1965 წლამდე აქ სხვადასხვა პრინციპს ემყარებოდა:

1. მოსავალი იყოფოდა შუაზე, თუ მიწა და წყალი მემამულისა იყო, თესლს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ასეთი სისტემა მიღებული იყო, მაგალითად, სოფელ ფასვეში (ლაჯანის რაიონი). თამბაქოს დამუშავება მისი აღების შემდეგ დიდ სამუშაოს მოითხოვს. კერძოდ, სრულ გაშრობას, დახარისხებას და შეფუთვას. ირანში თამბაქოზე სახელმწიფო მონოპოლია არსებობს, ამიტომ იგი თავისუფლად არ იყიდება. ასევე, როგორც შაქრის ჭარხლის მოყვანის შემთხვევაში, აქ ამ შემთხვევაში მემამულე კონტრაქტს დებდა მთავრობასთან. იგი ღებულობდა მთავრობის სესხსა და გასაღებული თამბაქოს ფულს.

რაც შეეხება მოიჯარეს, მისი გასამრჯელო მემამულის სურვილზე იყო დამოკიდებული. ბევრი მოიჯარე ნაკლებად იყო დაინტერესებული თამბაქოს მოყვანით, რადგანაც ეს მეტად შრომატევადი სამუშაოა, ხოლო მისგან შემოსავალი ძალიან მცირეა[16]. ამიტომ იყო, რომ მემამულეები აიძულებდნენ გლეხებს მოეყვანათ თამბაქო ისე, როგორც ხსენებულ სოფელ ფასვეში. მოიჯარე ვალდებული იყო გადაეხადა თამბაქოს მოსავლის ღირებულების ფასი, თუ ის უარს იტყოდა მის მოყვანაზე.

შნოს რაიონში (ირანის ქურთისტანი), სადაც თამბაქოს საუკეთესო ჯიშები მოჰყავთ, მოსავალი ორ თანაბარ ნაწილად იყოფოდა.

ირანის ქურთისტანში, სადაც საიჯარო სისტემა რეფორმის შემდეგაც შემორჩა, თამბაქოს კულტურის მოყვანისას ნატურით

---

კუთვნილი მიწა მირის მიწების კატეგორიას განეკუთვნება, მიუხედავად ამისა, განსხვავების პროცესი წარსულში ნათლად გამომჟღავნდა ბარის რაიონებსა და მთის ძირთან განლაგებულ სოფლებში.

16 თამბაქოს მოყვანისათვის ფულს ტომის ბელადი ღებულობს, ხოლო ტომის რიგითი წევრებს, როგორც წესი, არაფერი რჩებათ.

რენტა შრომითი რენტით იცვლება. მემამულე აიძულებს მოიჯარეს, რომელსაც ხორბალი მოჰყავს, შრომითი ბეგარის სანაცვლოდ მოხნას მისი მიწის ნაკვეთები თამბაქოს გასაშენებლად. ამ სამუშაოსათვის გლეხს არაფერს აძლევენ.

ყველა სხვა სამუშაოს ასრულებენ დაქირავებული მუშები, რომლებიც შემოსავლის ნახევარს ღებულობენ. ასეთი სისტემა მოქმედებს ნალოსში (შნოს რაიონი), ჩიანაში (სულდუზის რაიონი) და სხვაგან [124, გვ. 140].

2. მოსავალი იყოფა სამ ნაწილად. ამას მეტწილად ადგილი აქვს ურმიის რაიონში, სადაც ამჟამად თამბაქო ყველაზე დიდი რაოდენობით მოყავთ. ერთ ნაწილს იღებს მემამულე მიწისა და წყლისათვის, მეორეს — გლეხი რომელიც ამ მიწას თავისი შრომის იარაღებით ამუშავებდა, მესამეს კი სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებიც თამბაქოს მოყვანასთან დაკავშირებულ ყველა სხვა სამუშაოს ასრულებენ.

ყველა შემთხვევაში თამბაქოზე რენტა უფრო მაღალია, ვიდრე ხორბლეულზე. იმ გლეხებს, რომლებსაც მოჰყავთ თამბაქო ან შაქრის ჭარხალი, საკუთარ ზურგზე გადააქვთ არაადამიანური ექსპლოატაციის მთელი სიმძიმე. უნდა აღინიშნოს თამბაქოდან აღებული რენტის ერთი თავისებურება: იგი ღებულობს ნატურით რენტის სახეს, როგორც გაყოფის სისტემის ერთ-ერთი ფორმა. მაგრამ არც მოიჯარე და არც მემამულე არ ღებულობენ მოსავალს ამ ფორმით, რადგანაც სახელმწიფო რენტას ფულით თხოულობს.

ეს სისტემა მოწმობს ნატურით გადასახადიდან ფულად გადასახადზე გადასვლას და წარმოადგენს იმ ზეგავლენის შედეგს, რომელიც ტექნიკური კულტურების დანერგვამ მოახდინა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გლეხთა დიფერენციაციაზე. ამჟამად ქურთისტანში უკვე არსებობს ფულადი რენტა თამბაქოს და შაქრის ჭარხალზე [124, გვ. 141].

რაც შეეხება სირიის ქურთისტანს. თამბაქოს მოყვანას, აქ მისდევს დაახლოებით 50 ათასამდე გლეხური მეურნეობა, ძირითადად ლატაკიასა და იდლიბში [65, გვ. 151].

ერაყის ქურთისტანის დაბლობ და ზოგიერთ მთიან რაიონში ბრინჯი არის საზაფხულო კულტურა. აქ ყველაზე მეტად უფრო „ჯირდაას“ ჯიშის ბრინჯია გავრცელებული. ეს ჯიში უფრო მსხვილ მარცვალს იძლევა და ჩვეულებრივ ჯიშებთან შედარებით უფრო ნოყიერია. მოჰყავთ აგრეთვე სხვა ჯიშებიც; მაგალითად, „ამბარ“ და „სადრი“, მაგრამ ისინი ნაკლებნაყოფიერია და მათზე დიდი მოთხოვნილება არ არის.

ბოლო ხანებამდე ერაყის ქურთისტანის მრავალ სოფელში ბრინჯის მოყვანის საქმეს მთლიანად აღა განაგებდა. მართალია, ცნობები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის მუშახელს ქირაობდა იგი და რა გასამრჯელოს აძლევდა, ჩვენ ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ზოგიერთ სოფელში ბრინჯის ნათესები უფრო მეტი იყო, ვიდრე თამბაქოსი. ასე მაგალითად, სოფ. ვალაშში თამბაქო ნაკლებად მოჰყავდათ, ვიდრე დერგალაში, ამას ადგილობრივი აღა იმით ხსნიდა, რომ აზრი არა ჰქონდა საკვები პროდუქტების ხარჯზე თამბაქოს ნათესები გაეზარდა, შემდეგ კი საკვები პროდუქტის დანაკლისი თამბაქოს გაყიდვით მიღებული ფულის საშუალებით აენაზღაურებინა [128, გვ. 71].

იმ შემთხვევაში, თუ მიწა, წყალი და თესლი მემამულისა იყო ბრინჯის მოსავალი, ჩვეულებრივ, შუაზე იყოფოდა. ნალოსში (შნოს რაიონი) მემამულეს მიჰქონდა მოსავლის 20% და მხოლოდ ამის შემდეგ იყოფოდა დარჩენილი მოსავალი სანახევროდ. ბრინჯის მოსავლის გაყოფისას ხუთი ელემენტის პრინციპი უფრო მყარად მოქმედებდა, რადგანაც ბრინჯის მოყვანაში დიდ როლს ასრულებდა არა მარტო მიწა, არამედ წყალიცა და შრომაც. ამ მიზეზის გამო მოიჯარე იშვიათად იღებდა 2/3-ს, ხოლო თუ იგი მაინც იღებდა ამდენს, მაშინ მასვე ეკისრებოდა მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

ისეთი ტექნიკური კულტურა, როგორიცაა შაქრის ჭარხალი, ყველაზე მეტად გავრცელებულია ირანის ქურთისტანში, კერძოდ კი ჩრდილოეთში (ურმიის მიდამოები), ცენტრში (მიანდოაბში) და სამხრეთში (მეჰაბადის გარშემო). ბოლო დრომდე აქ შაქრის ჭარხალი პირველხარისხოვან როლს ასრულებდა. მოსავალი როგორც წესი, სანახევროდ იყოფოდა.

ამასთან მიწათმფლობელს უნდა უზრუნველეყო მოიჯარე მიწითა და წყლით. რაც შეეხება თესლს, მიწათმფლობელს თესლით ძირითადად შაქრის ქარხნები ამარაგებდნენ.

ირანის ქურთისტანის იმ რაიონებში, სადაც ფეოდალური ურთიერთობანი ჯერ კიდევ მტკიცედ არის შემორჩენილი მოიჯარე, როგორც წესი, მეტად მცირე სარგებელს ნახულობს შაქრის ჭარხლის მოყვანით. შეთანხმება შაქრის ჭარხლის მოყვანაზე იდება მიწათმფლობელებსა და შაქრის ქარხანას შორის.

რეფორმამდე მოიჯარეებს არ შეეძლოთ მსგავსი შეთანხმების დადება, რადგანაც, თანახმად ირანში მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობისა, მიწათმფლობელი ერთადერთი პიროვნება იყო

სოფელში, რომელსაც უფლება ჰქონდა შეთანხმების დადებისა. მიწათმფლობელი ქარხნისაგან იღებდა სესხს, რომელსაც იგი თავისთვის იტოვებდა. გარდა ამისა. თითოეულ ტონა ჭარხალში ქარხანა იხდიდა 780 რიალს (10 დოლარამდე) და 6 კგ შაქარს, საიდანაც მოიჯარეს ძალზე მცირე წილი ხვდებოდა, მიწათმფლობელის შეხედულების მიხედვით.

რადგანაც შაქრის ჭარხალი დიდ შემოსავალს იძლეოდა, მიწათმფლობელები აიძულებდნენ გლეხებს მოეყვანათ მხოლოდ ეს კულტურა სხვა კულტურების საზიანოდ.

მაგალითად, სოფელ ხალიფანიანში (სულდუზის რაიონი) ზაფხულობით, როდესაც გლეხებს უამრავი გადაუდებელი სასოფლო-სამეურნეო საქმე ჰქონდათ, მემამულე აიძულებდა მათ და მათი ოჯახის წევრებს მოევლოთ ჭარხლისათვის, გაემარგლათ იგი [124, გვ. 139].

ირანის ქურთისტანის იმ რაიონებში, სადაც აგრარული რეფორმა ჯერ არ გატარებულა (მიანდოაბის რაიონი), მემამულეები, რომლებიც ფლობენ ტრაქტორებს, ხნავენ მოიჯარეთა მიწას და ამაში გარკვეულ თანხას იღებენ. შაქრის ქარხნები ერთი ჰექტარი მიწის ტრაქტორით მოხვნისათვის იღებენ 780 რიალს.

ბამბა ძირითადად მოჰყავთ ირანის ქურთისტანის სამხრეთ რაიონებში. რეფორმამდე ბამბის მოსავალი ასე ნაწილდებოდა. 2/3 მიჰქონდა მოიჯარეს, 1/3 — მემამულეს, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც რენტის გადახდა ფულით წარმოებდა.

ბამბის კულტურა გავრცელებულია აგრეთვე სირიის ქურთისტანშიც. აქ ბამბის პლანტაციებს ყველაზე მეტად ეხვდებით ჰალების, რაკას, ჰამას და ჰასეკეს მუჰაფაზებში. მისი მოსავალი წლიდან წლამდე იზრდება [65, გვ. 150—151].

ქურთისტანი მდიდარია ხილით, ირანის ქურთისტანში რეფორმამდე ხეხილის ბაღები ეკუთვნოდა მემამულეებს. ასე, მაგალითად, ჰერსინსა და ყანგავარში (ქერმანშაჰის მიდამოებში) იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიწა გლეხისა იყო, იგი ვალდებული იყო გადაეხადა მიწის რენტა შემოსავლის 20%-ის ოდენობით. ასევე იყო მეჰაბადში. სხვაგან მემამულე თავის ბაღებს იჯარით აძლევდა მებაღეებს. ჰასანაბადში (სენენდეჯის რ.) მებაღე ღებულობდა მოსავლის 1/3-ს. ხოლო მემამულეები — 2/3-ს. ფოშთექუჰის მიდამოებში (ყანგავარი) საკუთრება ნაწილდებოდა პრინციპით: ორი წილი გლეხს, ერთი მემამულეს [127, გვ. 324].

ერაყის ქურთისტანში ხილის წარმოებით პირველ ადგილზეა სულეიმანიეს პროვინცია, მეორეზე — ერბილის; საერთოდ კი ერაყის ქურთისტანის წილად მოდის მთელ ერაყში მოყვანილი ხილის თითქმის 1/6 [142, გვ. 45].

ზოგიერთ ადგილას გლეხებს უფლება არა აქვთ ფლობდნენ ხეხილს, თუნდაც ისინი მათი დარგული იყოს. ამის გამო ქურთისტანში ძალზე ცოტაა ხელოვნურად გაშენებული ტყეები; რაც შეეხება ბუნებრივ ტყეებს, სულ ერთია, ხილის ხეებია იქ, თუ უნაყოფო — ასეთი ტყით სარგებლობა ყველასათვის უფასოა. ხე-ტყეს ქურთები საწვავ მასალად იყენებენ.

მთიან ზოლში დიდი ყურადღება ექცევა ყურძნის მოყვანას. მთის კალთებზე, განსაკუთრებით ხოშნაოში, გაშენებულია ვენახები, რომლებიც მორწყვას არ საჭიროებენ. ბარში მოჰყავთ შავი და თეთრი სადესერტო ყურძენი, ხოლო მთებში — პატარა მარცვლის მქონე შავი ყურძენი.

ქურთისტანის ჩრდილოეთის სოფლებში ვენახის ნაკვეთები ძალზე მცირეა და თანაც მოუვლელი, ამის გამო ყურძნის მოსავლიანობა მეტად დაბალია. ზოგიერთ სოფელში, სადაც შემოტანილია ყურძნის სხვადასხვა ჯიში, საკმაოდ კარგ მოსავალს იღებენ.

ვაზი მეტწილად გაშენებულია ბაღებში, რომლებიც საცხოვრებელ სახლებთან ახლოს მდებარეობს, ზოგჯერ ვაზისათვის მინდვრის კუთხეა გამოყოფილი. აქვე იზრდება ბაღჩეული, მაგალითად „ქალის თითების“ ჯიშის პომიდორი, ხახვი, ნესვი, უფრო იშვიათად კომბოსტო და კარტოფილი.

გარდა ვაზისა ბაღებში ხილის ხეებიც არის გაშენებული. ხილს კრეფენ უმთავრესად ოქტომბერში. მას ახმობენ და ინახავენ. აქ გავრცელებული ხილიდან აღსანიშნავია ატამი, ქლიავი, ჟერამი, ვაშლი[17], მსხალი, ბროწეული[18] და ლეღვი. ხილის ბაღებით განსაკუთრებით განთქმულია სოფელი შაკლავა. აქაური მოსახლეობისათვის ხილი ბაზარზე გასატანი კიდევ ერთი ძირითადი პროდუქტია, ასი ცალი ვაშლი ან მსხალი 250 ფილსი ღირს. მცირე რაოდენობით იყიდება კაკალიც. საერთოდ კაკლის ხეები ხარობს იმ სოფელში,

---

17 ვაშლი შემოდის ივნისში, მაგრამ მაინცდამაინც კარგი ჯიშის არაა. შედარებით უფრო გემრიელია საშემოდგომო ვაშლი, რომელიც ბალიკის რაიონში ხარობს.

18 ბროწეულზე დიდი მოთხოვნილებაა. მას იყენებენ არა მარტო როგორც ხილს, არამედ სიცხის დამაქვეითებელ საშუალებადაც, ხოლო მისი კანით ტყავს თრიმვლავენ.

რომლებსაც წყალი აქვთ. აქაური კაკალი მსხვილი და საუკეთესო ხარისხისაა. კაკლის ხეზე დიდი მოთხოვნილებაა, მას იყენებენ გუთნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების ნაწილების დასამზადებლად. მთის რაიონების მოსახლეობის მიერ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ერთ ნაწილს, რომელიც ბაზარზე გააქვთ გასაყიდად, ბარში მცხოვრები ქურთები ყიდულობენ, მაგრამ მეტ ნაწილს თვით ადგილობრივი მცხოვრებლები ხმარობენ.

ერაყის ქურთისტანის ცენტრალურ ნაწილში დიდი რაოდენობით ხარობს ლეღვის ხეები. მთებში მრავლად გვხვდება თუთა[19], რომლის მერქანს საშენ მასალად იყენებენ.

საშენ მასალად იყენებენ აგრეთვე მუხას, განსაკუთრებით კი „ასპინდორ"-ს (ვერცხლისფერი ალვის ხის ნაირსახეობა), რომელიც სწრაფად იზრდება და ამიტომაც ფართოდ მისდევენ მის კულტივაციას.

იმ რაიონებში, სადაც ქურთ გლეხს აქვს საკუთრების უფლება მის მიერ გაშენებულ ხეებსა და ბაღებზე, იგი ვალდებულია მიჰყიდოს ხილი მხოლოდ თავის მემამულეს. თუ გლეხი სხვაგან გადასახლდება, იგი ვალდებულია თავისი ბაღი უფასოდ დაუთმოს მემამულეს ანდა მიჰყიდოს ძალზე დაბალ ფასად. ამიტომაც არის, რომ გლეხი მიჯაჭვული იყო თავის ადგილსამყოფელზე და სხვა ადგილზე გადასახლებას პრაქტიკულად ვერ ახერხებდა.

რევანდუზის მიდამოებში იზრდება ალვის ხე, რომელსაც რგავენ მიწის პატარა ნაკვეთებზე ერთმანეთთან ძალზე ახლოს. მას იყენებენ საშენ მასალად და, ამდენად, მეტად სასარგებლო და საჭირო ხეა.

ურმიის რაიონში გლეხი, რომელიც არყის ხეებს რგავდა, თავისი შემოსავლის მხოლოდ ნახევარს აძლევდა მემამულეს. ამიტომაც მეტწილად ამ რაიონში შეხვდებით ხელოვნურად გაშენებულ არყის ტყეებს [124, გვ. 142].

ქურთისტანში საშემოდგომო კულტურას პარკოსნები წარმოადგენენ. მათ თესენ მას შემდეგ, როცა აიღებენ ხორბლის მოსავალს.

არსებობს პარკოსანთა სამი სახეობა, რომლებიც ერთმანეთისაგან სულ მცირედ განსხვავდება. ისინი ძლიერ გვანან იმ პარკოს-

---

19 აქ მეტწილად თეთრი თუთაა გავრცელებული, ზოგჯერ შეხვდებით აგრეთვე ე. წ. „სამეფო თუთის ხეებს", რომლებიც მსხვილ წითელ ნაყოფს ისხამენ. თუთას ახმობენ და მთელი ზამთრის მანძილზე ინახავენ.

ნებს, რომლებიც მოჰყავთ საფრანგეთში (მიწის ზედაპირს თითქმის არ სცილდება).

ამას გარდა ერაყის ქურთისტანის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში თესენ ფეტვს, რომელიც ორი ჯიშისაა: ერთი-გიგანტური, ცნობილია „ჰარნიზ“-ის სახელწოდებით, ხოლო მეორე, უფრო წვრილი — „დუხნ“-ი. ორივე მათგანს თესენ ივნისში, ხოლო მოსავალს იღებენ აგვისტოს ბოლოსა და სექტემბერში [123, გვ. 362].

გაზაფხულსა და ზაფხულში სარწყავ მიწებზე სხვადასხვა სახის ბოსტნეული მოჰყავთ, მათგან მთავარია: საზამთრო, კიტრი, გოგრა, პამიდორი, ხახვი და ბადრიჯანი. ზამთარში იწევენ თალგამს, ბოლოკს, ჭარხალს, ისპანახს, ნიახურსა და სხვ. კოი-სანჯაყში შეხვდებით არტიშოკს, აქვე მოჰყავთ სხვადასხვა ჯიშის კარტოფილი და ა. შ.

რეფორმამდე ჩრდილო ქურთისტანში, სადაც მოჰყავთ ისეთი კულტურები, როგორიცაა ნესვი, კიტრი და სხვა ბოსტნეული, მოსავალი შუაზე იყოფოდა, ხოლო სამხრეთში 2/3 მემამულისა იყო, 1/3 კი — ბუსთანჩის ე. ი. გლეხისა [127, გვ. 324].

## 2. მიწათმოქმედების აგროტექნიკური ბაზა

უკვე აღინიშნა, რომ მიწის რენტა ქურთისტანში ძირითადად მოსავლის გაყოფას ემყარებოდა და მისი შინაარსი ხუთი მთავარი სამიწათმოქმედო ელემენტის გამოყენებით განისაზღვრებოდა. მაგრამ არსებობდა სხვა ფაქტორებიც, რომლებიც გავლენას ახდენენ მიღებული პროდუქტის განაწილებაზე.

ამ ფაქტორებს შორის ძირითადი იყო მიწის შეფარდებითი ნაყოფიერება. რაც უფრო ნოყიერი იყო მიწა, ე. ი. რაც უფრო მაღალი იყო დიფერენცირებული რენტის შეფარდება, მით უფრო დიდ ნაწილს ითვისებდა მიწათმფლობელი. მწირი ნიადაგის მქონე რაიონებში, სადაც გლეხის დამქანცველ შრომასაც კი არ შეეძლო მაღალი მოსავლის მიღების უზრუნველყოფა, მემამულეები იძულებული იყვნენ მცირე წილს დასჯერებოდნენ.

მეორე ფაქტორს წარმოადგენდა მუშახელის რაოდენობა. მემამულეთა ხვედრი მოსავალში იზრდებოდა იმის შესაბამისად, რაც უფრო მატულობდა მოიჯარეთა რიცხვი დამუშავებულ მიწაზე და, პირიქით, მიწათმფლობლის წილი მცირე იყო იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მისდევდა მეცხოველეობას.

გარდა ამისა, გარკვეულ როლს ასრულებდა საირიგაციო სისტემის ხარისხიც. მიწათმფლობელის წილი შემოსავალში იზრდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საირიგაციო სისტემა უზრუნველყოფილი იყო წყლით გვალვიან წლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ ჩაითვლებოდა შემოსავლის ამ წყაროს მფლობელად და მისი წილი მოსავალში შესაბამისად კლებულობდა [124, გვ. 142].

ირანის ქურთისტანში მოსავალს ანგარიშობდნენ არა დამუშავებული მიწის ნაკვეთის, არამედ დათესილი ხორბლის რაოდენობის მიხედვით. მაგალითად, 100 კგ სათესლე მარცვლიდან შეიძლებოდა 400-დან 2000კგ-მდე ხორბლის მიღება (მიწის დამუშავების მიხედვით), მაგრამ ჩვეულებრივ, მოსავალი 500—700 კგ-ს არ აღემატებოდა.

ქვემოთ მოტანილი ცხრილი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მოსავლის სიდიდეზე სხვადასხვა რაიონში. მოსავალი აღებულია დათესილი ხორბლის 1 კვადრატულ კილომეტრიდან [127, გვ. 365].

ცხრილი 4

| რაიონი | სარწყავი მიწები | ურწყავი მიწები |
|---|---|---|
| ურმია | 5—15 | 5—8 |
| მეჰაბადი | 5—10 | 4—6 |
| სენენდეჯი | 5—6 | 8 |
| დივან დარეჰი | 4—6 | 4—6 |
| ქერმანშაჰი | 10—20 | — |

ხორბლის საშუალო მოსავალი შეადგენდა 600-800 კგ-ს ჰექტარზე [175,17.XI, 1962; 6.XII. 1962].

მარცვლოვანი კულტურებიდან ირანის ქურთისტანში მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, მუხუდო, ბრინჯი, პარკოსნები და ჰვავი. ტექნიკური კულტურებიდან კი — თამბაქო, შაქრის ჭარხალი და ბამბა. ფართოდ იყო გავრცელებული მებაღეობა და მეხილეობა, ხილეულიდან აღსანიშნავია ბროწეული, ნუში, კაკალი, მიწის თხილი, ნესვი, ყურძენი, ვაშლი და ა. შ. ქურთისტანის სამხრეთ რაიონებში მისდევდნენ ციტრუსების მოშენებასაც.

მიახლოებითი მონაცემებით, 1.200.000 ჰექტარი დამუშავებული მიწიდან 60% ირწყვება, ხოლო დანარჩენ 40%-ს ურწყავად ამუ-

შავებენ[20]. ირანის ქურთისტანში, განსაკუთრებით კი მის ჩრდილოეთ რაიონებში, წყალი დიდი რაოდენობითაა. მიუხედავად ამისა, წყლის პრობლემას დიდი ადგილი უკავია და მნიშვნელოვან როლს[21] ასრულებს თანამედროვე ქურთისტანის აგრარულ ურთიერთობაში.

წყალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აგრეთვე რენტის დადგენისას, რამდენადაც იგი, როგორც წესი, მიწათმფლობელებს ეკუთვნოდა.

ისლამის კანონებით, წყლის როგორც ღვთისაგან ბოძებულის ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლება. მიუხედავად ამისა იქ, სადაც წყლის ნაკლებობა იგრძნობა გარკვეული უფლება არსებობს არხების ან წყაროების გამოყენებაზე[22].

ისლამის თანახმად, დიდი მდინარეები, როგორიცაა წყალუხვი ტიგროსი და ევფრატი, ყველა მუსლიმანს ეკუთვნის და მათ უფლება აქვთ გაიყვანონ სარწყავი არხები (თხრილები) მდინარიდან თავიანთ ნაკვეთებამდე.

ირანის ქურთისტანში ნაკლებ წყალუხვი მდინარეების სათავეებთან მდებარე მიწებს გარკვეული უპირატესობა ენიჭებათ იმ მიწებთან შედარებით, რომლებიც მდინარეების ქვედა წელზე მდებარეობენ.

იმ შემთხვევაში, თუ ქვემოთ მდებარე სოფლის მიწები უფრო ადრე იყო დამუშავებული, ვიდრე ზემო სოფლების კუთვნილი ნაკვეთები, სოფელს უფლება არა ჰქონდა აეშენებინა კაშხალი ან ჯებირი; ამას გარდა, არავის ჰქონდა უფლება, რომ არხის დინება ან მიმართულება შეეცვალა. ირანის სამოქალაქო კოდექსში (მუხლი № 159) ნათქვამია, რომ მდინარის პირას მდებარე მიწები, პირველად მხოლოდ მაშინ შეიძლება დამუშავდეს, როცა არის საკმარისი რაო-

---

20 აგრარული რეფორმის დაწყებამდე ირანში მორწყულ მიწებს მთელი დამუშავებული მიწების 28% ეკავა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო რაოდენობით იყო სარწყავი წყალი, სარწყავი სისტემა ძალზე სუსტად იყო განვითარებული. მთის რაიონებში მიწის უკმარისობა იგრძნობოდა; ხოლო ველებში, სადაც ბევრია გაპოხიერებული ნიადაგი, წყალი არ იყო საკმარისი. ამის თაობაზე ქურთები ამბობდნენ: „სადაც წყალია, იქ მიწა არ არის, ხოლო სადაც მიწაა, იქ წყალი არაა".

21 წყლის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სიტყვა „წყალი" (ქურთულად „ავ") შედის სიტყვა დასახლების" (ქურთულად „ავადანი") შემადგენლობაში.

22 წყლის პატრონს უფლება არა აქვს უარი უთხრას მოგზაურს დასალევ წყალზე, მაგრამ წყლის მოსარწყავად გამოყენება სპეციალური ნებართვის გარეშე არ შეიძლება.

დენობის წყალი და არსებული ნაკვეთების მფლობელებს წინააღმდეგობას არ გაუწევენ [127, გვ. 211].

№ 158-ე მუხლში აღნიშნულია, რომ პირველად დამუშავებულ მიწას უპირატესობა ჰქონდა გვიან დამუშავებულთან შედარებით. მაგრამ იქ, სადაც პრიორიტეტის საკითხი სადავო იყო, მიწას, რომელიც წყალთან უფრო ახლო მდებარეობდა გარკვეული უპირატესობა ენიჭებოდა მოშორებით მდებარე მიწის ნაკვეთთან შედარებით (მუხლი № 156) [127, გვ. 211]

არხის წყლით სარგებლობის უპირატესი უფლება ჰქონდა იმას, ვინც ეს არხი გაიყვანა. იმ შემთხვევაში, თუ მემამულეს სურდა, რომ არხი მიეყვანა თავის მიწის ნაკვეთთან, რომელიც იჯარით არ იყო გაცემული, მაშინ იგი აიძულებდა გლეხს გაეყვანა არხი ბეგარის ანგარიშზე. მაგრამ თუ მიწას გლეხები ამუშავებდნენ მაშინ მათ არხი, ჩვეულებრივ, კოლექტიურად („ჰერევეზ") გაჰყავდათ, რის შემდეგაც მათ შეეძლოთ მისით სარგებლობა.

როგორც წესი, არხით სარგებლობა განრიგით ხდებოდა. ყოველ გლეხს უფლება ჰქონდა ესარგებლა წყლით მისთვის განკუთვნილ საათებში. სარწყავი საქმისათვის პასუხს მემამულის მიერ დანიშნული, ანდა გლეხების მიერ არჩეული პიროვნება — „მირაბი" აგებდა. ზაფხულში განსაკუთრებით კი გვალვიან წლებში, წყლის პრობლემა მეტად მწვავდებოდა. მიწები, რომლებიც წყაროსაგან შორს იყო, წყალს ღებულობდა მცირე რაოდენობით, რადგანაც იგი გზაში ორთქლდებოდა. ეს გარემოება გარკვეულ გავლენას ახდენდა წლის მოსავალზე. ამიტომ უმნიშვნელო დავაც კი ხშირად დიდ ინციდენტში გადაიზრდებოდა ხოლმე.

ზოგჯერ მთელი სოფლები და რაიონები გამოდიოდნენ ერთიმეორის წინააღმდეგ. მათი შეტაკებები ხშირად სისხლისღვრით მთავრდებოდა. მემამულეები, ბუნებრივია, ამით სარგებლობდნენ და წყლის ნაკლებობას გლეხებზე ზეგავლენისათვის იყენებდნენ.

ზაფხულში საკმარისი იყო ნათესი ერთი კვირის განმავლობაში უწყლოდ დარჩენილიყო, რომ მთელი წლის დამქანცველი შრომა წყალში ჩაყრილიყო. ასე რომ ფაქტიურად გლეხი მიმაგრებული იყო არა მარტო მიწაზე, არამედ წყალზეც. მემამულეები და სახელმწიფო მოღვაწეები, აგრეთვე ჟანდარმერია, წყლის ნაკლებობის გამო ამტყდარ დავას იმისათვის იყენებდნენ, რომ შეესუსტებინათ გლეხების ერთიანობა და სოლიდარობა, დაეპირისპირებინათ ისინი ერთმანეთისათვის.

ირანის ქურთისტანში მორწყვა უმთავრესად ხორციელდებოდა მდინარეებისა და არხების საშუალებით. წყლის დიდი მარაგის გამო მიწისქვეშა არხებს და ჭებს იშვიათად იყენებდნენ. უპირატესობას ანიჭებდნენ უფრო წყლის ელექტროძრავიან ტუმბოებს და არტეზიულ ჭებს, მაგრამ მათი რაოდენობა ჯერ კიდევ საკმარისი არ იყო.

რეფორმამდელი ირანის ქურთისტანის სოფლის მეურნეობა ემყარებოდა ექსტენსიურ მიწათმოქმედებას. მიუხედავად ამისა, სახნავი მიწების დიდი ნაწილი გამოუყენებელი რჩებოდა. 1 მლნ 200 ათასი ჰა სახნავი მიწიდან მხოლოდ 3/4 მუშავდებოდა. იმ ნაკვეთს, რომელზეც წინა წელს ხორბალი ეთესა, მომდევნო წელს ან ასვენებდნენ, ანდა ბოსტნეული მოჰყავდათ და ა. შ. რამდენადაც სასუქებს აქ სულ არ იყენებენ, ხოლო მიწის დამუშავების მეთოდები ძალზე პრიმიტიული იყო, ამიტომ ერთი და იმავე ნაკვეთზე ზედიზედ ხორბლის დათესვა საერთოდ არავითარ მოსავალს არ აძლევდა გლეხს. ბუნებრივია, რომ ასეთი პირობებში საშუალო საჰექტარო მოსავალი უმნიშვნელო იყო.

ქვემოთ მოგვყავს ცხრილი [№ 5], რომელიც ნათელს ხდის შრომის ნაყოფიერების უაღრესად დაბალ დონეს ქურთისტანში. ეს მონაცემები შედარებულია როგორც მოწინავე კაპიტალისტური სახელმწიფოების, ისე თურქეთის შესაბამის მაჩვენებლებთან.

ც ხ რ ი ლ ი 5

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია 1 ჰექტარზე ცენტნერობით [124, გვ. 174]

| ქვეყნები | ხორბალი | ქერი | შაქრის ჭარხალი | თამბაქო |
|---|---|---|---|---|
| ბელგია . | 36,7 | 34,1 | 419 | — |
| საფრანგეთი | 22,8 | 20,22 | 287 | 19,5 |
| კ ა ნ ა დ ა . | 14,1 | 13,7 | 256 | 16,4 |
| ა შ შ | 13,4 | 14,8 | 367 | 16,4 |
| თურქეთი | 11,5 | 13 | 160 | 7 |
| ირანის ქურთისტანი[23] . | 7 | 5 | 113 | 4,3 |

ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზი იყო ქვეყანაში არსებული

23 ირანის ქურთისტანის სტატისტიკური მასალების საფუძვლად აღებულია სტატისტიკური მასალები, რომელიც ეხება მთელ ქურთისტანს [175, 17, 11 და 12, 1. 1962].

აგრარული ურთიერთობა, რომელიც აფერხებდა საწარმოო ძალთა საერთო პროგრესს სოფლის მეურნეობაში.

რეფორმამდელ ირანში მიწის დამუშავების ხერხები და მეთოდები კვლავინდებურად პრიმიტიული რჩებოდა და იგი ფაქტიურად არ შეცვლილა უკანასკნელ საუკუნეთა მანძილზე. მიწას ხნავდნენ უღელი ხარის და გუთნის (ჯოფთის) საშუალებით, რომლითაც 10—12 სმ სიღრმის კვალის გავლება შეიძლებოდა. თესვა ხელით წარმოებდა, ხოლო მკიდნენ ნამგლით („დას"). გალეწვისას იყენებდნენ 6—8 ხარს. ყველა სასოფლო-სამეურნეო იარაღს ადგილობრივი დურგლები და მჭედლები ამზადებდნენ [64, გვ. 188].

მოსავლის გალეწვა ქურთისტანში ძალზე რთულ და გრძელ პროცესს წარმოადგენდა. საამისოდ ქურთისტანში ორი მეთოდი არსებობდა: „ჯენჯერ" და „გერა", „ჯენჯერი" არის პატარა სახეშეცვლილი ბასრკბილებიანი ოთხთვალა. ოთხთვალაში შებმულია გამწევი პირუტყვი, ოთხთვალაზე ადამიანი ჯდება, რათა დაამძიმოს იგი და ატაროს პირუტყვები ბოძის გარშემო. ოთხთვალა თავისი კბილანებით ლეწავს მიწაზე დაყრილ თავთავებს. ჩვეულებრივ პირობებში 1 ჰექტარ მიწიდან აღებული მოსავლის (800—1000 კგ) გალეწვა მთელ კვირას გრძელდებოდა.

„გერა" ეწოდება რამდენიმე მსხვილფეხა პირუტყვს (5-დან 10-მდე), რომლებიც მიბმული არიან ბოძზე. მათ ერეკებიან და ამოძრავებენ იქამდე, სანამ თავთავები არ გაილეწება. ეს მეთოდი კიდევ უფრო პრიმიტიული და დამქანცველია, ვიდრე „ჯენჯერი" და ასეთ გალეწვაზე გაცილებით მეტი დრო იხარჯება. ერთ ქურთულ ანდაზაში ნათქვამია: „სანამ დაამთავრებ გერას ერთი ხარით, სისხლი წყლად გექცევაო".

ხორბლის განიავება კიდევ უფრო პრიმიტიული მეთოდით წარმოებდა. გლეხის ერთადერთი შემწე ამ საქმეში ზაფხულის ნიავი იყო, რომელიც ბზეს ჰაერში იტაცებდა, ხორბალი კი ადგილზე რჩებოდა, თუ ქარი არა ქროდა, ანდა მეტად ძლიერ უბერავდა, გლეხები ისხდნენ და უფრო შესაფერის ამინდს უცდიდნენ. მოსავლის აღება 2—3 დღეს გრძელდება. მოსავლის აღების ეს პრიმიტიული მეთოდები ხორბლის დიდ დანაკარგს იწვევდა და კიდევ უფრო ამცირებდა მოსავალს.

განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობების წყალობით, ირანის ქურთისტანში ძალზე განვითარებული იყო მეცხოველეობა. აქ ძირითადად მეცხვარეობას მისდევდნენ. რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, მის მოშენებას მისდევდნენ მხოლოდ ბარში,

სადაც სოფლის მეურნეობის საფუძველს მემცენარეობა წარმოადგენდა.

ცხრილი 6

ცხვრების რაოდენობა ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე

| ქვეყნები | 1955—1956 |
|---|---|
| ჰოლანდია | 18,8 |
| ა შ შ | 7 |
| არგენტინა | 30,6 |
| თურქეთი | 49,1 |
| ირანის ქურთისტანი | 160 |

ირანის ქურთისტანში მეცხოველეობაც პრიმიტიული მეთოდებით ვითარდებოდა და დამყარებული იყო მესაქონლეთა ნახევრად ბინადარ ცხოვრების წესებზე. ხშირად ადგილი ჰქონდა ეპიდემიებს და ამის შედეგად ათასობით ცხვარი, ზოგჯერ კი მთელი ფარა წყდებოდა.

მეცხოველეობის განვითარება არათანაბარი იყო, იგი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა და მთლიანად გარემო პირობებზე იყო დამოკიდებული. 1959 წ. ირანში მიღებული იყო 12.000 ტ მატყლი, ხოლო 1960 წ მხოლოდ 10.000 ტ. [162,9.2.1961]. მატყლის დამუშავება არაეკონომიური და პრიმიტიული მეთოდებით ხდებოდა, ჰიგიენის ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე. ამიტომ ირანის ქურთისტანის ექსპორტში გადამუშავებულ პროდუქციას უმნიშვნელო ადგილი ეკავა და იგი ძირითადად ცხიმის გატანაში გამოიხატებოდა. ზოგიერთ ადგილიდან საექსპორტოდ ძირითადად გაჰქონდათ პირუტყვი, აგრეთვე მატყლი, ტყავი და ნაწლავები.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის დაბალ დონეს განაპირობებდა ისიც, რომ სოფელს არა ჰყავდა კვალიფიციური აგრონომები, ვეტერინარები და ა. შ. ირანის მთავრობამ მხოლოდ ამ ბოლო დროს მიიღო ზომები ამ მხრივ ქურთისტანში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მეცხოველეობის განვითარების ხელსაყრელი პირობებისა, უკანასკნელ დრომდე ხელისუფლება სრულიად არ ზრუნავდა ქურთი სპეციალისტების მომზადებისათვის. სპეციალისტების ნაკლებობა განსა-

კუთრებით იგრძნობა ეპიდემიებისა და სტიქიური უბედურების დროს, როდესაც მთელი წლის მოსავალი იღუპება.

ჩამორჩენილი, შემაფერხებელი აგრარული წყობა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის პრიმიტიულობა და სპეციალისტების უკმარისობა განსაზღვრავს რეფორმამდელი ირანის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დაბალ დონეს[24], ეს თავის მხრივ მილიონობით გლეხთა სიღატაკეს იწვევდა.

იქ, სადაც მიწები ნაყოფიერი იყო, სარწყავი სისტემაც კარგი და მრავალი მუშახელი, მიწათმფლობელი ცდილობდა მოიჯარენი უზრუნველეყო თესლითაც, რათა მიეღო მოსავლის ნახევარი (თუ იგი თესლის ნახევარს იძლეოდა), ანდა მოსავლის 3/5 (თუ იგი იძლევა მთელ თესლეულს). მემამულის გაანგარიშება გამოცდილებას ემყარებოდა და იგი აბსოლუტურად ზუსტი იყო.

რაიონის დაშორება ქალაქიდან და ბაზრიდან, როგორც წესი, გავლენას ახდენდა მემამულესა და გლეხს შორის მოსავლის განაწილებაზე. რაც უფრო დაშორებული იყო მიწის ნაკვეთი ქალაქს, მით უფრო ნაკლები იყო მემამულის წილი და პირიქით. ეს ნიშნავს, რომ მოსავლის გაყოფის სისტემაში არსებობდა დიფერენცირებული რენტის ელემენტები, რომელსაც მემამულე მიწის რენტასთან ერთად ითვისებდა.

რაც შეეხება ტექნიკურ კულტურებს, კერძოდ, თამბაქოსა და შაქრის ჭარხალს, აქ მემამულეს სხვადასხვა მაქინაციებით შეეძლო გაეზარდა თავისი ნაწილი. ზოგჯერ მოიჯარის მიერ მიღებული ხორბლის მოსავლის წილი დამოკიდებული იყო მის მიერ ტექნიკური კულტურების მოვლა-პატრონობაზეც, მაგალითად, მემამულე თანხმდებოდა აეღო სარწყავი კულტურების მოსავლის 1/3 იმ პირობით, თუ მოიჯარე გაზრდიდა თამბაქოს წარმოებას. [124, გვ. 144].

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ადგილობრივი ტრადიციებისა და შიდატომობრივი ურთიერთობის როლი პროდუქტის განაწილებაში. უმრავლეს შემთხვევაში ტრადიციები ჩამოყალიბებული იყო მსხვილ მიწათმფლობელთა სასარგებლოდ, მაგრამ იყო შემთხვევები (განსაკუთრებით, იქ, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო თანასწორობის გადმონაშთები), როდესაც

---

24 ზოგიერთ ირანელ ბურჟუაზიულ ეკონომისტს მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის მიზეზია ქურთი გლეხების უუნარობა — გაუძღვნენ მეურნეობას. იმისათვის, რომ მათ ცოდნა შეიძინონ, ირანელი ეკონომისტი ტ. ბაჰრამი წინადადებას იძლევა ქურთი გლეხები ურმიის რაიონის სოფლებში გადაასახლონ [124, გვ. 176].

ტრადიციები მოიჯარეთა ინტერესებს ემსახურებოდა. ზოგიერთ ოლქში, სადაც მიწა გლეხებს ეკუთვნოდათ, მაგალითად, ბანეს რაიონში — ირან-ერაყის საზღვრის მახლობლად, ტრადიციით მოსავლის 1/10-ს უხდიდნენ „ხან"-ს. მსგავსი ჩვეულებანი შენარჩუნებული იყო მხოლოდ შორეულ რაიონებში. სხვა ოლქებში გლეხი, მიუხედავად იმისა, რომ მიწას ფლობდა, მაინც ვალდებული იყო განსაზღვრული თანხა გადაეხადა სოფლის მფლობელისათვის, მაგრამ ეს საწილადო იჯარის რაიმე ფორმა არ ყოფილა. ეს ჩვეულება უნდა განვიხილოთ, როგორც ტომობრივი ურთიერთობის გადმონაშთი.

მკის დაწყებისთანავე მემამულის აგენტი თვალყურს ადევნებდა მოსავლის აღებას[25]. როდესაც მოსავლის აღება მთავრდებოდა, მოსავალი საჯაროდ გაიყოფოდა მოიჯარისა და აგენტის თანდასწრებით. ზოგიერთ ადგილას (სულდუზსა და მეჰაბადში) სპეციალური მეთვალყურე (სერქარი) ინიშნებოდა, რომელიც დადებული შეთანხმების შესრულებას ამოწმებდა.

დადებული შეთანხმების მიხედვით, მოსავალი ორ ან სამ ნაწილად იყოფოდა, რომელიც შემდეგ გადაეცემოდა ამა თუ იმ მხარეს. ჩვეულებრივ, ამას აკეთებდნენ წილისყრით, მაგრამ ზოგჯერ მემამულე ან მისი აგენტი წყვეტდნენ იმას, თუ რომელი ნაწილი უნდა რგებოდა მემამულეს. მოსავლის გაყოფის დღეს მოიჯარე ხშირად ვალდებული იყო გამასპინძლებოდა მემამულის აგენტსა და შეკრებილ ხალხს.

ზოგჯერ ერაყის ქურთისტანის ჩრდილოეთით მდებარე ამა თუ იმ სოფელში მოჰყავდათ ისეთი კულტურა, რომელიც ტიპიური არ იყო ამ რაიონისათვის. მაგალითად, სოფელ სიდაკანში შეიძლება შევხვდეთ ისეთ კულტურებს როგორიცაა ბრინჯი, შაქრის ლერწამი, სიმინდი, კუნჟუთი და კარტოფილი.

კულტივირებული ნაკვეთების გარდა, არის კიდევ გაბნეული ნაკვეთები, რომლებზეც მოჰყავთ ფეტვი და ბალახი თივის დასამზადებლად. მაგრამ ეს ნაკვეთები დაშორებული იყო სოფლიდან და ფერდობების პროფილები აძნელებდნენ იქ მოსავლის მიღებას. ამი-

---

25 ამ მეთვალყურეობის მეთოდი მეტად უბრალო და საინტერესოა. აგენტს მოჰქონდა დიდი ხის შტამპი — „შაკელ" (20 სმ სიგანისა და 30 სმ სიგრძის), რომელზეც ამოჭრილია მემამულის ბეჭედი. დროის გარკვეულ მონაკვეთებს შორის იგი ბეჭედს ადებდა ხორბლის გროვას. თუ ბეჭედი დარღვეული იყო, მაშინ ჩაითვლებოდა, რომ მოიჯარე იპარავდა ხორბალს და მას უნდა აენაზღაურებინა დანაკლისი იმ რაოდენობით, რასაც აგენტი განსაზღვრავდა.

ტომ უფრო ხშირად ასეთი ნაკვეთები ცხვრების საძოვრებად იყო გადაქცეული. მაგალითად, სოფელ რუსთას (რევანდუზის რაიონი) კუთვნილი საძოვრები გადაჭიმული იყო გარშემო მდებარე მთების წვერვალებამდე. ცხვრებს მთის საძოვრებზე მიერეკებოდნენ თებერვალში, როდესაც თოვლი იწყებდა დნობას, ხოლო გამოსაზამთრებლად უკან მოერეკებოდნენ მხოლოდ ნოემბერში [123, გვ. 364].

### 3. ქურთი გლეხის ცხოვრების დონე

რეფორმამდელი ქურთისტანის ბინადარი მოსახლეობის საარსებო საშუალებანი თითქმის ყველგან ერთნაირი იყო: გლეხი მისთვის საჭირო პროდუქტის წარმოებას მთელ დღეს ახმარდა. მისი ხანგრძლივი სამუშაო დღე, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო პრიმიტიული ტექნიკით და, მეორე მხრივ, იმითაც, რომ მას ერჩივნა კაპიტალის ნაცვლად შრომა დაეხარჯა.

ქურთი გლეხის არსებობის საფუძველი იყო მარცვლეულის წარმოება და მესაქონლეობა.

მარცვლოვანი კულტურებიდან, ისევე როგორც ახლა, ხორბალსა და ქერს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო ბამბასა და ბოსტნეულს — მეორეხარისხოვანი.

შინაური ცხოველებიდან დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ცხვრებსა და თხებს. რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, მას უფრო იყენებდნენ როგორც გამწევ ძალას ხვნისა და მკის დროს, ვიდრე იმ პროდუქტებისათვის, რომელსაც ისინი იძლეოდნენ. ურემები და ეტლები არსად შეგხვდებოდათ, გადასაზიდად სახედრებს იყენებდნენ. ცხენები ჰყავდათ უფრო პრესტიჟისათვის და მათ არცთუ ისე დიდი გამოყენება ჰქონდათ.

წარმოების ტექნიკა საერთოდ ძალზე სუსტად იყო განვითარებული. სასოფლო-სამეურნეო კულტურების, განსაკუთრებით კი მთავარი ხორბლეული კულტურების დამუშავების მეთოდები კვლავინდებურად უბრალო იყო. ნიადაგში ხელოვნური სასუქები არ შეჰქონდათ. ამიტომაც აქაური მოსავალი დაბალი იყო. მოსავლის გაზრდის მიზნით თითოეულ სულზე მიწის დიდ ფართობს ამუშავებდნენ.

ნიადაგის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად ზოგჯერ მიწას ყოველ მეორე წელს ასვენებდნენ; მიუხედავად ამისა, მიწები გარქვეულ მონაკვეთში მაინც რეგულარულად უნდა მოეხნათ, რასაც

დიდი შრომა სჭირდებოდა. ქურთისტანში გუთანი ძალზე პრიმიტიული იყო, იგი ხისა იყო და წვეტიანი სახნისი ჰქონდა.

მთიან რაიონებში რაიმე სახის მექანიზაციის გამოყენებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ისე როგორც ამ ათეული წლების წინ, ახლაც ხარი აქ ერთადერთი გამწევი ძალაა, რაც კიდევ უფრო აჭიანურებს და ართულებს სამუშაოს. ყოველივე ამის გამო, ქურთი გლეხი ძალზე ბევრ დროს ხარჯავს ხვნაზე, ხოლო მოსავალი მეტად დაბალია [115, გვ. 19].

ქურთისტანში ამჟამად ძალზე ხშირია მწყემსური მეურნეობის აგრარული ტიპის მეურნეობად გადაქცევის შემთხვევა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხვრისა და თხის ტყავისა და მატყლისაგან (ბეწვისაგან) ქურთი მიწათმოქმედი თუ მესაქონლე დღესაც ამზადებს მისი ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო შეუცვლელ ნივთებს: ტანსაცმელს, მწყემსის კარვებს, ბაწარს, ტომრებს ხორბლის ჩასაყრელად, კალათებს საპალნისათვის, ლაგამ-უნაგირს ცხენებისა და სახედრებისათვის, ხალიჩებს და სხვა. მათი ხორცი და რძე ქურთებისათვის ძირითად საკვებ პროდუქტებს შეადგენს: რძე ქურთი გლეხკაცის საყვარელი სასმელია. ცხვრის, თხისა და ძროხის რძისაგან (ძირითადად კი თხის რძისაგან) იგი ამზადებს „მასტს"[26] (ჩვენებურად მაწონი შეიძლება ეწოდოს).

მასტის ნარჩენებს სამფეხაზე ჩამოკიდებულ ტყავის ჩანთაში ასხამენ და არხევენ. კარაქის დამზადების შემდეგ ღებულობენ დღვებს, რისგანაც ძალზე სასიამოვნო სასმელი გამოდის. ერთ-ერთი თანამედროვე ინგლისელი მოგზაურის მოწმობით, ეს სასმელი ქურთებისათვის „კოკა-კოლას" შემცვლელის როლს ასრულებს [123, გვ. 364].

დასახელებულ პროდუქტებს გარდა, ქურთებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტია პური. ხორბალს ფქვავენ წყლის წისქვილში, ხოლო იქ, სადაც იგი არ არის, — ხელის საფქვავით. წყლით წისქვილებს არა აქვთ არავითარი კბილებიანი ბორბლები და მუშაობენ ჰორიზონტალური ტურბინის პრინციპით. ოდნავ დახრილ ღერძზე ზემოქმედების შედეგად ჰორიზონტალური ბორბლები იწვევენ ლილვის მოძრაობას, რომელიც დაკავშირებულია საფქვავ ქვასთან. ქურთები ცომში საფუარს არ ხმარობენ და პურს აცხობენ ლითონის ფურცლებზე ღია ცეცხლზე. მართალია,

---

26 ხშირად მასტს წყალს გაურევენ ხოლმე და ღებულობენ გამაგრილებელ სასმელს. რომელსაც „მასტაუს" უწოდებენ.

ეს ლავაშები თხელი და ფხვიერია, მაგრამ ჩვეულებრივ პურთან ის უპირატესობა გააჩნია, რომ მათი შენახვა დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება. შემდეგ საკმარისია მისი მცირედ დასველება, რომ იგი ისევ დარბილდეს.

სხვა მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტებიდან აღსანიშნავია ბრინჯი და ფინიკი, რა თქმა უნდა, იქ, სადაც ისინი მოჰყავთ. ყველა ქურთი რეგულარულად სვამს ჩაის. ჩაის სვამენ პატარა ჭიქებით, ურძეოდ და მასში ბევრ შაქარს ყრიან. ჩაის სმა გარკვეულ რიტუალს წარმოადგენს და მას შეექცევიან პატარა წრედ მიწაზე მჯდომარენი. რამდენიმე ჭიქა ჩაი უნდა დაილიოს მასპინძლის პატივისცემის ნიშნად. ჩაის სმა ზოგჯერ რამდენიმე საათს გრძელდება. ქურთისტანში ჩაის სმა ახალი ამბებისა და ცნობების გავრცელების ერთ-ერთი საშუალებაა. სოფელში ჩამოსულ კაცს ყოველთვის პატიჟებენ ჩაის დასალევად ამა თუ იმ მასპინძელთან.

ცხვრის მატყლი და თხის ბეწვი გამოიყენება ტანსაცმლის დასამზადებლად და ხალიჩების მოსაქსოვად. მატყლისა და ბეწვის წმენდას, ისევე როგორც მათ დახვევას, ქალები ხელით ეწევიან შემდეგ იგი გადაეცემათ მამაკაცებს და ისინი ქსოვენ დაზგებზე[27]. უხეშად მოქსოვილი, მაგრამ გამძლე ქსოვილი წარმოადგენს ვიწრო ზოლს, რომლის სიგანე 8 დიუმია. შემდეგ ამ ზოლებს ერთად ჩაკერავენ და მიიღება ქურთული ეროვნული ტანსაცმელი, რომელსაც ქურთების დიდი უმრავლესობა დღესაც ხმარობს. ეს კოსტუმები სხვადასხვა რაიონში ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავდება. რუსტას რაიონში იგი შედგება მოქარგული ჟაკეტისა და გრძელი ფართოტოტებიანი შარვლისაგან; კოსტუმს ემატება აბრეშუმის, ანდა ბამბის სარტყელი, რომლის სიგრძე, სულ მცირე, 8 იარდია*.

ხალიჩების წარმოება ყოველი ოჯახის ხელობას შეადგენს, რადგანაც დაზგები, როგორც წესი, კერძო მფლობელობაშია, ხალიჩების ქსოვა მთლიანად ქალების ხელშია; ისინი ჩეჩავენ მატყლს, რთავენ ძაფს და ქსოვენ დაზგებზე. დაზგის საშუალო სიდიდე სიგანით 6 ფუტია (183 სმ). ცნობილია, რომ 8 ფუტის (244 სმ) სიგრძის ხალიჩების მოსაქსოვად საჭიროა 2 თვე. მოხატულობას მახსოვრობით აკეთებენ, ძაფის შესაღებად უმეტესად იყენებენ არა ნატურალურ მცენარეულ საღებავებს, არამედ იმპორტულს [123, გვ. 365].

---

27 ინგლისელი ჯ. გალოვეი ამასთან დაკავშირებით წერს: მაგალითად, რუსტაში იყო ერთი ქალი, რომელიც იჯდა ორმოში და ქსოვდა პატარა დაზგაზე [123, გვ. 365].

* დიუმი=2,5 სმ; იარდი=0,9144 მ.

ოქსფორდის უნივერსიტეტის დელეგაციის მოგზაურობის დროს (1956 წ.) ერაყის ქურთისტანში ინგლისელმა მეცნიერმა ნ. გალოვეიმ შეაგროვა მასალები, რომელთა საფუძველზე იგი ასკვნის, რომ ცხოვრების წესი რუსტაში უბრალოა და შეიძლება ძალზე მცირედით შეიცვალა უკანასკნელი 3 ათეული საუკუნის მანძილზე. მაგრამ მის მიერვე მოტანილი ფაქტებიდან და სხვა მასალებიდან ირკვევა, რომ ეს მთლად ასე როდია. ინგლისელ ეთნოგრაფს ნ. გალოვეის, როგორც ჩანს, სურს ქურთების ცხოვრება ერთ წერტილზე გაყინულად წარმოგვიდგინოს, მაშინ, როდესაც აქ უკვე დიდი ხანია ფეოდალური წყობილების რღვევა დაიწყო, განვითარდა ვაჭრობა და ხელოსნობა.

ერაყის ქურთისტანის მთიან სოფელ რუსტაში შეიძლება თვალი გავადევნოთ ბინადარი მოსახლეობის ცხოვრებას, რომელიც ტიპიურია ყველა ბინადარი ქურთებისათვის. ერაყის ქურთისტანის ამ კუთხეში მეურნეობის საფუძველს ამჟამად მარტო ხორბლეული კულტურების წარმოება როდი შეადგენს, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით ვივარაუდოთ. აქ დიდ ყურადღებას უთმობენ აგრეთვე მესაქონლეობასაც. მოკლედ, აქაური მეურნეობა სამიწათმოქმედო და მწყემსური მეურნეობის სინთეზს წარმოადგენს. ამასთან, მთაში უპირატესობას ჯერჯერობით მწყემსურ მეურნეობას ანიჭებენ.

ერაყის ქურთისტანის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მრავალი ასეული წლის მანძილზე ტრადიციულად იზოლირებული ტერიტორია იყო. მაგრამ მისი ხასიათი თანამედროვე პირობებში იცვლება. ეს ცვლილებები მნიშვნელოვანია ერაყისათვის მთლიანად, რადგანაც ერაყის ქურთისტანი ერაყის ერთადერთი ფართო ტერიტორიაა, რომელიც ბუნებრივად ირწყვება წვიმებით. უკვე გაიყვანეს გზა, რომელიც რუსთას აკავშირებს გალალასა და რევანდუზთან. ბუნებრივია, რომ ტომობრივ წყობილებაზე დამყარებული ცხოვრების ძველი წესი სულ უფრო მეტად ემორჩილება სახელმწიფოს გარესამყაროსთან კონტაქტის ზეგავლენით.

იმ სამი ძირითადი კულტურიდან (ხორბალი, თამბაქო და შაქრის ჭარხალი), რომელსაც ირანის ქურთისტანში მისდევენ, ორზე (თამბაქო და ჭარხალი) სახელმწიფო მონოპოლია არსებობს. ავიღოთ, მაგალითად, თამბაქო. სახელმწიფო დაწესებულება თამბაქოს შესყიდვისას ფასს ადებს მას ხარისხის მიხედვით. 1 კგ უმაღლესი ხარისხის თამბაქოზე იხდიან 48 რიალს, 1 კგ დაბალი ხარისხის თამბაქო ღირს 5—16 რიალი. საშუალო ფასი, რომელსაც სახელმწიფო

იხდის 1 კგ თამბაქოსათვის — 20 რიალს შეადგენს. სახელმწიფო ინსპექტორები, როგორც წესი, თამბაქოს აკუთვნებენ საშუალო ან დაბალ ხარისხს და ძალზე იშვიათად — უმაღლესს.

ამავე დროს 1 კგ თამბაქო სახელმწიფოს გააქვს 200—450 რიალად. ურმიის ოლქში 1 კგ თამბაქოს ყიდულობენ 27 რიალად, შემდეგ კი ყიდიან 450 რიალად [102, გვ. 164].

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა სიგარეტების წარმოების დარგშიც. ერთ კგ თამბაქოდან ამზადებენ 800 სიგარეტს. ამ სიგარეტების ფასი 40 რიალია. მაგრამ 20 ცალი ყველაზე იაფი სიგარეტის („ოშნუ") ფასი, რომელსაც ამზადებენ ქ. შნოში მოყვანილი თამბაქოსაგან, არის 10 რიალი, ე. ი. 800 სიგარეტი ეღირება 400 რიალი. ყოველი კგ თამბაქოსათვის სახელმწიფო ღებულობს 360 რიალს, ეს შემოსავალი, საბოლოო ჯამში, შედგება იმ არაპირდაპირი გადასახადებისაგან, რომლებიც შედის სიგარეტების ღირებულებაში. ფაქტიურად ამ გადასახადების გადამხდელები მშრომელები არიან.

ირანში საშუალოდ წელიწადში ამზადებენ 14 ათას ტონა თამბაქოს [47, გვ. 55], აქედან 25%. ე. ი. 3.500 ტონა ირანის ქურთისტანში მოჰყავთ. ირანის ქურთისტანში მოყვანილი თამბაქოდან სახელმწიფო დამატებით იღებდა შემოსავალს 980 მილ რიალის ოდენობით (1958 წ.), რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ მთლიანად სახელმწიფოს შემოსავალი თამბაქოს მრეწველობიდან 1958 წ. 2.250 მილ რიალს შეადგენდა [27].

ასეთივე წესი არსებობს შაქრის ჭარხლის შესყიდვისას. შაქრის ქარხნები ერთ ტონა შაქრის ჭარხალში იხდიდნენ 900 რიალს. ირანში შაქრის ჭარხალი საშუალოდ 15 % შაქარს შეიცავს. ამრიგად, ყოველი ერთი ტონა ჭარხლიდან ღებულობენ 150 კგ შაქარს, რომელსაც სახელმწიფო ყიდდა 3 ათას რიალად. ერთი ტონა შაქრის ჭარხლის გადამუშავების მაქსიმალური ხარჯები 600 რიალს შეადგენდა. ამდენად, სახელმწიფოს სუფთა მოგება 1 ტონა ჭარხალზე 1.500 რიალს უდრიდა.

1958 წ. ირანში მოიყვანეს 730 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი [47, გვ. 54], ე. ი. შემოსავალმა გადააჭარბა 1 მილიარდ რიალს. ირანის ქურთისტანში მოჰყავდათ მთელი ირანის შაქრის 20% ე. ი. ქურთისტანის წილი საერთო თანხაში შეადგენდა 200 მლნ რიალს.

ეს მაგალითები იმ მეთოდების ნათელი ილუსტრაციაა, რომელთა საშუალებითაც ირანის მმართველი წრეები ეწევიან ქურთი გლეხების ექსპლოატაციას.

მთელ ქურთისტანში როგორც მემამულეები, ის ქალაქელი ვაჭრები მევახშეობის მრავალნაირ მეთოდებს იყენებდნენ გლეხების უმოწყალო ძარცვისათვის. ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა „სალამ“-ი. მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გლეხი 1200 რიალის ვალის გადასახდელად იძულებული იყო მიეცა მემამულისათვის 300 რიალით მეტი.

საერთოდ, ცნობილია, რომ რეფორმამდელ ირანის ქურთისტანში გლეხის ფაქტიური შემოსავალი ცხოვრების მინიმუმსაც კი არ შეადგენდა. ქურთი გლეხობა აქ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა და მის უმრავლესობას მიწა არ გააჩნდა[28].

ჟურნალ „ეთელაათის“ თანახმად, უმიწაწყლო გლეხის (ერთი ჯოფთ“-ის მფლობელი) წლიური შემოსავალი შეადგენდა 1695 რიალს. „ეთელაათის“ გაანგარიშებით, 4 კაციანი ოჯახის შესანახი მინიმალური ხარჯები წელიწადში 11 640რიალი იყო, ანუ დაახლოებით 40 დოლარი ერთ სულზე; ქურთი გლეხის ოჯახი კი საშუალოდ 5 სულისაგან შედგებოდა. ამრიგად, ფაქტიურად შემოსავალი თითო სულზე 30 დოლარს შეადგენდა.

იმ გლეხების წლიური შემოსავალი, რომლებიც სოფლის მოსახლეობის 72%-ს უდრიდა, შეადგენდა 26 დოლარს ერთ სულზე. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მუშებს, ეს ციფრი აქ კიდევ უფრო დაბალი იყო — 15 დოლარი ერთ სულზე. დაახლოებით ასეთივე იყო მწყემსის წლიური შემოსავალიც.

25 დოლარად (1950 რიალად) გლეხს შეეძლო ეყიდა 3 მ იაფი ბამბეულის ქსოვილი ზამთრისათვის (300 რიალი), 3 მ მსუბუქი საზაფხულო ქსოვილი, ანდა ერთი მამაკაცის პერანგი (50 რიალი) 1 წყვილი რეზინის ჩექმა (100 რიალი), 150 კგ ფქვილი (150 რიალი), 1 კგ ჩაი (150 რიალი), 12 კგ შაქარი (300 რიალი), 6 კგ თაფლი (300 რიალი), სულ 1950 რიალი [124, გვ. 172].

ეს მონაცემები გვიჩვენებს, თუ რა მცირე იყო გლეხის ბიუჯე-

---

28 უილიამ დუგლასი, აშშ უმაღლესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, რომელმაც ირანში იმოგზაურა, გვიხატავს სამხრეთ ქურთისტანისათვის ტიპიურ სურათს. იგი წერს, — „აბდულა: მიწები არა აქვს, მიწას არ ამუშავებს, ინახავს ოჯახს, რომელიც შედგება 10 სულისაგან, ჰყავს 6 ძროხა და 15 ცხვარი. ემანი: მიწა არა აქვს და არც ამუშავებს. ჰყავს 4 ხბო და 20 ცხვარი, ინახავს ოჯახს, რომელიც შედგება ორი სულისაგან. ჰოსეინი: მიწა არა აქვს, იჯარით იღებს მიწას ხორბლის დასათესად. მოჰყავს 300 ფუთი ხორბალი. მისი წილი 20% შეადგენს. ჰყავს 4 ძროხა და 30 ცხვარი; კმაყოფაზე ჰყავს ოჯახის 5 წევრი“ [119, გვ. 103].

ტი და როგორ არ შეესაბამებოდა იგი ოჯახის მინიმალურ საჭიროებას. გლეხი იძულებული იყო ეცხოვრა ცარიელ პურზე. საღამოობით იგი სიბნელეში იჯდა, რადგანაც არ შეეძლო ეყიდა ნავთი, ამიტომ, ზედმეტია ლაპარაკი ბავშვების განათლებაზე, ანდა სამედიცინო მომსახურებაზე. მაშ, როგორი უნდა ყოფილიყო ცხოვრების დონე იმ სასოფლო-სამეურნეო მუშისა ანდა მწყემსისა, რომელსაც 26 კი არა, 15 დოლარი ჰქონდა წლიური შემოსავალი.

გლეხების საბინაო პირობები უკიდურესი სიღარიბისა და სიღატაკის შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენდა. როგორც წესი, ქურთი გლეხის სახლი შედგებოდა ერთი ოთახისაგან, რომელშიც მთელი ოჯახი ცხოვრობდა.

გასულ საუკუნეში გერმანელი მოგზაური ჰ. ბინდერი წერდა: „მე გავზომე ორი ასეთი ოთახი. ერთ მათგანში, რომლის სიგანე 3 მ, სიგრძე 3,5 მ და სიმაღლე 2 მ იყო, ერთი კაცი და 2 ქალი ცხოვრობდა. მათთან ერთად აქ 2 სახედარიც იყო. მეორე ოთახში (სიგრძე 5 მ, სიგანე 3 მ და სიმაღლე 2 მ) ცხოვრობდა მამაკაცი თავისი მეუღლით, მათი ქალიშვილი მეუღლით და ორი შვილით, უღელი ხარი, 2 სახედარი და 4 ცხვარი [116, გვ. 351]. აღნიშნულიდან ჩანს, რომ, მიუხედავად რეფორმამდელი ირანის ქურთისტანის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისა აქაური ქურთი გლეხის ცხოვრების დონეში დიდი ცვლილებები ჯერ არ მომხდარა.

## თავი VI

# აგრარული გარდაქმნები და მათი სოციალურ-ეკონომიური შედეგები

## 1. აგრარული გარდაქმნები და საწარმოო ძალების განვითარება ერაყის ქურთისტანში

### ა. 1958 წ. აგრარული რეფორმა და სახელმწიფო-კაპიტალისტური ღონისძიებანი სოფლად

ერაყში ინგლისის სამანდატო რეჟიმის გაუქმების (1932 წ. ოქტომბერი) შემდეგ მთელი მიწები დაყვეს შემდეგ კატეგორიებად:

1. ტრადიციული ან ფეოდალური ტიტულის საფუძველზე არსებული კერძო მფლობელობის მიწები;

2. სახელმწიფო მიწები (მეტწილად უდაბნოები) — მათრუკა.

3. ვაკფი[1], ანუ რელიგიური მიზნით შეწირული მიწები, რომლის გასხვისებაც არ შეიძლებოდა.

4. მირის მიწები მისი სამი სახით:

ა) თაპუ — ანუ მუდმივი მიწათმფლობელობა (მათ შორის რეგისტრირებული მფლობელობა);

ბ) ლიაზმა, ანუ ისეთი მიწა, რომელსაც მიწათმოქმედი ამუშავებდა 15 წლისა და უფრო მეტი ხნის განმავლობაში.

გ) მირი სერფ, ანუ ისეთი სახელმწიფო მიწები, რომლებიც ად-

---

[1] სავაკფო მიწები ორი სახისა იყო: „ვაკფ აჰლი" („საოჯახო ვაკფი"), რომელიც უკანასკნელი მფლობელის შემდეგ რომელიმე რელიგიურ ან საქველმოქმედო დაწესებულებას გადაეცემოდა, და „ვაკფ ხაირი" ანუ შეწირული მიწა, რომელიც უშუალოდ რელიგიური დაწესებულების მფლობელობაში იმყოფებოდა [88, გვ. 37—38].

რე იჯარით არ იყო გაცემული და რომლებსაც ყმა გლეხები ამუშავებდნენ [137, გვ. 16—22].

ამ კლასიფიკაციის თანახმად, მიწის რეფორმამდე 3 წლით ადრე, 1955 წელს, რეგისტრირებული იყო 73 მლნ დონუმი მიწა.

მიწის დამუშავების ყველაზე გავრცელებული სისტემა იყო მიწების საანეულოდ დატოვება. თესლბრუნვა იშვიათი იყო. ასე მაგალითად, 1953 წ. აღწერის შედეგების მიხედვით, მიწათმფლობელობის 44% ანეული (ნოლა) მიწების წილად მოდიოდა.

თუ 1953 წლის სტატისტიკურ ცნობებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ დამუშავებული მიწები შეადგენდა 10. 108. 118 დონუმს, სანასვენო 11.175.594 დონუმს; 2.577.077 იყო დაუმუშავებელი, 51.251 დონუმი ხილის ხეებსა და ვენახს ეკავა, 923.465 — საძოვრებს, ხოლო 207.230 — ტყეებს. აგრარულ რეფორმამდე რეგისტრირებული მიწის კატეგორიები ფართობის მიხედვით ერაყში ასე ნაწილდებოდა:

ცხრილი 7

| მფლობელობის სახეები | ფართობი (დონუმებში) |
|---|---|
| კერძო | 234.748 |
| სახელმწიფო მიწები | 4,397.999 |
| საუაკფო | 796.754 |
| მირი თაპუ | 11.971.828 |
| მირი ლიაზმა | 11.315.824 |
| მირი სერფ | 44.261.504 |
| სულ | 72.978.657[2] |

ამრიგად, მონარქიულ ერაყში დამუშავებული მიწების დიდი უმრავლესობა კერძო მფლობელობაში იმყოფებოდა. მსხვილ მემა-

2 1958/59 წწ. მირი თაპუს მიწები 12.5 მლნ დონუმს მოიცავდა, მირი ლიაზმა — 10,6-ს, ხოლო მირი სერფ — 8,4-ს. სხვა კატეგორიების მთელი ფართობი 0,7 მლნ დონუმს შეადგენდა.

ერაყში ინგლისელთა ბატონობის წლებში (1920—1932 წწ.) თაპუს სისტემით განაწილებული იყო მთელი დამუშავებული ფართობის 20% [135, გვ. 14]. საერთოდ რეფორმამდელ ერაყში სახელმწიფო მიწების ფონდი სწრაფად კლებულობდა მირი სერფის კატეგორიის მიწის ხარჯზე იზრდებოდა თაპუსა და ლიაზმის კატეგორიის მიწები [134, გვ. 3].

მულეთა წილად მოდიოდა დამუშავებული მიწების 74,2%, ხოლო მიწის წვრილ მესაკუთრეებზე — 25,8%.

სასოფლო-სამეურნეო ცენტრის მონაცემების თანახმად, 1952/53 წწ. მიწის სამფლობელოები[3] ლიევებში სულ მოიცავდა 25.536.039 დონუმს და ნაწილდებოდა შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| მირი თაპუ | —10.108.835 |
| მირი ლიაზმა | — 6.713..224 |
| მიწათმფლობელობის სხვა სახეები | — 1.012.013 |
| იჯარით აღებული მიწები | — 7.701.967 |

მიწათმფლობელობის ყველაზე გავრცელებული ფორმა რეფორმამდელ ერაყში იყო მოიჯარეობა, რომლის დროსაც გლეხი შემამულეს, ჩვეულებრივ, უხდიდა მის მიერ აღებული მოსავლის 50%-ს ტუმბოების, წყლისა და სხვა ინვენტარის მიწოდების სანაცვლოდ. მიწათმფლობელობის სხვა ფორმებიდან არსებობდა პლანტაციური მეურნეობა. იყო კიდევ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა, სადაც გლეხი თავისი ოჯახით ამუშავებდა მიწას, ანდა იჯარით აძლევდა სხვას.

სასოფლო-სამეურნეო მუშის პირველი საზრუნავი საარსებო საშუალებათა მოპოვება იყო. მას მოჰყავდა მოსავალი და მწყემსავდა საქონელს იმისათვის, რომ თავისი ოჯახი გამოეკვება. სასაქონლო კულტურები პლანტაციების მუშებსა და გლეხთა მეურნეობებს მოჰყავდათ.

ჯერ კიდევ რეფორმის წინ დაიწყეს სახელმწიფო მიწების განაწილება გლეხებს შორის. ეს ღონისძიებანი მიზნად ისახავდა წვრილ მიწის მესაკუთრეთა დასახლების შექმნას და მეურნეობის წარმართვას თანამედროვე კაპიტალისტური მეთოდების გამოყენებით.

რეფორმამდე მიღებული კანონის ძირითადი შინაარსი ასეთი იყო: 1) იმ პირებს, რომლებსაც ურიგებდნენ მიწას, სხვა მიწის ნაკვეთი არ ეკუთვნოდათ. მათ უნდა ამ მიწაზე ეცხოვრათ და გაეუმჯობესებინათ მისი დამუშავების მეთოდები სპეციალისტების მიერ შედგენილი გეგმის თანახმად; 2) მიწის ნაკვეთები უნდა განაწილებულიყო ტრადიციის მიხედვით; მთიან ადგილებში მიწის ნაკვეთები უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 20 მეშარისა ანუ დონუმისა. მიწის ის ფართობი, რომელიც მდინარის წყლით ირწყვებოდა, უნდა შემო-

3 ცალკეულ სამფლობელოთა სიდიდე მერყეობდა 25 დონუმიდან (ბასრაში) 6.884 დონუმამდე (ამარაში).

ფარგლებშიც 100 მეშარამდე, ხოლო ის მიწები, რომელიც წყლის ტუმბოებით ირწყვებოდა — 500 მეშარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

ამ გეგმის თანახმად მიწა მიიღო 35 ათასმა ოჯახმა, პროექტის თანახმად 12 ათასი ოჯახი დასახლდა შემდეგ რაიონებში: დუდჯაილა, ხუვაიჯა, შაჰრიზური, მოსული, სინჯარი, ლუტაიფი, მაჰმური, პილა, დულაიმი და დიდი მუსაიბი.

ახლად შექმნილ დასახლებებში გლეხები სასოფლო-სამეურნეო კრედიტებს ღებულობდნენ და ამ თანხით კოოპერატივები უნდა შეექმნათ.

1958 წ. მიღებული აგრარული კანონი სხვა ღონისძიებებთან ერთად მიზნად ისახავდა მსხვილი სამფლობელოების დანაწევრებას და მის განაწილებას წვრილ გლეხებსა და უმიწაწყლო მოჯამაგირეებს შორის. რეფორმის გატარების შემდეგ სარწყავ მიწებზე არსებული ნაკვეთის მაქსიმალური ფართობი 1000 დონუმი (მიახლოებით 600 აკრა) უნდა ყოფილიყო, ხოლო ბოგარულ, ურწყავ მიწებზე — 2000 დონუმი. მსხვილი მამულები დანაწილდებოდა 60 ანდა 120 დონუმის ფართობის ნაკვეთებად მიწის სახეობის შესაბამისად.

კოოპერატივები იქმნებოდა იმ მიზნით, რათა მიწის ახალ მესაკუთრეებს დახმარებოდნენ ტექნიკის გამოყენებისა და ათვისების საქმეში. სპეციალურ ორგანოებს უნდა განესაზღვრათ კომპენსაციის ოდენობა, რასაც მიწების ყოფილ მფლობელებს გადაუხდიდნენ. 1962 წ. ბოლოს განაწილებული იყო მხოლოდ 365 ათასი ჰექტარი, ხოლო 1964 წლის მაისისათვის — 425 ათასი ჰექტარი [40, გვ. 235].

მიწის რეფორმის გატარება გარკვეულად შეაფერხა იმ პოლიტიკურმა ამბებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ერაყში 60-იან წლებში.

1958 წლის ივლისის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე მეფის ოჯახის წევრები 44 399 ჰა სასარგებლო მიწას ფლობდნენ, მაშინ როდესაც დაახლოებით 800 ათას გლეხურ ოჯახს, ე. ი. ერაყის სოფლის მოსახლეობის 85%-ს სრულად არ გააჩნდა მიწის ნაკვეთი [144, გვ. 23; 157, 18. 6. 1960].

ერაყის სამხრეთში მსხვილ მიწათმფლობელთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო. აქ მიწებს პირველ რიგში ტომების ბელადები — შეიხები და ადგილობრივი ზედაფენის წარმომადგენლები ფლობდნენ. ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყში ანუ ერაყის ქურთისტანში კი უფრო ბოგარული მიწათმოქმედება სჭარბობდა. აქ მიწათმფლობე-

ლები უფრო წვრილი მესაკუთრენი — ბობოლა გლეხები იყვნენ. მათი ნაკვეთები, მაგალითად, სულეიმანიეს ლივაში, შეადგენდა საშუალოდ 15 ჰა-ს, ხოლო ერბილის ლივაში — 33 ჰა-ს.

ერაყის ქურთისტანში არ იყვნენ ისეთი მსხვილი მიწათმფლობელები, როგორც სამხრეთში[4].

ხელოვნური მორწყვის რაიოებში, სადაც ჩვეულებრივ, ქერს თესდნენ მოიჯარე თავისი ოჯახით დიდი-დიდი 5—6 ჰა მიწას ამუშავეებდა, ხოლო ბოგარული მიწათმოქმედების რაიონებში — 10 ჰა-ს.

ჩრდილოეთში მოიჯარე მიწათმოქმედი ღებულობდა მოსავლის 50%-ს, ხოლო სამხრეთში მოსავლის განაწილების სხვადასხვა სახეები არსებობდა [111, გვ. 37].

ერაყში, როგორც წესი, წვრილ გლეხებს ინტენსიური მეურნეობის გაძღოლის საშუალება არ ჰქონდათ. ტექნიკის, სასუქის, ფინანსური დახმარების უქონლობა ან ნაკლებობა საგლეხო მეურნეობას მცირემწარმოებლურს ხდიდა, ხოლო თვითონ გლეხები უბადრუკ, მათხოვრულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

გლეხი იძულებული იყო თითქმის მთელი პროდუქტი, ხშირად კი საარსებოდ აუცილებელი პროდუქტის ნაწილიც კი მემამულის, მევახშის, ანდა ვაჭარი შუამავლისათვის მიეცა. არაბი ეკონომისტის თალაათ აშ-შიბანის მოწმობით, ერაყში ძალზე იშვიათი იყო, რომ გლეხს მემამულის ვალი არა ჰქონოდა [136, გვ. 45].

ერაყელი გლეხი ჩვეულებრივ, იკვებებოდა ძირითადად ხორცის რძის, ბოსტნეულისა და ხილის უმნიშვნელო რაოდენობით [111. გვ. 48].

ქურთი გლეხის ჩვეულებრივი საჭმელი შედგებოდა მასტის და ლავაშისაგან.

მსხვილი მიწათმფლობელი, რომელიც გლეხს მიწას იჯარით კაბალური პირობებით აძლევდა, ეკონომიურად არ იყო დაინტერესებული კაპიტალისტური წარმოების მოწყობით. სოფლის მეურნეობის ინტესიური განვითარება დაკავშირებული იყო დიდ ხარჯებთან, და მისი ანაზღაურება დიდ დროს მოითხოვდა. არსებული ფეოდალური ურთიერთობანი კი მსხვილ მიწათმფლობელს დიდი საიჯარო მოგების შესაძლებლობას აძლევდა ძალთა ყოველგვარი დაძაბვისა და ფინანსური ხარჯების გარეშე.

4 ერაყის სამხრეთში ზოგიერთი მსხვილი ფეოდალის სამფლობელო ბელგიის მთელი ტერიტორიის მეოთხედს შეადგენდა [157, 16.6.1960].

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროგრესული დაქვეითება, მიწების არათანაბარი განაწილება, დამუშავებული მიწების უმნიშვნელო რაოდენობა, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა, სოფლის მოსახლეობის დენადობის ზრდა ქალაქად და უმიწაწყლო გლეხების დიდი ფენის გაჩენა — ყოველივე ეს რეფორმამდელი ერაყის მეურნეობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები იყო.

სოფლის მეურნეობის ეს ჩამორჩენა, რომელიც ტიპიურია მთელი ახლო აღმოსავლეთისათვის, ერაყში ინგლისის იმპერიალიზმისა და მისი მარიონეტის — ჰაშიმელთა დინასტიის 40 წლის ბატონობის კანონზომიერი შედეგი იყო.

სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავება სოფლის მეურნეობაში, მიწისათვის გლეხთა ბრძოლის გაძლიერება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრარულ რეფორმას.

სწორედ ეს იყო 1958 წ. ივლისის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი.

რევოლუციამ დაამხო მონარქიული რეჟიმი, რომელიც აგრარული გარდაქმნების განხორციელებას ამუხრუჭებდა და ამით შექმნა აუცილებელი პირობები ქვეყანაში აგრარული რეფორმის გატარებისათვის.

მსხვილ მიწათმფლობელთა კლასმა აშკარად მტრული პოზიცია დაიკავა აგრარული რეფორმის მიმართ, მას მხარი დაუჭირა მსხვილმა და საშუალო ბურჟუაზიამ, ასევე უცხოურმა იმპერიალიზმმა. ყოველივე ამან განსაზღვრა ერაყში დაწყებული აგრარული გარდაქმნების სპეციფიკური ხასიათი.

აგრარულ რეფორმამდე ერაყელი ფეოდალები (ქვეყნის მოსახლეობის 2%) მთელი დამუშავებული მიწების 68%-ს ფლობდნენ, ხოლო გლეხობას (მოსახლეობის 90%) ან ძალზე მცირე ნაკვეთები ჰქონდა, ანდა სულ არ გააჩნდა მიწა [166—ა, 1.10.1973].

მიუხედავად იმისა, რომ მემამულეს („ნათესის პატრონის" „საჰიბ ალ-მაზრაას") სამფლობელო მოიჯარეთა შორის ცალკეულ ნაკვეთებად ნაწევრდებოდა, მას განიხილავდნენ როგორც ერთ მთლიანს, როგორც მემამულის მეურნეობას [139, გვ. 5].

მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი ერაყის გლეხობა იმედოვნებდა, რომ აბდალ ქერიმ ყასემის რევოლუციური მთავრობა, რომელმაც შეცვალა პროინგლისური მონარქიული რეჟიმი, მოახდენდა აგრარულ გარდაქმნებს და ბოლოს მოუღებდა მათ ჩაგვრას.

რა მიზნებს ისახავდა აგრარული რეფორმა და როგორ ხორციელდებოდა იგი?

აგრარული რეფორმის გატარების შესახებ კანონი (კანონი № 30) ერაყის მთავრობამ 1958 წ. 30 სექტემბერს გამოსცა. ერაყის ბურჟუაზიას იმედი ჰქონდა, რომ აგრარული რეფორმა შეზღუდავდა ფეოდალიზმის ძლიერ გადმონაშთებს ერაყის სოფელში და ხელს შეუწყობდა სოფლის კაპიტალისტურ განვითარებას. იგი იმედოვნებდა აგრეთვე რომ ამით მუშათა კლასს მოწყვეტდა გლეხთა მასებს, თვითონ გაიყოლიებდა და მათ თავის პოლიტიკურ რეზერვად გადააქცევდა. თავის მხრივ, ერაყის მსხვილი მიწათმფლობელები იმედოვნებდნენ, რომ ბურჟუაზიული მთავრობა დიდად არ შელახავდა ფეოდალ-მემამულეთა ინტერესებს, რათა მათი სახით არ დაეკარგა პოლიტიკური მოკავშირე მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც ერაყის მმართველობის სათავეში მოექცა, ცდილობდა კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებას, თანამედროვე კაპიტალისტ-მიწათმფლობელთა კლასის ჩამოყალიბებას.

1958 წ. აგრარულმა კანონმა უცვლელად დასტოვა მიწათმფლობელების არსებული კატეგორიები. იმ მიწების მფლობელები, რომლებსაც მიწა სრულ საკუთრებაში ჰქონდათ, კანონის თანახმად, რეკვიზირებულ მიწებზე სახელმწიფოსაგან სრულ ანაზღაურებას ღებულობდნენ.

თაპუს მიწების მფლობელები სახელმწიფოსაგან იღებდნენ ჩამორთმეული მიწების ღირებულების 75%-ს, ხოლო ლიაზმის მფლობელებს კი მისი ღირებულების 50%-ს უხდიდნენ.

მიწები, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ჩამოერთვათ. მხოლოდ სამეფო გვარის წარმომადგენლებს და მათ მომხრე პოლიტიკურ მოღვაწეებს [157, 18. 6. 1960].

ერაყელი პროგრესული ეკონომისტი — მუჰამედ სალმან ჰასანის მიერ მოტანილი მონაცემების თანახმად, მემამულეთა დაახლოებით მესამედი (1043 კაცი 3243-დან), რომელზეც აგრარული კანონი გავრცელდა, ფლობდნენ იმ მიწების 2/3-ს (7,6 მლნ დონუმი 12 მლნ-დან), რომელიც აგრარული კანონის თანახმად ჩამორთმეული უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, მესაკუთრეთა დაახლოებით 10%-ს (95 კაცი) 3,3 მლნ დონუმი მიწა ეკუთვნოდა [140, გვ. 89].

აგრარული კანონი ფეოდალებს უფლებას უტოვებდა სურვილისამებრ აერჩიათ ის მიწა, რომელიც მათ უნდა დარჩენოდათ [15, გვ. 14]. ფაქტიურად კანონი ამცირებდა არა მემამულეთა

რიცხვს, არამედ მათ სამფლობელოებს. ის მიწები, რომლებიც შემამულეებს რჩებოდათ, კვლავ დიდ ფართობს მოიცავდა, არსებითად მემამულეთა სამფლობელოები შემცირდა მხოლოდ 45%-ით. გარდა ამისა, მემამულეები უარს ეუბნებოდნენ გლეხებს სესხის მიცემაზე [10].

ამრიგად, ნახევრულობა და არათანმიმდევრობა ერაყის 1958 წ. აგრარული კანონის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იყო. ამის გარდა, აგრარული კანონი მეტად ნელი ტემპებით ხორციელდებოდა, რასაც ერაყის ქურთისტანის მაგალითზე ნათლად გვიჩვენებს ქვემომოტანილი ცხრილი [9, ტაბ. V]:

ცხრილი 8

აგრარული რეფორმის შედეგები ერაყში 1961 წელს
(ქურთისტანის მაგალითზე)

| ლივები | იმ მიწათმფლობელთა რიცხვი, რომლებსაც აგრარული კანონი შეეხებოდა | ჩამორთმეული მიწების რაოდენობა | ჩამორთმეული მიწების ფართობი (დონუმებში) | იმ მიწათმფლობელთა რიცხვი, რომლებსაც აგრარული კანონი არ შეხებია |
|---|---|---|---|---|
| სულეიმანიე | 93 | 70 | 414460 | 23 |
| ერბილი | 187 | 128 | 672027 | 59 |
| კირკუკი | 202 | 147 | 1058715 | 105 |
| მოსული | 422 | 240 | 1770334 | 182 |
| სულ მთელ ერაყში | 3288 | 1403 | 8660636 | 1885 |

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, აგრარული რეფორმის მესამე წელს, ჯერ კიდევ ყასემის რეჟიმის დროს ჩამორთმეული მიწების რაოდენობა არცთუ ისე დიდი იყო. მთელ ერაყში აგრარული კანონის გატარების შემდეგ მსხვილ მიწათმფლობელთა ნახევარზე მეტი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მამულებს.

თითქმის 7 წლის მანძილზე შეპირებულ 4,4 მლნ დონუმის ნაცვლად, გლეხებმა მიიღეს მხოლოდ 2,2 მლნ დონუმი [9; გვ. 16].

ერაყის ქურთისტანში აგრარული კანონი უნდა შეხებოდა 904 მსხვილ მიწათმფლობელს, ფაქტიურად კი 1961 წლისათვის შეეხო მხოლოდ 585-ს, ე. ი. 60%-ს. მათ ჩამოართვეს დაახლოებით 3.915.526 დონუმი მიწა. მიწათმფლობელთა 40%-ს ანუ 369 მემამულეს აგრარული კანონი არ შეხებია. თუ იმასაც გავითვალისწი-

ნებთ. რომ 1961 წლიდან 1970 წლამდე ერაყის ქურთისტანში საომარი მოქმედება წარმოებდა და ომის პერიოდში აქ რეფორმა არ გატარებულა, ცხადი გახდება, რომ 60-იანი წლების ბოლოსათვის მდგომარეობა უცვლელად დარჩა.

ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროცესიც. ერაყელი ეკონომისტის ალ-ალვანის მოწმობით 1960 წლისათვის ერაყში სულ 2800 ტრაქტორი და 1 ათასი კომბაინი იყო [138, გვ. 365]. მაშინ, როდესაც ქვეყანას რამდენიმეჯერ მეტი სჭირდებოდა.

ერაყის მაშინდელ მთავრობას თანმიმდევრულად რომ შეემცირებინა მიწათმფლობელობის ფართობი და ჩამორთმეული მიწებისათვის კომპენსაციის გაცემა შეეწყვიტა, მაშინ ეს ღონისძიება გარკვეულად შეასუსტებდა მემამულეთა ეკონომიურ და პოლიტიკურ პოზიციებს.

ამრიგად, აგრარული რეფორმების პირველი წლის შედეგები და მისი გატარების ტემპები მოწმობს, რომ ფაქტიურად ეროვნული ბურჟუაზია არ იყო დაინტერესებული რადიკალური გარდაქმნების განხორციელებით; პირიქით, იგი ყოველმხრივ ცდილობდა შეეზღუდა რეფორმის გაქანება და ამით მემამულეებისათვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა.

რეფორმის დასაწყისში მთავრობამ პირობა დადო, რომ გაანაწილებდა 4 მილიონ ჰექტარ რეკვიზირებულ მემამულეთა მიწებს, მაგრამ 1961 წ., ე. ი. რეფორმის მესამე წელს ჩამორთმეული იყო მხოლოდ 2 მლნ ჰექტარი. ეს მიწები გაუნაწილდა 11 935 გლეხურ ოჯახს. აგრარული რეფორმის ჩატარების მე-6 წელს განაწილებული იყო კიდევ 425 ათასი ჰექტარი. სულ ეს მიწები 38 ათასი გლეხის ოჯახმა მიიღო [28, გვ. 235].

უნდა აღინიშოს, რომ ჩამორთმეულ მიწებს უშუალოდ მთავრობა კი არ ანაწილებდა არამედ ე. წ. დროებითი ადმინისტრაცია, რომელიც ხელშეკრულებას დებდა გლეხებთან.

მიწების განაწილება ითვალისწინებდა, რომ თითოეული გლეხის ოჯახისათვის მიეცათ 7,5-დან 15 ჰა-მდე სარწყავი და 15-დან 30 ჰა-მდე ბოგარული მიწა.

გლეხი ვალდებული იყო ოცი წლის მანძილზე ყოფილი მემამულისათვის ეხადა მიწისა და მასზე არსებული ნაგებობის ყოველწლიური გამოსასყიდი. გარდა ამისა, გლეხს წლიურად უნდა გადაეხადა შემოსავლის 2%, აგრეთვე გაელო ყველა ხარჯები, რომელიც

დაკავშირებული იყო აგრარული რეფორმის ჩატარებასთან. ყველაფერი ეს მიღებული მიწის ღირებულების 20%-ს შეადგენდა.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული მიწათმოქმედების პარცელური სისტემის პირობებში შეუძლებელი იყო თანამედროვე აგროტექნიკაზე გადასვლა, თუ სახელმწიფო არ დააფინანსებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და კოოპერატიულ მოძრაობას არ განავითარებდა.

აგრარული კანონის თანახმად, მთელ ერაყში უნდა შექმნილიყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, მაგრამ ერაყის ქურთისტანში 60-იანი წლების ბოლომდე იგი სპორადულ ხასიათს ატარებდა და აერთიანებდა მხოლოდ იმ მცირერიცხოვან გლეხებს, რომლებმაც მიწები მიიღეს.

ახლად ჩამოყალიბებულ კოოპერატივებს სესხს მცირე რაოდენობით აძლევდნენ. ასე მაგალითად, 1963 წ. კოოპერატივებმა მიიღეს 12,1 ათასი დინარი სესხი; ორი წლის შემდეგ 43 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო სესხად მხოლოდ 40,9 ათასი დინარი, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი კრედიტებისა და სუბსიდიების ოდენობა 1,3 მლნ ერაყულ დინარს შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ აგრარულმა რეფორმამ ერაყში მემამულეთა კლასი არ მოსპო, მან მაინც არსებითად შეამცირა მათი გავლენა სოფლის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, გაიზარდა წვრილ მესაკუთრე გლეხთა რიცხვი. რეფორმამ საგრძნობი დარტყმა მიაყენა გლეხთა ექსპლოატაციის ნახევარფეოდალურ ფორმებს, თუმცა ბოლომდე არ მოუსპია იგი.

იქ, სადაც რეფორმა განხორციელდა, გლეხები განთავისუფლდნენ მემამულეების ფეოდალური ჩაგვრისაგან. რამდენადმე ამაღლდა გლეხების ცხოვრების საერთო დონეც. მემამულის მამულში გლეხის წილი მოსავალში ახლა შეადგენდა 30—40%-ს სარწყავ მიწებზე და 70%-ს — ბოგარულ მიწებზე.

ბუნებრივია, ყოველივე ეს დადებითად უნდა დასტყობოდა ერაყის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რომლის გადიდებასაც აგრარული რეფორმა მიზნად ისახავდა [15 ა, გვ. 4], მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისში, ე. ი. აგრარული რეფორმის პირველ წლებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ნათესი ფართობის შემცირება იგრძნობოდა.

მარცვლეული კულტურები ერაყის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია. რეფორმამდელ ერაყში ხორბლისა და ქერის

ნათესებს დამუშავებული მიწების 88,2% ეკავა, ბრინჯს — 5%, სიმინდს — 2,1%, სხვა დანარჩენ კულტურებს — 4,7%. [118, გვ. 185]. 1954 წ. მთელ ერაყში წარმოებულ იქნა 4. 790 ათასი ტონა ხორბალი, ხოლო ქერი 1111 ათასი ტონა.

აგრარული რეფორმის პირველ წლებში (1959—1962 წწ.) შემცირდა ხორბლისა და ქერის ნათესი ფართობები[5]. გვალვიანი ამინდების გარდა, ამ შემცირების მიზეზები შემდეგი იყო: 1. სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავება [45, 1962, გვ. 62, 68]; 2. სასოფლო-სამეურნეო მანქანების რიცხვის შემცირება; 3. ფულადი სახსრების დაქსაქსვა იმასთან დაკავშირებით, რომ მემამულეები თავიანთ კაპიტალს აბანდებდნენ საზოგადოებრივი წარმოების სხვა სფეროში. 4. ახალი მიწების ათვისებასთან დაკავშირებით გლეხების წინაშე წარმოშობილი სიძნელეები. ყოველივე ამის შედეგად 1961 წლისათვის ხორბლის ნათესები შემცირდა 200 ათასი ჰექტრით 1957/58 მოსავლიან წელთან შედარებით. ხორბლეული კულტურების მოსავლის შემცირებაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე ერაყში არსებულმა არამყარმა პოლიტიკურმა ვითარებამ, რაც გამოწვეული იყო ქურთების წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებით 1961 წლის სექტემბერში[6].

იმის შემდეგ, რაც გლეხებმა შეძლეს აეთვისებინათ მიღებული მიწები, სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ თანდათანობით ზრდა იწყო.

1961 წ. ერაყში მიღებული იქნა 25,9 ტ ბამბის ნედლეული, ხოლო თამბაქოს მოსავალი შეადგენდა 15 ათას ტ, ბრინჯისა — 125 ათას ტ. სიმინდისა — 8,6 ათას ტ. თუ 1953 წ. ცხვრების სულადობა 10.000 ათასს უდრიდა, უკვე რეფორმის მესამე წელს

---

5 1959—60 წწ. ქერის ნათესი ფართობი შემცირდა 1157 ჰა-დან 1036 ჰა-მდე ე. ი. 119 ჰექტარით, ხოლო მისი წარმოება შესაბამისად 954 ათასი ტ-დან 804 ათას ტ-მდე. ამიტომაც იმ წლეებში ერაყს არ შეეძლო ქერის გატანა [40, გვ. 234].

6 საერთოდ. ერაყის ქურთისტანს ერაყის ბეღელს უწოდებენ. ომის დროს მთავრობის ჯარები ანადგურებდნენ ამ მხარეში მარცვლეული კულტურების ნათესებს. ამ პერიოდში, ერაყის ცენტრალური ბანკის ცნობით, ქვეყნის ეროვნული შემოსავალი შემცირდა 531 მლნ დინარიდან (1962 წ.) 520 მლნ დინარამდე (1963 წ.), ე. ი. 2%-ით და მეტად. მთლიანად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 23%-ით დაეცა. [17.,6.6. 1964]. ამ პერიოდში, მიუხედაად ამისა, რომ ნავთობის შემოსავალი 15%-ით გაიზარდა, ეროვნულმა შემოსავალმა საგრძნობლად იკლო [39,15.5. 1964].

(1961 წ.) იგი 10.210 ათასს სულს შეადგენდა. გაიზარდა თხების რაოდენობაც შესაბამისად 3.000 ათასიდან (1953 წ) 3045 ათასამდე (1961 წ.) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რიცხვმა 2228 ათასიდან 2413 ათასამდე იმატა [141, გვ. 155].

ერაყის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 30-35% თვით სოფელში რჩება, დანარჩენი კი ბაზარზე გააქვთ [141, გვ. 159].

მიუხედავად ცალკეულ წლებში ხელის შემშლელი პირობებისა, ხორბლეულის მოსავალი სულ უფრო იზრდებოდა. 1964 წ. ქერის მოსავალი 0,95 მლნ ტ შეადგენდა, ბრინჯისა — 184 ათას ტ და შ. შესაბამისად გაიზარდა ხორბლეული კულტურების ექსპორტიც [17, № 94, 6. 1964; 17, № 118, 10. 1965], მაგრამ სასურსათო საქონელზე მოთხოვნილება ჯერ კიდევ დაკმაყოფილებული არ იყო. ერაყს შემოჰქონდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რადგანაც იგი ჯერ კიდევ მწვავედ განიცდიდა მის ნაკლებობას. ზოგჯერ საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ ხორბალი[7], ხოლო 1965 წ. შემოზიდეს 250 ათასი ერაყული დინარის ღირებულების კვერცხი [41, 22.10.1965].

აგრარული რეფორმის გატარების წლებში სასურსათო კულტურების წარმოება ერაყში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მოსახლეობის ზრდას. ეს ნათლად ჩანს ქვემომოტანილი ცხრილიდანაც, რომელიც გვიჩვენებს მოსახლეობის ზრდის შეფარდებას ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებასთან.

ცხრილი 9

**მოსახლეობის შეფარდება ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებასთან [40, გვ. 238; 43, 1962, გვ. 62, 68, 45, 1964, გვ. 80, 86; 118, გვ. 148]**

| წლები (საშუალო წლიური) | მოსახლეობა (ათასობით) | ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება (ათას ტ.) | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ხორბალი | ქერი | ბრინჯი | სიმინდი |
| 1934—1938 | 2824 | 478 | 575 | 205 | 11,4 |
| 1960—1964 | 8938 | 809 | 862 | 127 | 8,7 |

ამრიგად, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ერაყის მოსახლეობა გაიზარდა თითქმის 3,5-ჯერ, ამავე დროს ძირითადი სასურ-

---

[7] ასე მაგალითად, 1959—1961 წწ. ერაყმა შემოიტანა 255 ათასი ტ. ხორბალი. ხორბალი შემოტანილ იქნა 1963 წელსაც [40, გვ. 234; 153ა, 15. 1. 1964].

სათო კულტურების (მაგალითად, ხორბლის) წარმოება გადიდდა მხოლოდ 70%-ით, ხოლო სიმინდისა და ბრინჯის — საერთოდ შემცირდა.

მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტემპები ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩებოდა მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელს. ამიტომ, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე ბევრად იყო დამოკიდებული ის, თუ რამდენად მალე შეწყვეტდა ერაყი სასურსათო პროდუქტების შემოტანას საზღვარგარეთიდან.

ერაყის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება კი თავის მხრივ გარდა აგრარული საკითხის დემოკრატიული გადაწყვეტისა,. დამოკიდებული იყო ეროვნული მრეწველობის შექმნაზე, მათ შორის ქიმიური სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებაზე, სარწყავი სისტემების გაუმჯობესებასა და მათ გაფართოებაზე, აგრეთვე ახალი მიწების ათვისებაზე.

ირიგაციის დარგში ერაყის წინაშე 3 ძირითადი ამოცანა დგას: 1. მოსარწყავად მდინარეების წყლის გამოყენება, 2 მდინარეების ადიდების თავიდან აცილება და 3. ჰიდროელსადგურების მშენებლობა. ეს ამოცანები ძირითადად წყდება ერაყის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებში. იმის გამო, რომ ჩრდილო ერაყში საკმარისი ნალექი მოდის, ხოლო მიწების რაოდენობა გამოუსადეგარია ფართო მასშტაბის ირიგაციის ჩასატარებლად, აქ განიზრახეს აეშენებინათ პატარა აუზები და ჰები, რომლებიც რამდენადმე შეავსებდნენ ბუნებრივ ნალექების ნაკლებობას.

ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე აშენდა მთელი რიგი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი. ასე მაგალითად, მდ. ტიგროსზე, მოსულის რაიონში[8], ჯერ კიდევ 1966 წ. დაიწყო ერაყის ყველაზე დიდი კაშხალის მშენებლობა. ამ საგუბარს დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და ელექტროფიკაციისათვის.

მოსულის რაიონში, აშენებული წყალსაცავი 13,5 მლრდ $მ^3$ წყალს იტევს, იგი საშუალებას იძლევა მოირწყას 15 ათას კვ. კმ ფართობის მიწა და წყლით ამარაგებს ჰიდროტექნიკურ კომპლექსს. ამ მშენებლობაზე დაიხარჯა 25 მლნ ერაყული დინარი. ახალმა კაშხალმა ამ რაიონის სოფლები დააზღვია წყალდიდობისაგან.

კირკუკის რაიონში 14,5 ათასი კვ კმ ფართობის მიწის მორწყ-

8 ამ მშენებლობის პროექტის შედგენა და სამუშაოთა წარმოება დავალებული ჰქონდა ფინეთის ერთ-ერთ კომპანიას. მშენებლობის დამთავრება 7 წელიწადში იყო გათვალისწინებული.

ვა იყო გათვალისწინებული. ეს პროექტი ეტაპობრივად განხორციელდა. პირველი ეტაპი ითვალისწინებდა კაშხალისა და მთავარი არხის მშენებლობას მდ. ზაბზე. ამ სამუშაოთა ხარჯები 9 მლნ ერაყულ დინარს შეადგენდა. მეორე ეტაპზე ნავარაუდევი იყო დიბისის კაშხალისაგან მეორეხარისხოვანი არხების ქსელის მშენებლობა.

ტიგროსისა და ევფრატის წყლის რესურსების სწორ გამოყენებას (პროექტით გათვალისწინებული კაშხალებისა და ჰიდროსადგურების მშენებლობათა დამთავრების შემდეგ) ერაყში არსებული დამუშავებული მიწების ფართობი უნდა გაეზარდა ორჯერ [40, გვ. 235].

ამრიგად, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, 1958 წ. აგრარულმა რეფორმამ ერაყში გზა გაუკაფა კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად, ხელი შეუწყო ფეოდალიზმის რიგი გადმონაშთების მოსპობას სოფლის მეურნეობაში.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის კოლონიური სტრუქტურის დემოკრატიულ გარდაქმნას, მის ტექნიკურ რეკონსტრუქციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთო ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევისა და იმპერიალისტურ ქვეყნებზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევისათვის.

### ბ. 1970 წ. მიწის კანონი და ქურთული სოფლის ეკონომიური განვითარების პერსპექტივები

როგორც ვნახეთ, 1958 წ. ერაყში მონარქიული წყობილების დამხობის შემდეგ მიღებული აგრარული კანონი რადიკალურ ხასიათს არ ატარებდა. მან მნიშვნელოვნად ვერ შეამსუბუქა ერაყელი გლეხების მდგომარეობა, ამიტომ 1968 წ. 17 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ერაყის ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა გაეუქმებინა ძველი მიწის კანონი და მის ნაცვლად 1970 წ. იანვარში გამოაქვეყნა კანონი (კანონი № 117), რომელიც საფუძვლად დაედებოდა უფრო ღრმა აგრარულ გარდაქმნებს ქვეყანაში.

რეფორმამდე გლეხური მიწათმფლობელობის წილად 2,5 მლნ დონუმი მოდიოდა, ხოლო რეფორმის შემდეგ — 12,5 მლნ დონუმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1970 წლამდე ერაყელ ფეოდალებს ეკუთვნოდათ დამუშავებული მიწების 40%. მართალია, ფეოდალების შემოსავალმა იკლო, მაგრამ მათი წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში ჯერ კიდევ დიდი იყო.

ახალი კანონის მიღებამდე ცოტა ადრე, 1969 წ. დამტკიცებული იქნა კანონები (№ 66 და № 69), რომლებიც საგრძნობლად ზღუდავდნენ ფეოდალთა უფლებებს. ერთდროულად მიწათმფლობელებს შეუწყვიტეს ფულადი ანაზღაურება რეკვიზირებული მიწებისათვის [46, გვ. 24—25].

1970 წ. აგრარული რეფორმის მთავარი პრინციპების განხორციელების მიზნით, 1970 წ. დასაწყისში გამოქვეყნდა კანონი № 116, რომლის თანახმად, ერაყში იქმნებოდა სოფლის მეურნეობის უმაღლესი საბჭო. ახალი ორგანოს მთავარ ამოცანას შეადგენდა დაგეგმვა და კოორდინაცია, მას უნდა შეემუშავებინა 1970-1974 წწ. სასოფლო-სამეურნეო განვითარების გეგმა. № 116-მა კანონმა ახლად ჩამოყალიბებულ ორგანოს დიდი უფლებები მიანიჭა. მისი გადაწყვეტილებანი სავალდებულო გახდა ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის.

1958 წ. აგრარული კანონი არ ითვალისწინებდა ისეთ მნიშვნელოვან საარსებო საკითხებს, როგორიცაა მიწის ნაყოფიერება, პროდუქტიულობა, საირიგაციო წესი, კულტივაციის სახე, ნალექიანობის სიხშირე და ა. შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძველი კანონი არ ითვალისწინებდა ეკონომიურ შემოსავალს, როგორც საფუძველს საკუთრების უფლების განსაზღვრისას. ახალ კანონში ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. მეტიც, ძველი კანონი სახნავად გამოყოფილი მიწების განსაზღვრისას არ ითვალისწინებდა აგრეთვე პატარა ტყეებს (პატარა ჭალები).

იმ ტერიტორიაზე, სადაც ინტენსიური კულტივაცია ტარდებოდა კანონი № 116 მიწის ნაკვეთების გამოყოფის შემდეგ წესს ადგენდა: იმ მიწებზე, რომლებიც ბუნებრივად ირწყვებოდა, გამოსაყოფი ფართობი განისაზღვრებოდა 1000—2000 დონუმით, ხოლო იქ, სადაც მიწა მდინარის ადიდებით ირწყვებოდა, მისი ფართობი განისაზღვრა 300—600 დონუმით; ბრინჯის ნათესებისათვის გამოსადეგი მიწის ფართობი 100—150 დონუმზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ხოლო თამბაქოს პლანტაციების გასაშენებელი ფართობი 40—50 დონუმი [46, გვ. 26].

ახალმა აგრარულმა კანონმა გააუქმა მიწების გამიჯვნის ძველი 1938 წ. კანონი (№ 29). პირველად გამიჯვნის სამუშაოთა პრინციპები ერაყში შეიმუშავა ცნობილმა ინგლისელმა ექსპერტმა ე. დაუსონმა. იგი ცდილობდა შეენარჩუნებინა ტომის ბელადების (შეიხების) ზეგავლენა და მიწებით უზრუნველეყო მიწის გადამყიდველები, რომლებიც ინგლისელთა ინტერესებს ემსახურებოდნენ.

1970 წ. აგრარული კანონის მე-16 მუხლში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მიწა უნდა განაწილდეს კოლექტიურად, გასანაწილებელი ტერიტორიის სპეციფიკური პირობების შესაბამისად.

კანონის შესავალ ნაწილში ლაპარაკია ერაყში სასოფლო-სამეურნეო რევოლუციის გატარების აუცილებლობაზე. საჭიროა, ნათქვამია კანონში, ქვეყანაში არსებული მთელი რესურსების მობილიზაცია მსხვილი მასშტაბის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე გადასასვლელად, ყველა ტექნიკური სიძნელეების და პრობლემის დაძლევა.

ამ პრობლემათაგან ერთ-ერთი პირველი იყო წყლის საკითხი და მიწების მარილიანობის ზრდის შემდგომი შეჩერება.

თავის დროზე, 1958 წ. აგრარული რეფორმის ჩატარების შედეგად, 12,5 მლნ დონუმი მიწა განაწილდა. ეს რეფორმა ხელს უწყობდა მიწის წვრილი საკუთრების გაფართოებას. ერაყის მთავრობას მაშინ მიაჩნდა, რომ თუ სოფლად მიწათმფლობელობის ფეოდალურ სისტემას ბოლო მოეღებოდა, აგრარული საკითხიც გადაიჭრებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მართალია მსხვილ ფეოდალებს მიწები ჩამოერთვათ და გლეხებს გაუნაწილეს, მაგრამ მას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ჩამორთმეული მიწები მცირე ნაკვეთებად იქნა დანაწევრებული. ეს გამორიცხავდა არა მარტო მიწების კოლექტიურ დამუშავებას, არამედ მსხვილი მასშტაბის წარმოების ორგანიზაციას, მექანიზაციისა და აგროტექნიკის გამოყენებას. ასევე შეუძლებელი იყო მიწების განაწილების რეგულირებაც.

გარდა ამისა, 1958 წ. აგრარული კანონი მემამულეს უფლებას უტოვებდა თვითონ აერჩია ის მიწა, რომლის დატოვებაც სურდა, ახალმა კანონმა კი მათ ეს უფლება ჩამოართვა [46, გვ. 28].

ყასემის მთავრობის მიერ დაწყებული აგრარული რეფორმა სპონტანური ხასიათისა იყო. მისი განხორციელებისას არავითარი გრაფიკი არ იყო დაცული. ახალი კანონით მიწის რეკვიზიცია და მისი განაწილება გარკვეულ განრიგს ემორჩილებოდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიღებული გეგმის თანახმად, თავდაპირველად მიწების რეკვიზირება მოახდინეს ქვეყნის 10 გუბერნიაში: ბაღდადში, ბასრაში, ანბარში, მაისანში, მუტანში, ქერბელაში, ბაბილონში, ვასიტში, ერბილსა და კირკუკში.

მიწების ჩამორთმევის ოპერაციები დამთავრდა 1971 წ. 1 ოქტომბრისათვის. ამის შემდეგ მთავრობამ დაამტკიცა მეორე გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა მიწების რეკვიზირებას კადირიის, ტიკა-

რის. ღალის, ხაინაყას დოჰუქისა და სულეიმანიეს ოლქებში. ეს ოპერაციები ძირითადად 1972 წ. ივლისისათვის დამთავრდა.

რაც შეეხება მიწების განაწილებას, მისი განხორციელება დაიწყო ათ გუბერნიაში (1972 წ. ოქტომბერი), ხოლო მეორე ეტაპზე, რომელიც 1973 წ. პირველ კვარტალში უნდა დამთავრებულიყო, მიწები უნდა გაენაწილებინათ დარჩენილ ექვს გუბერნიაში. იმ გუბერნიებში, სადაც 1970 წ. აგრარული კანონი უკვე განხორციელდა, მიწის რეფორმის განყოფილებები გარდაიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერირებისა და წარმოების დირექტორატებად. ახლა მათ წინაშე ახალი ამოცანები დგას. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დირექტორატები მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის განვითარებას ახალ პირობებში.

მონარქიულ ერაყში მიწების განაწილების რაიმე დადგენილი წესი არ არსებობდა. 1951 წ. კანონი № 43-ით შეიქნა მიწების გამანაწილებელი მთავარი კომიტეტი. იგი მიწებს ყოფდა ცალკეულ ნაკვეთებად; მასვე ევალებოდა მიწების ახალ მესაკუთრეთა შერჩევა.

1958 წ. მიღებული მიწის კანონის თანახმად, მიწის განაწილებას საფუძვლად დაედო საოჯახო რანჩოს იდეა. ამ კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, მიწა ისე უნდა განაწილებულიყო, რომ თითოეულ გლეხურ ოჯახს მიეღო სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ნაკვეთი 30-დან 60 დონუმამდე, რომელიც ირწყვებოდა მდინარეების ადიდებით ანდა მექანიკური საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ მიწა ბუნებრივად ირწყვებოდა, მიწის ხარისხის მიხედვით, გლეხურ ოჯახს უნდა მიეღო 60-დან 120 დონუმამდე. ეს ოპერაციები უნდა ჩაეტარებინა მიწის რეფორმის უმაღლეს კომიტეტს, რომელიც შეიქმნა აღნიშნული კანონის იმავე მუხლის საფუძველზე.

1958 წ. მიწის კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ნაკვეთის გამოყოფა შეიძლებოდა მხოლოდ იმ პირისათვის, რომელიც ერაყის სრულწლოვანი მოქალაქე იყო და რაიმე სასოფლო-სამეურნეო პროფესია გააჩნდა. ამასთან, გამოყოფილ მიწაზე საკუთრების უფლების გაცემა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მფლობელობაში იყო 60 დონუმზე ნაკლები ფართობის მიწა, რომელიც ირწყვებოდა მდინარეების ადიდებით ან მექანიკური საშუალებებით, ანდა 120 დონუმზე ნაკლები მიწა, თუ ბუნებრივი გზით ირწყვებოდა [15, გვ. 30].

თითოეული გლეხი საშუალოდ ღებულობდა 40 დონუმ მიწას, რომელიც მდინარეების ადიდებით ირწყვებოდა. გლეხი თავის ნაკვეთს ორ ნაწილად ყოფდა. ერთ ნაწილს იგი ამუშავებდა (თესდა მასზე ხორბალსა და ქერს), მეორეს კი დაუმუშავებელს ტოვებდა (სანასვენოდ). ერთი წლის შემდეგ გლეხი სანასვენოდ დატოვებულ მიწას ამუშავებდა, ხოლო წინა წელს გამოყენებულს ასვენებდა. გლეხთა უმრავლესობა ასე იქცეოდა. დამუშავების ასეთ წესს მიწის ნაყოფიერების გაუარესება მოჰყვა. გადიდდა მიწების მარილიანობა და შემცირდა მოსავლიანობა, რადგანაც სადრენაჟო სამუშაოები არ ტარდებოდა. მიწების ასეთი დანაწევრება ხელს უშლიდა და აფერხებდა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას. ყოველივე ზემო აღნიშნული მიწათმოქმედს უქმნიდა ისეთ შეხედულებას, თითქოს მიღებული მიწები უვარგისი იყო დასამუშავებლად, ამიტომ ისინი მოითხოვდნენ ახალი მიწის გამოყოფას, რამაც დიდი არევ-დარევა შეიტანა აგრარული რეფორმის გატარებაში, აგრარულმა რეფორმამ არასტაბილური ხასიათი მიიღო.

ამ სიძნელეთა გადალახვის მიზნით შემოიღეს მიწების ნაკვეთებად დანაწევრების სხვა მეთოდი: დანაწილებული მიწების მთელ ფართობს ყოფდნენ ორად და მათ შორის გაჰყავდათ მთავარი სადრენაჟო არხი; შემდეგ მიწის ყოველ ნაწილს ანაწევრებდნენ წვრილ ნაკვეთებად გლეხებზე გასანაწილებლად. ამ ღონისძიებამ, რომელიც მიწების მარილიანობის ზრდის წინააღმდეგ იყო მიმართული, ეფექტური ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგანაც მიწების ამოშრობის სამუშაოები დიდი შეფერხებით მიმდინარეობდა. გარდა ამისა ამ სამუშაოთა ჩატარება ზრდიდა გლეხთა გადასახადებს. მიწების ასეთი დანაწევრებისას გლეხებს არ შეეძლოთ მათი პროგრესული მეთოდებით დამუშავება, ტექნიკის გამოყენება.

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა, თესლის ჯიშების გაუმჯობესების აუცილებლობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება და ა. შ. ტექნიკური პროგრესის ეპოქაში თხოულობს სოფლის მეურნეობის წარმართვას უფრო მოწინავე მეთოდებით. ამიტომ ერაყის მთავრობამ გადაწყვიტა გადასულიყო მსხვილი წარმოების პოლიტიკაზე, კერძოდ, მცირე მეურნეობის (ფერმების) გაერთიანებასა და გამსხვილებაზე. მათ ნაცვლად მსხვილი სპეციალიზებული მეურნეობის შექმნაზე. ეს მეურნეობები უნდა შექმნილიყო კოლექტივიზაციის პრინციპებზე.

1970 წ. აგრარულმა კანონმა ახალი ბიძგი მისცა სოფლის მეურნეობის კოოპერირებას. 1969 წ. რეგისტრირებული იყო 608 სა-

სოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელშიც გაერთიანებული იყო 76 609 გლეხი. ამ კოოპერატივების საერთო კაპიტალი 145 925 ერაყულ დინარს შეადგენდა. 1970 წ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რიცხვი გაიზარდა 805-მდე, წევრებისა — 110 472- მდე, ხოლო კაპიტალი — 217 074 დინარამდე. ამას გარკვეული სტიმული მისცა 1970 წ. კანონის ერთ-ერთმა მუხლმა, რომელიც კოოპერაციულ საზოგადოებებს სარეგისტრაციო გადასახადებისაგან ათავისუფლებდა. ნაწილობრივ ეს შეიძლება აიხსნას სოფლის მეურნეობის სექტორის ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებითაც.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერაყში ჯერ კიდევ დიდია იმ გლეხთა რიცხვი, რომლებსაც გადასცეს მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწები, მაგრამ მთავრობისაგან არავითარ დახმარებას ან შეღავათებს არ ღებულობენ [159, გვ. 17].

1972 წ. შემოდგომაზე, ერაყის რევოლუციური სარდლობის გადაწყვეტილებით, აგრარული რეფორმისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები ერთ სამინისტროდ გაერთიანდა[9]. იგი მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობაში მუშაობის საუკეთესო ფორმების ძიებას, დუბლირების მოსპობას, ადმინისტრაციული აპარატის შტატის შენახვის ხარჯების შემცირებას, გამოცდილი მუშაკების კონცენტრირებას [176, 17.9.1972].

1972 წ. სექტემბრისათვის, 1970 წ. აგრარული კანონის საფუძველზე, მიწების ჩამორთმევა დამთავრდა ქვეყნის 2/3 ტერიტორიაზე, რომელიც 10 გუბერნიას მოიცავდა.

იმავე წლისათვის მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში შედარებით გაუმჯობესდა. მაღალმა მოსავალმა საშუალება მისცა ერაყს გაეტანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაწილი. ხორბლის მოსავალმა ამ წელს მიაღწია 2 მლნ ტ., ხოლო ქერისამ — 1,3 მლნ ტ., რაც 1971 წ. ხორბლისა და ქერის მოსავალს შესაბამისად აღემატებოდა 900 ათასი და 500 ათასი ტ-ით [99, გვ. 253].

მას შემდეგ, რაც ქურთისტანში საომარი მოქმედება შეწყდა (1970 წ. მარტი), ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ეკონომიური გან-

---

9 სოფლის მეურნეობისა და აგრარული რეფორმის სამინისტროების გაერთიანების გამო ქურთული გაზეთი „ათ-თაახი“ [21, 10. 1972 წ.] უკმაყოფილებას გამოთქვამდა. საქმე იმაში იყო, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სათავეში ქურთი ედგა, ხოლო აგრარული რეფორმის სამინისტროს კი არაბი. ორივე სამინისტროს გაერთიანების შემდეგ, მინისტრი არაბი გახდა.

ვითარებისათვის. ერაყის მთავრობა ბოლო დროს გარკვეულ ყურადღებას უთმობს ქურთებით დასახლებულ რაიონებში სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოთა ჩატარებას. მუნიციპალიტეტებისა და სასოფლო რაიონების სამინისტროს 1974 წ. ბიუჯეტის (83 მლნ დინარი) დიდი ნაწილი მოხმარდა ქურთებით დასახლებული რაიონების კეთილმოწყობას [166ა, 30.1.1974].

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დახმარებით ერაყის ქურთისტანში (დოჰუქი, სულეიმანიე, ჯანჯალი) აგებენ 3 მცირე მოცულობის კაშხალს და 3 საირიგაციო ობიექტს, რომელთა საერთო ღირებულება 615 000 დინარს შეადგენს. გარდა ამისა, შაჰრეზურში და სულეიმანიეს რაიონში ეწყობა ექსპერიმენტული მეურნეობა, იქმნება აგრეთვე 3 საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგური [171, 6. 1. 1974] და ა. შ.

უნგრეთი და გდრ ერაყში აშენებს 7 მეფრინველეობის ფერმას. მათგან ნახევარი მოდის ერაყის ქურთისტანის რაიონებზე (კირკუკი, სულეიმანიე, ნაინავა).

1974 წ. აპრილში საზოგადოებრივ სამუშაოთა და სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრომ გამოყო 23 მლნ დინარი სულეიმანიეს, კირკუკის, ერბილის, დოჰუქის და ნაინავას (მოსული) რაიონში შარაგზების გასაყვანად[10].

შეადგინეს ერბილისა და სულეიმანიეს გარშემო მდებარე 950 სოფლის ელექტროფიცირების გეგმა. ამჟამად ქურთისტანში ელექტროფიცირებულია 470 სოფელი.

ჩრდილოეთის რაიონების განვითარების საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ერაყის ქურთისტანში ბოლო დროს აშენდა 900 ახალი სოფელი, აიგო აგრეთვე 158 სკოლა, 17 სასტუმრო, 28 მაღაზია, 135 კომპლექსი მოსახლეობის წყლით მომარაგებისათვის, 12 საირიგაციო ნაგებობა.

რევოლუციური სარდლობის საბჭომ დამატებით გამოყო 90 მლნ დინარი ქურთული რაიონების განვითარებისათვის. ერაყის მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, ერაყის ქურთისტანში უნდა აშენდეს სამრეწველო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო და საირიგაციო ნაგებობანი, გაუმჯობესდეს წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგება. სულ 1970 წ. მარტის მანიფესტის გა-

---

10 ამჟამად ერაყის ქურთისტანში გაჰყავთ შემდეგი შარაგზები: ერბილო-რაიათი (180 კმ); მოსული-ზახო (110 კმ) და სხვა.

მოქვეყნების შემდეგ ერაყის მთავრობამ ქურთებით დასახლებული რაიონების ეკონომიურ განვითარებაზე დახარჯა 350 მლნ დინარი.

ერბილში, სულეიმანიეში, დოჰუქში და ქურთისტანის სხვა ქალაქებში უკვე აშენდა ცემენტის რამდენიმე ქარხანა, ეროვნული ტანსაცმლის სამკერვალო კომბინატი, თამბაქოს ფაბრიკა და სხვა სამრეწველო საწარმოები.

აგრარული რეფორმის (ერაყის ქურთული მოსახლეობის 90% გლეხობაა) გატარების შედეგად მარტო ერბილის პროვინციაში განაწილდა 0,5 მლნ დონუმი მიწა უმიწაწყლო ფელაჰებს შორის, ჩამოყალიბდა პირველი კოოპერატივები.

1975 წ. ივნისში ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭომ მიიღო კანონი უახლოეს ხანში ერაყის ჩრდილოეთ რაიონებში (ერაყის ქურთისტანი) აგრარული რეფორმის ბოლომდე გატარებაზე. ამასთან დაკავშირებით, მიწის საკუთრება შეიზღუდა 40 დონუმამდე ბოგარულ მიწებზე და 50 დონუმამდე იმ მიწებზე, რომლებიც მორწყვას საჭიროებენ. რეფორმის შედეგად ახლად განაწილებულ მიწებზე მოყვანილი უნდა ყოფილიყო თამბაქო, ხორბალი, ბოსტნეული, ბამბა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

1975 წ. ერაყის მთავრობამ საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობისათვის გამოყო 50 მლნ დინარი, ეს თანხა მოხმარდება სხვადასხვა ოლქში ხელოვნური წყალსაცავების, სარწყავი არხებისა და სადრენაჟო სისტემის შექმნას.

მიმდინარე ხუთწლედში (1976—1980 წწ) კაპიტალდაბანდებანი ამ ამოცანების განხორციელებისათვის შეადგენს 640 მლნ დინარს, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას მორწყას და ამოაშროს 4 მლნ დონუმი ახალი მიწა.

1975 წ. 27 ივლისს ერაყის ირიგაციის მინისტრმა მუკარამ ატ-ტალაბანიმ ხელი მოაწერა კონტრაქტს დასავლეთის ერთ-ერთ ფირმასთან კირუკის საირიგაციო პროექტის პირველი რიგის განხორციელებაზე;

პროექტის ღირებულება 22 მლნ დინარს აღემატება. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების[11] დამთავრების შემდეგ მოირწყება 165 ათასი დონუმი მიწა კირკუკის, დიალისა და ბაღდადის ოლქებში.

1975 წ. აგვისტოში ერაყის ქურთისტანში (სულეიმანიე, ერბი-

---

11 სამუშაოები უნდა განხორციელდეს სამ რიგად და შეფასებულია 200 მლნ დინარად.

ლი, დოჰუქი) მუშაობას შეუდგნენ აგრარული რეფორმის გამტარე-რებელი სპეციალური კომიტეტები, რომელთა საერთო რაოდენობა 50-ს აღწევდა. ამ კომიტეტებს დავალებული აქვთ მსხვილი მიწათ-მფლობელობის შეზღუდვა, ჩამორთმეული მიწების განაწილება ღარიბეს გლეხებს შორის, აგრეთვე ხელის შეწყობა კოოპერატიუ-ლი მოძრაობის განვითარებისათვის ქურთებით დასახლებულ რაიო-ნებში.

1975 წ. 12 აგვისტოს, ერაყის რევოლუციური საბჭოს გა-დაწყვეტილებით, შეიქნა სასოფლო-სამეურნეო მომარაგების ად-მინისტრაცია, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში კი გაიხსნა მისი ფილია-ლები. ახლად გახსნილ სახელმწიფო დაწესებულებათა მთავარ ამო-ცანას შეადგენდა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო საქონლისა და მოწყობილობის რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრა. გარდა ამისა, მას უნდა ეზრუნა სხვადასხვა მეურნეობის თესლეულით, მან-ქანა-იარაღებითა და მათი სათადარიგო ნაწილებით მომარაგებისა-თვის. ამ მიზნით სოფლის მეურნეობის უმაღლესმა კომიტეტმა ახალ ადმინისტრაციას 10,5 მლნ ერაყული დინარი გამოუყო.

ამრიგად, 1970 წ. აგრარული კანონი გაცილებით რადიკალური ხასიათისაა. იგი უფრო შეეფერება იმ პროგრესულ გარდაქმნებს, რომელთა გატარება დაიწყეს ერაყში 1968 წ. 17 ივლისის სახელმ-წიფო გადატრიალების შემდეგ.

ახალი მიწის კანონის შესავალში პირდაპირ აღნიშნულია, რომ მისი მთავარი მიზანია ერაყში ისეთი სოციალური გარდაქმნების განხორციელება, რომლებიც მიმართული იქნება გლეხთა ფართო მასების სასარგებლოდ. გლეხთა მასები, აღნიშნულია კანონში, ერა-ყის ახალი საზოგადოების ბირთვს წარმოადგენს. თუ 1958 წლის მი-წის კანონი მიზნად ისახავდა ფეოდალური მიწათმფლობელობის შეზღუდვას, ახალი კანონი ითვალისწინებს სოფლად ყველა ფეო-დალურ და ტომობრივ ურთიერთობათა გადმონაშთების ლიკვიდა-ციას.

1970 წ. იანვრის აგრარული კანონი წინ გადადგმული ნაბიჯია 1958 წ. სექტემბრის მიწის კანონთან შედარებით. მან თავისი მოქ-მედების 5 წლის მანძილზე საგრძნობლად შელახა ფეოდალური მიწათმფლობელობა და გაცილებით მტკიცე საფუძველი შექმნა სა-სოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის. თუმცა სახ-ნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი სახელმწიფოსა და გლეხების ხელში გადავიდა, მემამულური მიწათმფლობელობა ჯერ კიდევ სავ-სებით მოსპობილი როდია. აგრარული რეფორმის მტკიცე და თან-

მიმდევრული განხორციელება ხელს შეუწყობს ერაყში ფეოდალური და პატრიარქალური გადმონაშთების სრულ ლიკვიდაციას, შექმნის ხელსაყრელ პირობებს ერაყის არაკაპიტალისტური გზით განვითარებისათვის.

## 2. მიწის კანონები თანამედროვე სირიაში და ცვლილებები ქურთების აგრარულ ყოფაში

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნამდე სირიის მოსახლეობის 70% სოფლის მეურნეობაში იყო ჩაბმული. სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი მთელი ეროვნული შემოსავლის 40%-ს შეადგენდა.

სირიის მთელი ტერიტორია 18,5 მილიონი ჰექტარია, 1965 წლისთვის დამუშავებული მიწებს 6,9 მილიონ ჰექტარი ფართობი ეკავა, ხოლო დაუმუშავებელს, მაგრამ დასამუშავებლად ვარგისს — 1.9 მილიონ ჰა. 1970 წლისათვის დასამუშავებლად ვარგისი მიწების ფართობი 8,7 მილიონ ჰექტარამდე გაიზარდა. აქედან მუშავდებოდა მხოლოდ 5,9 მილიონ ჰექტარი [65, გვ. 61]. ტყეებს ეკავა 0,5 მილ ჰექტარი, საძოვრებს — 6,1 მილ, უდაბნოებსა და სხვა გამოუსადეგარ მიწებს კი 3,1 მლნ ჰექტარი [44, 1962, 1963, 1964].

ეგვიპტური გაზეთის — „ალ-აჰრამის“ მონაცემებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში სირიელი მემამულეები მიწათმოქმედებიდან მიღებული ეროვნული შემოსავლის 62%-ს ითვისებდნენ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარ ფორმას სირიის ქურთისტანში 60-იანი წლების დასაწყისამდე გლეხური მეურნეობა წარმოადგენდა, რომელიც ძირითადად მიწის იჯარით აღებას ეყრდნობოდა. გლეხები მიწას იჯარით იღებდნენ მსხვილი მემამულეებისაგან მოზიარეობის უფლებით.

სირიის ქურთისტანში იყვნენ ე. წ. დამოუკიდებელი გლეხებიც, რომლებიც მიწათმოქმედებას მისდევდნენ საკუთარ ან სათემო მიწებზე. გლეხთა ერთ ნაწილს უფლება ჰქონდა მიწით და წარმოების სხვა საშუალებებით ესარგებლა. რაც შეეხება კაპიტალისტურ მიწათმოქმედებას, იგი ქურთისტანში ძალზე სუსტად იყო ფეხმოკიდებული.

სირიაში კაპიტალისტური მიწათმოქმედების გავრცელების მიუხედავად, საიჯარო ურთიერთობათა გაბატონებულ ფორმად კვლავინდებურად საზიარო იჯარის სისტემა რჩებოდა.

„ალ-აჰრამის“ მოწმობით, 1958 წ. ნათესი ფართობის 28%-ს გლეხები ამუშავებდნენ ნატურალური რენტის გადახდის პირობით, ხოლო 42%-ს ფულადი რენტის საფუძველზე. რაც შეეხება შრომა-მიგებას, იგი წარმოადგენდა მიწის რენტის ხსენებული ორი ფორმის დამატებას.

მოიჯარე გლეხის წილი, როგორც წესი, არ აღემატებოდა აღებული მოსავლის ნახევარს ბოგარულ მიწაზე და 1/4-ს სარწყავ მიწებზე. მიწის გამწევი ძალის, ინვენტარის და წარმოების სხვა იარაღების დაკარგვის შედეგად გლეხი სრულ გაღატაკებამდე მიდიოდა. ასეთი გლეხები ძალზე ხშირად მიწას იჯარით ამუშავებდნენ, მოსავლის 1/4-ის მიღების პირობით. ასეთ პირობებში გლეხი სულ უფრო ემსგავსებოდა მოჯამაგირეს, რომელიც ნატურალურ ანაზღაურებას ღებულობდა.

სირიის გლეხობის 80%-ს ღარიბები შეადგენდნენ, მათ უმრავლესობას მიწა არა ჰქონდა, ხოლო ვისაც გააჩნდა იგი იმდენად პატარა იყო, რომ გლეხები იძულებული იყვნენ ეძებნათ სხვა საშუალება ოჯახის რჩენისათვის.

საშუალო გლეხები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, საშუალო გლეხის შემოსავალი მიიღებოდა როგორც მისი, ისე ოჯახის წევრების შრომის შედეგად. შემოსავლის უმცირეს ნაწილს იგი ღებულობდა დაქირავებული მუშახელის გამოყენებით. რეფორმამდელ სირიაში საშუალო გლეხი ფლობდა 25—50 ჰა ბოგარულ მიწას. საშუალო გლეხობას მიეკუთვნებოდნენ ისინიც, ვინც 2—5 ჰექტარს სარწყავ მიწას ფლობდნენ [87, გვ. 9].

თუმცა შეძლებული გლეხების რიცხვი სირიაში დიდი არ იყო, მაინც ძნელად თუ მოიძებნებოდა სოფელი, სადაც ისინი არ იყვნენ. მათი ძირითადი მასა ქალაქების გარშემო მდებარე სოფლებში იყო თავმოყრილი.

1958 წლის 4 სექტემბერს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა დაამტკიცა კანონი № 134 „აგრარულ ურთიერთობათა მოწესრიგების შესახებ“. ამ კანონის შესავალში ნათქვამი იყო, რომ მისი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მიწების სწორ გამოყენებას და სამართლიანი სოციალური ურთიერთობის დამყარებას სოფლად [170, 4. 9, 1958].

კანონი № 134 შედგებოდა 269 მუხლისაგან და პრაქტიკულად მოიცავდა ფელაჰების ცხოვრებისა და მიწის მფლობელებთან ურთიერთობის თითქმის ყველა მხარეს.

იმავე წლის 28 სექტემბერს ნასერმა გამოსცა მეორე აგრარული კანონი (№ 16), რომელიც გულისხმობდა მემამულური მიწათმფლობელობის შეზღუდვას და ჩამორთმეულ მიწების უმიწაწყლო გლეხებს შორის განაწილებას.

ამ კანონის თანახმად დადგინდა მიწათმფლობელობის მაქსიმალური ფართობი, რომელიც უდრიდა 80 ჰექტარს სარწყავ მიწებზე და 300 ჰექტარს ბოგარულ მიწებზე [48, გვ. 258; 172, IX 1958], მემამულეებს უფლება მიეცათ აერჩიათ მიწის ის ნაკვეთები, რომელიც მათ მფლობელობაში რჩებოდა. გარდა ამისა, კანონი მემამულეებს უფლებას აძლევდა გადაეცათ ოჯახის წევრებისათვის (მეუღლის, შვილებისათვის) 40 ჰექტარი სარწყავი და 160 ჰექტარი ბოგარული მიწა.

ამრიგად, კანონის თანახმად, მსხვილ მიწათმფლობელს შეეძლო შეენარჩუნებინა 120 ჰექტარი სარწყავი და 460 ჰექტარი ბოგარული მიწა. მაგრამ პრაქტიკულად, როგორც გაზეთი „ალ-ბაასი“ მოწმობს, ისინი ხშირად ინარჩუნებდნენ 700 ჰექტარ მიწასაც კი [167, 5.6. 1958].

ქვემოთ მოტანილი ცხრილი [65, გვ. 98] გვიჩვენებს იმ მსხვილ მიწათმფლობელთა რაოდენობასა და მათთვის ჩამორთმეულ მიწების ფართობს, რომელთაც 1958 წლის აგრარული კანონი შეეხო.

ცხრილი 10

| პროვინციები | მიწათმფლ. რაოდენობა | ჩამორთმეული მიწა (ათასი ჰა) | | |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | სარწყავი | ბოგარული |
| ჰალები | 612 | 262,6 | 12,9 | 249,7 |
| ჰამა | 250 | 92,2 | 6,7 | 85,5 |
| ლატაკია | 51 | 6,7 | 1,2 | 5,5 |
| ჰასეკი | 1063 | 579,9 | 19,5 | 560,5 |
| სულ | 1976 | 941,4 | 40,3 | 801,1 |

აგრარული კანონი ითვალისწინებდა ჩამორთმეული მიწების განაწილებას უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს შორის იმ ანგარიშით, რომ თითოეულ გლეხს მიეღო 8 ჰექტარი სარწყავი ან 30 ჰექტარი ბოგარული მიწა. აქედან გამომდინარე, ზემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვით, ჩამორთმეულ მიწებს მიიღებდა დაახლოებით 30 ათასი გლეხი ბოგარულ მიწებზე, ხოლო 5 ათასი სარწყავ მიწაზე.

1958 წ. აგრარული კანონით მიწა მიიღო უმიწაწყლო გლეხთა 1/3-მა, რაც შეეხება დანარჩენ 2/3-ს, ისინი კვლავ უმიწოდ უნდა დარჩენილიყვნენ. ასე რომ გლეხთა უმეტესობა აგრარული კანონით უკმაყოფილო დარჩა. ამით ისარგებლეს რეაქციულმა ბურჟუაზიულ-მემამულურმა წრეებმა და 1961 წ. 28 სექტემბერს სირიაში სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს.

გადატრიალების შემდეგ ფეოდალებმა აგრარულ კანონში (№ 3) 1961 წ. 20 თებერვალს თავიანთ ინტერესების სასარგებლოდ შესწორება შეიტანეს. მიწათმფლობელობის მაქსიმუმი მათ 600 ჰექტრამდე გაზარდეს. გარდა ამისა, გლეხების მიერ მიწის გამოსასყიდი თანხის გადასახდელი ვადა 40 წ-დან 10 წლამდე შეამცირეს. ამ ცვლილებებმა გლეხთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და უკვე 1962 წ. გაზაფხულზე ისინი გააუქმეს [166, 6.9, 1962].

1963 წ. მარტში სირიაში მორიგი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ამჯერად ხელისუფლებას სათავეში სირიის ბაასის პარტია მოექცა. 1958 წ. სექტემბრის აგრარულ კანონში შეიტანეს ახალი შესწორებები (კანონი №88) ეს კანონი მიიღეს 1963 წ. 23 ივნისს. მის საფუძველზე მიწათმფლობელობის მაქსიმუმი განსაზღვრეს 80-დან 300 ჰექტარამდე (კლიმატური პირობების შესაბამისად). შემცირდა აგრეთვე საიჯარო გადასახადი და მიწის გამოსასყიდი თანხა, მცირედ შემსუბუქდა სასოფლო-სამეურნეო მუშების მდგომარეობა.

ამრიგად, 1958 წ. კანონი ფაქტიურად ძალაში რჩებოდა; ხდებოდა მხოლოდ მისი რადიკალიზაცია.

1964 წ. ზაფხულისათვის მიწა მიიღო 19 ათასმა გლეხმა, რაც მთელი გლეხური მეურნეობის 2%-ს შეადგენდა. მეურნეობათა საერთო რიცხვი სირიაში 500 ათასს აღწევდა. აქედან მიწას ფლობდა 300 ათასი, ე. ი. უმიწაწყლო გლეხთა რიცხვი 200 ათას უდრიდა. ქურთებით დასახლებულ რაიონებში არსებულ მიწათმფლობელობას კარგად წარმოგვიდგენს ქვემოთ მოტანილი ცხრილი (№ 11).

1963 წ. ოქტომბერში ბაასის პარტიის საერთო არაბულ VI ყრილობაზე აგრარული რეფორმის განხორციელება მიჩნეულ იქნა, როგორც „8 მარტის რევოლუციის უპირველესი და მთავარი პრობლემა“. ხაზი გაესვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების დიდ მნიშვნელობას. აგრარული რევოლუციის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ ძირითად პირობად პარტიას მიაჩნდა გლეხთა მონაწილეობა აგრარული რეფორმების ჩატარების საქმეში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეორგანიზაცია უნდა მომხდარიყო „სოციალისტურ საფუძველზე“, — არსებული ფეო-

ცხრილი 11

მიწათმფლობელობის რაოდენობა სირიის ქურთებით დასახლებულ პროვინციებში 1963 წ. [48, გვ. 261—263].

| პროვინციები | 1—60 ძა | | 50—100 ჰა | | 100—500 ჰა | | 500—1000 ჰა | | 1000 ჰა-ზე მეტი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბოგა-რული | სარ-წყავი | ბოგარ. | სარწ. | ბოგ. | სარწ. | ბოგ. | სარწ. | ბოგ. | სარ-წყავი |
| ჰალები | 3520 | 119000 | 9300 | 240 | 3120 | 150 | 1000 | 94 | 193 | 59 |
| ლატაკია | 1700 | 32520 | 112 | 12 | 18 | 4 | 1 | — | 1 | — |
| ჰამა | 17789 | 7207 | 695 | 147 | 468 | 57 | 99 | 16 | 41 | 1 |
| ჰასეკე | 2226 | 14445 | 1040 | 61 | 488 | 37 | 208 | 25 | 24 | 13 |
| სულ | 13009 | 158647 | 11147 | 460 | 3626 | 248 | 1308 | 135 | 259 | 73 |

დალური ურთიერთობის ბურჟუაზიულით შეცვლის გზით. ბაასის პარტია მიზნად ისახავდა მეურნეობის გაძღოლის თანამედროვე მეთოდებისა და მსხვილი წარმოების განვითარების საფუძველზე გადატრიალების მოხდენას სოფლის მეურნეობაში [13,1, გვ.5,6].

1966 წ. 23 თებერვალს ბაასის პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობა და სალაჰ ბითარის მთავრობა ჩამოაცილეს ხელისუფლებას. ახალ მთავრობაში მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებთან ერთად სხვა პროგრესული მოღვაწეებიც შევიდნენ. ახალმა მთავრობამ პრეიმიერ მინისტრ იუსუფ ზუვეინის მეთაურობით განაგრძო აგრარული გარდაქმნების გატარება სოფლად.

1966 წ. დეკემბერში მთავრობამ მიიღო კანონი № 145, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებდა ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებას და გლეხთა ორგანიზაციების როლს აგრარული რეფორმის გატარებაში. ეს კანონი კიდევ უფრო აჩქარებდა მემამულეთა მიწების კონფისკაციას და მათ განაწილებას ღარიბეს გლეხებს შორის [13, გვ. 18].

მიწის განაწილების პარალელურად იქმნებოდა საცდელი სახელმწიფო მეურნეობები, გამსაღებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, მიწის კოლექტიური დამუშავების ამხანაგობები. გლეხთა ინტერესების დაცვის მიზნით, ჯერ კიდევ 1966 წ. 17 აპრილს. შეიქმნა გლეხთა საყოველთაო ფედერაცია, რომლის შემადგენლობაში არაბ ფელაჰებთან ერთად ქურთი გლეხებიც შევიდნენ.

1963 წლის მთავრობის ოფიციალური განცხადების თანახმად, მიწის რეფორმა უნდა დამთავრებულიყო 1966 წლის ზაფხულისათ-

ვის [168. 11.9 1965; 13, 10, 1965], მაგრამ ფაქტიურად მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევის პროგრამა ბაასის პარტიამ განახორციელა 1968 წ. ზაფხულისათვის. ქვემოთ მოტანილი ცხრილი [167, 14, 1, 1969] გვიჩვენებს სირიის ქურთებით დასახლებული რაიონების მიწების (ჰექტრებით) კონფისკაციისა და განაწილების საბოლოო შედეგებს.

ცხრილი 12

| პროვინციები | ჩამოსართ. მიწების ფართობი | ფაქტიურ. ექსპროპ. მიწის ფართობი | მათ % შეფარდ. | განაწილ. მიწების ფართობი | განაწილებ. მიწ. წილი % ჩამ. ფაქტიურ. ფაქტ. და ჩამორთ. მიწების მიმართ |
|---|---|---|---|---|---|
| ჰალები | 228.910 | 218.523 | 95,50 | 180.678 | 82,6 |
| ჰამა | 118.818 | 144.541 | 122,49 | 79.355 | 54,9 |
| ლატაკია | 11.054 | 17.155 | 155,19 | 4.480 | 26,0 |
| ჰასეკე | 506.052 | 480.423 | 94,93 | 195.117 | 40,61 |

როგორც ვხედავთ, პროვინციებში ჩამორთმეული მიწების ფართობი აღემატება გეგმით გათვალისწინებულს (ჰამა, ლატაკია). ეს გამოწვეული იყო იმ მემამულეთა მიწის საკუთრების კონფისკაციით, რომლებმაც თავი აარიდეს აგრარულ რეფორმას, ანდა დროზე ვერ გააფორმეს ზედმეტი მიწის ფართობი თავიანთი ოჯახის წევრებზე (12, გვ. 12).

საბოლოო ჯამში აგრარული რეფორმა მსხვილ მიწათმფლობელთა საერთო რაოდენობის ნახევარს შეეხო [61ა, გვ. 186].

აგრარული რეფორმის თანმიმდევრულად განხორციელებამ ახალი ბიძგი მისცა კოოპერატიული მოძრაობის აღმავლობას. კოოპერატივები ძირითადად ყალიბდებოდა იმ რაიონებში, რომლებიც აგრარულმა გარდაქმნებმა მოიცვა. კოოპერატივები უმთავრესად მომმარაგებელ-გამსაღებელი ხასიათისა იყო. კოოპერატივებს სახელმწიფო უწევდა ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას. კოოპერატივების მუშაობას სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმართავდა. ამ რაიონებში გლეხთა კოოპერატივებში გაერთიანება სავალდებულო იყო.

კოოპერატივში ერთიანდებოდნენ ის გლეხები, რომლებსაც მიწა განაწილებით ერგოთ და ისინი, ვინც ფლობდა 8 ჰექტარ სარწყავ ან 30 ჰექტარ ბოგარულ მიწაზე ნაკლებს.

კოოპერატივები ვალდებული იყვნენ დაეფარათ თავიანთი წევრების მიწების გამოსასყიდი თანხა და სახელმწიფო სესხი (თავისი პროცენტებით).

კოოპერატივების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ასე მაგალითად, თუ 1969 წ. ქვეყანაში შეიქმნა 1100 კოოპერატივი, 1970 წ. უკვე მოქმედებდა 1325, რომელშიც 87 000 წევრი იყო გაერთიანებული, 1971 წ. კი კოოპერატივების რიცხვმა 1670 მიაღწია. ამ კოოპერატივების განკარგულებაში იყო მთელი სირიის დამუშავებული მიწების 30%. 1975 წ. ბოლოსათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რიცხვი 4,5 ათასამდე უნდა გაზრდილყო [167, 26. 8 1971].

მიუხედავად იმისა, რომ სირიის სოფლის მეურნეობის წილად ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ძირითადი ნაწილი მოდის, მრეწველობასთან შედარებით მასში უფრო ნაკლებ კაპიტალს აბანდებენ. ასე, მაგალითად, თუ 1974 წ. სოფლის მეურნეობაში 397 მლნ სირიული გირვანქა იყო დაბანდებული, მრეწველობაში მან 1456 მლნ გირვანქა შეადგინა [168, 23.09. 1975], გარდა ამისა, ის ფაქტი რომ კოოპერაციული სექტორი უმნიშვნელო როლს ასრულებს სირიის სოფლის მეურნეობაში, გარკვეულად აფერხებს მის შემდგომ განვითარებას. კერძო გლეხური მეურნეობანი და წვრილი მიწის ნაკვეთების რიცხვი აქ ჯერ კიდევ დიდია, კერძო გლეხური მეურნეობანი განაგრძობენ იმ კულტურების მოყვანას, რომელიც მათთვის ხელსაყრელია [167, 21.07. 1975], მაშინ როდესაც შეიძლებოდა უფრო ეფექტურად მათი გამოყენება.

ამჟამად სირიის არაბული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ვითარდება მე-4 ხუთწლიანი გეგმის (1976—1980 წწ.) მიხედვით, ხუთწლედის ბოლოსათვის (1980 წ.) ქვეყნის დამუშავებული მიწების ფართობი უნდა გაიზარდოს 240 ათასი ჰექტარით. საბჭოთა კავშირის დახმარებით მშენებარე ევფრატის კაშხალის მწყობრში ჩადგომისა და მისი სარწყავი წყლების გამოყენების შემდეგ დამუშავებული მიწების საერთო ფართობი 2-ჯერ გაიზრდება. ახლად ათვისებული მიწების დიდი ნაწილი დაეთმობა ბრინჯისა და შაქრის ლერწმის ნათესებს, რომ დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნები ამ პროდუქტებზე [167, 3. 11, 1975].

გარდა ამისა, მიმდინარე ხუთწლედში სირიის 29000 სოფელი, რომელშიც ცხოვრობს 1 მლნ 300 ათასი გლეხი უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლით. ხუთწლედის პირველ წელს (1976 წ.), სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა 3500 მლნ გირვანქას

შეადგენს [168, 9.09, 1975], ხოლო მის დამამთავრებელ წლისათვის, — როგორც განაცხადა სირიის ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა იმადიმ, — ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოება გაიზარდება 50%-ით [17,7.10.1975].

აღსანიშნავია, რომ ქურთებით დასახლებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროვინციის — ჰალების ეკონომიური განვითარებისათვის მთავრობამ მე-4 ხუთწლედში გამოჰყო 7 მლრდ სირიული გირვანქა, რაც საშუალებას მისცემს 965.000 ჰექტარი მიწა აითვისონ აქ.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას ბევრად უწყობს ხელს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას პრემიერ-მინისტრი. ცალკეულ ოლქებსა და რაიონებში შეიქნა საოლქო და რაიონული სასოფლო-სამეურნეო საბჭოები, რომელთაც სათავეში ჩაუყენეს ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელები.

ახლად ჩამოყალიბებულმა ორგანომ უნდა გადაჭრას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის, მისი განვითარებისა და რენტაბელობის ამაღლების ამოცანები. მასვე ევალება კონტროლი გაუწიოს მიწით სარგებლობას, თვალყური ადევნოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე არსებულ ფასებს, დაეხმაროს ადგილობრივ გლეხებს კოოპერატივების ჩამოყალიბებაში და სხვა.

ამრიგად, უკანასკნელ წლებში სირიაში განხორციელებულმა აგრარულმა გარდაქმნებმა მძლავრად შეარყიეს მსხვილი მემამულური საკუთრება და ნახევრად ფეოდალური საწარმოო ურთიერთობანი. მათ გააფართოვეს სასაქონლო წარმოების ეკონომიური კანონების მოქმედების სფერო სოფლად. მართალია, მსხვილი მიწათმფლობელები, როგორც პოლიტიკური ძალა, მნიშვნელოვნად მოტეხეს, მაინც მემამულეთა ეკონომიური პოზიციები ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია, რომ მათ შეუძლიათ უშუალო ზემოქმედება მოახდინონ ეკონომიკაზე.

თუმცა აგრარულ რეფორმას სოფლად არსებული მჩაგვრელი კლასი არ მოუსპია, მაგრამ მან არსებითად შეცვალა კლასობრივ ძალთა თანაფარდობა სოფლად; კლასობრივი ბრძოლა გაფართოვდა და გაღრმავდა. ფეოდალურ-მემამულური ძალადობისაგან განთავისუფლებული სოფელი თანდათან ხდება არსებული წყობილების დასაყრდენი ძალა.

## 3. ირანის მთავრობის აგრარული პოლიტიკა და ქურთული სოფელი

### ა. რეფორმამდელი ირანის ქურთისტანის სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი ნიშნები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ირანის ქურთისტანში არსებობდა მიწის საკუთრების შემდეგი ფორმები: 1. მემამულური 2. შაჰის 3. სახელმწიფო 4. სავაკფო 5. გლეხური.

ზუსტი მონაცემები მოსახლეობის ცალკეულ ფენებს შორის მიწების განაწილების შესახებ არ არსებობს. ირანის ქურთისტანის სხვადასხვა რაიონებიდან მიღებული მონაცემები დაახლოებით ასეთ სურათს გვაძლევს:

ცხრილი 13

დამუშავებული მიწების პროცენტი[13]

| მემამულური მიწათმფლობელობა | სახელმწიფო და სამეფო (შაჰის) საკუთრება | სავაკფო მიწები | ტომების მფლობელობაში არსებული მიწები | გლეხების საკუთრებაში არსებული მიწები |
|---|---|---|---|---|
| 78 | 10 | 2 | 2 | 8 |

1962 წლის 9 იანვრის აგრარული რეფორმების დაწყებამდე მთელ ირანში, უპირატესად ქურთისტანში, გლეხურ მეურნეობათა 60%-ზე მეტს სრულიად არა ჰქონდა მიწა, 23%-ს კი—ერთ ჰექტარზე ნაკლები მიწა ეკუთვნოდა [36, გვ. 61].

ცხრილის პირველ ჯგუფში შედიან მემამულეები, რომლებიც ფლობენ მთელი დამუშავებული მიწების 78%-ს და მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენენ. სოფლის მცხოვრებთა 1%-ს (მიწათმფლობელთა უმრავლესობა სოფლად არა ცხოვრობს) ჰქონდა მიწების 56%, ხოლო 0,9 % — 33,8%. უკანასკნელ დრომდე სახნავი მიწების დიდი ნაწილი მემამულურ მფლობელობაში იყო.

ირანის ქურთისტანში შეიძლება გამოიყოს მიწათმფლობელთა ორი კატეგორია:

1. მსხვილი მიწათმფლობელები („ზემინე მალექინ"). მათ ერთ სოფელზე, ხოლო ზოგჯერ 100 სოფელზე მეტი ჰქონდათ. ამ კატე-

---

12 ციფრები ამოღებულია დიდი საბჭოთა ენციკლოპედიიდან და სხვა წყაროებიდან.

გორიის მიწათმფლობელებს ირანის ქურთისტანის მიწების დიდი ნაწილი ეკუთვნოდა (80%).

2. საშუალო მიწათმფლობელები, რომლებსაც ერთ სოფელზე მეტი არა ჰქონდათ. შეფარდება მსხვილ და საშუალო მიწათმფლობელს შორის ქურთისტანის სხვადასხვა რაიონში სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ურმიის, სერდაშტისა და ბანეს რაიონებში მიწების დიდი ნაწილი მდიდარ გლეხებს („ხორდე მალექ“) ეკუთვნით და აქ მსხვილ მიწათმფლობელთა პროცენტული რაოდენობა ნაკლებია. სამაგიეროდ, მიანდოაბის, სენენდეჟის და ქერმანშაჰის რაიონში, სადაც შეძლებულ გლეხთა რიცხვი მეტად მცირეა, მსხვილ მიწათმფლობელობას გაცილებით დიდი ადგილი უკავია[13]. კერძოდ, აქ მათ ხელში თავმოყრილი იყო მთელი მიწების 90 %. მათვე ეკუთვნოდათ საუკეთესო წყაროები, ამასთანავე მათი კუთვნილი მიწები უფრო ნაყოფიერი იყო.

იმ მიწათმფლობელს, რომელსაც მხოლოდ ერთი სოფელი ეკუთვნოდა, ყოველთვის ვერ მივიჩნევთ საშუალო მიწათმფლობელად, რადგანაც სოფელი შეიძლება ძალზე პატარაც იყოს. ასეთ სოფელში სულ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა რამდენიმე ათეულ ჰექტარ მიწაზე. მსგავსი სოფლები ირანის ქურთისტანში ძალზე ბევრია. ამ შემთხვევაში მიწათმფლობელი ზოგჯერ მდიდარ გლეხად (ხორდე მალექ“) შეიძლება მივიჩნიოთ და არა საშუალო მიწათმფლობელად. მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მხოლოდ ერთი სოფლის მფლობელი წარმოგვიდგებოდა მიწის მსხვილ მესაკუთრედ. ასეთ სოფელში შესაძლებელია 500-დან 200 ოჯახამდე (ეზო) ცხოვრობდეს და 500-დან 1000 ჰექტარამდე მიწა ეკავოს. მაგრამ ასეთი სოფლები ქურთისტანში იშვიათად გვხვდება.

მსხვილ და საშუალო მიწათმფლობელთა შორის ზღვარის გასავლებად შეიძლება ითქვას, რომ მსხვილ მიწათმფლობელად ზოგადად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ის, ვისაც სულ ცოტა 300 ჰექტარი დამუშავებული მიწა ეკუთვნოდა[14].

ირანის ქურთისტანში ყველაზე შეძლებული მემამულეები ქმნიდ-

---

13 ასე მაგალითად, სენენდეჟში მუდმივად მცხოვრებ ქურთთა ორი ცნობილი ოჯახიდან თითოეული 50 სოფელზე მეტს ფლობდა [59, გვ. 231].

14 სხვადასხვა რაიონს სხვადასხვა კრიტერიუმით უნდა მივუდგეთ. იმ რაიონში, სადაც მსხვილი მემამულე 1000 ჰექტარ მიწას ფლობდა, ივი საშუალო მიწათმფლობელთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო სხვა რაიონში, სადაც მიწების დიდი ნაწილი მდიდარ გლეხებს ეკუთვნის, იგი შეიძლება მსხვილ მემამულედ ჩაითვალოს [103, გვ. 119].

ნენ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც სულ რამდენიმე ოჯახისაგან შედგება. ამასთან, მათ რიცხვში შედიოდნენ აზერბაიჯანელები და ირანელები. მაქუს რაიონის ყველაზე მდიდარი მემამულეები ცხოვრობენ თეირანში, პარიზსა და ლონდონში. მაგრამ ისინი ეროვნებით ქურთები არ არიან.

ცენტრალურ და სამხრეთ ქურთისტანში მსხვილ მემამულეებს მიეკუთვნებოდნენ: ყიუბადიანი, აზეფ ვაზირი, სენენდეჟი, ამირა ეჰთევშამი, ფელიზი, ზენგენე და აფშარის გვარის წარმომადგენლები. თითოეულ ამ ოჯახს 100-დან 400-მდე სოფელი ეკუთვნოდა [დაახლოებით 10.000-დან 50.000 ჰექტარი მიწა]. XIX ს. ბოლოს 250 სოფლიდან ქერმანშაჰის რაიონში დაახლოებით 100 სოფელი ეკუთვნოდა ერთ მსხვილ ფეოდალს [119, გვ. 68.].

ირანის ქურთისტანში, მსხვილი ფეოდალები დიდი ძალაუფლებით სარგებლობდნენ. ისინი გლეხებს პირად საკუთრებად მიიჩნევდნენ. ფეოდალები ბოროტად იყენებდნენ ტომის ბელადისა და სასულიერო წინამძღოლის (შეიხის) თანამდებობებს და მოსახლეობა აუტანელ ჩაგვრაში ჰყავდათ. ტომობრივ ურთიერთობათა გადმონაშთები ახლაც აძლევს მათ საშუალებას თანატომელთა მკაცრი ექსპლოატაცია „მამობრივი“ და „ტომის კეთილდღეობაზე“ ზრუნვის ნიღბით მიჩქმალონ. ტომის რიგითი წევრი ჯერ კიდევ მიიჩნევს ფეოდალურ სენიორს თავის ბელადად, რომელსაც პატივი უნდა სცეს და დაემორჩილოს. მემამულე სარგებლობს თავისი პრივილეგირებული მდგომარეობით, როგორც რელიგიური პირი, შეიხი ან სექტის (თარიკათის — სწორი გზით მავალნი) ბელადი, რასაც იყენებს გლეხთა დასაშოშმინებლად და კლასობრივი კონფლიქტების ჩასახშობად.

ადრე ფეოდალური სენიორები ყოველთვის იმპერიალიზმისა და მთავრობის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ისინი კონტროლს უწევდნენ სახელმწიფო ადმინისტრაციას, მათ ეკავათ მაღალი თანამდებობები მთავრობაში.

სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით მემამულე ქურთისტანში კრედიტორი ხდება. გლეხი მემამულისაგან სესხულობდა ფულს ან ხორბალს მეტად არახელსაყრელ პირობებში. ზოგჯერ მემამულე ვაჭრობასაც მისდევდა. ამ შემთხვევაში იგი — ასრულებდა შუამავლის როლს. მთელი ტომის სახელით მას მიჰქონდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ქალაქში გასაყიდად [116, გვ. 351].

ამრიგად ქურთ ფეოდალ სენიორში გაერთიანებული იყო მემამულე, ტომის ბელადი, სასულიერო პირი, კრედიტორი და ვაჭარი, სად არის მისი უდიდესი ავტორიტეტის მთავარი წყარო. ადგილობრივ დამორჩილებულ გლეხებზე მის პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალაუფლებას განსაზღვრავდა რენტის ის რაოდენობა, რომელსაც იგი იღებდა. მაშასადამე, იგი იყო მთელი რაიონის ბატონპატრონი, ყოველი გლეხისა და წვრილი მესაკუთრის ბატონი.

ფეოდალ-სენიორის ძლიერება, ისევე როგორც ყოველი მონარქისა, დამოკიდებული იყო არა რენტის გრძელ სიაზე, არამედ მისი ობიექტების (გლეხური მეურნეობანი) რაოდენობაზე

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ მეტად დამახასიათებელ მოვლენას: ტომობრივი ურთიერთობა საშუალებას აძლევდა ფეოდალსენიორებს, რომლებიც თავიანთ ტომებს ან ტომობრივ განშტოებას ედგნენ სათავეში, გლეხთა წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ. ისინი მოქმედებდნენ შეთანხმებულად, იყენებდნენ ერთობლივ სანქციებს გლეხების მიმართ. მაგალითად, მეჰაბადის რაიონში გავრიქის ტომის ფეოდალ-სენიორებმა, რომლებიც ათეულობით სოფელს ფლობდნენ, მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება, რომ არ მიეცათ დასახლების უფლება იმ გლეხისათვის, რომელსაც ერთ-ერთი მათგანი აყრიდა თავისი სოფლიდან.

ფეოდალ-სენიორების ძალაუფლება ყველაზე მეტად აფერხებდა კლასობრივი ბრძოლის განვითარებას და ქურთული საზოგადოების წინსვლას საერთოდ.

ქურთისტანში მიწათმფლობელთა კლასი მარტო ფეოდალ-სენიორებისაგან როდი შედგებოდა, აქ ერთიანდებოდნენ ვაჭრები და მევახშეები, რომლებმაც სხვადასხვა მაქინაციებით წაართვეს გლეხებს მიწა, ანდა ეს მიწები ძალზე დაბალ ფასებში შეისყიდეს.

ამ ფეოდალ-სენიორების, ვაჭრებისა და მევახშეების საერთო დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ ისინი ადგილზე მყოფი მიწათმფლობელები არ იყვნენ (ეს შეიხს არ ეხება). ზოგიერთი მათგანი ზაფხულში ან შემოდგომაზე ჩადიოდა თავის მამულში, რომ ოვალყური ედევნებინა მოსავლის აღებისათვის, მათი დიდი ნაწილი კი საერთოდ ფეხს არ აკარებდა სოფელში და ცხოვრობდა ირანის დიდ ქალაქში, უმთავრესად თეირანში, ხშირად კი საზღვარგარეთაც (ევროპა, აშშ). მიწათმფლობელთა ადგილზე არყოფნის დროს მათი მამულები აგენტების (მუბაშირის) ანდა სოფლის მამასახლისის (ქეთხოდას) მეთვალყურეობაში იმყოფებოდა.

მუბაშირი სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა გლეხებს. მისი ბატონი რაც შეიძლება მეტი რენტის მიღებით იყო დაინტერესებული. მაგრამ მუბაშირი მემამულეს იმაზე მეტს არ აძლევდა, რაც საშაულოდ წლიურ მოსავალს შეესაბამებოდა, დანარჩენს თვითონ ითვისებდა. ეს გარემოება ხელს უწყობდა იმას, რომ გარკვეული დროის შემდეგ მუბაშირი თვითონ ხდებოდა მიწათმფლობელი.

ხშირად ასეც ხდებოდა: მსხვილი მიწათმფლობელი თავის მამულს 3—6 წლით იჯარით აძლევდა ვაჭრებსა და შუამავლებს, რომლებიც ქალაქში ცხოვრობდნენ. ეს წესი არაფერს ცვლიდა აგრარული ურთიერთობის ფეოდალურ ხასიათში.

რენტას, რომელსაც მიწის პატრონს უხდიდნენ, ჩვეულებრივ, წინა წლის მოსავლის მიხედვით განსაზღვრავდნენ. ამიტომ, ახალი მოიჯარენი მიისწრაფოდნენ ხელთ ეგდოთ რაც შეიძლება მეტი ფული, შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოეწურათ გლეხებისა და მათი მიწისაგან. ამასთან, ისინი კაპიტალის დაბანდებას ან ახალი ტექნოლოგიის გამოყენებას ყოველნაირად გაურბოდნენ.

იყვნენ მეორე სახის მოიჯარენიც, რომლებიც ძირითადად საშუალო მიწათმფლობელებს ან მდიდარ გლეხებს მიეკუთვნებოდნენ. ისინი, ჩვეულებრივ, მიწას იჯარით იღებდნენ ერთი წლით (გაზაფხულიდან შემოდგომამდე). გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში მათ აინტერესებდათ მხოლოდ მოსავალი, მაგრამ ხშირად ასეთი მოიჯარე ცუდი მოსავლის შედეგად ზარალობდა.

იშვიათ შემთხვევაში კაპიტალისტებიც იღებდნენ მიწას იჯარით. ისინი მიწას ამუშავებდნენ დაქირავებული მუშების საშუალებით. მუშათა დიდი რაოდენობა შორეული რაიონებიდან, უმთავრესად ირანის აზერბაიჯანიდან მოჰყავდათ. მიანდოაბისა და ურმიის რაიონებში ასეთ პრაქტიკას ადგილი ჰქონდა იმ შემთხვევაში, როდესაც მიწებს გამოყოფდნენ ტექნიკური კულტურებისათვის (როგორიცაა თამბაქო, ბრინჯი და განსაკუთრებით ვაზი). ამ შემთხვევაში ხელოვნურ სასუქებს და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს იყენებდნენ.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო  მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა (ხალესე) მიწები ირანში სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა და მათ ფინანსთა სამინისტრო განაგებდა. პირველ მსოფლიო ომამდე სახელმწიფო მიწათმფლობელობა თანამედროვე სახით არ არსებობდა, მანამდე მთელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო ქვეყნის მმართველის — შაჰის ხელში. ფაქტიურად სახელმწიფო მიწები მხოლოდ მას ეკუთვნოდა. სახელმწფოს გამგებლობაში მიწა აღმოჩნდა მას შემდეგ,

რაც მთავრობის მოწინააღმდეგე ფეოდალებისა და მემამულეების საკუთრების კონფისკაცია მოახდინეს[15].

თავის დროზე რეზა შაჰმა (1925—1941 წწ.) ხელთ იგდო სახელმწიფო მსხვილი მამულების საუკეთესო ნაწილი მთელ ირანში, მათ შორის ირანის ქურთისტანში, ქერმანშაჰის რაიონში. სახელმწიფო მიწების მეორე ნაწილი მიისაკუთრეს ბინადარ ცხოვრებაზე გადასული ტომების ბელადებმა და მსხვილმა ფეოდალებმა.

სახელმწიფო მიწა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავდაპირველად ეძლეოდა მომთაბარე ტომებს თიულის სახით. მიწის სანაცვლოდ ტომები სახელმწიფოს ჯარისკაცებს აწვდიდნენ და გადასახადს უხდიდნენ. უფრო მოგვიანებით, როდესაც სავალდებულო სამხედრო სამსახური ირანის ქურთისტანშიც შემოიღეს, მიწების დიდი ნაწილი ბინადარ ცხოვრებაზე გადასული ტომების ბელადებმა და ფეოდალმა სენიორებმა იგდეს ხელთ[16].

რეფორმამდე ირანის ქურთისტანის მთელი დამუშავებული მიწების 4 % სახელმწიფოს ეკუთვნოდა. სახელმწიფო მამულების უდიდესი ნაწილი განლაგებული იყო მერგივარში, თერგივარში (დაახლოებით 100 სოფელი), მიანდოაბსა (6 სოფელი) და ქერმანშაჰის რაიონებში. 1933 წლამდე ფოშთექუჰის რაიონში იყო 145 სოფელი, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა. უფრო გვიან ისინი რეზა შაჰმა მიისაკუთრა. სხვა სოფლები, რომლებიც ნაფთეშაჰის მეზობლად მდებარეობდნენ და სახელმწიფოს ეკუთვნოდა, სენჯაბის ტომის საკუთრებად გადაიქცა. სახელმწიფო მიწებზე რენტის სიდიდე ისეთივე იყო, როგორიც კერძო მიწებზე. სახელმწიფო მამულების მართვა შემდეგნაირად ხორციელდებოდა:

მთავრობის აგენტი (მუბაშირი), ყოველ რაიონში დამკვიდრებული ტრადიციისა და ჩვეულების მიხედვით, სახელმწიფოს აბარებდა შემოსავლის ნაწილს.

შემოსავლის საკუთარ ნაწილს სახელმწიფო ყოველწლიურად ყიდდა წინასწარ და ამის შემდეგ ეს მამულები მას აღარ აინტერესებდა.

---

15 მაგალითად, მერგივარისა და თერგივარის რაიონში ურმიის დასავლეთით მდებარე მიწები (დაახლოებით 100 სოფელი), რომელიც ეკუთვნოდა შამზინანის შეიხებს, სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს [124, გვ. 122].

16 ქურთისტანში, სადაც ადრე ხალესეს დიდი ნაკვეთები იყო, მისი ერთი ნაწილი გაიყიდა, ხოლო მეორე მეზობელმა მიწათმფლობელებმა მიიტაცეს. აქ ძალზე ცოტა მიწის ნაკვეთი დარჩა [127, გვ.256].

მთავრობა მიწებს იჯარით ურიგებდა უფრო ხანგრძლივი პერიოდით (3—6 წლით). ამ ხნის მანძილზე მოიჯარე სარგებლობდა მიწათმფლობელის უფლებებით და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეღო ამ დროის განმავლობაში. ეს კი გლეხთა უმოწყალო ექსპლოატაციას იწვევდა.

თუ მოიჯარე მიწის პირვანდელი მფლობელის შთამომავალი იყო, მასთან იდებოდა სპეციალური ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში მოიჯარე სარგებლობდა პრივილეგიებით როგორც ისეთი პირი, რომლის წინაპრებს გარკვეული დამსახურება მიუძღოდათ სახელმწიფოს ან რელიგიის წინაშე. იგი მიწის ნაკვეთს იჯარით იღებდა რენტის 1/10-ის უფლებით. ასეთი მოიჯარენი სახელმწიფოს მორჩილნი ხდებოდნენ. მთავრობა ცდილობდა ეს მიწები მათთვის არ დაებრუნებინა, ვინაიდან ისინი ძირითადად სასაზღვრო რაიონებში მდებარეობდნენ. ამავე დროს მთავრობას ამ მოიჯარეებისა ეშინოდა, რადგან მათი მამები და ნათესავები ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავის დროზე სიკვდილით დასაჯა, და გასაგებია, რომ სახელმწიფოს მათი ერთგულების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

ირანის ქურთისტანის სამხრეთ ნაწილში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ზეგავლენით. სახელმწიფო მიწები იჯარით გადაეცათ ადგილობრივ ფეოდალებს მეტად დაბალ ფასებში (ზოგჯერ რენტის 1/100-ად), მაგრამ შემდგომში ამ ფეოდალ-მემამულეებმა თანამშრომლობა დაიწყეს ინგლისის მონოპოლისტებთან და მიწების დიდი ნაწილი მიისაკუთრეს.

მთავრობას შეეძლო სახელმწიფო მიწებზე კარგი მამულების მოწყობა და სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვა, მაგრამ ამის მსგავსი მას მაშინ არაფერი მოუმოქმედებია, პირიქით, 1955 წლის კანონით, რომლის განხორციელებას 1958 წელს შეუდგნენ, მთავრობამ სცადა მიეყიდა სახელმწიფო მიწები ღარიბი გლეხებისათვის. ამით მან ხელი შეუწყო კერძო მესაკუთრეთა რიცხვის გადიდებას.

ს ა მ ე ფ ო მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა. უზურპაციით და მითვისებით რეზა შაჰმა ამ მხარეში ხელთ იგდო ათასი ჰექტარი მიწა და ქურთისტანის ერთ-ერთ მსხვილ მიწათმფლობელად გადაიქცა. მიწები, რომელიც მან ჩრდილოეთ ირანსა და ირანის ქურთისტანში მიისაკუთრა, საუკეთესო და ნაყოფიერი იყო.

1941 წ., როდესაც საბჭოთა კავშირის და ინგლისის არმიები ირანში შევიდნენ, რეზა შაჰი ტახტიდან გადადგა და ქვეყანა დატოვა. 1942 წ. ივნისში ირანელი ხალხის მზარდი უკმაყოფილების შე-

დეგად მეჯლისმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად შაჰის ყველა მამული უნდა დაბრუნებოდა პირვანდელ მფლობელებს. უფრო გვიან, 1949 წ. თებერვალში, ახალ შაჰზე თავდასხმის მოწყობის გამო, ირანის მთავრობამ ჩაახშო სახალხო მოძრაობა და აკრძალა დემოკრატიული ორგანიზაციები. დემოკრატიული ძალების დასუსტებით ისარგებლა შაჰმა და გადაწყვიტა დაებრუნებინა ჩამორთმეული მამულები (1949 წ. 11 ივლისი), მაგრამ იმ პირობით, რომ მათგან მიღებული შემოსავალი რელიგიურ და სოციალურ მიზნებს მოხმარებოდა [124, გვ. 125].

1951—53 წწ. ირანის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით განვითარების შედეგად, მოსადეყის მთავრობამ შექმნა სპეციალური დაწესებულება სახელმწიფო მიწებისა და შაჰის მამულების გამგებლობისათვის, მაგრამ 1953 წ. აგვისტოს რეაქციული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ყველა ეს მამული ისევ შაჰს დაუბრუნეს.

შაჰის მამული აერთიანებდა 1277 სრულ სოფელს (ყოველი მათგანი 6 თანაბარი ნაწილისაგან შედგებოდა), 1975 საძოვარს, 2381 სხვადასხვა დანიშნულების მშენებლობას, სასახლეებს, ფაბრიკებს, მაღაზიებს, სასტუმროებს და ა. შ. შაჰის მამულების მთელი ფართობი შეადგენდა 2,5 მლნ ჰექტარს, სადაც 233 000 კაცი ცხოვრობდა. გლეხების საერთო შემოსავალი შაჰის მიწებზე შეადგენდა მხოლოდ 175 მლნ. რიალს, მაშინ როდესაც შაჰი 550 მლნ რიალს იღებდა[17]. ირანის ქურთისტანში (ფოშთექუჰსა და ქერმანშაჰში) მსხვილი მიწის ნაკვეთები შაჰს ეკუთვნოდა. მეორე მსოფლიო ომამდე რეზა შაჰი ფლობდა ნავთობით მდიდარ მიწებს, ნაფთეშაჰის რაიონში. მის კუთვნილ მიწებზე გადიოდა აგრეთვე ქერმანშაჰის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნისაკენ მიმავალი ნავთსადენიც[18].

60-იანი წლების დამდეგამდე შაჰის მამულებს ირანის ქურთისტანში მთელი დამუშავებული ფართობის დაახლოებით 4% ეკავა.

---

17 სტატისტიკური მონაცემების თანახმად, შაჰის მამულების ყოველწლიური შემოსავალი 750 რიალს, ანუ 19 დოლარს შეადგენდა ერთ კაცზე.

18 რეზა შაჰს არ სურდა თავისი მიწები მიეყიდა ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიისათვის და კომპანიისაგან დაჟინებით მოითხოვდა გადაეხადა ყოველწლიური რენტა. რამდენიმე წლის მოლაპარაკების შემდეგ მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიამ შაჰს გადაუხადა 12.000 გირვანქა სტერლინგი (თუმცა მიწა ღირდა 6 ათას სტერლინგზე ნაკლები), 1941 წელს ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიამ მოახერხა გაეუქმებინა ეს შეთანხმება და ეყიდა მიწა იმ ფასად, რომელიც მთავრობამ დააწესა.

1951 წ. დასაწყისიდან შაჰმა ფართო პროპაგანდით დაიწყო თავისი მამულების გლეხებზე მიყიდვა. მას სურდა შეექმნა მიწის რეფორმის ჩატარების, ან მიწების ახალი გადანაწილების მოჩვენებითობა. ფაქტიურად კი ეს იყო მიწების ჩვეულებრივი გაყიდვა. გლეხი, უმთავრესად შეძლებული, 5—20 ჰექტარ მიწას ღებულობდა. ამისათვის მას 460—2000 რიალი უნდა გადაეხადა 25 წლის მანძილზე. ამასთან, თითოეული ჰექტარის საშუალო ფასი 3 ათას რიალს შეადგენდა. 60-იანი წლების დასაწყისისათვის შაჰს გაყიდული ჰქონდა დაახლოებით 250 ათასი ჰექტარი, ანუ მთელი კუთვნილი მიწების 10%, რომელთაგან მიღებული შემოსავალი 10 მლნ დოლარს შეადგენდა[19]. მიწების გაყიდვით მიღებული ამონაგები და დარჩენილი მამულებიდან მიღებული რენტა შაჰს ნაწილობრივ შვეიცარიისა და აშშ-ის ბანკებში შეჰქონდა, ხოლო ნაწილს მრეწველობის ყველაზე უფრო შემოსავლიან დარგებში აბანდებდა. ამრიგად, შაჰმა თავი მოუყარა არა მარტო მთელ პოლიტიკურ ძალაუფლებას, არამედ გახდა ძლიერი ეკონომიური მაგნატიც, შეაღწია რა ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში: ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ შაჰი არა მარტო ფეოდალურ ზედაფენას მეთაურობს, რომელიც ქვეყანას მართავს, არამედ უცხოური იმპერიალიზმის დასაყრდენსაც წარმოადგენს.

**სავაყფო მიწათმფლობელობა.** სავაყფო მიწების კატეგორია შეწირულების შედეგად შეიქმნა. ამ მიწებს სწირავდნენ მეჩეთებს სასულიერო სასწავლებლებს და მუსლიმანურ სამღვდელოებას. მათი გაყიდვა ან განსხვისება არ შეიძლებოდა.

შემდგომში მუსლიმანური სასულიერო წოდება ხშირად ძალით ითვისებდა ხოლმე მსხვილ მიწის ნაკვეთებს, რომლებიც გლეხებს ეკუთვნოდა, და მათ სავაყფო მიწებად აცხადებდა. რეფორმამდე ირანში სავაყფო მიწათმფლობელობის ორი ფორმა არსებობდა: „საზოგადოებრივი ვაყფი“ („ვაყფე ამ“) ანუ ის მიწა, რომელიც გაცემული იყო იმ მიზნით, რომ მისგან აღებული შემოსავალი ისეთ სასულიერო და სოციალურ საჭიროებებს მოხმარებოდა, როგორიცაა

19 ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრმა — ჰ. არსანჯანმა 1961 წ. მაისში ფრანგული გაზეთის „მონდის“ კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ სამეფო მიწების განაწილება გლეხებს შორის შეცდომა იყო, რადგანაც გლეხები, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო იარაღები არა ჰქონდათ, იძულებული იყვნენ შეძენილი მიწები მემამულეებისათვის მიეყიდათ [158, 24, 5, 1961; 124, გვ. 126].

სკოლებისა და მეჩეთების მშენებლობა, სარწყავი არხების გაყვანა და ა. შ. ამ მიწებს პატრონობდა უმაღლესი სამღვდელოება, რომელსაც ვაყფის მთელი მიწები ეკუთვნოდა. „საოჯახო ვაყფი“ („ვაყფე ხას“) ანუ ის მიწა, რომელიც იმყოფებოდა სასულიერო პირის განკარგულებაში იმ პირობით, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, რენტა ამ უკანასკნელის შთამომავალთა ხელში გადავიდოდა. ამ შემთხვევაში გამჩუქებელი დაინტერესებული იყო იმით, რომ მისი მიწა არ გაიყიდებოდა, არამედ გადავიდოდა მისი შვილების გამგებლობაში და რენტაც თანაბრად განაწილდებოდა მათ შორის.

ორივე შემთხვევაში, უმაღლეს სამღვდელოებას (ქურთისტანში შეიხებს) შესაძლებლობა ჰქონდა სავაყფო მიწები სხვადასხვა ხრიკებით მიეთვისებინა, ამიტომ ვაყფის მიწების უმრავლესობა აქ უშუალოდ მუსლიმანურ სამღვდელოებას ეკუთვნოდა. ვაყფის მიწების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (რამდენიმე სოფელი), რომლებსაც პირველი მსოფლიო ომის წინ ქურთისტანის სამღვდელოება განაგებდა, განათლების სამინისტროს განკარგულებაში[20] გადავიდა. მთელ ქურთისტანში მიწების დიდი რაოდენობა შეიხების (თარიკათის წარმომადგენლების) საკუთრებას შეადგენდა. ნეჰრის შეიხები ფლობდნენ რამდენიმე ასეულ სოფელს, რომლებიც მდებარეობდნენ ირანს, ერაყსა და თურქეთს შორის გამავალ საზღვართან ახლოს, ხოლო თაველისა და ბიარის შეიხებს ეკუთვნოდათ დაახლოებით 400 სოფელი ირანისა და ერაყის საზღვართან სულეიმანიის რაიონში.

დაახლოებით 50—60 სოფელი, რომელიც ადრე ვაყფის საკუთრება იყო (მიანდოაბის რაიონში), შეიხ ბურაჰანას გვარმა მიითვისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველ თარიკათს ჰქონდა თავისი საკუთარი ხანაკაჰი (რელიგიური წესების აღსრულებისათვის არსებული წმინდა შენობა), სადაც თარიკათის მიმდევრებს, დერვიშებსა და მიურიდებს საჩუქრებს უბოძებდნენ. ეს ხანაკაჰები, მაგალითად, მეჰაბადში ფლობდნენ რამდენიმე ათეულ მაღაზიას, დუქანს და ა. შ. ქურთისტანში დამყარდა ასეთი პრაქტიკა, სასულიერო დაწესებულებებს საჩუქრების სახით უბოძებდნენ წისქვილს, ვენახს და ხილის ბაღებს და ამ გზით საკუთრებად აქცევდნენ მათ.

მაჰიდაშთის და ქერმანშაჰის რაიონებში ვაყფის მიწები 300 წლის

---

20 ამჟამად ვაყფის მიწების სამმართველო („ედორეიე ვაყფ“) კულტურის სამინისტროს განკარგულებაშია [55, გვ. 231].

მანძილზე სამარიდან (ერაყი) გამოსულ შიიტ სეიდებს ეკუთვნოდათ.

ამრიგად, მიწათმფლობელობის სავაყფო ფორმა ფაქტიურად გადაიქცა სასულიერო წოდების წარმომადგენელთა კერძო საკუთრებად. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1928 წ. მიწების რეგისტრაციის დროს. ირანის ქურთისტანში იგი ბოლო დრომდე გრძელდებოდა.

ვაყფის მიწები გადასახადებით არ იბეგრებოდა, რადგანაც გათვალისწინებული იყო, რომ მისგან მიღებული შემოსავალი სოციალურ საჭიროებას მოხმარებოდა. ამ პრივილეგიას სასულიერო წოდების ზედაფენა და ნაწილობრივ მსხვილი მიწათმფლობელები გადასახადებისა და ბეგარისაგან განთავისუფლების მიზნით იყენებდნენ. ვაყფის მიწებზე გლეხები მძიმე შრომას ეწეოდნენ და მათ ისევე უმოწყალოდ ჩაგრავდნენ, როგორც იმ გლეხებს, რომლებიც ფეოდალ-მემამულეების მიწებს ამუშავებენ. გარდა ამისა, რელიგია მოქმედებდა როგორც ძლიერი ფაქტორი, რომელიც აგულიანებდა ფანატიკურად მორწმუნე გლეხებს, რომ რაც შეიძლება ინტენსიურად ემუშავათ რელიგიურ საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით.

გ ლ ე ხ უ რ ი მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა. ირანის ქურთისტანში გლეხებს მხოლოდ 96 ათასი ჰექტარი მიწა, ანუ მთელი სახნავი მიწების 8% ეკუთვნოდათ. მიწის მქონე გლეხობა მთელი ქურთისტანის სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს შეადგენდა. რაც შეეხება მიწათმფლობელობის ამ ფორმას საკუთრივ ირანის ქურთისტანში, საჭიროა აღინიშნოს მისი ზოგიერთი თავისებურება:

უპირველეს ყოვლისა, გლეხთა უმრავლესობა საშუალოდ ფლობდა 1—3 ჰექტარ მიწას ერთ გლეხურ მეურნეობაზე (იგულისხმება მიწის რაოდენობა), რაც ერთ ჯოფთს შეესატყვისება[21].

ზოგიერთ რაიონში (ურმია, ნაწილობრივ მიანდოაბი და საყეზი) გლეხური საკუთრება მარტო სახნავებს კი არ მოიცავდა, არამედ ვენახსა და ხეხილის ბაღსაც.

მიწები, რომლებიც ეკუთვნოდათ საშუალო გლეხებს ნაკლებ ნაყოფიერი იყო. ისინი არ ირწყვებოდა, ანდა სოფლიდან დაშორებული იყო.

---

21 გლეხთა მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობდა 5—20 ჰექტარ მიწამდე და ქმნიდა მდიდარ მეურნეობათა ჯგუფს.

ძალზე ხშირად ქალაქების მიდამოებში მდებარე მიწის ნაკვეთები ეკუთვნოდათ მდიდარ გლეხებს (ხორდე მალექებს), რომლებიც ქალაქში ცხოვრობდნენ და ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ ანდა სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდნენ. ეს დამახასიათებელია ირანის ქურთისტანის ქალაქების უმრავლესობისათვის.

საშუალო მესაკუთრე დიდ სიძნელეებს განიცდიდა არა მარტო წყლის ნაკლებობის, არამედ სასოფლო-სამეურნეო იარაღების უქონლობის გამოც. ზოგჯერ მას მიწა ჰქონდა, მაგრამ გამწევი ძალა არ გააჩნდა. როდესაც გლეხს ხარები დაუბერდებოდა ან მოუკვდებოდა, იგი დიდ გასაჭირში ვარდებოდა. მეჰაბადის რაიონში ერთი უღელი ხარი 6000—8000 რიალი ღირდა, ხოლო უღელი კამეჩი — 8000—12000 რიალი. ერთი ხარის ან კამეჩის შესაძენად გლეხს 1—2 ტ ხორბალი[22] უნდა გაეყიდა. თუ ქურთისტანის რომელიმე რაიონში სხვადასხვა მიზეზების გამო წყალი არ იყო, მაშინ საშუალო გლეხი გაღატაკებამდე მიდიოდა. ამ შემთხვევაში მას სხვა გამოსავალი არა ჰქონდა, გარდა იმისა, რომ სარჩო გაეყიდა ან ვალი აეღო და მსხვილ ფეოდალზე დამოკიდებული გამხდარიყო. ხშირად იგი სასოფლო-სამეურნეო მუშა ხდებოდა, რომელსაც არც მიწა და არც ჯოფთი არ ჰქონდა ანდა წასულიყო ქალაქში სამუშაოს საძებნელად. ეს პროცესი ძალზე ინტენსიური იყო. მსხვილი მიწათმფლობელები და მევახშეები იტაცებდნენ საშუალო გლეხის მიწებს ვალების გადაუხდელობის გამო.

### ბ. 60-იანი წლების მიწის რეფორმები და მათი შედეგები

60-იან წლებში ირანის ქურთისტანში მოსახლეობის რიცხვი მიახლოებით უდრიდა 3,5 მლნ. ანუ მთელი ირანის მოსახლეობის 17%-ს, ხოლო მისი საერთო ფართობი ირანის მთელი ტერიტორიის მხოლოდ 7,5%-ს შეადგენდა. ირანის ქურთისტანის მოსახლეობის სიმჭიდროვე (28 კაცი 1 კვ კმ.) ორჯერ მეტია, ვიდრე მთელი ირანისა (12 კაცი 1 კვ კმ), მაგრამ ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით საწინააღმდეგო სურათი გვაქვს.

ირანის ქურთისტანში თავმოყრილია ირანის მთელ სამრეწველო საწარმოთა მხოლოდ 4% და სამრეწველო მუშათა მხოლოდ 4,5% [102, გვ. 140]. ირანის ქურთისტანს, სადაც ირანის მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 20% აწარმოებენ, ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

---

[22] 1 კგ ხორბლის ფასი 3 რიალს უდრიდა.

1958 წ. სტატისტიკური მონაცემებით დაახლოებით 3 მლნ კაცი, ე. ი. მთელი მოსახლეობის 85% სოფლად ცხოვრობდა; ხოლო დანარჩენი სამრეწველო მომსახურების და სხვა დარგებში იყო დასაქმებული [37].

1956 წ. აღწერის მიხედვით, ქალაქის მოსახლეობა 15%-ს შეადგენდა. ე. ი. დაახლოებით 525 000 კაცს ითვლიდა, აქედან დაახლოებით 30% ანუ 170000 კაცი მრეწველობაში ან სხვა საწარმოო დარგებში იყო ჩაბმული.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წარმოების იარაღები მეტად პრიმიტიული იყო როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე გადამმუშავებელ მრეწველობაში, მაშინ იოლად აიხსნება ეროვნული შემოსავლის ძალზე დაბალი დონე: იგი ერთ სულზე წელიწადში 80 დოლარს შეადგენდა. მთელ ქურთისტანში ეროვნული შემოსავლის 80% სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა, ხოლო 10%-ს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იძლეოდნენ[23].

ირანის ქურთისტანის სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას პირველი ადგილი ეკავა. იგი ეროვნული შემოსავლის 45%-ს შეადგენდა. დანარჩენი 35% ხორბლეულის, ბოსტნეულის და ხილის წარმოებაზე მოდიოდა. საგარეო ვაჭრობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას მთავარი ადგილი ეკავა. სხვა პროდუქტებიდან მცირე რაოდენობით გაჰქონდათ ნავთობპროდუქტები.

ირანის ქურთისტანში აწარმოებდნენ მეცხოველეობის ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა მატყლი, კარაქი, ხორცი, ტყავი და სხვა. აღნიშნული მხარე წარმოადგენდა ირანის ეკონომიკის აგრარულ დანამატს, რომელიც მთელ ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ამარაგებდა.

ირანის ქურთისტანის მთელი ფართობიდან, რაც 124 ათას კვ კმ შეადგენდა, მხოლოდ 5 მლნ ჰა ანუ 40% არის დასამუშავებლად ვარგისი. დაახლოებით 4 მლნ ჰა დაფარულია ტყეებით (32%), დანარჩენი ნაწილი ძირითადად საძოვრებსა და მთებს უკავია. ამის მიუხედავად, 1 მლნ 200 ათასი ჰექტარი ანუ ვარგისი მიწების 24% მუშავდებოდა და იგი მთელი ტერიტორიის 9,6% შეადგენდა.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური დონე ძალზე დაბალი იყო.

---

23 60-იანი წლების დასაწყისში ნავთობის წარმოება ირანის ქურთისტანში (1,1 ტ 1 სულზე) გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე საშუალოდ მთელს ირანში (3 ტ 1 სულზე).

წარმოების ძირითადი იარაღები რამდენიმე საუკუნის მანძილზე თითქმის არ შეცვლილა. მიწას ტრადიციული გუთნით ხნავდნენ, რომელშიც ხარი ან ცხენი იყო შებმული.

ნაკელს იყენებდნენ მხოლოდ ტექნიკური კულტურების მოსაყვანად ქალაქის განაპირა რაიონებში. მარცვლოვანი კულტურების ნათესებში (ხორბალი, ქერი, ბრინჯი და პარკოსანი) სასუქების შეტანა არ ხდებოდა. 1961/62 წწ. ირანის სოფელში 6 ათასი ტრაქტორი იყო. აქედან 50% მთლიანად გამოუსადეგარი. რაც შეეხება ირანის ქურთისტანს, აქ სულ რამდენიმე ათეული ტრაქტორი ჰქონდათ. მათი დიდი ნაწილი ძირითადად თავმოყრილი იყო ქერმანშაჰის რაიონში.

ტრაქტორების ყიდვა მხოლოდ მსხვილ მიწათმფლობელებს შეეძლოთ. ტრაქტორი რამდენიმე გლეხს ცვლიდა. ამიტომ გლეხთა ერთი ნაწილი იძულებული იყო დაეტოვებინა სოფელი და სამუშაოს საძებრად ქალაქში წასულიყო, სადაც ღატაკთა და უმუშევართა რიცხვი ისედაც დიდი იყო. ამრიგად, სოფლად სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება, განსაკუთრებით კი ტრაქტორებისა, კიდევ უფრო ზრდიდა გლეხთა გაღატაკებას. ტრაქტორით დაიმედებული მემამულე აიძულებდა გლეხს ემუშავა როგორც სასოფლო-სამეურნეო მუშას დაბალი ანაზღაურებით, ხოლო თვითონ იტოვებდა საუკეთესო მიწას მექანიზებული წესით დამუშავებისათვის, მემამულეს გლეხი სამუშაოდ გადაყავდა უფრო ცუდ მიწაზე და მაღალ რენტას ახდევინებდა. როგორც ვხედავთ, ტრაქტორი მიწათმფლობელთა ხელში გლეხთა ექსპლუატაციის იარაღი ხდებოდა და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქურთი გლეხები ტრაქტორს „კონკურენტს“ უწოდებდნენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იქ, სადაც მიწა მემამულეთა ხელში იყო, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმე ფერხდებოდა. ქერმანშაჰში, სადაც მემამულეები სოფლის მეურნეობაში მანქანებს იყენებდნენ, გლეხების დიდი ნაწილი დაითხოვეს და იძულებული გახადეს ქალაქში წასულიყვნენ [124, გვ. 91]. ამიტომ, ქურთისტანის სოფლის მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერება, საერთოდ, მეტისმეტად დაბალი რჩებოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქურთმა გლეხებმა ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა არა მარტო ეროვნული, არამედ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ[24].

---

24 ირანელი მოგზაური დანეშვარი 1950 წ. წერდა, რომ ქერმანშაჰელი მდიდარი მემამულე გაურბოდა თავის სოფელში გამოჩენას მას შემდეგ, რაც მისი გლე-

ჯერ კიდევ 1952 წ. ზამთარში ბოკანის რაიონში იფეთქა გლეხთა დიდმა აჯანყებამ. მთავრობა იძულებული გახდა მემამულეთა დასაცავად სასწრაფო ზომები მიეღო. მღელვარება მოედო ირანის ქურთისტანის სამხრეთ ნაწილსაც. მთავრობის მომხრე ერთი გაზეთი შიშით წერდა: „ქურთი გლეხები იბრძვიან მიწების გაყოფისათვის“. „ქურთისტანი კომუნისტური გახდა“ — გაჰკიოდა მეორე [124. გვ. 177].

ირანის მმართველი წრეები აგრარული პრობლემის სასწრაფო მოწესრიგების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ. რა გამოსავალი გამონახა ეროვნულმა ბურჟუაზიამ, რომელსაც ხელთ ეპყრა ქვეყნის მართვის სადავეები 1951—1953 წწ.?

1952 წ. 6 ოქტომბერს პარლამენტმა მიიღო კანონი („კანონი 20%-ის შესახებ“), ხოლო შემდეგ მოსადეყის მრავრობა შეეცადა მის განხორციელებას. ამ კანონის თანახმად, მემამულის წილი მოსავლიდან 20 % უნდა აეღოთ. შემდეგ იგი ორად გაიყოფოდა. აქედან ერთი ნაწილი გლეხს უნდა მისცემოდა, ხოლო მეორე სოფლის საჭიროებას მოხმარებოდა. ერთდროულად მიმდინარეობდა შაჰის მამულების გლეხებზე მიყიდვა. მაგრამ ბურჟუაზიულ მთავრობას არ დაუყენებია საკითხი მსხვილ მიწათმფლობელთა კუთვნილი მიწების გლეხებს შორის დანაწილების შესახებ. მეტიც, „კანონი 20%-ის“ შესახებ ქურთისტანში საერთოდ არ განხორციელებულა. მეჰაბადის ოლქის არც ერთმა მემამულემ ამ კანონის ცხოვრებაში ვატარების ნება არ დართო.

1953 წ. აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როდესაც საზღვარგარეთ გაქცეული შაჰი ირანში დაბრუნდა, ქვეყანაში გაიშალა ფართო პროპაგანდა აგრარული რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ. შაჰმა ჯერ კიდევ ადრე თვითონ დაიწყო თავისი მიწების გაყიდვა და მოუწოდა მსხვილ მიწათმფლობელებს მისთვის მიებაძათ. მთავრობის პოლიტიკამ მიზანს ვერ მიაღწია. შა-

ხები შევიდნენ „თუდეს“ პარტიაში (ირანის მუშათა კლასის პარტია). დანეშვარს გლეხებთან ასეთი დიალოგი ჰქონდა: „რამ გაიძულათ შესულიყავით პარტიაში?“ გლეხებმა მიუგეს: „რეზა შაჰის გამეფების შემდეგ ერთმა მემამულემ, სახელად ჰეიათმა წაგვგლიჯა ყველაფერი, რასაც კი ვფლობდით: მიწები, ბაღები. ის მოითხოვდა, რომ ყოველდღე მისთვის გვემუშავა... მერე ჩვენამდე მოაღწია ხმებმა პარტიის შესახებ, რომელიც იცავს ღარიბებსა და ჩაგრულებს. ჩვენ შევედით ამ პარტიაში, რათა მან დაგვიცვას. თუდეს პარტიის წყალობით, აი, უკვე რამდენი ხანია, ჰეიათი ჩამოგვეხსნა“. ციტირებულია ა. რ. გასემლოს მიხედვით [124; გვ. 177].

ჰისაგან შეძენილი მიწები, მეტწილად გლეხებმა ხელახლა მიჰყიდეს მსხვილ მიწათმფლობელებს.

1960 წლის დასაწყისში მიიღეს ახალი კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავდა მიწათმფლობელობის ოდენობას. ეს კანონი მიზნად ისახავდა „პროდუქციის წარმოების გადიდებას და საზოგადოებრივი სამართლიანობის დანერგვას". ერთი მიწათმფლობელის საკუთრებაში შეიძლებოდა ყოფილიყო არა უმეტეს 800 ჰექტარამდე ურწყავი და 400 ჰექტარამდე სარწყავი მიწა. მემამულეს უფლება ეძლეოდა თავისთვის დაეტოვებინა საკუთარი მიწის ნებისმიერი ნაწილი. ჩამორთმეული მიწის ღირებულება მათთვის სახელმწიფოს უნდა აენაზღაურებინა.

ცხადია, რომ ამ კანონს არ შეეძლო აღმოეფხვრა არსებული ფეოდალური ურთიერთობის მანკიერება, ვინაიდან იგი მიწათმფლობელს კვლავ უტოვებდა უზარმაზარ მიწის ნაკვეთებს [38, გვ. 7].

ირანის მმართველი წრეები, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, იძულებული იყვნენ მიეღოთ ეს კანონი. ისინი მიისწრაფოდნენ, ერთი მხრივ, მოედუნებინათ გლეხების სიფხიზლე და შეეჩერებინათ მასების რევოლუციური გაქანება, ხოლო, მეორე მხრივ, დაეჩქარებინათ გლეხური ბურჟუაზიის ფენის ჩამოყალიბება. გლეხობის ზედა ფენა უნდა გადაქცეულიყო შაჰის რეაქციული ხელისუფლების დასაყრდენ სოციალურ ძალად. სოფლად იმავე მიზნებს ისახავდა შაჰის ადრინდელი გადაწყვეტილება — გლეხებისათვის მიეყიდა სამეფო და სახელმწიფო მიწები. მაგრამ მსხვილმა ფეოდალებმა და მათმა წარმომადგენლებმა პარლამენტში ამ კანონს სახე შეუცვალეს და ისეთი ფორმა მისცეს რომ მისი ცხოვრებაში გატარება შეუძლებელი იყო, იგი ფარატინა ქაღალდად იქცა. აგრარული პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა.

1961 წ. გაზაფხულზე, როდესაც ირანის პრემიერ მინისტრი ალი ამინი გახდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, სოფლის მეურნეობის მინისტრ ჰასან არსანჯანსა და გაზ. „მონდის" კორესპონდენტს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

„ჩვენ არ გავიმეორებთ შაჰის შეცდომებს. მან გაანაწილა მიწესების ნაწილი იმ გლეხებს შორის, რომლებსაც არა ჰქონდა თესლეული და ტრაქტორები, ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ ხელახლა მიეყიდათ მიწა ფეოდალებისათვის. ჩვენ განზრახული გვაქვს გავაუქმოთ მსხვილი მიწათმფლობელობა გლეხების სასარგებლოდ".

„თქვენ, როგორც ჩანს, ივიწყებთ რომ თვით პრემიერ მინისტრი, ალი ამინი, მსხვილი მიწათმფლობელია, — მოაგონა მინისტრს

კორესპონდენტმა. „მერე რა ვუყოთ? აგრარული რეფორმა უშუალოდ ჩემი საქმეა და გპირდებით, რომ ერთი თვის შემდეგ იგი გატარებული იქნება ცხოვრებაში“ [158, 27, 5, 1961].

ზუსტად ორი თვის შემდეგ მსხვილ მიწათმფლობელთა კრებაზე პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: „მეც ერთი თქვენთაგანი ვარ, გაუგებრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ ვაპირებთ ჩამოგართვათ მიწები და მოვახდინოთ მისი კონფისკაცია. ასეთი განზრახვა ჩვენ არა გვაქვს. ვაპირებთ გავატაროთ უბრალო რეფორმები, რომლებიც მოწონებული იქნება თვით მიწათმფლობელების მიერ“[25].

ჯერ კიდევ რეფორმის წინ ირანის მთავრობის აგრარული პოლიტიკა ქურთ გლეხთა შემდგომ გაღატაკებას იწვევდა. ეს პოლიტიკა ზოგჯერ ქურთისტანში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირების უშუალო მიზეზიც კი იყო. მაგალითად, 1960 წ. მთავრობამ დადო ხელშეკრულება აშშ-თან 300 ათასი ტონა ხორბლის შესყიდვის თაობაზე, მანამდე კი ირანი იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც ხორბალი გაჰქონდათ. 1959 წ. შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში პრეიმერ-მინისტრის) ალამის განკარგულებით შეისყიდეს 2 ათასი ტონა ცხიმი აშშ-ში. მან განაცხადა: „მთავრობამ ცხიმის შესყიდვის არა მარტო ნება დართო, არამედ უარი თქვა საბაჟო გადასახადზე იმ მიზნით. რათა უზრუნველყოს საშინაო ბაზარი ამ პროდუქტით“.

ქერმანშაჰიდან თეირანში ჩატანილი 1 კგ ადგილობრივი ცხიმი 135—145, ხოლო ზოგჯერ — 150 რიალადაც იყიდებოდა, იმპორტული ცხიმის ფასი კი 100—110 რიალით განისაზღვრება. ასეთი

---

25 მხოლოდ „თუდეს“ პარტია იბრძოდა რადიკალური აგრარული რეფორმების გატარებისათვის. იგი ყოველთვის გამოდიოდა გლეხთა მხარეზე მსხვილ მიწათმფლობელთა წინააღმდეგ „თუდეს“ პარტიამ გლეხობისათვის წამოაყენა ლოზუნგი: „მიწა მათ, ვინც მას ამუშავებს“. ამ ლოზუნგით იბრძოდა ქურთისტანის დემოკრატიული პარტიაც. თავისი პროგრამის პროექტში 1956 წ. იგი მოითხოვდა უმიწო გლეხებს შორის გაენაწილებინათ სახელმწიფო და მსხვილ მიწათმფლობელთა მამულები, გამოეცათ ახალი კანონი მემამულეებსა და გლეხს შორის მოსავლის განაწილების შესახებ, ყოველი რაიონის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. მთავრობას უნდა უზრუნველეყო გლეხობა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, მას უნდა გაეცა გრძელვადიანი სესხები დაბალი პროცენტებით, აეშენებინა არტეზიული ჭები, შეექმნა სარწყავი სისტემა, ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის, გლეხთა დავალიანების გაუქმებისათვის. ასევე უნდა მოსპობილიყო ყველასათვის საძულველი ბეგარა მთელ ირანის ქურთისტანში.

ღონისძიებებით მთავრობა არსებითად ძირს უთხრიდა ადგილობრივი პროდუქციის წარმოებას.

ხორბალი და ცხიმი ირანის ქურთისტანის ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია. აქედან ნათელია, რომ ირანის მმართველი წრეები აბსოლუტურად არ უწევენ ანგარიშს ქურთი ხალხის ინტერესებს[26].

მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც საერთო ეროვნული პროდუქციის 20%-ს ითვისებდნენ, 1958 წ. კანონის თანახმად, იხდიდნენ გადასახადს, რომლის რაოდენობა მათი კუთვნილი მიწების ღირებულების მესამედს შეადგენდა, [27, ივლისი, 1958, გვ. 34]. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ 1959—1960 წწ. ამ გადასახადმა შეადგინა სახელმწიფო შემოსავლის მხოლოდ 0,3%, ე. ი. შესაბამისად ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების 5% და 9% [27, ივლისი, 1959].

აგრარული ურთიერთობათა ჩამორჩენილობისა და მთავრობის ანტიგლეხური პოლიტიკის შედეგად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება მხოლოდ უმნიშვნელოდ იზრდებოდა [26, გვ. 90; 31, გვ. 192].

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საშუალოწლიური ნამატი მოცემული პერიოდისათვის 3.7%-ს შეადგენდა. თუ მხედველობაში მივიღებთ მოსახლეობის მატების შედარებით მზარდ მაჩვენებლებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო ნამატი იმავე პერიოდში 7%-ს შეადგენდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა ერთ სულზე პრაქტიკულად ერთსა და იმავე დონეზე რჩებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში შეიმჩნეოდა შემცირების ტენდენცია იმ დროს, როდესაც პირველ ოთხ წელიწადში საშუალო ნამატი 4%-ს აღემატებოდა. მომდევნო წლებში პროდუქციის გამომუშავება ერთ წერტილზე იყო გაყინული, მისი ნამატი შეადგენდა მხოლოდ 0.5%-ს წელიწადში.

1962 წ. 9 იანვარს ირანის მთავრობამ მიიღო ახალი კანონი მიწის რეფორმის შესახებ, ქვეყანაში დაიწყო მრავალწლიანი აგრარული გარდაქმნები (სამ ეტაპად), რომელმაც მნიშვნელოვნად შეარყია წარმოების ფეოდალური წესის საფუძვლები.

---

26 შეიძლება მოვიყვანოთ ირანის მთავრობის ანტიქურთული პოლიტიკის სხვა მაგალითიც: 1960 წ. მთავრობამ პოლანდიასა და დანიაში 8,2 მილ რიალის ღირებულების ყველი შეისყიდა, მანამდე კი ირანს ყველით ძირითადად ქურთისტანი ამარაგებდა.

აგრარული კანონი მემამულეთა მფლობელობაში ტოვებდა მხოლოდ ერთი სოფლის მიწებს. მათ მთლიანად რჩებოდათ ხილის ბაღები ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, აგრეთვე ის მამულები, რომლებიც დაქირავებული მუშებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებით მუშავდებოდა [71, გვ. 200]. დანარჩენი მიწები უნდა განაწილებულიყო იმ გლეხებს შორის, რომლებიც ამ მიწებს წინათ საზიარო იჯარის საფუძველზე ამუშავებდნენ.

კანონის თანახმად, რეფორმა ეხებოდა მსხვილი მემამულეების კუთვნილი მიწების მხოლოდ 1/3-ს (15 ათასი სოფელი 50 ათასიდან). თავდაპირველად მიწა მხოლოდ 2 ათას სოფელში განაწილდა. რაც შეეხება ირანის ქურთისტანს, იქ აგრარული რეფორმა სოფლების მხოლოდ მცირე ნაწილს შეეხო. თითებზე შეიძლება იმ ქურთული სოფლების ჩამოთვლა, სადაც მიწები გაანაწილეს.

აღსანიშნავია, რომ მიწები გლეხებს ეძლეოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წინასწარ გამოთქვამდნენ სურვილს, რომ თავიანთ სოფელში ჩამოყალიბებული კოოპერატივის წევრები გამხდარიყვნენ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს სოფლიდან წასული მემამულე უნდა შეეცვალა [132, გვ. 7].

აღნიშნული კანონი მიწებიდან გლეხთა აყრას კრძალავდა. ამასთან ერთად იგი მოითხოვდა მოსავალში მოიჯარეთა წილის გადიდებას 5%-ით სარწყავ და 10%-ით ბოგარულ მიწებზე. მემამულის კუთვნილი მიწის გამოსასყიდი თანხა სახელმწიფოს უნდა გადაეხადა 10 წლის მანძილზე. ამავე დროს გლეხები ვალდებულნი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო ბანკში შეეტანათ მიწის გამოსასყიდი 10 წელიწადში და გლეხებს მიწის ფასის დამატებით კიდევ უნდა გადაეხადათ 10%. მიწის რეფორმის ხარჯების ასანაზღაურებლად 1962 წ. იანვრის აგრარულ კანონში შეტანილ იქნა მთელი რიგი შესწორებანი და დამატებანი. აგრარული კანონმდებლობანი არსებითად ზღუდავდა ნახევრადფეოდალურ მიწათმფლობელობას და განსაზღვრავდა მამულების მაქსიმალურ ფართობს ჯერ 30-დან 200 ჰა-მდე, ხოლო შემდეგ 20-დან 150 ჰა-მდე. გაიზარდა აგრეთვე მემამულის მიწების გამოსასყიდი თანხების გადახდის ვადა 10-დან 15 წლამდე. მემამულეებს უფლება მიეცათ იჯარით გაეცათ მიწა 30 წლის ვადით, ან მიეყიდათ იგი გლეხებისათვის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ანდა კიდევ გაეყოთ იგი გლეხებთან მოსავლის გაყოფის წინათ არსებული სისტემის საფუძველზე. საზოგადოებრივი ვაყფის მიწები უნდა გაეცათ იჯარით 99 წლის ვადით, ხოლო კერძო ვაყფები — 30 წლით.

1963 წ. მიღებული კანონის დამატებით გათვალისწინებული იყო აგრეთვე მემამულეებისა და გლეხების მიერ ე. წ. სააქციო ერთეულების („ვაჰედ-ე საჰამი-ე ზარაის“) შექმნა. მათ უნდა უზრუნველეყოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ერთობლივი ხელმძღვანელობა წინანდელი საზიარო იჯარის საფუძველზე [103, გვ. 203].

1965 წ. 23 თებერვალს სახელმწიფო შეუდგა აგრარული რეფორმის მეორე ეტაპის პროგრამის განხორციელებას. ამ ეტაპზე რეფორმა ძირითადად შეეხო წვრილ და ნაწილობრივ საშუალო მემამულეებს. 1967 წლის მარტისათვის მეორე ეტაპის ღონისძიებებმა მოიცვა დაახლოებით 53 ათასი სოფელი და 22 ათასი ხუტორი.

1973 წ. მარტისათვის 232, 8 ათას მემამულეს, რაც ირანის მთელ მემამულეთა 90%-ს შეადგენს, 30 წლიანი იჯარით ჰქონდათ გადასაცემი მიწები 1,24 მილიონ გლეხზე.

პირველი ორი ეტაპის პროგრამის განხორციელების შედეგად დაახლოებით ერთი მილიონი გლეხი მიწის მესაკუთრე გახდა. თუ ამას მივუმატებთ 0,5 მილიონ გლეხს, რომელიც რეფორმამდე ფლობდა მიწას, მაშინ გამოდის, რომ რეფორმის ორი ეტაპის შედეგად 3669 ათასი (1972/73 წწ.) გლეხიდან 1,5 მილიონი მესაკუთრე გახდა.

მეორე ეტაპის განხორციელების შედეგად გლეხთა მატერიალური დაინტერესება გაიზარდა საკუთარი მიწის ნაკვეთების დამუშავებაში. მაგრამ თუ განაწილებული მიწით გლეხები ასე თუ ისე კმაყოფილი იყვნენ, საიჯარო მიწებზე გლეხთა დიდი უკმაყოფილება გამოწვეული იყო მემამულეთა თვითნებობით. ამ გარემოებამ აიძულა მთავრობა მიეღო ახალი კანონი (1967 წ. 10 თებერვალი), რომლის განხორციელებით დაიწყო აგრარული რეფორმების მესამე ეტაპი. იგი დამთავრდა 1971 წ. 23 სექტემბერს. ამ კანონით გაუქმდა მიწის იჯარა და შეუდგნენ მიწების მიყიდვას მოიჯარე გლეხებზე.

აღნიშნული ღონისძიებანი ძალზე ნელი ტემპით ხორციელდებოდა ირანის ქურთისტანში. მიწის რეფორმის ორგანიზაციის ოფიციალური ანგარიშის თანახმად (1966 წ. 17 თებერვალი), მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების შედეგად (1963 წ. სექტემბერი) მიწა მხოლოდ 21039 ქურთი გლეხის ოჯახმა მიიღო, მეორე ეტაპის ბოლოს (1966 წ. დამდეგი) რეფორმა შეეხო დამატებით კიდევ 43744 ქურთ გლეხს. ამ დროისათვის დარჩენილი იყო კიდევ 233 ქურთული სოფელი, რომელსაც რეფორმა სრულიად არ შეხებია [126, გვ. 219].

## 4. აგრარული გარდაქმნების ცდები თურქეთის ქურთისტანში

თანამედროვე თურქეთში ქურთი მოსახლეობა კომპაქტურად დასახლებულია ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ვილაიეთებში. 1970 წლის ცნობებით თურქეთში ცხოვრობდა 35,7 მილიონ კაცი. აქედან 8% (დაახლოებით 3 მლნ) ქურთი იყო [160, გვ. 2][27].

ნაშრომის შესავალში ქურთებით დასახლებული რაიონების ეკონომიკის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, რომ ქურთებით დასახლებული ტერიტორია თურქეთის ერთ-ერთი ჩამორჩენილი მხარეა. აქაური მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფელშია განლაგებული და ამიტომაც ქურთული სოფლის მთავარ საზრუნავს მიწის პრობლემა წარმოადგენს.

თურქეთის რესპუბლიკის ნახევარი საუკუნის არსებობის მანძილზე მის ხელმძღვანელთა მიერ აგრარული პრობლემების გადაჭრის ყველა ცდა წარუმატებლად მთავრდებოდა.

მიწის პრობლემა ეხება არა მარტო თურქეთის სოფლის მშრომელი მოსახლეობის 65%[28], არამედ მთელ ეკონომიკას, რომელიც კვლავინდებურად სოფლის მეურნეობას ეყრდნობა.

აგრარული საკითხების გადაჭრის ერთ-ერთი პირველი ცდა წამოიწყეს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე — 1945 წ. 11 ივნისს, მაგრამ მსხვილმა მიწათმფლობელებმა, რომელთაც მტკიცე პოზიციები ეკავათ სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში, ეს წამოწყება დაიყვანეს თავისუფალი სახელმწიფოს მიწების განაწილებამდე.

1945 წ. რეფორმას არ შეულახავს მსხვილ მიწათმფლობელთა ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები. იგი მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო მემამულეებისათვის გადაქცეულიყვნენ ბურჟუაზი-

---

27 როგორც წესი, ოფიციალური სტატისტიკა ან სულ არ აქვეყნებს, ანდა მეტად „ამცირებს" ცნობებს თურქეთის ეროვნულ უმცირესობათა ზუსტ რაოდენობაზე. ამ შემთხვევაშიც ქურთების რიცხვი შემცირებულია სულ ცოტა 10%-ით ანუ დაახლოებით 3,5 მილიონით.

28 მართალია, თურქეთის მწარმოებელი მოსახლეობის 65% (ზოგიერთის მონაცემებით 75%-იც კი) [73, გვ. 87] ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში, მაგრამ მის წილად მოდის ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 25% ე. ი. შემოსავალი გლეხებზე 4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში. ამავე დროს სოფლის მეურნეობის წილად მოდის თურქეთის ექსპორტის 75%. საერთოდ თურქი გლეხის საშუალო წლიური შემოსავალი 1000 ლირას (160 მანეთს) არ აღემატება. მისი შრომის ნაყოფის დიდ ნაწილს მევახშეები, შემსყიდველები და ვაჭარი შუამავლები ითვისებენ [145, 11, 1973, გვ. 15].

ული კლასის შემადგენელ ნაწილად, გაეღრმავებინა გლეხთა დიფერენციაცია სოფლად და შეექმნა ბობოლა გლეხების სახით წარმოების კაპიტალისტური წესის მტკიცე დასაყრდენი.

1945 წლის აგრარული კანონის საფუძველზე თურქეთში 1947—1965 წლებში 369 445 გლეხურმა ოჯახმა მიიღო 18 მლნ დენუმის[29] საერთო ფართობის მიწა. მსხვილ მიწათმფლობელებსა და კულაკებს ჩამოერთვათ მხოლოდ 86 477 დენუმი მიწა, რომლის ღირებულება 1 მლნ თურქულ ლირას შეადგენდა [17.2.8.1978]

1945 წ. მიწის რეფორმა თავისი ხასიათით ბურჟუაზიული ღონისძიება იყო. იგი აჩქარებდა წარმოების ნახევრადფეოდალური წესის კაპიტალისტურით შეცვლის პროცესს, ხელს უწყობდა საწარმოო ძალებისა და საშინაო ბაზრის განვითარებას, რამდენადაც რეფორმის შედეგად დამუშავებული მიწების ფონდი საბოლოო ჯამში გაიზარდა თითქმის 2 მლნ. ჰა-ით [90, გვ. 132].

1945 წლის რეფორმამ ვერ შეამსუბუქა ქურთი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა, ფეოდალური ჩაგვრის შინაარსი არ შეცვლილა. ქემალისტური პერიოდისაგან განსხვავებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი ქურთულ სოფელში შეიცვალა მხოლოდ ამ ჩაგვრის ფორმები და მეთოდები [116 ა, გვ. 10].

1967 წ. მონაცემების თანახმად, თურქეთის მთელი მიწის ფართობიდან 23836 ათასი ჰა (30,5%) ეკავა დამუშავებულ მიწებს, 13095 ათასი ჰა (16,8%) უნაყოფოს, 26 135 ათასი ჰა (33,5%) საძოვრებს და მინდვრებს, 2414 ათასი ჰა (3,1%) ბაღებსა და ბოსტნებს, ხოლო დანარჩენი 12578 ათასი ჰა (16,8%) — ტყეებს [73, გვ. 90—91].

ჯერ კიდევ 1961 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგად გამოირკვა, რომ თურქეთში მსხვილ მიწათმფლობელთა რაოდენობა დიდი არ იყო. უფრო მეტად სჭარბობდა საშუალო მიწათმფლობელთა (1000 დენუმი) რიცხვი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ მსხვილ მიწათმფლობელთა (5000 დენუმზე მეტი) ნახევარი თავმოყრილი იყო ქურთებით დასახლებულ რაიონებში [73, გვ. 96], ასე მაგალითად, ურფაში ასეთი 62 მეურნეობა იყო, ხოლო დიარბაქირში — 73. მაშინ, როდესაც ასობით ათას გლეხს არ გააჩნდა საკმარისი ფართობის მიწის ნაკვეთი[30], რომელიც

---

29 ერთი დენუმი უდრის 0,092 ჰექტარს.

30 1963 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, უმიწაწყლო გლეხურ მეურნეობათა რიცხვი 309 ათასს აღწევდა, ხოლო 233 ათასი ფლობდა 1-დან 50

საშუალებას მისცემდა მას შეენახა თავისი ოჯახი. 35 ვილაიეთში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ გლეხთა 42% ფლობდა 20 დენუმზე ნაკლებ მიწას.

გამოანგარიშებულია, რომ ამჟამად თურქეთში არსებობს დაახლოებით 36 ათასი ისეთი დასახლებული პუნქტი, რომლის მოსახლეობა 2000 კაცზე ნაკლებია. ანატოლიაში და განსაკუთრებით მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (თურქეთის ქურთისტანში) ბევრია ისეთი სოფელი, რომელსაც თანამედროვე ცივილიზაცია და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჯერ კიდევ არ შეხებია. ქურთული სოფლების უმრავლესობა — გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტ დ. მორგანის მოწმობით, — ცხოვრობს ძველი ტრადიციების კანონებით და არა თანამედროვე თურქული კანონებით.

ამერიკელმა კორესპონდენტმა ინახულა ანატოლიის ქურთული სოფლები, რომლებიც ძირითადად ზაზას ტომით იყო დასახლებული. ერთ-ერთ ასეთ სოფელ ანაზოში მთავრობის მიერ გატარებული ე. წ. რეფორმების ძირითადი შედეგი იყო აქ აშენებული სოფლის დაწყებითი სკოლა, რომელიც სულ ერთი ოთახისაგან შედგებოდა, და სოფელში გამოყვანილი სასმელი წყლის შადრევანი.

ზაზას ტომში შემავალი ქურთი გლეხების უმრავლესობა უმიწაწყლო იყო. ანაზოში და მის გარშემო მდებარე 60-მდე სოფელში მთელი ძალაუფლება ეკუთვნოდათ მსხვილ მიწათმფლობელებსა (აღებსა) და მუხთარებს, რომლებიც ერთდროულად ადგილობრივ ხელისუფლებას ანსახიერებდნენ (ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციებით). ფაქტიურად ისინი წარმოადგენენ შუამავალ რგოლს მოსახლეობასა და ქალაქში მყოფ ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

---

დენუმამდე ფართობის მიწის ნაკვეთს. 10—12 წლის მანძილზე ეს ციფრები საგრძნობლად გაიზრდებოდა. თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ილიას ყარაოზმა 1972 წ. აგვისტოში პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა რომ მესაკუთრეთა ერთი ნაწილი (104347 წვრილი მესაკუთრე და 283 მსხვილი მიწათმფლობელი) მიწას გასცემდა იჯარის ან მოზიარობის სისტემის საფუძველზე. გარდა ამისა, 713058 ჰა მიწა, რომელიც 293518 მეურნეობას ეკუთვნოდა მხოლოდ იჯარის საფუძველზე მუშავდებოდა, ხოლო 756327 ჰა მიწას, რომელიც 639879 მეურნეობის საკუთრებას წარმოადგენდა, გლეხები მოზიარობის უფლებით ამუშავებდნენ.

საერთოდ თურქეთში მოზიარობის ფორმა, უფრო გავრცელებულია, ვიდრე იჯარით გაცემა. რაც შეეხება მუდმივ სეზონურ და სასოფლო-სამეურნეო მუშებს, მათი საერთო რიცხვის დადგენა მეტად ძნელია სტატისტიკური ცნობების უქონლობის გამო.

როგორც წესი, მსხვილი ფეოდალების კუთვნილ მიწებს გლეხები ამუშავებდნენ მონახევრეობის საფუძველზე, გლეხები მათ მიერ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ბამბის, ხორბლეულისა და ხილის) 50%-ს უხდიდნენ აღებს. აღა კი ვალდებული იყო უზრუნველეყო მის მიწაზე მომუშავე გლეხი უფასო ბინით [165,4.3 1973].

ზაზას ქურთულ ტომს რამდენიმე ათეული სოფელი ეკავა. ამ სოფლებში გაბატონებული მსხვილი მიწათმფლობელები ანუ აღები მიეკუთვნებიან ტომის მმართველ გვარს — ბუკაკს. თითქმის საუკუნეზე მეტი იქნება რაც ბუკაკის გვარის წარმომადგენლები მოვიდნენ ამ ადგილებში, შეიძინეს 250 ჰა მიწა და დაამყარეს თავიანთი კონტროლი 60-ზე მეტ სოფელზე.

ბუკაკები მათთვის ხელსაყრელ პირობებში თავის მიწებს გლეხებს იჯარით აძლევდნენ. ბევრმა მათგანმა დატოვა სოფელი და ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად, რათა დაუფლებოდა სხვადასხვა პროფესიას, გამხდარიყო იურისტი და ა. შ. თავისი მამულების მეთვალყურეობას ისინი სხვებს ავალებდნენ[31]. ზოგიერთმა ბუკაკმა დაიწყო მამულების გაყიდვა და აღებულ კაპიტალს უფრო მომგებიან საქმეში აბანდებდა.

პარლამენტში არჩევნების დროს ბუკაკის გვარის მემამულეები, მათზე დამოკიდებულ გლეხებზე ძალდატანებისა და ზემოქმედების წყალობით, ახერხებდნენ 8 000 ხმის შეგროვებას, რაც საშუალებას აძლევდა მათ პარლამენტში თავიანთი წარმომადგენელი გაეყვანათ [165,4.3. 1973].

ანატოლიის ქურთული სოფლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი მისი ჩამორჩენილობაა. ქურთული სოფლების უმრავლესობა მოკლებულია ელექტროგანათებას, ხოლო მრავალ მათგანში ნავთის ლამპაც სანატრელია. სამედიცინო მომსახურებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია[32]. ბავშვთა შობადობა და სიკვდილიანობა ყველაზე დიდია აღმოსავლეთ თურქეთში. ოფიციალური ცნობებით, მთელი თურქეთის მოსახლეობის ნახევარი წერა-კითხვის უცოდინარია (მამაკაცები 22% და ქალები 66%), ხოლო ქურთული სოფლების დიდ ნა-

---

[31] ყოველ ბუკაკს თავის სოფელში ქონდა ქვისაგან აშენებული კარგი დიდი სახლი, რომელშიც ის არ ცხოვრობდა, მაგრამ ჩერდებოდა მაშინ, როდესაც ჩამოდიოდა სოფელში სხვადასხვა საქმეებში (ქორწინებაში, დღესასწაულებში, სადავო საქმეების გარჩევაში და სხვ.) მონაწილეობის მისაღებად.

[32] აღმოსავლეთ თურქეთში 15 ათას მცხოვრებზე ერთი ექიმი მოდის [148 ა; 7.1.1971].

წილში უწიგნურობა 100%-საც აღწევს. სავალდებულო ხუთწლიანი სკოლა (მათთვის გაუგებარ თურქულ ენაზე) ქურთ ბავშვეებს არ აძლევს რაიმე ტექნიკურ ცოდნას. მხოლოდ სოფლის აღების შვილების ერთი ნაწილი განაგრძობს სწავლას უმაღლეს სკოლაში[33].

ბევრ მშობელს საჭიროდ არ მიაჩნდა ქალიშვილების სკოლაში გაშვება საერთოდ. ამიტომ ქურთი ქალები სოფელში დღეს ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორც 10 საუკუნის წინ.

სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორ ჰალიუკ ჯილოვს (შემდგომში თურქეთის ვაჭრობის მინისტრი) აღმოსავლეთ ანატოლიის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილების მიზეზად მიაჩნდა ამ მხარის მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე [73, გვ. 50]. თურქი ეკონომისტი აშკარად ამახინჯებს იმ კავშირ ურთიერთობას რომელიც არსებობს მოსახლეობის სიმჭიდროვესა და სოციალურ-ეკონომიური განვითარების შესაძლებლობას შორის. თურქეთის აღმოსავლეთ რაიონების, მათ შორის თურქეთის ქურთისტანის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა უნდა ავსხნათ არა მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვით, როგორც ის ამტკიცებს, არამედ თურქეთის მთავრობის გარკვეული კურსით, შეაჩეროს იმ რაიონების საწარმოო ძალების განვითარება, რომლებიც დასახლებულია არა თურქული მოსახლეობით.

თურქეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში აგრარული გარდაქმნების ჩატარების აუცილებლობას თავის დროზე ქვეყნის მმართველი წრეების წარმომადგენლებიც აღნიშნავდნენ. ასე მაგალითად, თურქეთის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი შევქეთ რაშიდ ჰათიფოღლუ გაზ. „ჯუმჰურიეთში“ („რესპუბლიკა“) წერდა: „აღმოსავლეთის საკითხი“, რომლის შესახებ მუდამ ბევრი ლაპარაკია თურქეთში, უწინარეს ყოვლისა მიწასთანაა დაკავშირებული. როგორც ცნობილია, იქაურ მკვიდრთა უმეტესობა არსებობის საშუალებათა შოვნის თვალსაზრისით მიწათმფლობელზეა დამოკიდებული. მიწის რეფორმის შედეგად არსებობის საშუალებებით უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრისა და ალასთან, რომელიც ყოველგვარ ძალმომრე-

---

33 ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი სოფლის მუხთარი ეხებოდა რა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებს, აღნიშნავდა: „ხშირად გვეუბნებიან, რომ ჩვენს ბიჭებს მათ ქალაქელ თანატოლებთან შედარებით არ გააჩნიათ მოსაზრების უნარი, ვინაიდან ვერ პასუხობენ ისეთ ელემენტარულ კითხვებზე როგორიცაა — „რა არის ტროტუარი? ლიფტი?“ მაგრამ ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ბევრ სოფლელ ბავშვს თავის სიცოცხლეში არ უნახავს ტროტუარი ან ლიფტი“ [165, 4.3. 1973].

ობას მიმართავს, ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ შეიცვლება გლეხის შეხედულებები და აზროვნების მანერა, რადგან მას საკუთარი ნაკვეთი ექნება“ [131, გვ. 141—142].

ქურთ გლეხთა უმიწაწყლობა და აქაური ბატონების (აღების) ძალმომრეობა სოფლად არსებული სოციალური წინააღმდეგობის მთავარი წყაროა. როგორც ქართველი მკვლევარი ნ. კომახიძე აღნიშნავს, 1948—1952 წლებში ქურთებით დასახლებულ ოთხი ვილაიეთის (გაზიანთეფის, ურფას, მარდინისა და დიარბაქრის) 68 სოფელში ადგილი ჰქონდა 355 კონფლიქტს მიწის გამო[34]. იმავე წლებში შემოწმებული 24 ვილაიეთიდან სახელმწიფოსთან მიწის თაობაზე კონფლიქტების ყველაზე მეტი რაოდენობა ამ 4 ვილაიეთზე მოდიოდა [131 გ. გვ. 144—145].

უკანასკნელ ხანს ქურთი გლეხობა სულ უფრო აქტიურად იბრძვის მიწისათვის. 1971 წლის იანვარში ქ. დიარბაქირში მოეწყო ადგილობრივი ქურთი მოსახლეობის დიდი დემონსტრაცია ლოზუნგით: „მიწები გლეხებს“. ამ დემონსტრაციაში ძირითადად ქალაქის ახლო მდებარე სოფლების მშრომელები მონაწილეობდნენ. ქურთი გლეხები გამოთქვამდნენ თავიანთ გულისწყრომას ბობოლა გლეხების ძალმომრეობის გამო. ისინი ართმევდნენ გლეხებს მიწებს და ითვისებდნენ მათ. დემონსტრანტები მოითხოვდნენ მიწაზე უფლების მინიჭებას. დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ დიარბაქრის პოლიციამ მკაცრი ზომები მიიღო. ადგილობრივმა ქურთულმა სტუდენტურმა ორგანიზაციებმა გაავრცელეს ფურცლები, რომლებშიც მხარს უჭერდნენ გლეხთა სამართლიან მოთხოვნებს.

ქურთ გლეხობას აქტიური მხარდაჭერა აღუთქვა თურქ მასწავლებელთა პროფკავშირმაც, რომელიც მთავრობისაგან მოითხოვდა დაეჩქარებინა აგრარული რეფორმის გატარება ქვეყანაში.

„აუცილებელია სასწრაფოდ გატარდეს აგრარული რეფორმა, რომელიც უკვე 25 წელია ჭიანურდება. ბოლო უნდა მოვუღოთ შუა საუკუნოებრივ ჩამორჩენილობას სოფლად, გადავაქციოთ გლეხი

34 ქურთ ავტორს ნური დერსიმის თავის წიგნში მოყავს ცნობები იმის შესახებ, რომ ხშირად მიწის გამო ამტყდარი დავა და შეტაკებები ცალკეულ აშირეთებს (მაგალითად, შეიხ ჰასანანსა და სეიდანს) შორის რამდენიმე ათეულ წელს გრძელდებოდა. ზოგჯერ სადავო მიწის ნაკვეთი ისე მცირე ყოფილა, რომ იგი საკმარისი არ იყო მის გამო გამართულ შეტაკებებში დაღუპულთა დასასაფლავებლად [118 ა, გვ. 13—14].

მიწის პატრონად[35], შევქმნათ მსხვილი საწარმოო კოოპერატივები და განვავითაროთ სოფლის მეურნეობა თანამედროვე დონეზე" — ნათქვამი იყო თურქ მასწავლებელთა პროფკავშირის განცხადებაში [148 ა, 7. 1. 1971].

ამავე დროს გახშირდა თურქეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების საჯარო გამოსვლები, რომლებშიც ხაზს უსვამდნენ აგრარული რეფორმის ჩატარების აუცილებლობასა და მის პირველხარისხოვან მნიშვნელობას. ასე მაგალითად, 1971 წ. გაზაფხულზე გაზ. „ჯუმჰურიეთში" გამოქვეყნდა სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადება იმის შესახებ, რომ ქვეყნის ზოგიერთ რაიონში საჭირო იქნება მიწების დარიგება, ხოლო ზოგან წვრილ მეურნეობათა გაერთიანება. მინისტრი აღიარებდა იმას, რომ სოფელს არ ამარაგებენ წარმოების საშუალებებით, თესლით, არ ეხმარებიან მარცვლეული კულტურების ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში და ა. შ. იგივე გაზეთი თავის მკითხველს შეახსენებდა, რომ თურქეთის ექსპორტის 75% სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილად მოდიოდა [154,2.4.1971]; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფდა ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის იმ ნაწილსაც, რომელსაც საზღვარგარეთ გაჰქონდათ, მაშინ სოფლის მეურნეობის ხვედრი ქვეყნის ექსპორტში 85%-მდე გაიზრდება. თურქეთის მმართველი წრეების ერთ ნაწილს ეს კარგად ესმოდა. ამიტომ თურქეთის მთავრობის ცალკეული წარმომადგენლები თავიანთ საჯარო გამოსვლებში აგრარულ გარდაქმნებს მიიჩნევდნენ „ნომერ პირველ რეფორმად", რომელსაც შეეძლო დადებითი გავლენა მოეხდინა საგარეო ვაჭრობის ბალანსზე.

1971 წ. მარტში თურქეთის არმიის ხელმძღვანელობამ გადააყენა კონსერვატიულად განწყობილი „სამართლიანობის პარტიის" მთავრობა და ახალ ხელისუფლებას მოსთხოვა აუცილებელი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების და, პირველ რიგში, მიწის რეფორმის სწრაფი გატარება. თურქეთის პარლამენტში ამის თაობაზე სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა [163, 13. 7. 1972]. ამ კომისიას ევალებოდა მიწის ახალი კანონპროექტის შემუშავება, ხოლო აგრარული რეფორმის საერთო მომზადება კი პრემიერ-მინისტრის მოად-

---

35 ოფიციალური ცნობებით, თურქეთში მიწების 96% სოფლის მოსახლეობის 66%-ის ხელში იმყოფება, ხოლო დანარჩენი 34%-ის წილად მოდის მიწების მხოლოდ 4%.

გილეს ათილა ყარა ოსმან ოღლუს დაავალეს. ჯერ კიდევ 1971 წ. აპრილში თავის ერთ საჯარო გამოსვლაში იგი უმიწაწყლო გლეხებს პირდებოდა არა მარტო მიწების გამოყოფას, არამედ მათ მომარაგებას სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებითა და თესლეულით [17,22.4.1971].

ყარა ოსმან ოღლუ გამოდიოდა აგრეთვე, მიწათმფლობელობის ფართობის განსაზღვრის მომხრედ. კანონპროექტით მიწათმფლობელობა უნდა შეზღუდულიყო 150 დენუმამდე სარწყავ მიწებზე და 600 დენუმამდე ურწყავზე. მაგრამ 1971 წლის ნოემბერში მეჯლისის დროებითი კომისიის სხდომაზე სამართლიანობისა და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებმა მოითხოვეს კანონპროექტიდან ამოეღოთ მისი მესამე მუხლი, ,რომელიც განსაზღვრავდა მიწათმფლობელობის მაქსიმალურ ოდენობას. ამ სხდომაზე ყარა ოსმან ოღლუმ განაცხადა, რომ „ეს არის კანონპროექტის დასასრული“ და პროტესტის ნიშნად მიატოვა სხდომა [154,18.11.1971].

ეს კანონპროექტი მსხვილი მიწათმფლობელობის გააფრთებულ წინააღმდეგობას წააწყდა. ასე მაგალითად, პარლამენტის წევრმა ყოფილმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაპრი დავთაშმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი ძალიან წააგავს იმას, რომელიც „შეიმუშავეს თურქეთის მუშათა პარტიის[36] დეპუტატებმა“. სამართლიანობის პარტიის წარმომადგენელმა ილჰამ ერთემმა მხარი დაუჭირა მას და მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი შეაფასა როგორც „სასჯელი იმისათვის, ვინც მიწაზე შრომობს და მასში კაპიტალს აბანდებს“. ილჰამ ერთემი აქ თავის თავსა და მის მსგავს მსხვილ მემამულეებს გულისხმობდა.

მსხვილი მიწათმფლობელების წარმომადგენლები სხვადასხვა ხრიკებით ცდილობდნენ გაეჭიანურებინათ აგრარული რეფორმის კანონპროექტის განხილვა პარლამენტში [150, 28.6. 1972].

ქვეყნის მმართველი პარტიის — „სამართლიანობის პარტიის“— თავმჯდომარე სულეიმან დემირელი იმ პერიოდში აღიარებდა, რომ პარლამენტის უმრავლესობა საბოტაჟს გამოუცხადებს ნებისმიერ რადიკალურ აგრარული რეფორმის გატარებას. იგი მიწის რეფორ-

36 თურქეთის მუშათა პარტია, რომელიც 1961 წ. თებერვალში შეიქნა, აერთიანებდა მუშებს, გლეხებს, მშრომელ ინტელიგენციას და აგრეთვე წვრილ და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. ეს პარტია მოითხოვდა თურქეთის არაკაპიტალისტური გზით განვითარებას და გამოდიოდა რადიკალური აგრარული რეფორმის გატარების ლოზუნგით. კერძოდ. იგი მოთხოვდა ჩამოერთმიათ მიწები მსხვილი მემამულეებისათვის და გაენაწილებინათ ისინი უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებს შორის [105, გვ. 231—232].

მას განსაზღვრავდა როგორც „რაღაც საღეჭ რეზინს“, რომელიც ყველას ვერ უშველიდა. მისი მტკიცებით თურქეთში ერთი მილიონი უმიწაწყლო გლეხი იყო, ხოლო ქვეყანაში დასამუშავებლად ვარგისი მიწა იმდენია, რომ იგი გადანაწილებისას ერგება მხოლოდ 100 ათას კაცს [165,4.03.1973].

თავდაპირველად მიწის კანონის პროექტით განსაზღვრული იყო, რომ უმიწაწყლო გლეხის ოჯახს უნდა გადასცემოდა 3,2-დან 10,6-მდე ჰა სარწყავი და 5-დან 34-ჰა-მდე ურწყავი მიწა (რაიონების მიხედვით).

სახელმწიფოსაგან მიღებული მიწის საფასური გლეხს უნდა გადაეხადა 25 წლის მანძილზე, ხოლო მემამულისაგან ჩამორთმეული მიწის საკომპენსაციო თანხა უნდა დაეფარათ 20 წლის მანძილზე. პროექტით აგრარული რეფორმის გატარების ვადა 10 წლით იყო განსაზღვრული. რეფორმა უნდა ჩატარებულიყო ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე მიწები გადანაწილდებოდა 724 სოფელში, სადაც ძირითადად თავმოყრილი იყო მსხვილი მიწათმფლობელობა [17,13,5. 1973], მაგრამ ამ კანონპროექტმა პარლამენტში ხანგრძლივი განხილვის შედეგად სახე იცვალა.

საბოლოოდ კანონი მიწის შესახებ გამოიცა 1973 წლის ივნისში. იგი გამოქვეყნდა მთავრობის ოფიციალურ ორგანოში — „რესმი გაზეთ“-ში.

აგრარული რეფორმა მოიცავდა არა მთელ ქვეყანას, როგორც ეს პროექტში იყო გათვალისწინებული, არამედ მხოლოდ მის ზოგიერთ რაიონს. რეფორმის გატარების ვადაც შეიცვალა 10-დან 15 წლამდე. ამ ხნის მანძილზე მიწა უნდა მიცემოდა უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხთა ოჯახების საერთო რაოდენობის მხოლოდ 1/6-ს.

კანონი ითვალისწინებდა 32 მლნ ჰა მიწის განაწილებას. აქედან 14 მლნ სახელმწიფო მიწების წილად მოდიოდა, 10 მლნ ახალი მიწების ათვისების ან მორწყვის ხარჯზე და მხოლოდ 8 მლნ ჰა მიწა უნდა ჩამორთმეოდა მსხვილ მიწათმფლობელებს[37] [17,2.8.1973]

იმ გლეხებს, რომლებიც მიწას ვერ მიიღებდნენ, მთავრობა უპირატესობას ანიჭებდა საშოვარზე წასვლას [17,2.8.1973].

---

37 ჩამორთმეულ მიწებისათვის მემამულეები ღებულობენ ერთდროულ კომპენსაციას მიწის ღირებულების 15%-ის ოდენობით, ხოლო დანარჩენი თანხა მათ 19 წლის მანძილზე უნდა გადაუხადონ.

ახალი კანონით აიკრძალა მიწების იჯარით გაცემა. ამავე დროს გათვალისწინებული იყო სოფლად მექანიზირებული მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამსაღებელი კოოპერატივების შექმნა.

